კვირის პალიტრა

# გზა

ჟურნალი ჟურნალში მალე!

## ტრაგედია პანკისში და ქისტურ-ჩეჩნური ქორწილი

N15 (357) 60 თეთრი



## ვინ უყვარს და ვინ ენატრება ია კიწმარიშვილს

„თუ მას ჩემი თანადგომა დასჭირდება, გვერდით დავუდგები...“

## „კარგად გავერთეთ, მაგრამ...“

რა გაუმხილა ეკა ნიჟარაძემ ზურა დოიჯაშვილს



## სტალინის მკვლელები

XX საუკუნის მთავარი საიდუმლო

გამოძიება „გზაში“



## ირაკლი ოქრუაშვილი პარტიას ქმნის?



## ლექს-სენის ახალი „სიყვარული“

„ჩვენი „გონკაობა“ დასრულდა“...

## როგორ ამოვიცნოთ მამაკაცი კოცნის მანერით




საბა SABA

კანდელაკის ქ.65 0160 თბილისი, საქართველო. (+995 32) 38 44 54 www.saba.ge E.mail: sabaco@caucasus.net

№15 (357)
12 - 18 აპრილი, 2007 წ.
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები
ღრეობა სასაფლაოზე ანუ გაუკუღმართებული ქართული ტრადიციები 3
■ ჭორ-მართალი
ირაკლი ოქრუაშვილი პარტიას ქმნის? 4
■ ფაქტი და კომენტარი
„9 აპრილი ოფიციალური დღესასწაული უნდა იყოს და არა — „პანაშვიდი“... 5
■ ინფორმაცია 5
■ დედაენა
რომელი ქართული სიტყვის შესატყვისია „კალგოტკა“ 6
■ დაიჯესტი 8
■ აქცენტი
როცა თავს არ ზოგავ, სიყვარული გმართავს და მიზანიც გაქვს... 10
■ კრიმინალი
✓ ახალგაზრდას, რომელიც „ბარიგა“ ეგონათ, თორმეტჯერ ესროლეს... 12
✓ მოწმეების თქმით, დამნაშავე აგრესიულობით გამოირჩეოდა 15
■ ანტიდეპრესანტი 16
■ საქმიანი ქალი
რატომ ჩამოვიდა კიწმარიშვილების ოჯახი ამერიკიდან თბილისში 16
■ გულშემატკივარი
„ჩემი ქმარი რომ არ დაეჭირათ, ოჯახი არ დამენგრეოდა“ 19
■ რეალური
სიცოცხლემისჯილი 20
■ პროფესია
ქართველი გოგონა სპეცოპერაციაზე და ქურთუკში დამალული ყვავილები... 23
■ ერუდიტი
„ამის არცოდნა სირცხვილია“ 24
■ საპატარძლო
„ის ცრემლი ვარ, რომელიც შენს თვალებში იბადება და ტუჩებზე კვდება“... 27
■ გზავნილები
მესამე ზედმეტია 28
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ როგორ ამოვიცნოთ მამაკაცი კოცნის მანერით 32
✓ ჯენიფერ ენისტონისა და ვიქტორია ბექჰემის იაპონური დიეტა 33



„გამარჯობა, ზაზა. მინდა, პირდაპირ შენ მოგმართო. გული არ გაიტეხო, კარგო ადამიანო. გავა დრო და გარეთ გამოხვალ. შენ თავიდან უნდა დაიწყო ცხოვრება, რადგან როგორც ჩანს, მთელი 11 წელია, რაც სასჯელს იხდი და ბევრი რამ დაგხვდება შეცვლილი. უნდა ივაჟკაცო და მოერგო დღევანდელობას. რას იზამ, ასეთი ყოფილა შენი ხვედრი“.

19

## რატომ ჩამოვიდა კიწმარიშვილების ოჯახი ამერიკიდან თბილისში



— თქვენ და თქვენი მეუღლე აზარტულები თუ ხართ?

— ორივენი აზარტულები ვართ და შეგვიძლია არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა.

16

## „ამის არცოდნა სირცხვილია“

— რა ერქვა თავსაფრიან დედაკაცს?

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.



— ბატონო კოტე, მისი სახელი...

— (*მაწყვეტინებს*) მარიამი, მარიამი ერქვა.

— მას სახელი საერთოდ არ ჰქონდა.

— ხომ გითხარით, ცუდი მეხსიერება მაქვს.

24

## მესამე ზედმეტია

„მარი, ამბობ, მესამე ზედმეტიაო? რა არის, დამცინი? მე ხომ რატომღაც ყველგან და ყოველთვის „მესამე“ ვარ ხოლმე... „გზავნილებში“ ხომ, საერთოდ... ეჰ, იღბალო, რა ხარ? ბაბნია“.



28

## სტალინის მკვლელები



„სმენა კარგი ჰქონდა. როგორც ჩანს, ჩემი ფეხის ხმა გაიგონა და გაჭირვებით აწეული ხელით დასახმარებლად მიხმობდა. მივირბინე და ვკითხე: „ამხანაგო სტალინ, რა მოგივიდათ?“ მან, როგორც ჩანს, ჩაისველა, სანამ იქ ასე იწვა და მარცხენა ხელით რაღაცის გასწორებას ცდილობდა. ჩავეკითხე: „ექიმი ხომ არ გამოვიძახო?“ მან კი რაღაც გაურკვევლად მიპასუხა“.

58

M K

■ ჟურნალისტის როლში
„...კარგად გავერთეთ, მაგრამ...“ 34

■ მტერ-მოყვარე
ტრაგედია პანკისში და
ქისტურ-ჩეჩნური ქორწინება 36

■ მრავალჟამიერ!
6 „ჩითის კაბა“ და ერთი „შარვალი“... 37

■ ჯანმრთელობა
✓ ყველაფერი არტერიული წნევის შესახებ 38
✓ მწვანე აფთიაქი მამაკაცებისთვის 39
✓ სიცილიც ნარკოტიკი ყოფილა 39

■ ტაიმ-აუტი 40

■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. გველის ქერქში (დასაწყისი) 42

■ თინეიჯერული პონტები
რამ გადააწყვეტინა სოფო გორდაძეს
„დაოჯახების ინსტიტუტის“ გახსნა... 46

■ პირველი პაემანი
„მამაკაცისთვის ქალი ბოლომდე
წაუკითხავი წიგნი უნდა იყოს“ 49

■ წმინდანები
„წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი,
როგორც ოქროს მჭედელი“... 50

■ ხსოვნა
კახი ასათიანი — მსოფლიოში ერთ-ერთი
ყველაზე ელეგანტური ფეხბურთელი 52

■ ვარსკვლავები
✓ ჯენიფერ ლოპესის სიყვარულით
გაჯერებული შემოქმედება 54
✓ სახელგანთქმულ მოდელიერს სექსუალურ
ძალადობაში ადანაშაულებენ 54
✓ მაიკლ ჯექსონის ნივთები აუქციონზე გაიყიდება 54

■ გამოძიება
სტალინის მკვლელები —
XX საუკუნის მთავარი საიდუმლო (გაგრძელება) 58

■ სცენა
საპრემიერო ციებ-ცხელება რუსთაველში 61

■ წარმატება
კიბერსპორტსმენები ხუთჯვრიანი დროშით 63

■ ფავორიტები
რომარიო მეათასე გოლს მიუახლოვდა 64

■ კრიმინალური ნოველა
ჰიჩკოკის კოლექციიდან. რიჩარდ ჰარდუიკი.
ქერათმიანი ქალი 65

■ შოუ
„ერთი ქალის ისტორიას“ ნატო გელაშვილთან
ერთად ქართველი მომღერლებიც მოგვიყვებიან 69

■ ავტო 70
■ ჰოროსკოპი 71
■ მესიჯომანია 72
■ ტესტი 78
■ სკანვორდი 79
■ კალეიდოსკოპი 80

# შაქარყინული „მათე ბიჭისთვის“

„შეიძლება, თვითონ გესროლოს, ისე, რომ ხელიც არ აუკანკალდება და სიცოცხლეს გამოგასალმებს. ასეთი ფაქტის წინაშე თუ აღმოვჩნდებოდი, ალბათ მოვკლავდი, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილისთვის ყველა მეცოდება“.



23

# მაიკლ დუგლასის იდუმალი ოცნება



„ჰოლივუდის ვარსკვლავების — მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის ექვსწლიანი კავშირი დაშლის ზღვარზეა. „განხეთქილება დიდი ხნის წინ დაიწყო. ადრე სულ ერთად იყვნენ. როდესაც მათი რომანი დაიწყო, ორივე ძალზე დაკავებული გახლდათ, მაგრამ ისინი ერთმანეთისთვის დროს მაინც პოულობდნენ“.

56

# ყველაზე ელეგანტური ფეხბურთელი



„კახი თამაშის დროს ნამდვილი „შემქმნელი“ გახლდათ. ნაკრებში მას მწვრთნელები საგანგებო დავალებებით არ ტვირთავდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ის ეკეთებინა, რაც ყველაზე უკეთ ეხერხებოდა“...

52




# გველის ქერქში

— დამიბრუნეთ ჩემი ძმა, დამიბრუნეთ ჩემი საყვარელი ძმა! — გაჰკიოდა ქალი, — გამიცოცხლეთ, გამიცოცხლეთ, სასწრაფოდ! — ეჩხუბებოდა ეკრანიდან მთელ ქვეყანას ჭკუიდან გადასული ჭირისუფალი.

ეზოდან ფარშავანგის კივილი გაისმა და ისედაც დამძიმებულ სიტუაციას, რაღაც არაამქვეყნიური ელფერი შესძინა.

— გაგიჟდნენ? ვინ მოკლა, რატომ მოკლეს, რისთვის? — იკითხა ერთბაშად გამოფხიზლებულმა და შეშინებულმა თათიკომ.

42

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

M K

# ლხინი სასაფლაოზე ანუ გაუკუღმართებული ქართული ტრადიციები



კაი ხალხი ვართ ქართველები, ამ ქვეყნის ფასიც ვიცით და იმ ქვეყნის ფასიც. მოკლედ, არ უნდა ლაპარაკი — ნატოსა და ევროკავშირშია ჩვენი ადგილი, მაგრამ სადაა ჭკვიანი პატრონი?! ის უცხოელი დელეგაციები ახალ წელს და სხვა დღესასწაულებზე რომ ჩამოჰყავთ იმის საჩვენებლად, ვითომ, რა ბედნიერი ერი ვართ, აღდგომას უნდა ჩამოიყვანონ და ანახვონ, როგორაა დაცლილი სოფელ-ქალაქები და როგორი „ანშლაგებია“ სასაფლაოებზე. გაიყვანე იაპ დე ჰოოფ სხეფერი მუხათგვერდის სასაფლაოზე, მიეცი ხელში ერთი წითელი კვერცხი და ხუთ-ექვს საფლავზე რომ გადაიპატიჟებენ, ამდენივენაირ გამთბარ ღვინოს რომ დაალევინებენ და საქართველოს „წასულების“ თამადობით ნატოს ქვეყნების „წასულების“ სადღეგრძელოს ამდენივეჯერ რომ ათქმევინებენ ან იმწამსვე მიგვიღებს ნატოში, ან — არასოდეს.

დიახ, უნდა გაიგონ ჩვენმა ევროპელმა და ამერიკელმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა, რომ „ტრადიციები“ გვაქვს ქართველებს. თუ ეს მართლა ძველქართული



ტრადიციაა, ჩვენს წინაპრებზე წარმოდგენა შემეცვალა, მაგრამ ერთი კი ფაქტია: თუ მთელი წლის განმავლობაში მკვდრები სასაფლაოზე „მიგვყავს“, აღდგომის დღეებში — პირიქით, სასაფლაოდან მოგვყავს „მკვდრები“, უფრო სწორად, ცოცხლები, მაგრამ ისეთი ცოცხლები, რომ ვერც დადიან, ვერც იხედებიან და ვერც ლაპარაკობენ. და მთავარი ამ რიტუალში ისაა, რომ ვინც უფრო მეტი დალია და საფლავზე მეტად მოილხინა, მან უფრო მეტად მიაგო პატივი თავის იმ წინაპარს, რომელიც ალბათ, საფლავში ტრიალებს ასეთი შთამომავლის „წყალობით“.

კიდევ ერთი სასწაული, რომელიც მხოლოდ ჩვენთან ხდება, ფასების საოცარი ზრდაა. თუ ყველა ნორმალურ ქვეყანაში სადღესასწაულო ფასდაკლებები ვრცელდება, საქართველოში პირიქით, ცეცხლი უკიდია ფასებს და ნებისმიერი საჭირო პროდუქტი, ტრანსპორტი და ა.შ. 4-5-ჯერ ძვირდება. იქნებ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი გაუკუღმართებული ტრადიციისა, ზემოთ რომ შეგახსენეთ: ანუ, კაცს იმდენი უჯდება ერთი სადილის გაკეთება და სადღესაწაულოდ მომზადება, რომ სულერთია — მერე შიმშილით სიკვდილი უწერია და ამიტომ მიდის სასაფლაოზე და იქ „იღებს ბოლოს“, ხომ ლოგიკურია?! მოკლედ, ნატოსა და ევროკავშირშია ჩვენი ადგილი და იქნებ შევასწროთ, სანამ ერთი-ორი ასეთი დღესასწაულის თავი შეგვრჩენია, თორემ თანდათან რწმუნდება ხალხი, რომ სააქაოში ვერაფერი ხეირი ნახა.

კიდევ ერთი მიზეზი გვიპოვა ხელისუფლებამ, რის გამოც მომავალ აღდგომას უფრო მეტი ადამიანი გაიზიარებს ვაჟას სიბრძნეს ათასი ცოცხლისა და ერთი მკვდრის შესახებ: ქალაქის ისტორიულ ნაწილში მცხოვრებლებს დაეკისრებათ ყოველთვიური გადასახადი — 1 კვადრატულ მეტრზე 3 ლარი. ამას ჩვენი მამა-მარჩენლები იმით ხსნიან, რომ ისტორიულ უბნებში მცხოვრები უნდა ზრუნავდეს მისი ბინის სათანადო იერზე და რადგან ამას ვერ ახერხებს, გადაუხდის მთავრობას და მთავრობა იზრუნებს. მოდი და ნუ გაიქცევი ბებია-ბაბუაშენის საფლავზე და ნუ დათვრები... თქვე დალოცვილებო, თუ იმის საშუალება არ მაქვს, რომ ჩემი ბინის ფასადსა და იერს მივხედო, თქვენ საიდან მოგცეთ ფული, რომ თქვენ მიხედოთ?!

თუმცა საწინააღმდეგო ლოგიკაც არსებობს: თუ არ გინდა თვეში 300 ან მეტი ლარის გადახდა, რომ წამოჭიმულხარ ამ ისტორიულ ადგილზე 100 კვ.მ-იან ბინაში, გაყიდე და იმდენ მეტრკვადრატიან ბინაში იცხოვრე, რამდენის გადახდის თავიც გაქვს. მაგალითად, მარტოხელა პენსიონერს 38 ლარი რომ აქვს შემოსავალი, იცხოვროს 1 კვმ ფართში და კაი 35 ლარი სუფთა ფული დარჩება ან „ვაფშე“ არ იცხოვროს და მთლიანად შეენახება ის 38 ლარი; ხომ ხედავთ, რა მდიდარი არჩევანია?!. არა, ნატოსა და ევროკავშირშია ჩვენი ადგილი, მაგრამ სადაა ჭკვიანი პატრონი?! მანამ კი მთელი წლის განმავლობაში ვაგროვოთ დანაზოგი, რომ აღდგომას სასაფლაოზე გავიტანოთ და შევაწყდეთ ჭიქით ხელში ერთმანეთს...

***P.S.** სასაფლაოზე:*

*— მოდი, დამილიე ერთი ჭიქა, გოჭი გამისინჯე, ხაჭაპური მიაყოლე.*

*— რატომ წამოიღე ამდენი პურმარილი სასაფლაოზე?*

*— რატომ და, აქ რომ ვჭამ, ბაბუაჩემიც ჭამს. ხომ გახსოვს, როგორ უყვარდა?!*

*— მერე, შე კაი კაცო, გოჭი და ხაჭაპური სიცოცხლეში რომ გეჭმია ბაბუაშენისთვის, ეგება ახლა ცოცხალი ყოფილიყო...*

***პროვოკატორი***

# ირაკლი ოქრუაშვილი პარტიას ქმნის?



**ნათია ქივიძე**

**რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს. კულუარებში იმასაც ამბობენ — გამორიცხული არ არის, ექსმინისტრი პოლიტიკურ გაერთიანებას ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მხარდაჭერით აყალიბებდესო... ძნელი სათქმელია, შეძლებს თუ არა ოქრუაშვილი ყოფილ თანამებრძოლ და მეგობარ მიხეილ სააკაშვილთან აშკარა პოლიტიკურ დაპირისპირებას და არც იმას ადასტურებს ვინმე — ლონდონში ხშირი სტუმრობა პატარკაციშვილთან ექსმინისტრის კავშირს თუ მოასწავებს, მაგრამ პარლამენტის წევრებმაც (როგორც უმრავლესობის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებმა) მოარული ხმების არსებობა დაადასტურეს, თუმცა — არა ყველამ.**

**ელენე თევდორაძე:**

— ეს ინფორმაცია თქვენგან შევიტყვე. სამწუხაროდ, მე ოქრუაშვილთან არანაირი კავშირი არა მაქვს. სამწუხაროდ-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ძალიან მიყვარს ეს ბიჭი და მას დიდ პატივს ვცემ. მე მას ჯერ კიდევ რევოლუციამდე ვიცნობდი. თუ მან პარტიის შექმნა გადაწყვიტა, ეს მისი ნებაა. უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ოპოზიციური პარტია არ იქნება და ის სააკაშვილს არ დაუპირისპირდება. რაც შეეხება პატარაკაციშვილთან მის ურთიერთობას, — ამის თაობაზე არაფერი მსმენია, მაგრამ მაინც გამოვრიცხავ. არა მგონია, ასე იყოს.

**ზვიად ძიძიგური:**

— თუ ოქრუაშვილი მართლაც, რაიმე მსგავსს აკეთებს, მაშინ ღმერთმა ხელი მოუმართოს! ამ ქვეყანაში და ცის ქვეშეთში ყველაფერი შესაძლებელია და მათ შორის, ესეც. თუმცა კი, ძალზე სკეპტიკურად ვუყურებ იმ ფაქტს, რომ ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა შექმნას ისეთი ოპოზიციური პარტია, რომელიც ხელისუფლებას რაიმე ფორმით და რაიმე საკითხში დაუპირისპირდება. როგორც კი ეს მოხდება, ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ბერკეტები მაშინვე ამუშავდება. ის, რომ ირაკლი ოქრუაშვილი თავისი მინისტრობის დროს გამდიდრდა, მხოლოდ ოპოზიციამ კი არა, ხელისუფლებამაც კარგად იცის. გამდიდრება შეუძლებელია მინისტრობით, რადგან იქ ხელფასის გარდა, სხვა შემოსავალი არ უნდა გქონდეს. მისი გამდიდრების არაკანონიერი გზებიც კარგად ეცოდინებათ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამიტომ ისინი აუცილებლად ჩართავენ სხვა ბერკეტებს, თუკი ის ოპოზიციურ პარტიას ჩამოაყალიბებს. თუ რომელიმე სატელიტი ორგანიზაცია უნდა გააკეთოს ხელისუფლებასთან ერთად, მაშინ ეს ხელისუფლების ნაკლებ გაღიზიანებას გამოიწვევს. ალბათ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემენ მას. ეს ყველაფერი ვარაუდია და ნაკლებად შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ასეთი რამ მოიმოქმედოს. რაც შეეხება პატარკაციშვილთან ურთიერთობას, — თუ თქვენ ამის შესახებ რაიმე ინფორმაციას ფლობთ, ალბათ ამის წყაროც არსებობს. მხოლოდ გავიმეორებ, რომ გასაკვირი არაფერია.

**კახა კუკავა:**

— ეს ინფორმაცია ჩემთვის ცნობილია, თუმცა რა თქმა უნდა — არაოფიციალურად, კულუარებიდან გამოჟონილი. ვფიქრობ, რომ კარგია, თუ ოპოზიციაში მეტი რესურსები იქნება „ჩაყრილი". ყველამ უნდა გავიგოთ, რომ აუცილებელი არის არა რაღაც იდეოლოგიური ფასეულობების ირგვლივ გაერთიანება, არამედ ყველას გაერთიანება იმ პირობებში, როცა ქვეყანაში მასობრივი პოლიტიკური ტერორია. თუ ეს ხელისუფლება 2008 წელს არ შევცვალეთ, მერე ვეღარ გავარკვევთ, ვინ მემარჯვენეა და ვინ — მემარცხენე. ყველას გაანადგურებს ეს ხელისუფლება. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ირაკლი ოქრუაშვილის, ბადრი პატარკაციშვილის, მემარჯვენეების, მემარცხენეების და საერთოდ, ყველა ოპოზიციის ადგილი უნდა იყოს ერთ დიდ კოალიციაში. არ მინდა ვარაუდებსა და ჭორებზე გავაკეთო კომენტარი, მაგრამ მაინც არ გამოვრიცხავ ოქრუაშვილისა და პატარკაციშვილის კავშირს, რადგან ორივე სერიოზული ადამიანია და მათი ურთიერთობა ლოგიკური იქნება. უბრალოდ, ყველა საქმიან ადამიანს, როცა მას რაღაც ინტერესები აქვს, უსაფრთხო გარემო სჭირდება. შესაძლოა, ბადრი პატარკაციშვილს საერთოდ არ ჰქონდეს პოლიტიკური ინტერესები საქართველოში, მაგრამ მას ბიზნესინტერესები აქვს და უსაფრთხოების გარანტია სჭირდება. სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ირაკლი ოქრუაშვილიც. ძნელია, იცხოვრო ისე, რომ არ იცოდე, ხვალ დაგიჭერენ თუ არა. ამიტომაც, ჩვენს ქვეყანაში ვისაც უსაფრთხოების გარანტიები სჭირდება, მათ ეს გარემოება აერთიანებთ. მე ვფიქრობ, რომ ოქრუაშვილსა და პატარკაციშვილს ერთმანეთი სჭირდებათ.

**ზურაბ ტყემალაძე:**

— ნებისმიერი ახალი პარტიის შექმნა ძალზე კარგია. მრავალპარტიულობა არაჩვეულებრივია და ამაში პრობლემატური არაფერია; თუმცა კი მე მსგავსი ინფორმაცია არ მსმენია. ყველას აქვს უფლება, თავის მხარდამჭერებთან ერთად, ნებისმიერი სახის პარტია შექმნას...

**რატი სამყურაშვილი:**

— კონკურენტუნარიანი პარტიის შექმნა ქართულ პოლიტიკურ ბაზაზე საკმაოდ სასიკეთო ნაბიჯი იქნება, თუკი ვინმე ამას მოახერხებს. ამ სახის ინფორმაცია ჯერჯერობით არ მსმენია. წარმოდგენა არ მაქვს, ის რას აპირებს. რა თქმა უნდა, მისთვის პარტიის შექმნა ცუდი იდეა არ არის, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილი წარმოადგენს იმ პოლიტიკურ გუნდს, ვისთან ერთადაც ის ხელისუფლებაში მოვიდა და დღემდე არის. არანაირი ინფორმაცია, რომ მას სხვა მიზნები აქვს, განსხვავებულ პლატფორმაზე დგას, არ მომეპოვება. არც საფუძველი მაქვს, რომ მის მოქმედებებში ამ მიმართულებით ეჭვი გამოვთქვა. მისი და პატარკაციშვილის ურთიერთობას ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ... ■


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საგამომცემლო სახლი **„კვირის პალიტრა"**
**აცხადებს კონკურსს** წიგნის მაღაზიაში კონსულტანტის
და უფროსი კონსულტანტის თანამდებობებზე.
**ანაზღაურება 180 ლარიდან.**

**დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, გამოგზავნოთ CV (ავტობიოგრაფია) იმეილით: hr@kvirispalitra.com ან მოგვაწოდოთ მის.: თბილისი, იოსებიძის ქ.№49.**



**გასული კვირის აქტუალურ მოვლენებს შორის, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ, 9 აპრილის თარიღი გახლდათ. იმ დღიდან 18 წელი გავიდა, მაგრამ ქუჩაში შემხვედრი ადამიანები კვლავ დიდი გულისტკივილით იგონებდნენ 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულ გოგო-ბიჭებს. სამწუხაროდ, დღევანდელ ახალგაზრდებს შორის ბევრმა თითქმის არ იცის, თუ კონკრეტულად რა მოხდა იმ დღეს. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, — აღნიშნულ თარიღს ისინი უკავშირებენ პრობლემას — საჭიროა თუ არა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ, 26 მაისის ნაცვლად, ოფიციალურად სწორედ 9 აპრილი გამოვაცხადოთ?..**

# „9 აპრილი ოფიციალური დღესასწაული უნდა იყოს და არა „პანაშვიდი“...

**საზოგადოება**

**მარინა კასრელიშვილი,** *ინჟინერი, 50 წლის:*

— 9 აპრილი ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ამ დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართველები სამშობლოსთვის თავდადებული ხალხია. იმ დროისათვის სახელმწიფოს ხელმძღვანელი, ჯუმბერ პატიაშვილი იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები სახელმწიფოსგან ერთადერთს — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდნენ — ანუ მათ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა სურდათ. თუმცა ეს მაშინ წარმოუდგენელი იყო. მიტინგებს 100000 კაცი ესწრებოდა ამ მოთხოვნით, მაგრამ პატიაშვილი ვერაფერს გახდებოდა, რადგან ქვეყანას ის კი არა, საბჭოთა კავშირი მართავდა. გამოგზავნეს როდიონოვი და მიტინგი დაარბევინეს. სწორედ მაშინ ჩახოცეს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები. მდგომარეობა ძალზე დაძაბული რომ იყო, პატიაშვილმა კათოლიკოს-პატრიარქს სთხოვა, მიემართა ახალგაზრდებისთვის. უწმინდესმა მომიტინგეებს მოუწოდა — იქვე, ქაშუეთის ეკლესიასთან გადასულიყვნენ, სამშობლოსთვის ერთად ელოცათ და შინ დაბრუნებულიყვნენ. სამწუხაროდ, არ დაუჯერეს და იმ დღემ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები იმსხვერპლა... 9 აპრილს ყოველწლიურად მათი სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები უნდა გადავიხადოთ. გარდა ამისა, ეს დღე საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ უნდა გამოცხადდეს.

**ია შერაზადიშვილი,** *ფსიქოლოგი, 21 წლის:*

— 9 აპრილი ქართველი ერისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ამ დღეს საკმაოდ ბევრი ადამიანი დაიღუპა. მათ თავი სამშობლოს შესწირეს. ჩემი აზრით, საკმაოდ უაზროდ მოხდა ეს ყველაფერი. თავის დროზე ალბათ მეც მათსავით მოვიქცეოდი, მაგრამ ჩემი აზრით, მათ სიცოცხლე ასე უბრალოდ არ უნდა გაეწირათ, რადგან მათ სიკვდილს ჩვენთვის არაფერი მოუტანია. ეს დღე უნდა აღვნიშნოთ ყოველ წელს, რადგან წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გავიხსენოთ ის ახალგაზრდები. ისინი ამის ღირსნი არიან.

**ზვიად მუმლაძე,** *ეკონომისტი, 25 წლის:*

— მხოლოდ ის ვიცი, რომ 1989 წლის 9 აპრილს რუსებმა მიტინგი დაარბიეს და ახალგაზრდები დახოცეს. რატომ მოხდა ეს ამბავი, სიმართლე გითხრათ, აზრზე არა ვარ. არც იმაზე მიფიქრია, ეს დღე ჩვენთვის რაიმეს უნდა ნიშნავდეს თუ არა. კარგი იქნება, თუ ამ შეკითხვას რომელიმე ხანდაზმულ ადამიანს დაუსვამთ. მათ უფრო ეცოდინებათ.

**ლუკა ქამუშაძე,** *13 წლის:*

— მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში საქართველოს ისტორიაში 9 აპრილის მოვლენა ჯერ არ გვისწავლია, ამ ფაქტის შესახებ მაინც ყველაფერი დაწვრილებით ვიცი.

## ბაღაფში არ ნებდება, პან გი მუნი მხარდაჭერას აღგვითქვამს...

რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს, სერგეი ბაღაფშს გულის შეტევა დაემართა. ის სამკურნალოდ მოსკოვში გადააფრინეს და გამოკვლევები ჩაუტარეს. დე ფაქტო პრეზიდენტის ავადმყოფობის გამო, თვითაღიარებული რესპუბლიკების მეთაურთა სამიტი, რომელიც 10-11 აპრილს სოხუმში უნდა გამართულიყო, გაურკვეველი ვადით გადაიდო. სამაგიეროდ, ბაღაფშის ავადმყოფობა ხელს არ უშლის გაეროს, აფხაზეთში საკუთარი მისია გააფართოოს. გაეროს გენერალური მდივანი, პან გი მუნი გალის რაიონში გაეროს პოლიციური მრჩევლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის მუშაობას ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს. კონფლიქტის ზონაში გაეროს მისიის გაფართოების წინადადება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, გელა ბეჟუაშვილს ეკუთვნის. გენმდივანი უშიშროების საბჭოს მოუწოდებს, რომ გაეროს მისიას საქართველოში 2007 წლის 15 ოქტომბრამდე გაუგრძელოს მანდატი. ის ხაზს უსვამს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2006 წელს მიღებულ 1716-ე რეზოლუციის შესრულების საკითხში მიღწეულ პროგრესს, მიესალმება ზემო აფხაზეთში გაეროსა და რუსეთის სამშვიდობო ძალების ერთობლივი პატრულირების გაგრძელებას და ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ხეობაში არ აღმოჩნდა მძიმე საბრძოლო ტექნიკა და იმ სიტუაციასთან შედარებით, რომელიც ერთობლივი პატრულირების დროს 2006 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა, ქართული შეიარაღებული ძალების რაოდენობა შემცირებულია. ამავე დროს, პან გი მუნი აცხადებს, რომ ამ პოზიტიურ ფონზე ინციდენტი, რომელიც დაკავშირებულია მარტში კოდორის ზემო ნაწილის დაბომბვასთან, სამშვიდობო პროცესის სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. ■

## კათოლიკოს-პატრიარქი კონფლიქტის ზონას ეწვია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში პირველი ვიზიტით იყო ჩასული. პატრიარქი იმ ადგილს ესტუმრა, სადაც ორი მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობა იგეგმება, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქმა ჩაუყარა საფუძველი. ილია მეორეს დიდი ლიახვის ხეობაში დე ფაქტო „სამხრეთ ოსეთის“ ალტერნატიული ხელისუფლების ლიდერი, დიმიტრი სანაკოევი და მისი მთავრობის წევრები დახვდნენ. დიმიტრი სანაკოევს პატრიარქმა — „ბიბლია“, ხოლო ნიქოზის და ცხინვალის ეპარქიის ეპისკოპოსს, მეუფე ისაიას, ღვთისმშობლის ხატი უსახსოვრა; ხატს იმ ტაძარში დააბრძანებენ, რომლის მშენებლობაც ილია მეორემ აკურთხა.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აგრეთვე, სოფელ ქურთაში მდებარე, წმინდა სამების სახელობის ეკლესიის მრევლს შეხვდა. მოგვიანებით, უწმინდესმა კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული, შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ჯარისკაცებიც დალოცა, რომლებიც მას სოფელ ქურთაში დახვდნენ. პატრიარქის განცხადებით, ქართულ-ოსური კონფლიქტი გარეშე მტრების მიერაა თავს მოხვეული. იგი სულ მალე მშვიდობიანი გზით მოგვარდება, ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიული მეგობრობა და ნათესაობა კვლავ აღდგება. ■

ჩემი ოჯახის წევრები ბავშვობიდან მიამბობდნენ, თუ რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს. ქართველი ახალგაზრდები პროტესტს გამოთქვამდნენ რუსეთის წინააღმდეგ და დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. ისინი საკუთარ დედაენას იცავდნენ. სწორედ ამის გამო, რუსის ჯარმა დაარბია მიტინგი და ახალგაზრდები დახოცა. მიმაჩნია, რომ 9 აპრილი საქართველოსთვის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა და ცრემლიანი დღე უნდა იყოს.

## პოლიტიკოსები

**კახა კუკავა:**

— მე არ მაქვს კატეგორიული პოზიცია იმის თაობაზე, რომ ან 9 აპრილი უნდა აღიარონ დამოუკიდებლობის დღედ, ან — 26 მაისი. მიმაჩნია, რომ ორივე მათგანი სათანადოდ პატივმიგებული უნდა იყოს. არ ღირს დისკუსიის გამართვა იმაზე, რომ 9 აპრილი საკმაოდ მიჩქმალული იყო. ხელისუფლების გადასაწყვეტია და ერთგვარად შეთანხმების



**9 აპრილი ქართველი ერისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ამ დღეს საკმაოდ ბევრი ადამიანი დაიღუპა**

საგანიცაა, იქნება თუ არა 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღე. ხელისუფლება იმაზე მაინც უნდა წავიდეს, რომ 9 აპრილი ოფიციალური დღესასწაული უნდა იყოს და არა „პანაშვიდი“. ამ დღეს ყველაზე დიდი რყევა განიცადა საბჭოთა კავშირმა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის გადმოსვენების შემდეგ, უნდა ითქვას ისტორიულ სიმართლე და 9 აპრილი სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული. თუმცა, 26 მაისსაც არ უნდა მივაყენოთ ჩრდილი. ისიც არანაკლები დღესასწაულია და ჩვენი ღვაწლის დაფასებით წინაპრების ღვაწლს ჩრდილი არ უნდა მივაყენოთ.

**ზვიად ძიძიგური:**

— 9 აპრილი ჩემში სიამაყეს აღძრავს. ამ დღეს ოპტიმისტი ვარ ხოლმე. გასულ კვირას, 9 აპრილთან დაკავშირებით მიღება ჩავატარეთ და არც ერთი სევდიანი სიმღერა არ გვიმღერია. ეს დღე ჩვენში ძალზე დადებით და პატრიოტულ გრძნობებს აღძრავს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ვმონაწილეობდით 9 აპრილის ამბებში, მაინც ასე მიგვაჩნია. ხალხი რომ ტანკებს უწვებოდა და ჯოხებით უმკლავდებოდა ჯარისკაცებს, შეიძლება, ეს დღე გლოვად გამოვაცხადოთ?! ორი ტიპის არგუმენტაცია არსებობს, თუ რატომ უნდა იყოს 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღე. ერთი — იურიდიული, სამართლებრივი ხასიათისაა: საქართველოს კონსტიტუციის პირველსავე წინადადებაში წერია, რომ ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის საფუძველი არის 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. კონსტიტუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი 26 მაისზე. შრომის კოდექსი წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან, რადგან იქ წერია, რომ დამოუკიდებლობის დღე არის 26 მაისი. სამართლებრივი თვალსაზრისით ასეთი გამოსავალი რჩება: ან კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს, ან შრომის კოდექსი უნდა მოვიდეს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში. ჩვენ, კონსერვატორები, ვაყენებთ საკითხს კონსტიტუციის სასარგებლოდ. გვინდა, რომ 9 აპრილი გამოცხადდეს დამოუკიდებლობის დღედ. მეორე ასპექტი — მორალური გახლავთ და მდგომარეობს იმაში, რომ 9 აპრილი პანაშვიდისა და გლოვის დღე არ არის, როგორც ეს ჩვენი მოქალაქეების ერთ ნაწილს წარმოუდგენია, ეს გამარჯვების დღეა, საქართველოს გაერთიანების, საბჭოთა იმპერიის რღვევის დაწყების დღე. მართალია, ჩვენი გოგო-ბიჭები დაიღუპნენ დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამო და სწორედ მათი სისხლი ითხოვს, რომ ეს დამოუკიდებლობის დღე იყოს. იმის გამო, რომ ისინი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეეწირნენ, ეს გლოვის დღედ არ უნდა გამოვაცხადოთ. დიდგორის ბრძოლაშიც დაიღუპა უამრავი ქართველი, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, რომ ეს თარიღი გლოვის დღედ გამოეცხადებინა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 9 აპრილი უნდა იყოს დამოუკიდებლობის დღე. შევარდნაძემ კონსტიტუციაში რომ ჩაწერა, 9 აპრილია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეო, ასე იმიტომ მოიქცა, რომ ზვიად გამსახურდია მისი მთავარი მეტოქე იყო და არ უნდოდა მის მომხრეებს კიდევ უფრო დაპირისპირებოდა. ზვიადი რომ მოკვდა, მერეც ჰქონდა შევარდნაძეს პრობლემები ექსპრეზიდენტის მომხრეებთან, ამიტომ ბუნებრივია, მისი პოზიცია ერთმნიშვნელოვანი იყო. მაგრამ ამ ხელისუფლებას იგივე არგუმენტაცია აქვს და ისევ ზვიად გამსახურდიას, მკვდარ კაცს ეჭიდავება და იმიტომ არ უნდა, რომ 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღედ ცნოს? საინტერესო კითხვაა და ამ საკითხს ჩვენ პარლამენტის სხდომაზე დავსვამთ...

**ელენე თევდორაძე,** *პარლამენტის წევრი:*

— ამ საკითხზე სულ ვფიქრობ. ძალიან გამიჭირდება, აქცენტი გავაკეთო ან 26 მაისზე, ან 9 აპრილზე. ჩემი აზრით, ამისთვის სერიოზული ბჭობაა საჭიროა. მიმაჩნია, რომ არც ერთი თარიღი არ უნდა დაიკარგოს. თუ რა სახით არ უნდა დაიკარგოს, ეს უკვე ისტორიკოსების საქმეა. მათ უნდა გადაწყვიტონ ეს ყველაფერი. ■



# რომელი ქართული სიტყვის შესატყვისია „კალგოტკა“ და რა საგნებს სწავლობენ სახელმწიფო მოხელეები ენათმეცნიერი თამაზ კვაჭანტირაძისგან

**14 აპრილს ქართველები დედაენის დღეს აღვნიშნავთ. დედაენის ძეგლთან იმართება შეკრებები, უამრავი ახალგაზრდა გამოდის და ლექსს კითხულობს, ზოგიერთი პოეტი თუ მწერალი სიტყვის თქმასაც არ გვამადლის. მეორე დღეს კი ტელეგადაცემაში გამოსვლისას თუ საგაზეთო ფურცლებიდან ბევრი ჩვენგანი ისეთ ენობრივ „მარგალიტებს“ გადმოვაფრქვევთ, რომელიც „მტერსა და დუშმანს“ გაუხარებს გულს...**

**საზოგადოებაში გავრცელებული „მოდური“ მეტყველებისა და „პოპულარული“ გრამატიკული შეცდომების შესახებ ენათმეცნიერ თამაზ კვაჭანტირაძეს ვესაუბრეთ.**

***ნათია სირაძე***

**— 14 აპრილს საქართველოში დედაენის დღეს აღვნიშნავთ. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს დღე ქართველი ერისთვის და როგორ უნდა აღინიშნებოდეს ასეთი დღესასწაული?**

— ენის დღე, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ერისთვის, თუმცა გააჩნია, რად ვაქცევთ ამ დღეს. თუ ამ დღეს მხოლოდ დაზეპირებულ სიტყვებს ვიტყვით და დოლ-გარმონს გავაჩაღებთ, მეორე დღეს კი ჩვენს ენასაც და დანაქადებსაც, შემინდეთ და, ფეხებზე დავიკიდებთ, მაშინ ასეთ დღესასწაულს აზრი ეკარგება. ქართული ენის დღე ისე უნდა აღვიქვათ, როგორც ეს დიდმა არნოლდ ჩიქობავამ გვიანდერძა... სხვათა შორის, მისი იდეა გახლდათ დედაენის დღის დაწესება. ჩვენს ენას ყველამ უნდა ვუპატრონოთ და ყველა ჩართული უნდა ვიყოთ ამ საქმეში, მათ შორის, ჟურნალისტებიც. უბრალო ადამიანსაც შეუძლია ენისთვის რაღაცის გაკეთება. განა ის ცოტაა, როცა ის თავის მეგობარს ან შვილს ენობრივ შეცდომას შეუსწორებს და სწორად მეტყველებას ასწავლის?! მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ენაზე ზრუნვას არ უკავია ის ადგილი, რომელიც უნდა ეკავოს. თუ საქმიან ანგარიშებად ვაქცევდით ამ დღის აღნიშვნას, ენაც მოიგებდა და ჩვენც მოვიგებდით.

**— როგორც ვიცი, ამჟამად პარლამენტის სასწავლო ცენტრის ხე-**

**ლმძღვანელი ბრძანდებით. რა ფუნქციას ასრულებს ეს სამსახური?**

— სასწავლო ცენტრი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებს ემსახურება. ჩვენი „სამიზნე ჯგუფი“ სახელმწიფო მოხელეები და პარლამენტარები არიან. ეს შესაძლოა, გასაკვირიც კი იყოს, მაგრამ ნათქვამია: სწავლა სიჭაბუკიდანვე... ადამიანი მარადიულად უნდა სწავლობდეს. ჩვენს ძირითად კონტინგენტს, რასაკვირველია, ცოდნა-განათლება აქვს, მაგრამ სხვადასხვა სფეროში დასპეციალება და დახელოვნება მასაც სჭირდება. ცენტრში რამდენიმე საგანი მუდმივად ისწავლება. უცხო ენები, კომპიუტერი და მესამე — სახელმწიფო ენა მოხელეთათვის — ანუ ქართული ენა. გარდა ამისა, დაახლოებით 15 საგანი კიდევ იკითხება სულ სხვადასხვა სფეროდან, რომლებიც პარლამენტარებსა და აპარატის მუშაკებს კანონშემოქმედებაში ეხმარება. ჩვენთან სწავლა მათ თავიანთ საქმიანობას უადვილებს. მოწვეული გვყავანან მაღალი რანგის სპეციალისტები სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდან.

— **პარლამენტის აპარატის თანამშრომლები რამდენად ბეჯითი მოსწავლეები არიან, ლექციებს ხომ არ აცდენენ და როგორ ფლობენ სახელმწიფო ენას?**

— როგორც წესი, პარლამენტარები ძალზე დატვირთულები არიან. ხანდახან საქმის გამო, ლექცია კი არა, შესაძლოა, სხდომაც კი გააცდინონ, რის გამოც აქ საკმაო სიმკაცრეა: ლამის სია ამოიკითხონ, თითქოს პარლამენტარი სკოლის მოსწავლე იყოს. ამაზე ბევრს წერენ, მაგრამ მე მაინც ძალიან ცუდ ტონად მიმაჩნია პარლამენტისა და პარლამენტარის ყბად აღება: პრესა საგანგებოდ ხაზს უსვამს ხოლმე და დიდი დაგემოვნებით წერს მათ მიერ სხდომების გაცდენებსა თუ პარლამენტართა მეტყველების ზადზე. ენობრივი თვალსაზრისით, ჩვენს პარლამენტში, ჩემი აზრით, ნორმალური დონეა. ვერ ვიტყვი, აქ შალვა ნუცუბიძის ქართულით მეტყველებს ყველა-მეთქი. ასე ჩვენ, სპეციალისტებიც ვერ ვლაპარაკობთ. ზეპირ მეტყველებას თავისი სპეციფიკა აქვს. ენობრივი წაცდენებისგან დაზღვეულნი არავინ ვართ.

— **მასმედიის ამა თუ იმ წარმომადგენელს ბრალს სდებენ დაუხ-**






**ვეწავ მეტყველებაში. თქვენ რას ფიქრობთ ჟურნალისტებზე?**

— რასაკვირველია, მათ მეტყველებაში შეცდომები სანთლით საძებარი არ არის... გვინდა თუ არა, საზოგადოება ქართულს ჟურნალ-გაზეთებიდან და ტელეეკრანიდან სწავლობს. ასეც უნდა იყოს, რადგან ჟურნალისტიკასა და მწერლობას შორის დღეს მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. ჰემინგუეი „მოხუცსა და ზღვას“ ვერ დაწერდა, ესპანეთიდან მოკრივეთა მატჩებზე რეპორტაჟები რომ არ ეწერა. ენის გადარჩენა-დაღუპვაზე თუ ვინმეა დღეს პასუხისმგებელი, ეს პირველ ყოვლისა, ჟურნალისტია, რადგან გაზეთს ყველა კითხულობს და ტელევიზორსაც ყველა უყურებს. ხშირად ვბუზღუნებთ კიდეც — რა უბედურებას გვიჩვენებენ ან რას წერენო?! — მაგრამ მაინც ვაგრძელებთ ყურებასა და კითხვას. ენის პულსაციაზე ხელი, პირველ ყოვლისა, ჟურნალისტს უჭირავს. ძნელია, პიროვნულად რომელიმე ჟურნალისტი გამოვყო. არ მინდა, რომელიმეს გული დავწყვიტო. უბრალოდ, ვიტყვი და ვიღაცამ შესაძლოა, საკუთარი თავიც ამოიცნოს. ზოგიერთ პოპულარულ ტელეწამყვანს გაუჩნდა იმის ილუზია, რომ რადგან წყალივით და უპაუზოდ მეტყველებს, ეს ძალიან კარგია. მაგრამ სწორედ მათ უნდა იცოდნენ, რომ წყალივით მეტყველება სწორედაც რომ წყალწყალა აზრებმა იცის. მსმენელი ყოველთვის უნდა გრძნობდეს, რომ რასაც ეუბნები, ის შენი სხეულიდანაა გამოტანილი. ჩემი აზრით, ღრმა კაცი ადვილად არ უნდა მეტყველებდეს. სადად — კი, ბატონო... სილაღე ნუ მოგვატყუებს: გაბმული მეტყველების უპაუზობა არც ხატოვნების, არც სიღრმის და არც დამაჯერებლობის ნიშანი არ გახლავთ. ჩვენმა ჟურნალისტებმა სიტყვის მომჭირნედ ხარჯვა უნდა ისწავლონ. ეს სიძუნწის ერთადერთი სახეობაა, რომელსაც პატივს ვცემ. თუმცა შესაძლოა, ამ ნიჭით არც მე ვიყო დაჯილდოებული.

— **როგორ ფიქრობთ, ქართული ენა მუდმივად იცვლება უკეთესობისკენ?**

— ენა, ცხადია, იცვლება, ოღონდ — სხვადასხვა პლასტი სხვადასხვა ტემპით! ლექსიკა შედარებით სწრაფად იცვლება, რადგან საგანს თავისი სახელი მოჰყვება ხოლმე. ამიტომაც უნდა დაახვედრო იქ რაღაც მსგავსი შენივე ენიდან. „კალგოტკა“ რომ შემოვიდა, ვიდრე დამკვიდრდებოდა, უნდა დაგვეხვედრებინა „საწმერთული“ ან რაღაც მასთან მიმსგავსებული. ან „დუბლიონკა“ რომ დავამკვიდრეთ... მეცხოველეობის ერი ვართ, „ტყაპუჭი“ და ათასი შესაბამისი სიტყვა არსებობდა, მაგრამ დავაგვიანეთ; თუ ერთი გავრცელდა სიტყვა ხალხში, მერე კეტი რომ ურტყა, ველარ გამოდევნი. „ზმეიკას“ ვერავითარი „ელვა შესაკრავი“ ვერ უშველის, რადგან „ზმეიკა“ ერთი სიტყვაა, „ელვა შესაკრავი“ კი — ორი და ვიდრე მაგას იტყვი, ჩამოგეძინება... ენერგიის ეკონომიურად ხარჯვის კანონი ენაშიც საკმაოდ აქტიურად მუშაობს. სწორედ ამიტომ ვამბობ გულისტკივილით, რომ ენობრივ ნორმათა დამდგენი და დამცველი სტრუქტურები არ უნდა გაუქმებულიყო... მე ზომიერების მომხრე ვარ. არც ის შეიძლება, რომ მთლად კარი ჩავურაზოთ უცხოურ სიტყვებს. ესეც არანაკლები ზიანის მომტანია ენისთვის. მაგრამ რა უბედურებაა ეს „დაჟე“ და „ვაფშე“! როცა ქართულ ენაში გვაქვს ც ნაწილაკი, რატომ უნდა გამოვიყენოთ სიტყვა „დაჟე“? მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჟარგონს მხატვრული ფუნქციაც აქვს. ასე ნახმარ ჟარგონს მხარიც კი უნდა დავუჭიროთ. ერთ-ერთმა ჩვენმა მინისტრმა ტელეგადაცემაში რატომღაც „პაჟალუსტა“ გამოიყენა. არ აპატია ეს მას ხალხმა და „პაჟალუსტა“-მინისტრი შეარქვა. მოკლედ, უცხოური სიტყვები უნდა შემოდიოდეს ჩვენს ენაში, ოღონდ ზომიერად. დედაენის კარის არც მოფლეშვა ვარგა და არც დაგმანვა. ეს კარი ზომიერად და თავის დროზე კიდეც უნდა იღებოდეს და კიდეც იკეტებოდეს. ქართული ენა დინამიკური და განვითარებადია. თუ ენაში შეცდომის დაშვების საშუალება მოისპო, მაშინ ჩათვალეთ, რომ ის ენა მკვდარია. ცოცხალ ენაში, გარკვეულ ფარგლებში შეცდომათა დაშვების შესაძლებლობის მომხრე ვარ. ენა ცოცხალი ორგანიზმია, სადაც ყოველთვის იქნება მოცილე ფორმები. ენაშიც მიმდინარეობს ბრძოლა არსებობისთვის. ეს სიტყვების ქვეყანაა. აქ სიტყვებს დაახლოებით ისეთი ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან, როგორიც — ადამიანებს. ადამიანები კი ჭიდილისა და ბრძოლისათვის ვართ გაჩენილები.

— **ყველაზე მეტად, „დაჟესა“ და „ვაფშეს“ გარდა, საზოგადოებაში გავრცელებული რომელი სიტყვა გაღიზიანებთ?**

— ძალიან მაღიზიანებს, ძველი ქართული ფორმებით რომ კეკლუცობენ. რომელიღაცა საწყობის უფროსი რომ გამოვა ტელევიზიით და იტყვის — „შემოიტანეს ნათურები, რამეთუ“, — ამ „რამეთუზე“ შეიძლება ვიღრიალო. ყველა თემასა და საგანს თავისი მეტყველების სტილი უხდება. თითიდან გამოწოვილი მაღალფარდოვანი მეტყველება ამაზრზენია. ეს ქაჯობაა. საერთოდაც, ადამიანმა არაფრით არ უნდა იკეკლუცოს.

# ჯორჯ ბუში მარტო არასდროს რჩება

როგორც რუსული სააგენტო — РИА Новости იუწყება, სადაც არ უნდა იყოს, თეთრი სახლის მეთაურს ყოველთვის თან უნდა ახლდნენ პირადი მცველები, მედდა და სამხედრო ფორმაში ჩაცმული შავი ტყავისსაკვოიაჟიანი უჩინარი ადამიანი. ამ საიდუმლო საკვოიაჟს პრეზიდენტის გარემოცვა „ფეხბურთის ბურთს“ უწოდებს. სინამდვილეში კი ეს ზემდგრადი ტიტანისგან დამზადებული მძლავრკოდიანი საკეტის მქონე პატარა ჩემოდანია, რომელიც პრეზიდენტის თანაშემწეს განსაკუთრებული ფოლადისგან დამზადებული სამაჯურით აქვს მაჯაზე გამობმული. ჩემოდანში ამერიკული ბირთვული არსენალის ასამოქმედებელი კოდები ინახება და ამდენად, ის მთელი ამერიკის ადმინისტრაციის ყველაზე საიდუმლო ნივთიც გახლავთ. ბირთვული რაკეტების გაშვების ბრძანების გაცემა მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტს და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მას ეს პატარა ბირთვული ჩემოდანი ექნება. სწორედ ამიტომაც, სამხედროფორმიანი ადამიანი პრეზიდენტს ყოველთვის და ყველგან ჩრდილივით თან დასდევს.



ამ სამსახურისთვის ადამიანებს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ოთხი სახეობის და სანაპირო დაცვის სამსახურის ოფიცრებიდან არჩევენ. შერჩეული ხუთივე ოფიცერი ჯერ ურთულეს შემოწმებას გადის, შემდეგ კი სახელმწიფო საიდუმლოს გაუცემლობის ხელწერილს დებს და თეთრი სახლის სამხედრო სამართველოს თანამშრომელი ხდება. ოფიცრები მონაცვლეობით მსახურობენ, პისტოლეტ „ემ-9“ ცხრაკალიბრიანი „ბერეტათი“ არიან შეიარაღებულნი და ცეცხლის გაუფრთხილებლად გახსნის უფლება აქვთ.

ბირთვული ჩემოდნის შიგთავსი ზედმიწევნით გასაიდუმლოებულია, თუმცა თუ ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოყონილ ცნობებს დავუჯერებთ, მასში ე.წ. ერთიანი ინტეგრირებული საოპერაციო გეგმა ინახება ანუ ეს არის ინსტრუქცია, რომლითაც თეთრი სახლის მეთაურმა ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში უნდა ისარგებლოს. ■

# ტონი ბლერი – ბრიტანელი ბავშვების მთავარი „ზედამხედველი“



ბრიტანული Daily Telegraph-ის ცნობით, ტონი ბლერის მიერ გამოცხადებული პროგრამა „ზედამხედველის“ გაფართოების შედეგად, ყველა ბრიტანელი ბავშვი გაივლის შემოწმებას, რომლის მიზანიც პოტენციური დამნაშავეების გამოვლენაა. კანონიერებისა და მართლწესრიგისადმი მიძღვნილი დაუნინგსტრიტის ოფიციალური ჟურნალის სპეცგამოშვებაში კი ვიდეოთვალთვალის რთული სისტემების უფრო ფართო გამოყენების, დნმ-ის მონაცემთა ბაზისა და მყისიერი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, პოლიციის უფლებამოსილების გაფართოების საკითხებიც საგანგებოდაა ხაზგასმული. ამ სპეცგამოშვების მთავარი მიზანი იმ უახლოესი ათწლიანი კურსის დასახვაა, სადაც „აქცენტი დანაშაულზე კი არა, დამნაშავეებზე გაკეთდება“.

ყოველივე ზემოთ თქმულის განსახორციელებლად, მომავალი წლიდან ბრიტანეთში ყველა ბავშვის მონაცემთა ბაზა შეიქმნება. „ეს ბაზა, — შეშფოთებით წერს გაზეთი, — ბავშვთა ტრაგიკული სიკვდილიანობის თავიდან ასაცილებლად შეიქმნა, მაგრამ ახლა ეტყობა, ის აკვნიდან საფლავამდე ადამიანისთვის თვალყურის დევნების საფუძველი ხდება“.

ბრიტანეთის მთავრობა კი მტკიცედაა დარწმუნებული იმაში, რომ ბავშვების დამნაშავეებად ჩამოყალიბების თავიდან აცილება მათ განვითარებაში „ნაადრევი და მიზანმიმართული ჩარევით“ ნამდვილად შესაძლებელია. ■

# „სპორტული მკვლელობები“ – ამერიკელ თინეიჯერთა ახალი გატაცება

ამერიკელი ექსპერტები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მძაფრი შეგრძნებების მოყვარულ, საშუალო კლასის ამერიკელ მოზარდთა შორის სულ უფრო ვრცელდება ე.წ. „სპორტული მკვლელობის“ საშინელი მოდა. თინეიჯერები უსახლკაროების დევნით, ცემითა და მათი მკვლელობითაც კი ხშირად ირთობენ თავს. უსახლკაროების დამხმარე ორგანიზაციების ცნობით, ქვეყანაში მაწანწალებზე არამოტივირებული თავდასხმების ნამდვილი აფეთქება დაიწყო. თანაც, ასეთ თავდასხმებში სულ უფრო ხშირია ისეთი ახალგაზრდების მონაწილეობაც, რომლებიც ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულში ადრე შემჩნეულნი არ ყოფილან.

უსახლკაროთა დაცვის ნაციონალური კოალიციის მონაცემებით, შარშან მაწანწალებს შორის სხეულის მძიმე დაზიანების 122 და მათი მკვლელობის 20 ფაქტი დაფიქსირდა, რაც ბოლო 10 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს, იანვარში, ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტლოდერდეილში 45 წლის მაწანწალა ბეისბოლისა და გოლფის სათამაშო ჯოხებით სასიკვდილოდ სცემეს. სასამართლომ ამ ფაქტის მონაწილე მოზარდები ე.წ. პირველი ხარისხის მკვლელობაში უდანაშაულოდ ცნო.

ანალიტიკოსების აზრით, კრიმინალისტების მიერ „სპორტულ მკვლელობებად“ მონათლული ასეთი თავდასხმები ძირითადად გართობის მიზნით ხდება. ისევე, როგორც ინგლისში, „მხიარული ცემა-ტყეპის“ სახელით ცნობილი, შემთხვევით გამვლელებზე თავდასხმების დროს, „სპორტული მკვლელობების“ შემთხვევაშიც, მოზარდები ყველაფერს ვიდეოზე იღებენ, რათა შემდეგ მეგობრებში იტრაბახონ და საკუთარი სისასტიკით თავი მოიწონონ. ექსპერტთა ერთი ნაწილი ამ ტენდენციის გაჩენაში კომპიუტერულ თამაშებს და არაერთი მძაფრი კამათის გამომწვევ ტელესერიალ „ბომჟების ბრძოლასაც“ ადანაშაულებს, რომელშიც უსახლკაროთა შორის გამართული ნამდვილი ცემა-ტყეპაა ასახული. კალიფორნიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ბრაიან ლევინი, რომელიც სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობებს იკვლევს, აცხადებს, რომ მსგავს ქმედებებს თინეიჯერები ძირითადად თანატოლთა სერიოზული ზეწოლის გამო სჩადიან. ■

## ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ფინჯან ყავაზე... „მოსრიალდა“



ესპანური გაზეთ Liberation-ის ცნობით, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ტონის მიმცემ ადგილობრივ არჩევნებამდე ორი თვით ადრე, ქვეყნის მთავრობის მეთაური ხოსე ლუის საპატერო ელექტორატთან ურთიერთობის ახალ ფორმატზე გადავიდა. თუმცა საზოგადოებრივი ტელევიზიის მიერ მომზადებულმა პროგრამამ — „თქვენთან ერთი შეკითხვა მაქვს“, — სადაც მიწვეული სტუმარი სტუდიაში შეკრებილი ასობით თანამემამულის შეკითხვებს პასუხობს, ქვეყნის მთავრობის მეთაურს წარმატება ნამდვილად ვერ მოუტანა. „იცით თუ არა, რა ღირს ბარში ერთი ფინჯანი ყავა?“ — ჰკითხა მას უძრავი ქონებით მოვაჭრე ერთერთმა აგენტმა. „ასე, 80 ცენტამდე...“ — დაუფიქრებლად და რაც მთავარია, დამაჯერებლადაც უპასუხა საპატერომ, რასაც სტუდიაში შეკრებილთა საერთო ხარხარი მოჰყვა. არანაკლები ქილიკის ხასიათზე დამდგარმა ესპანურმა პრესამ კი საპატეროს ოპერატიულად შეახსენა, რომ „ფინჯანი ყავა 1.10 ევროზე ნაკლები არსად ღირს“ და ისიც დასძინა, რომ „საპატერო თავისი წინამორბედივით ჯიუტად იმეორებს, რომ ესპანეთში ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ადამიანებს რატომღაც, ფული მომდევნო ხელფასამდე არასდროს ჰყოფნით. ეტყობა, ქვეყნის მთავრობის მეთაური ქუჩაში საერთოდ აღარ გადის“.

მოგვიანებით, მომხდარის გამო მოსახლეობის გულისწყრომამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ხოსე ლუის საპატერო იძულებული გახდა, საქმეში თავისი პრესმდივანი ჩაერთო. ამ უკანასკნელმა კი ყავასთან დაკავშირებული კაზუსი „უბრალო ანეკდოტად“ მონათლა და პრემიერის პასუხი იმით გაამართლა, რომ პარლამენტის კაფეტერიაში, სადაც რიგითი დეპუტატობისას საპატერო ხშირად შედიოდა, ყავა 73 ცენტი ღირს. თუმცა, ოპოზიციური გამოცემა El Mundo-ს აზრით, პრესმდივნის განცხადებამ საპატერო საბოლოოდ „დაასამარა“. ■

## „ახალი“ „ყურანი“ ქმრებს ცოლების ცემას უკრძალავს

როგორც ამერიკული „თაიმსი“ იუწყება, აშშ-ის მოქალაქე მუსულმანმა ქალმა, პროფესორმა ლალი ბახტიარმა „ყურა-



ნის“ ახლებურად თარგმნისთვის ისლამური ფუნდამენტალისტების ნამდვილი რისხვა დაიტეხა თავს. ამის მიზეზი მე-4 სურის ის მონაკვეთი გახდა, რომელიც ჩვეულებრივ, ასე ითარგმნებოდა: „ქმრები თავიანთი ცოლების ზედამხედველები არიან, რამეთუ ალაჰმა ადამიანთა ერთ ნაწილს მეორესთან შედარებით უპირატესობა მიანიჭა... სათნო ქალები ერთგულნი არიან... ინახავენ ნამუსს, რომლის გაფრთხილებაც მათ ალაჰმა უბრძანა. ხოლო იმ ცოლებს, რომელთა ერთგულებაშიც დარწმუნებულნი არა ხართ, შეაგონეთ, ამასთან, მათთან სარეცელს ნუ გაიყოფთ და ბოლოს, ურტყით“. 68 წლის ლალი ბახტიარი კი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ნებისმიერი, ვინც ამ ლექსს ფიზიკური სასჯელის გამოყენების უფლებად გაიგებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ცილს სწამებს ისლამს. მეცნიერის თქმით, ამ ლექსის საკვანძო სიტყვა „დარაბა“-ს არაბულ ენაში 25 მნიშვნელობა მაინც აქვს, რომელთა შორისაა: „დარტყმა“, „შოლტი“, „შინაური ცხოველი“ და სხვები, — მაგრამ მთარგმნელთა უმეტესობა, რატომღაც მხოლოდ „დარტყმას“ იყენებს.

ლალი ბახტიარის ოჯახის წევრებს მისი უსაფრთხოება უკვე ძალიან აღელვებთ. თავად პროფესორს კი მიაჩნია, რომ მხოლოდ ალაჰმა უნდა გადაწყვიტოს, იმსახურებს თუ არა იგი (ბახტიარი) სასჯელს საკუთარი შეხედულებების გამო. პროფესორ ბახტიარის კალამს ისლამის თემაზე ჩატარებული 30-ზე მეტი კვლევა ეკუთვნის. „ყურანის“ ინგლისურ თარგმანში (რომელსაც მან შვიდი წელი შეალია) ბახტიარმა სიტყვა „ალაჰის“ „ღმერთით“ შეცვლისა და განსაზღვრება „მცდარის“ საერთოდ ამოღების უფლება მისცა თავს. ამ ყველაფერთან ერთად, ისლამური წრეების ბევრი წარმომადგენელი იმითაცაა აღშფოთებული, რომ პროფესორ ბახტიარს კლასიკური არაბული განათლება არ აქვს, რადგან „ისლამში ქრისტიანობიდან არის გადასული“. ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 12

პირველად საქართველოში!

ჟურნალი ჟურნალში

ჟურნალ „გზაში“

დაელოდეთ...



# როცა თავს არ ზოგავ, სიყვარული გმართავს და მიზანიც გაქვს...

**„როგორ ვებრძოლოთ სიღარიბეს?.. სიღარიბესთან ბრძოლის რა მოგახსენოთ, მაგრამ ნერვებს რომ უნდა დავძლიოთ, ეს ზუსტად ვიცი... ეს არის ჩემი სურვილიც და ნატვრაც. ცხოვრების დინებას ჩამორჩენილი ადამიანი, თავისდა უნებურად ბოროტი ხდება, მას სხვისი ცხოვრების ყურებაც აბოროტებს. გლეხს რომ ჰკითხო, რა აზრის არის მომავალზე, ასე გიპასუხებთ: აცე, ვირო, ნუ მოკვდები, ალავერდობა მოვაო!.. ამ მოლოდინში ალავერდობაც მოდის და სიბერეც, თუ, რა თქმა უნდა, გულმაც გაუძლო და ნერვებმაც. ცოდვაა ღარიბი...“ — ეს ის გზავნილია, რომელიც თქვენი წერილებიდან გამოვარჩიე.**

*დეა ცუცქირიძე*

*არა, არ იფიქროთ, რომ ეს ათასიდან ერთია, მხოლოდ რამდენიმე წერილი მივიღე ბოლო კვირაში. ამიტომ, ვერაფრით დავიკვეხნი, ადამიანებს ისე ავუჩუყე გული, რომ წერილს წერილზე თხზავენ და მიგზავნიან-მეთქი. ამას არც ველი, რადგან ვინც ჩემ მიერ დასმულ პრობლემაზე უნდა გამომეხმაუროს, ის იმდენადაა დაღლილი და ხშირად იმედგაცრუებულიც, რომ მისგან ასეთი დამოკიდებულება სრულიად გასაგებია... თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართველობა არქონას, უიმედობას, უპერსპექტივობას და სიღარიბეს გულდაგულ მალავს აგერ უკვე მერამდენე წელია (ამ დამალვის მიზეზი კი ალბათ, ჩვენი ერის ამაყ ხასიათში უნდა ვეძებოთ), ჩემამდე მოსული ათიოდე მესიჯიც კი რუბრიკის წარმატებად უნდა მივიჩნიო... იქნებ, ასე არ არის? იქნებ, აღარ გსურთ ისაუბროთ იმაზე, რასაც ასე საგულდაგულოდ მალავთ? ეს თქვენი ტრიბუნაა! ამიტომ მომწერეთ, რა გიჭირთ და საერთოდ, გსურთ თუ არა ამ რუბრიკის ნახვა „გზაში“... ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მე არასდროს გკითხავთ, ვინ ხართ, თუ ამის სურვილი თავად არ გაგიჩნდებათ... ჩვენ წუწუნისა და საკუთარი უიღბლობის გამომზეურებისკენ კი არ მოგიწოდებთ, არამედ გამოსავალს, გზას ვეძებთ, რომელიც იმედამდე მიგვიყვანს ან იმედს — რომელიც სადღაც ჩვენშივეა ჩაკარგული და სანამ არ გამოვამზეურებთ, მანამ სულიერ სიმშვიდესა და მასთან ერთად კეთილდღეობას ვერ მოვიპოვებთ...*

*გელოდებით. დამირეკეთ: 8.99.25.27.91 ან მომწერეთ ელფოსტაზე: dea_palitra@mail.ru...*

ახლა კი — დღევანდელი ამბავი. ის ამბავი დიდი ხნის წინ დაიწყო. ისე დაიწყო, როგორც ზღაპარი მთავრდება: წყვილი შეუღლდა და ცხოვრობდა დიდხანს, ბედნიერად... ამ ამბავს ზღაპრისგან ის განასხვავებს, რომ იქ ამბავი ამით მთავრდება, მოცემულ შემთხვევაში კი, ყველაფერი სწორედ იმ დღეს დაიწყო:

შეიქმნა ახალი ოჯახი.

ქალი თხელი და სიფრიფანა იყო, მაღალიც... ბიჭო, ამას რა გაასუქებსო?! — იწუწუნა „ახალგამოჩეკილმა“ დედამთილმა... ქმარი ზუსტად ცოლის სიმაღლე გახლდათ, მაგრამ — ჩასკვნილი და პირმრგვალი. ჰო, ცოლის გვერდით მდგომი თავს კი მაღლა-მაღლა სწევდა, მაგრამ მაინც დაბალი და მრგვალი ჩანდა. არადა, არ იყო მრგვალი. უბრალოდ, კუნთები ისე ჰქონდა ასხმულ-დასხმული, სათითაოდ დაითვლიდა კაცი... ქორწილის დღეს ისე შესციცინებდნენ ერთმანეთს თვალებში, იმდენი სიყვარული, ლტოლვა, სურვილი და თუ გნებავთ, სიგიჟეც იყო ამ „ციცინში“, რომ ყველაზე ცინიკოსმა სტუმარმაც კი აღიარა: ჰო, კარგი წყვილიაო! კარგიო? კარგი კი არა, იდეალური წყვილი იყო, ერთი მთლიანის ორი „განაყოფი“, ორი საწინააღმდეგო სქესი, გარეგნობა და შინაარსი ერთ, აბსოლუტურად ზუსტად მორგებულ სიტყვაში — „მეუღლეები“.

...დედამთილმა, როგორც კი ვნების ბურუსი ოდნავ გადაიყარა, უკვე წინასაქორ-

## ახალდაქორწინებულებმა თქვეს: დედა, სახლს რატომ უნდა მოვაკლოთ რამე? ჩვენ ჩვენსას ვიშოვითო...

წინო დროს დაწყებული საუბარი განაახლა: მოვილაპარაკოთ, ვინ სად და როგორ უნდა ვიცხოვროთო. ეს კი აუცილებლად უნდა ეთქვა, რადგან ოჯახში კიდევ ორი დასაქორწინებელი ძმა იყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სიძის დედაზე აუგი არ იფიქროთ. ის კი არა, იქნებ, რძალი გავასუქოო და მისი მოყვანის დღიდან, თონიდან არ ამოუყვია გადახურებული თავი...

ოჯახში, სადაც სიყვარულია, ძნელად გასაყოფიც ადვილად იყოფა. ახალდაქორწინებულებმა თქვეს: დედა, სახლს რატომ უნდა მოვაკლოთ რამე? ჩვენ ჩვენსას ვიშოვითო, — და დედაქალაქს მიაშურეს. წამოიღეს მზითვად მორთმეული სიმდიდრე და ერთ პატარა სახლში მდგმურებად დაიდეს ბინა. დედამთილმა — ასე როგორ იქნებაო?! — და ერთ მშვენიერ დღესაც ახალ რძალს ცხვირსახოცში გამოკრული, ათასჯერ გადათვლილი, მთელი ცხოვრება ნაგროვები ფულით მიადგა და ის პატარა სახლი, თავისი ერთი ციცქნა ეზოთი, ახალშეუღლებულთა ოჯახს უყიდა.

„ეს იყო მაშინ“... მერე — დაიწყო: ეროვნული მოძრაობა... მერე — თავისუფლება, ბედნიერება, ღალატი, სიცრუე, შიში, ომი, სიცივე, ლტოლვილები, სიბნელე... მერე ღიმილი დაგვავიწყდა, ისედაც მარტოსული ადამიანი მარტოხელა გახდა, მერე აღმოჩნ-ჟღერადობაც შეიძინა: რა ვაჭამოთ შვილს, როგორ მოვუაროთ?..

მამასავით ჩასხმული და პირმრგვალი პატარა გოგონა თვეების იყო, როცა მისმა სიფრიფანა დედამ ბებიის ნამზითვი „ზინგერი“ გადმოიღო და ერთადერთი შემორჩენილი თარგით, ისევ მზითვიდან ამოღებული მწვანე მაუდისგან პალტოს კერვას შეუდგა. თარგი მოსული ქალის იყო. ესეც კარგად იცოდა, რადგან ახსოვდა, რომ ის, პელო ბიცოლას პალტოდან ჰქონდა გადმოღებული. ქმარი, რომელსაც იმ დღეებში არანაირი საქმე არ გამოუჩნდა (ის შიგადაშიგ, ბაზრობაზე შავ საქმეს „გამოჰკრავდა ხელს“), ინტერესით ადევნებდა თვალყურს ცოლს და უკვირდა — ეს რა ხელმარჯვე ყოფილაო!.. მართალია, თითები სულ დაეჩხვლიტა, მაგრამ შეკოწიწებული ქსოვილისგან ბოლოს ისეთი პალტო შეკერა, ავ თვალს არ დაენახვებოდა... ბოლო ღილიც რომ მიაკერა, ჩვენი პატარა სახლის მაღალი დიასახლისი სადღაც გაეშურა. გვიან დაბრუნდა და თან, ორი მძიმე ჩანთით მთელი კვირის სანოვაგე მოზიდა... მეორე დღეს დაჯდა და ახლა, შავი სქელი ქსოვილისგან, ზუსტად ისეთსავე პალტოს კერვას შეუდგა. გამიჭირდა გაყიდვა, რადგან მწვანე იყო, შავი უფრო პრაქტიკული ფერიაო, — განუმარტა ქმარს...

ეს „ბიზნესი“ დიდი ვერაფერი შვილი იყო, და, რომ ყველა მართალია და ერთდროულად — მტყუანიც...

საქართველოში ყველა ოჯახს რომ შეეხო, ვითომ ამ პატარა სახლს რატომ აუქცევდა ეს ყველაფერი გვერდს? ჰოდა, იმ ორ პატარა ოთახში, წყვილი რომ ცხოვრობდა, ყოველ საღამოს, სანთლის შუქზე იმავეზე ბჭობდა, რაზეც სხვები: როგორ გავუძლოთ?!.

პატარა სახლის ორი ბინადარი, რომელსაც მესამე წევრი — გოგონა შეემატა, მიწას და ჩვეულ გარემოს მოწყვეტილი, ერთი ხელის მოსმით, უცნობი ადამიანებითა და აუარება პრობლემით გარშემორტყმული აღმოჩნდა.

როგორ გავუძლოთ? — ამ კითხვამ ახალი

რადგან მაშინ კაცის დაპურება უფრო „აქტუალური“ გახლდათ, ვიდრე ახალი სამოსი, მაგრამ ასე თუ ისე, ის ზამთარი გადააგორეს და ახლის მოლოდინში საშემოდგომო სამზადისს შეუდგნენ.

პატარა გოგო წამოიჩიტა და დედამ მისი დაბადებიდან 12 თვისთავზე, შინ პატარა ბიჭი მოიყვანა. ის დედას ჰგავდა — თხელი ნაკვთებით და გრძელი კიდურებით. ოთხნი ვართო!.. — და მამამ სახლის ქვეშ სარდაფის გამოჭრა დაიწყო. რადგან მარტო მუშაობდა (თან პერიოდულად სხვა საქმესაც გამოიჩენდა), ამას ზუსტად ერთი წელი შეალია. შემოდგომიდან შემოდგომამდე პატარა ურიკით, ყოველდღე გამოჰქონდა სახლის ქვემოდან მიწა, ქვა და შიგნით მთელ უბანში შეგროვებული რკინის მილები შეჰქონდა, სარდაფის გასამაგრებლად. შემოდგომაზე კიდევ ერთი ახალი ადამიანი გაჩნდა, ისიც, გოგოსავით მამის მსგავსი, ოღონდ — ბიჭი. ისევ არ ჩანდა მუდმივი სამუშაო, მაგრამ სამაგიეროდ, უკვე ხუთნი იყვნენ და ნესტიც სადღაც გამქრალიყო, რადგან ქვემოთ უშველებელი სარდაფი გაჩნდა...

დიახ, იმ ადამიანებზე მოგახსენებთ, რომლებიც ლუკმაპურისთვის დღესა და ღამეს ასწორებდნენ, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, სხვისი კი არ შურდათ, საკუთარი ცხოვრება უნდოდათ მოეწყოთ...

სამი შვილის დედა ახლა „ზინგერთან“ აღარ იჯდა, მაგრამ ღამღამობით, პატარებს რომ დააძინებდა, ხან ნიგვზიან „სიგარეტებს“ აცხობდა — მეზობლად მდებარე მაღაზიისთვის, ხანაც, გამთენიისას — ტკბილ, კრემიან „პონჩიკებს“...

ასე თუ ისე, წამოჩიტეს ბავშვები. ჰო, მერე აღარ იყო რთული. გაზაფხულზე ბებო ჩაავლებდა სამივე შვილიშვილს ხელს და სოფლის ჰაერს მონატრებულ ბავშვებს თავისთან წაასხამდა. რძლის გასუქებას კი ვერ მოესწრო, მაგრამ ორი ისეთი ბუთქუნა ელირსა!.. ჰოდა, იტყოდა — ის ერთი დედას ჰგავდეს, რა ვქნაო?!. თან დააყოლებდა — ძვლები მეწვის, მაგას რომ ვუყურებ, ნეტავ, რა ძალა აქვსო?..

ერთ მშვენიერ დღეს, ზამთარი იყო თუ ზაფხული, რა მნიშვნელობა აქვს, როგორც იქნა, მუდმივი სამსახურიც გამოჩნდა. ზუსტად ექვსი წლისთავზე. ორივენი დასხდნენ და მწარედ იტირეს: ნეტავ, აქამდე სული როგორ მოვიტანეთო?.. ეს სიხარულის ცრემლები იყო.

პირველ ხელფასზე ცოლს პატარა თეთრთვლიანი ბეჭედი აჩუქა და ეგ იყო ამ ექვს და მერე კიდევ, შემდეგ ათ წელიწადში ერთადერთი გადახვევა მიზნიდან. მიზანი კი უცვლელი გახლდათ... როცა სოფლიდან წამოვიდნენ, აკი თქვეს — ჩვენ ჩვენსას ვიშოვითო! — და შეასრულეს კიდეც. მერე, ის ამოთხრილი სარდაფი სახლს შიდა კიბით დაუკავშირდა, მალე იქ იატაკიც დაიგო, კედლებიც გაილესა და ვენტილაციაც დამონტაჟდა. მერე — ბავშვები ნავთით რატომ უნდა გათბნენო?! — და იმას, რასაც ადრე სარდაფს ეძახდნენ, მშვენიერი ბუხარი აუშენეს, უკანა მხრიდან მიწა ამოთხარეს და უკვე ოთახში დღის შუქიც შემოუშვეს. ახლა მეორე სართულიო, — თქვა ერთ დღესაც ოჯახის თავმა... პირველი შვილი უკვე სკოლაში თავის პირველ ხუთიანებს იღებდა და — მოდი, იმას მოვუწყოთო ოთახი... კიდევ ორი წელი, ხელფასიდან ხელფასამდე გაწელილი შუალედებით, კედლების ამოშენებასა და სახლის გადახურვას შეალიეს, მერე იმ გადახურული სახლის რემონტს ერთი იმდენი და...

ხომ არ დაიღალეთ?

თქვენი არ ვიცი და, ჩემი გმირები არ დაღლილან! ოჯახის უფროსმა, ახლახან სახლი ღია მწვანე ფრად გადაღება და თავის პაწაწინა ეზოში ცოლს ლამაზი ჰამაკი ჩამოუკიდა. ეს, იმ ბეჭდის მერე, მეორე რომანტიკული საჩუქარი აღმოჩნდა, ე.ი. წინ კიდევ რაღაც გველის...

რატომ მოგიყევით ეს ყველაფერი? რა დავინახე ასეთი ამ ორი თავგადადებული ადამიანის ამბავში?.. ჰო, თქვენ კი მიმიხვდით, მაგრამ თუ ვინმეს შემთხვევით, გულისყური დაეკარგა კითხვისას და რაიმე გამორჩა, მისთვის განვმარტავ: სიცოცხლე — ბრძოლაა და ეს ყველას აერთიანებს. ეგაა მხოლოდ, ასპარეზი გვაქვს ზოგჯერ ფართო, ზოგჯერ კი — მხოლოდ ორი ოთახის ზომის. ჩვენს პატარა სახლს, ჩვენს სიცოცხლეს, როგორადაც გვინდა, ისეთად ვაქცევთ, თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის თავს არ შევიბრალებთ... თურმე, როცა თავს არ ზოგავ, სიყვარული გმართავს და მიზანიც გაქვს, სარდაფს — დარბაზად აქცევ, დაფხავებულ სახლს — ციხესიმაგრედ, დაღლილ მეუღლეს კი — საჟურნალო წერილის გმირად...

ეს ამბავი ერთ-ერთმა მეუღლემ მიამბო. რომელმა?.. რა მნიშვნელობა აქვს?! ისინი ხომ ერთნი არიან... ■



რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 8

# ვლადიმირ პუტინის მოკვლა სამჯერ სცადეს



რუსულ პრესაში გაჟღერებულ მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში ვლადიმირ პუტინზე თავდასხმის სამ მცდელობას მაინც ჰქონდა ადგილი. პირველი თავდასხმა 2000 წლის 24 თებერვალს, სანქტ-პეტერბურგში, ანატოლი სობჩაკის დაკრძალვის დროს უნდა მომხდარიყო. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ტერაქტს იმ ორგანიზაციის წევრები ამზადებდნენ, რომლის ზურგს უკანაც „სამხედროებთან ბრძოლაწაგებული ჩეჩენი მეთაურები“ იდგნენ. ეს მცდელობა „უსაფრთხოების სტანდარტული ზომებისგან მკვეთრად განსხვავებული ზომების“ მიღების წყალობით ჩაიშალა. მეორე თავდასხმა 2000 წლის 18-19 აგვისტოს, იალტაში, დსთ-ის არაფორმალური სამიტის დროს უნდა განხორციელებულიყო. ჟურნალისტების მტკიცებით, მაშინ პუტინზე შესაძლო თავდასხმის ცნობა სპეცსამსახურებმა საზღვარგარეთიდან მიიღეს. გამოძიების პერიოდში ოთხი ჩეჩენი და ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე მკვიდრი დააკავეს, ხოლო ამ სპეცოპერაციის დეტალები უმალ გაასაიდუმლოეს. მესამე თავდასხმა 2002 წლის 9-10 იანვარს, ბაქოში, რუსეთის პრეზიდენტის აზერბაიჯანში ოფიციალური ვიზიტის დროს უნდა მომხდარიყო, მაგრამ აქ უკვე ადგილობრივმა სპეცმსასახურებმა იმარჯვეს. აზერბაიჯანის ნაციონალური უშიშროების მინისტრის ნამიკ აბასოვის თქმით, ტერაქტის სავარაუდო შემსრულებელი ერაყის მოქალაქე კიანან როსტამი იყო. მან სპეცმომზადება ავღანეთის ტერიტორიაზე მდებარე ბანაკებში გაიარა და ჩეჩენ ბოევიკებთანაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

პუტინზე ესოდენ მასშტაბური თავდასხმების გარდა, მისი კორტეჟი რამდენჯერმე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაშიც მოყვა. 2000 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში, კუტუზოვის პროსპექტზე მიმავალი პრეზიდენტის კორტეჟის გამოდევნება „ჟიგულის“ მარკის ავტომობილმა სცადა. ტრიუმფალური თაღის მიდამოებში ავტომობილმა პრეზიდენტის ლიმუზინთან მიახლოებაც მოინდომა. „ჟიგულის“ მძღოლს მანქანის გაჩერება უბრძანეს, მაგრამ ის ბრძანებას არ დაემორჩილა. ამის შემდეგ, „ჟიგული“ პრეზიდენტის თანმხლებმა „მერსედესის“ ჯიპმა გააუვნებელყო. შეჯახებისას, დაცვის ჯიპი გადაბრუნდა და მასში მსხდომი თანამშრომლები მსუბუქად დაშავდნენ. მანქანა, რომელშიც პრეზიდენტი იჯდა, შეჯახებაში არ მოხვედრილა და მან გზა უპრობლემოდ განაგრძო. 2006 წლის 3 ივნისს, ახალ არბატზე პრეზიდენტის კორტეჟის გავლისას, მოსახვევიდან „ფოლკსვაგენ-პასატი“ გამოვარდა. მანქანის გაუვნებელყოფის დროს, მისი მძღოლი ადგილზევე გარდაიცვალა. იმავე წლის 9 ოქტომბერს კი, ისევ ახალ არბატზე, პრეზიდენტის კორტეჟმა „სასწრაფო დახმარების“ მანქანას გადაუარა.

და ბოლოს — ერთი უცნაური ამბავიც: 2002 წლის 6 თებერვლის ნაშუადღევს, ვლადიმირის ოლქის სოფელ პოგოსტის მკვიდრმა, 38 წლის ივან ზაიცევმა თავისი „ჟიგულით“ კრემლში შესვლა სცადა და თანაც, დაცვას თავი რუსეთის პრეზიდენტადაც კი წარუდგინა. როგორც მოგვიანებით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაირკვა, ზაიცევი რუსეთის პრეზიდენტისთვის ანგარიშის გასწორებას წლების მანძილზე გეგმავდა... ■

# „მსოფლიოში უსაყვარლესი კატის“ ბიოგრაფის ზღაპრული ჰონორარი

ამერიკულმა გამომცემლობამ — GRAND Central Publishing იმ კატის თავგადასავლის ამსახველი მოთხრობის გამოცემის უფლება შეისყიდა, რომელიც აიოვის შტატის პაწია ქალაქ სპენსერის ბიბლიოთეკაში 19 წელი ცხოვრობდა. გაზეთი The New York Times იუწყება, რომ გამომცემლებმა მომავალი ბესტსელერის პუბლიკაციის უფლება 1,25 მლნ დოლარად შეიძინეს, ეს კი ცხოველების შესახებ შექმნილ წიგნში გადახდილი „ფენომენალური“ თანხაა.

1988 წელს კნუტი წიგნების ურიკაში იპოვეს. კატას დიუი რიდმორ ბუკსი (Dewey Readmore Books) დაარქვეს და სპენსერის ბიბლიოთეკის „შტატში ჩარიცხეს“. დიუი ქალაქის მთავარ ღირსშესანიშნაობად იქცა. მისი სურათები ჟურნალების ყდებსა და ღია ბარათებზე იბეჭდებოდა; კატის შესახებ ორი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს. მისი სიკვდილის შესახებ ცნობა კი 250-მა ამერიკულმა გაზეთმა გამოაქვეყნა, მათ შორის ისეთებმა, როგორებიცაა: USA Today და The Washington Post. მომავალ ბესტსელერს მთავარი ბიბლიოთეკარი ვიკი მაირონი დაწერს. „უსაყვარლესი კატის“ ბიოგრაფიის სათაური იქნება „დიუი, პაწია ქალაქი, ბიბლიოთეკა და მსოფლიოში უსაყვარლესი კატა“. გამომცემლობის რედაქტორმა კარენ კოშტოლნიკმა, მომავალი წიგნის ავტორის „ფენომენალური“ ჰონორარის საკითხის კომენტირებისას აღნიშნა, რომ „აუცილებლად გასათვალისწინებელია ბაზრის ის სეგმენტი, რომელიც ცხოველთა მოყვარულთ უკავიათ. მაგალითად, ჯონ გროგანის წიგნი — „მარლი და მე, ურჩი ლაბრადორის ამბავი“ — 1,85 მლნ ტირაჟით გამოიცა და კარგადაც გაიყიდა. იმისთვის, რომ ვიკი მაირონისთვის გადახდილი ჰონორარი ამოიღონ, გამომცემლებმა არანაკლებ 250 ათასი ეგზემპლარი უნდა გაყიდონ, მაგრამ Grand Central Publishing-ის მესვეურთ ახალი წამოწყების წარმატებაში ეჭვი არ ეპარებათ! ■

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ



**„შვილი მომიკლეს... ვარ დაზარალებული, თუ მარტო ამ სიტყვით შეიძლება გამოვხატო ჩემი ტკივილი. დამნაშავეებმა ადვოკატები დაიქირავეს... ერთადერთი, რაც ადარდებთ, ის არის, როგორმე გამართლება მოუძებნონ იმ საშინელ ტრაგედიას, რამაც ჩემი შვილის სიცოცხლე შეიწირა... გამოიცვალეს დამცველები, შეიცვალა ვერსიებიც, მხოლოდ მე დავრჩი მოკლული შვილის გაუბედურებული დედა და ამ ყველაფრის ფონზე, რატომღაც, მაინც სამართალს ველოდები...“ — ამ სიტყვებით სასამართლოს დაზარალებულმა მას შემდეგ მიმართა, რაც შეიტყო, რომ მისი შვილის მკვლელობისთვის დაპატიმრებულმა პირებმა ჩვენებები შეცვალეს. ისინი დანაშაულს აღარ აღიარებდნენ, არც ინანიებდნენ. მოკლულის დედის თქმით, მისი შვილი მომხდარ ფაქტს სრულიად შემთხვევით შეეწირა, ბოროტმოქმედებმა კი უდანაშაულო ახალგაზრდა, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა და წარმატებული მომავალიც ელოდა, მუხანათურად, პისტოლეტითა და ავტომატის ჯერით ქუჩაში დაცხრილეს...**

საქმის მასალების მიხედვით, საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი, კანონიერი ქურდის მიერ „მიცემულ საქმეს“ მართლაც, შემთხვევით ემსხვერპლა. ბოროტმოქმედებს — შეკვეთის შემსრულებლებს ის „წამლის ბარიგაში“ აერიათ და ისე, რომ მისთვის ვინაობა არც უკითხავთ, ტყვიები ზედიზედ დაახალეს, შემდეგ კი მის სიკვდილში საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყვნენ, ე.წ. „კონტროლკაც“ ესროლეს...

ზურაბ სოფრომაძე (გვარები შეცვლილია), 29 წლის, თბილისელი, ცოლშვილიანი, წარსულში ნასამართლევი და გოჩა ჯოხაძე, 33 წლის, ასევე თბილისელი, ცოლშვილიანი, პოლიციამ მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე კვირაში აიყვანა. ჯოხაძე წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. დაკავებულებმა თავიდან გამოძიებას ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით დეტალური ჩვენებები მისცეს...

განაჩენის თანახმად, ჯოხაძემ და სოფრომაძემ, ამ უკანასკნელის მამის ავტომანქანით, საერთო ნაცნობთან, როგორც შავი სამყაროსთვის, ასევე სამართალდამცველებისთვის კარგად ნაცნობ კრიმინალთან, წარსულში არაერთხელ ნასამართლევ და ქურდული ტრადიციების მიმდევარ, ე.წ. კანონიერ ქურდთან — ბეჟან მიმიკაშვილთან წასვლა გადაწყვიტეს. ორივენი მის ბინაში მივიდნენ. მიმიკაშვილმა, რომელსაც მათი სტუმრობა არ გაჰკვირვებია (საქმის მასალების მიხედვით, მათ ელოდა კიდეც), სოფრომაძესა და ჯოხაძეს „საქმე“ შესთავაზა. მან აღნიშნულ პიროვნებებს უთხრა, რომ მის გვერდით მცხოვრები მეზობელი — ამირან

# კანონიერი ქურდის მიერ „მიცემულ საქმეს" უდანაშაულო ადამიანი შეეწირა

## ახალგაზრდას, რომელიც „ბარიგა" ეგონათ, თორმეტჯერ ესროლეს...

შათირიშვილი წლების მანძილზე ნარკოტიკებით ვაჭრობდა, წამლის „ბარიგა" იყო და ბევრი ფული ჰქონდა. მისივე წინადადებით, თუკი ჯოხაძე და სოფრომაძე ამ პიროვნებას თავს დაესხმებოდნენ და დააყაჩაღებდნენ, წართმეულ ფულს თუ წამალს ერთმანეთში გაინაწილებდნენ, მერე კი დანარჩენ ნივთებზეც „კაცურად" დაილაპარაკებდნენ. შემდეგ, მათ საჭირო ინფორმაციაც მიაწოდა: იმ მომენტისთვის შათირიშვილი შინ არ იმყოფებოდა, მაგრამ წესით, თავისი შინდისფერი „ნივით" მალე უნდა დაბრუნებულიყო. ისიც აღნიშნა, რომ თავდასხმაში მონაწილეობას თავად ვერ მიიღებდა, რადგან შათირიშვილის მეზობელი იყო.

ამ საუბარს მიმიკაშვილთან სტუმრად მყოფი მესამე პიროვნება — ვახო მაჩაიძეც ესწრებოდა. მისივე თანდასწრებით, ჯოხაძე და სოფრომაძე კანონიერი ქურდის მიერ მიცემული „საქმის" განხორციელებას დათანხმდნენ და დეტალებზეც მოილაპარაკეს. მოლაპარაკების შემდეგ, ბინიდან ყველანი ერთად გავიდნენ, სოფრომაძის მამის ავტომანქანაში ჩასხდნენ და მომავალ მსხვერპლს ისეთ ადგილას ჩაუსაფრდნენ, საიდანაც შათირიშვილის სახლამდე მიმავალი საავტომობილო გზა კარგად ჩანდა, შემდეგ კი ხელსაყრელი მომენტის დადგომას ანუ შინდისფერი „ნივის" გამოჩენას დაელოდნენ.

„ნივა" საღამოს, დაახლოებით 8 საათისთვის გამოჩნდა. მიმიკაშვილმა მაშინვე იყვირა, რომ „საინტერესო პიროვნება მოვიდა". „ნივაში" შათირიშვილთან ერთად, მისი ნათესავი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი რევაზ ფერაძე იჯდა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო, მანქანას თვითონ მართავდა. როგორც გაირკვა, შათირიშვილმა ნათესავს სახლში მისვლამდე გაუარა და უთხრა, რომ მას, როგორც ნარკოტიკებით მოვაჭრეს, პოლიცია სდევნიდა, დაუსახელა კონკრეტული პოლიციელის გვარიც, რომელიც მისგან ფულის გამოძალვას ცდილობდა და ამ საქმეში დახმარება გავლენიან ნათესავს სთხოვა. ფერაძემ შათირიშვილს აღუთქვა, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერში გაერკვეოდა, მანამდე კი ურჩია, დროებით საცხოვრებლად მის ბინაში გადასულიყო. შათირიშვილი ნათესავის წინადადებას დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ჯერ შინ გაივლიდა, რათა ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები წამოეღო; ასევე უნდა გაეფრთხილებინა მშობლები, რომ რამდენიმე დღე მის ოჯახში დარჩებოდა. გზაში, მოსალოდნელი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, ფერაძემ შათირიშვილს უთხრა, რომ საჭესთან თავად დაჯდებოდა და თუ ვინმე მათ გააჩერებდა, პრობლემებს თავადვე მოაგვარებდა.

მანქანა სახლთან ახლოს გააჩერეს. შათირიშვილი შინ შევიდა, ფერაძე კი მას მანქანაში ელოდა.

შინდისფერი „ნივის" დანახვაზე, პისტოლეტითა და ავტომატით შეიარაღებულები — სოფრომაძე და ჯოხაძე ადგილიდან დაიძრნენ, „ნივას" მიუახლოვდნენ და საჭესთან მჯდომ ფერაძეს, რომელიც „ბარიგა" შათირიშვილი ეგონათ, იარაღის მუქარით მანქანიდან გადასვლა უბრძანეს. საქმის მასალების მიხედვით, სოფრომაძეს ხელში „ტტ"-ს კონსტრუქციის პისტოლეტი, ხოლო ჯოხაძეს — „კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატი ეჭირა (იარაღს ორივე უკანონოდ ატარებდა). მანქანიდან გადასულ ფერაძეს, ჯოხაძემ კვლავ ავტომატის მუქარით, ნარკოტიკები და ფული მოსთხოვა. გაკვირვებულმა ფერაძემ თავდამსხმელებს უპასუხა, რომ არც ერთი ჰქონდა და არც — მეორე. ასეთი პასუხით გაღიზიანებულმა სოფრომაძემ და ჯოხაძემ იარაღიდან (ორივემ თითოჯერ) ფერაძის მიმართულებით გაისროლეს. ჯოხაძის მიერ ნასროლმა ტყვიამ ფერაძე ფეხში დაჭრა. ამას თავდამსხმელთა მხრიდან ისევ მოკვლის მუქარა მოჰყვა, ისინი ფულსა და ნარკოტიკებს ფერაძისგან დაჟინებით მოითხოვდნენ.

როცა მიხვდა, თუ რა საფრთხის წინაშე იდგა, ფერაძემ ხელი ქამრისკენ წაიღო, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული „ბრაუნინგ-ჰაი-პაუერის" სისტემის პისტოლეტი ამოიღო და როგორც განაჩენში წერია, თავდაცვის მიზნით, ყაჩაღების მიმართულებით ორჯერ გაისროლა. სოფრომაძეც და ჯოხაძეც დაიჭრნენ, თუმცა როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, მათ მხოლოდ მსუბუქი დაზიანებები მიიღეს. ამასობაში, ფერაძემ დრო იხელთა და სცადა, მანქანას ამოჰფარებოდა. სოფრომაძეს და ჯოხაძეს ეს მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ. მიხვდნენ, რომ დასახულ მიზანს — ნარკოტიკებისა და ფულის დაუფლებას ვერ მიაღწევდნენ და ამჯერად, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ფერაძის მოკვლა გადაწყვიტეს. მანქანაზე ამოფარებამ ფერაძეს ვერ უშველა. როგორც განაჩენში წერია, ორივე თავდამსხმელმა (ერთდროულად მრავალი გასროლით), ის ადგილზევე ჩაცხრილა. დაცემულ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ მომაკვდავ ფერაძეს, სოფრომაძემ „კონტროლკაც" ესროლა, შემდეგ მისი „ბრაუნინგ-ჰაი-პაუერის" პისტოლეტი აიღო და ჯოხაძესთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. განაჩენში ისიცაა აღნიშნული, რომ შემთხვევის ადგილი მჭიდროდ იყო დასახლებული, რის გამოც, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის დროს მშვიდობიანი მოსახლეობისა და ქუჩაში შემთხვევით გამვლელების სიცოცხლესაც საფრთხე შეექმნა.

საქმის მასალების მიხედვით, სოფრომაძემ „ტტ"-ს სისტემის პისტოლეტიდან ფერაძის მიმართულებით ხუთჯერ, ჯოხაძემ კი, „კალაშნიკოვის" ავტომატიდან ექვსჯერ ისროლა. ორივეს სროლის შედეგად ფერაძემ შვიდი დაზიანება მიიღო, აქედან სამი სასიკვდილო აღმოჩნდა. დადგინდა ისიც, რომ სასიკვდილო ჭრილობებიდან აწ გარდაცვლილს ორი ჯოხაძემ მიაყენა, ხოლო ერთი — სოფრომაძემ.

როცა ფერაძის სიკვდილში დარწმუნდნენ, ჯოხაძე და სოფრომაძე კვლავ ამ უკანასკნელის მამის ავტომანქანაში ჩასხდნენ. მიმიკაშვილმა სროლის ხმა რომ გაიგონა, მანქანა უფრო ახლოს მდებარე ქუჩაზე გადაიყვანა, სოფრომაძესა და ჯოხაძესთან შესახვედრად. კანონიერ ქურდს უთხრეს, რომ დაჭრილები იყვნენ და სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდათ. თუ რა მოხდა შემთხვევის ადგილას, მაშინ მისთვის დაწვრილებით არაფერი უთქვამთ...

მკვლელობის ადგილზე ხალხმა მოიყარა თავი. მოკლული ფერაძე, რომელიც სისხლის გუბეში იწვა, საავადმყოფოში შათირიშვილმა და მისი ოჯახის წევრებმა წაიყვანეს. თუმცა ექიმების თქმით, ამას არანაირი აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ფერაძე უკვე გარდაცვლილი იყო. რაც შეეხება ბოროტმოქმედებს, რომლებიც იმ მომენტში ასევე საავადმყოფოსკენ მიდიოდნენ, — გზაში გადაწყვიტეს, იარაღი სასწრაფოდ დაემალათ. სწორედ ამ მიზნით, სოფრომაძემ მაჩაიძეს (იმ მომენტში საჭესთან უკვე ის იჯდა, რადგან მიმიკაშვილი მანქანიდან გადავიდა) თავისი ნაცნობის მისამართი უკარნახა. იარაღი იმ პიროვნების სახლში დამალეს და გზა ქალაქის მე-4 საავადმყოფოსკენ განაგრძეს. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა აღნიშნული პისტოლეტი და ავტომატი ამოიღეს, მაგრამ აწ გარდაცვლილის „ბრაუნინგ-ჰაი-პაუერს" ვერსად მიაგნეს. თუ სად წაიღეს ის ბოროტმოქმედებმა, გამოძიებამ ვერ დაადგინა.

საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ პირადი ჩხრეკის დროს სოფრომაძეს 3,13 გრამი ოპიუმი აღმოაჩნდა. ნარკოტიკული ნივთიერება ჯოხაძის ბინაშიც იპოვეს, მას კოკაინი ჰქონდა. ორივე მათგანი დააკავეს და ნარკოტიკებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვასთან ერთად, ბრალი ჩადენილ თავდასხმასა და განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობაშიც წაუყენეს. რაც შეეხება კანონიერ ქურდს, მისი ადგილსამყოფელი ვერ დაადგინეს და მასზე ძებნა გამოაცხადეს. სამაგიეროდ, აიყვანეს მაჩაიძე, რომელსაც იმ პერიოდში ამნისტია შეეხო და პატიმრობიდან მალევე გაათავისუფლეს.

გამოძიებას სოფრომაძემაც და ჯოხაძემაც აღიარებითი ჩვენებები მისცეს. ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, მათ სრულად

აღიარეს წაყენებული ბრალი და ჩადენილი დანაშაული ჩვენებებში დეტალურად აღწერეს. ვითარება სასამართლო პროცესზე შეიცვალა: ამჯერად, განსასჯელებმა თავი დამნაშავეებად მხოლოდ ნაწილობრივ ცნეს და განაცხადეს, რომ აღნიშნული მკვლელობა წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენიათ.

**ზურაბ სოფრომაძე** (*სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებიდან*):

*„მიმიკაშვილთან იმიტომ მივედით, რომ გვინდოდა გვეკითხა, იმ უბანში ვინმე ბინას ხომ არ აქირავებდა. მეგობარი გოგონებისთვის გვჭირდებოდა. იმ მომენტში მიმიკაშვილთან მაჩაიძეც იყო და ჩვენი ეს საუბარი კარგად მოისმინა. სწორედ მან გვკითხა მე და ჯოხაძეს — ნარკოტიკებით მოვაჭრის დაკავება თუ შეგიძლიათო? ჯოხაძე ქალაქის სამხედრო პროკურატურის თანამშრომელი იყო. მეც ხშირად დავყვებოდი მას სამსახურში. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ თუ ასეთი დანაშაულის შესახებ შევიტყობდით, პიროვნების დაკავების უფლება გვქონდა და შესაბამისი ორგანოებისთვის მისი გადაცემა შეგვეძლო. მაშინ მიმიკაშვილმა გვითხრა — ჩემ გვერდით ცხოვრობს, ახლა წამლის ჩამოსატანადაა წასული, დააკავეთ და მიიყვანეთ განყოფილებაში, ჩემი გამოჩენა არ შეიძლება, მეზობელია და მიცნობსო. მანვე მიგვასწავლა ბინა და მანქანის შესახებაც გვითხრა... სამსახურში წასვლას ვაპირებდით, რადგან შეკრება იყო დანიშნული. გვეჩქარებოდა, მაგრამ მიმიკაშვილის ბინიდან რომ გავედით, ქუჩაში მაშინვე შევამჩნიეთ მის მიერ აღწერილი შინდისფერი „ნივა“. მე და ჯოხაძე მანქანას მივუახლოვდით. საჭესთან ახალგაზრდა პიროვნება იჯდა. დარწმუნებულები ვიყავით, რომ სწორედ ის იყო შათირიშვილი. ვთხოვეთ, მანქანიდან გადმოსულიყო. ისიც გადმოვიდა. ვუთხარით — ჩვენ ყველაფერი ვიცით, ჩამოტანილი გაქვს ნარკოტიკები და გადმოგვეცი, ისიც ვიცით, რამდენი გაქვს და ვინ რამდენი ფული გამოგატანო-თქო. ჯერ იურა. ჯოხაძემ უთხრა, თანამშრომლები ვართო და მოწმობაც აჩვენა. მერე მე მომიბრუნდა — სინათლეზე გამოიყვანე, გავჩხრიკოთო. ეს ხდებოდა დაახლოებით საღამოს 8 საათზე. ზამთარი იყო და ამიტომაც, უკვე ბნელოდა. ხელში „ტტ“ მეჭირა, ჯოხაძეს — ავტომატი. იმ პიროვნებამ გვითხრა — მეზობლებს ნუ შეყრით და ჩემივე ხელით გადმოგცემთ ნარკოტიკებსო. ამ სიტყვების შემდეგ, ხელი უკან წაიღო. იმავე წამს გასროლაც მოხდა. მე დავეცი და წამიერად გავითიშე. შეიძლება, საპასუხოდ გავისროლე კიდეც იარაღიდან, მაგრამ არ მახსოვს. ვიგრძენი, რომ მუცელში ვიყავი დაჭრილი. სანამ ფეხზე წამოვდგებოდი, კიდევ მომესმა რამდენიმე გასროლის ხმა. წამოვდექი და დავინახე, რომ ჯოხაძე წელში იყო მოხრილი და ფეხის თრევით, ბორძიკით მირბოდა...“*

**ჯოხაძის ჩვენებიდან:**

*„...სროლის ხმა გაისმა თუ არა, თვალებში დამიბნელდა. მუცელში ძლიერი ტკივილი ვიგრძენი და დავეცი. მიწაზე ფართხალი დავიწყე. რა დროს გადავტენე იარაღი, არ მახსოვს. დავინახე, რომ ჩემკენ „ბარიგა“ მორბოდა და იარაღს მიმიზნებდა. ძალა მოვიკრიბე და წამოდგომისას მისკენ ვისროლე. ორჯერ თუ სამჯერ ვესროლე ფეხებში, ავტომატს მაღლა ვერ ვწევდი, ძალა არ მყოფნიდა და თვალებში მიბნელდებოდა“.*

**სოფრომაძის ჩვენებიდან:**

*„...მინდოდა, ჩემი მანქანისკენ წავსულიყავი, მაგრამ დაახლოებით 8 მეტრში შევამჩნიე, რომ კედელთან ვიღაც იყო ჩამჯდარი და ხელებს ჩემკენ იშვერდა. შემეშინდა, ვიფიქრე, რომ სროლას აპირებდა და დამფრთხალმა მისკენ დაუმიზნებლად ვისროლე ტყვიები. ამის შემდეგ, ჯოხაძეს გავეკიდე. ორივენი ავტომანქანაში ჩავსხედით. ჩქარა, საავადმყოფოში წავიდეთ-თქო! — ვიყვირეთ. ყველაზე ახლოს საბურთალოს... სანზონაში მდებარე მე-8 საავადმყოფო იყო, მაგრამ ჯოხაძემ თქვა: ჯობს, მე-5 საავადმყოფოში მივიდეთ, იქ ნაცნობი ექიმები მყავსო. თავს ორივე ცუდად ვგრძნობდით. გზაში გადავწყვიტეთ, იარაღი ვინმესთვის დაგვეტოვებინა, რადგან უკანონო იყო და პრობლემები არ გვინდოდა... ორივეს ოპერაცია დაგვჭირდა... მომხდარიდან დაახლოებით ერთ თვეში დამაკავეს. განყოფილებაში სასტიკად მცემეს და მაწამეს, მერე მაჩვენეს ცელოფანში გახვეული ნარკოტიკი, რომელიც თითქოს ჩემი იყო. სინამდვილეში არაფერი ასეთი არ მქონია. მაიძულეს, მეღიარებინა, რომ ნარკოტიკი ჩემი იყო. წინასწარი გამოძიების პერიოდში სისტემატურად მაწამებდნენ, ცემის დროს ტერფის ძვალი და ნეკნიც გამიტეხეს...“*

ზურაბ სოფრომაძემ წარდგენილი ბრალდებებიდან მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარება აღიარა. რაც შეეხება მკვლელობას, ამასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ დანაშაული მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა, რადგან აწ გარდაცვლილმა ფერაძემ მათი მიმართულებით პირველმა გაისროლა. ბრალდებებში ნაწილობრივ, ჯოხაძემაც ცნო თავი დამანაშავედ.

*„მე ნარკომანი არა ვარ და არც ნარკოტიკები მჭირდებოდა რამეში, ამიტომაც ბუნებრივია, არ მექნებოდა. წამალი პოლიციელებმა ჩამიდეს განგებ. რაც შეეხება ავტომატს, ის აზერბაიჯანის საზღვარზე, უცნობი პირისგან შევიძინე“*, — ახსნა პროცესზე განსასჯელმა **ჯოხაძემ**.

*„ამ საქმეში კიდევ ორი დაზარალებული არსებობს: პიროვნება, რომლის სახლშიც შემთხვევის დროს გასროლილი ტყვიის მასრები შევარდა და შათირიშვილი, რომელიც მანქანის დაზიანებას უჩივის, მეტს არაფერს... „სახარებაზე“ შემიძლია დავიფიცო, რომ არ გამაჩნია ბრმა შურისძიების სურვილი და წინააღმდეგი ვარ უდანაშაულო ადამიანის თუნდაც ერთი წუთით დასჯისა, მაგრამ ის, რაც ამ საქმის ირგვლივ შეგროვილია მტკიცებულებების სახით, არ შეიძლება, უარვყოთ... შათირიშვილი ჩემი დეიდაშვილის შვილი გახლავთ. მის მეზობლად რომ კანონიერი ქურდი ცხოვრობდა, ამის შესახებ ყველამ ვიცოდით. ორივენი, ისიც და მიმიკაშვილიც მოიხმარდნენ ნარკოტიკებს და ახლობლობდნენ ერთმანეთთან. შათირიშვილი თვითონ აფიქსირებს ჩვენებაში: მიმიკაშვილს პატივს ვცემდი, მას ნარკოტიკებს ვუყოფდი და ვენდობოდიო. სწორედ ამ ნდობის გამო გაუმხელია მისთვის — ერთი პოლიციელი დამდევს, დაკავებით მემუქრება, თუკი ფულს არ გადავუხდიო. ისიც უთქვამს მიმიკაშვილისთვის, იძულებული ვარ, ფული ვისესხო და მართლაც გადავუხადო, თორემ თავს არ დამანებებსო. ფულის მიცემის ბოლო ვადა სწორედ იმ დღეს ჰქონია, როცა თავდასხმისა და მკვლელობის ფაქტი მოხდა. ცხადია, რომ მიმიკაშვილმა ბოროტმოქმედები სპეციალურად დაიბარა, რადგან ელოდა, რომ შათირიშვილს ფული თან ექნებოდა. სინამდვილეში, შათირიშვილმა ფული ვერ იშოვა და ჩემს შვილს მოაკითხა სახლში, რათა მისთვის დახმარება ეთხოვა: იქნებ, ის პოლიციელი ნახო და ფულის მიცემა როგორმე გადამივადოსო. ჩემი შვილიც გაჰყვა. ის მანქანაში დარჩა და ბოროტმოქმედებსაც აერიათ... თავდამსხმელები თავზე რომ წამოადგნენ, ვერც მანქანას დაძრავდა მათგან თავის დასაღწევად, რადგან შათირიშვილმა მანქანის გასაღები გამოაძრო. მისი სახლის, ჭიშკრისა და ოთახების გასაღები მანქანის გასაღებთან ერთად ეკიდა...“* — აღნიშნა **მოკლულის დედამ**.

მისი შვილის მკვლელობისთვის მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარი განსასჯელების ჩვენებები არც გაუზიარებიათ, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ წარსულში არაერთხელ ნასამართლევისა და ქურდული ტრადიციების მიმდევარი მიმიკაშვილის წინადადება არ შეიძლებოდა, გამოწვეული ყოფილიყო დამნაშავის მხილებისა და ნარკოტიკებისა და ნარკომანიისგან საზოგადოების დაცვის სურვილით. ხოლო თუკი უცაბედად ასეთი განზრახვა შეიპყრობდა, შეეძლო, ამის შესახებ საქმის კურსში პოლიცია ჩაეყენებინა და არა, წარსულში ნასამართლევი, უკანონოდ შეიარაღებული პირები. ფაქტია, რომ მიმიკაშვილი თავისი ქმედების არამართლზომიერებას გრძნობდა და ამიტომაც დაემალა გამოძიებას.

სოფრომაძესა და ჯოხაძეს კი დამნაშავის დაკავების არანაირი უფლება არ ჰქონდათ. რეალურად, ისინი არც სამხედრო პროკურატურის თანამშრომლები იყვნენ და უფრო მეტიც — ოფიციალური ცნობების თანახმად, იმ პერიოდში საერთოდ არ მუშაობდნენ, ხოლო სოფრომაძეს წინა განაჩენით დარჩენილი პირობითი სასჯელიც კი მოსახდელი ჰქონდა.

წარდგენილ ბრალდებებში ორივე განსასჯელი დამნაშავეებად ცნეს. ორივე მათგანს 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. საქმის განხილვის პერიოდში განსასჯელებმა არაერთი საჩივარი, შუამდგომლობა და განცხადება დაწერეს — მკვლელობაში გამართლებისა და წაყენებული მუხლის გადაკვალიფიცირების მოთხოვნით, მაგრამ არც ერთი არ დაკმაყოფილდა. ამის მოტივად მოსამართლეებმა საქმის მასალებში არსებული, ბრალის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები დაასახელეს. ■

# „მისი მოკვლა გადავწყვიტე... დანა გულმკერდის არეში ამოვარტყი..."

## მოწმეების თქმით, დამნაშავე აგრესიულობით გამოირჩეოდა

**მკვლელობა, რომელიც ბრალდების თანახმად, ხულიგნური ქვენაგრძნობით იქნა ჩადენილი, ძმებს შორის ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა. განსასჯელმა სასამართლოს წინაშე დანაშაული მთლიანად აღიარა. თუმცა, შეწყნარებაც ითხოვა და მოსამართლეს მსუბუქი სასჯელის გამოტანის თხოვნით მიმართა. ერთადერთი, რაც მოსამართლემ მისდა სასიკეთოდ გაითვალისწინა, ის გახლდათ, რომ განსასჯელი წარსულში ნასამართლევი ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული არ ყოფილა...**



მაიზერ გიორგაძემ დანაშაული მთვრალმა ჩაიდინა. სამართალდამცველებმა, განზრახ მკვლელობის გარდა, მას ბოროტ ხულიგნობაშიც დასდეს ბრალი. საქმის მასალების მიხედვით, გიორგაძემ თავის ძმასთან — გიზო გიორგაძესთან ერთად, სახლში კასპის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მიმდებარე ტყიდან შეშა ჩაიტანა. შინ დაბრუნებულმა ძმებმა ივახშმეს და თან არაყიც დალიეს. ისინი მშობლების სახლში ერთად ცხოვრობდნენ. გიზო გიორგაძემ შინ თანასოფლელები მიიწვია. ერთ-ერთ მათგანს — გოგოლაურს ის, ძმის თანდასწრებით, ჩამოტანილი შეშის მნიშვნელოვანი ნაწილის საჩუქრად გადაცემას შეჰპირდა. ამ დაპირებამ მაიზერ გიორგაძე გაანაწყენა, რადგან გოგოლაურს ის, ადრე მომხდარი უთანხმოების გამო, წლების მანძილზე არ ელაპარაკებოდა. ამის შესახებ გიზო გიორგაძემაც იცოდა, მაგრამ თავის განზრახვაზე — შეშა ეჩუქებინა გოგოლაურისთვის, ხელი არ აუღია. როგორც გაირკვა, მაიზერ გიორგაძე თავიდანვე უკმაყოფილო დარჩა ჯერ გოგოლაურის სტუმრობის ფაქტით, შემდეგ კი, ძმის განზრახვითაც — განაწყენებულმა და გაღიზიანებულმა, ძმის, გოგოლაურისა და დანარჩენი თანასოფლელების თანდასწრებით, თავისი განწყობილება აშკარად გამოხატა.

მას შემდეგ, რაც სტუმრებმა გიორგაძეების სახლი დატოვეს, ძმებს შორის შელაპარაკება მოხდა. გიზო ძმას ეუბნებოდა, რომ დანაპირებს მაინც შეასრულებდა და გოგოლაურს დაასაჩუქრებდა. მაიზერმა გადაწყვიტა, თავად წასულიყო გოგოლაურთან სახლში, დალაპარაკებოდა მას და ეიძულებინა, უარი ეთქვა შეშის წაღებაზე. სწორედ ამ მიზნით, უხეშად, უწმაწური სიტყვებითა და ლანძღვა-გინებით გაემართა გოგოლაურის საცხოვრებელი სახლისკენ. იმ დროს ქუჩაში მყოფმა თანასოფლელებმა გზაზე მიმავალი გიორგაძის გინებას ყური რომ მოჰკრეს, მისკენ წავიდნენ, რათა დაეშოშმინებინათ და შეეჩერებინათ. მეზობლების რჩევა-დარიგებამ კიდევ უფრო გააღიზიანა გიორგაძე, ხულიგნური ქმედების შეწყვეტის ნაცვლად, გაცილებით გამომწვევად იქცეოდა, აგინებდა არა მარტო გოგოლაურს, არამედ სრულიად უდანაშაულო თანასოფლელებსაც.

საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ მაიზერ გიორგაძის ბოროტი ხულიგნური ქმედება განსაკუთრებული თავხედობით გამოირჩეოდა. ლანძღვა-გინებასთან ერთად, მან შარვლის ჯიბიდან ამოიღო დანა, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა და ქუჩაში შეკრებილ მეზობლებს შორის მდგარი ერთ-ერთი თანასოფლელისკენ — კახა ბიბილაშვილისკენ გაიწია. გამოძიების მტკიცებით, მან ბიბილაშვილის მოკვლა განიზრახა, მოტივი კი მისი განზრახვისა, ხულიგნური ქვენაგრძნობა გახლდათ. ბიბილაშვილისკენ გინებით და მოკვლის მუქარით მიმავალ გიორგაძეს ერთ-ერთი მეზობელი გადაუდგა. გიორგაძემ მას მუშტი მოუქნია და სახეში გაარტყა, დანის წვერით კი, გულმკერდის არეში მსუბუქი ხარისხის ჭრილობა მიაყენა. მისი ჩამოშორების შემდეგ, ის ბიბილაშვილს მიეჭრა. ეს უკანასკნელი იმ მომენტში ძირს იხრებოდა, რათა მიწაზე დაგდებული რკინის ნაჭერი აეღო და იმით, მისკენ მიმავალი, დანამომარჯვებული გიორგაძე მოეგერიებინა, მაგრამ ეს ყოველივე ვერ მოასწრო. გიორგაძემ მას დანა გულმკერდის არეში, ერთხელ მაგრად ჩაარტყა. ამის შემდეგ, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მძიმედ დაჭრილი ბიბილაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დანაშაულში ეჭვმიტანილი მაიზერ გიორგაძე რამდენიმე დღეში დააკავეს. მან ჩადენილი მკვლელობა აღიარა და წარდგენილ ბრალდებაში თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ.

**ბრალდებულის ჩვენებიდან:**

*„...დილით, ძმასთან ერთად წავედი ტყეში. ზამთრისთვის უნდა მოვმზადებულიყავით და შეშა მოგვემარაგებინა. შინ რომ დავბრუნდით, ცოტა არაყი დავლიეთ. შემდეგ, ჩამოტანილი შეშა სახლის წინ, გზაზე დავაწყვეთ. ამ დროს მეზობლები გამოჩნდნენ. ჩემმა ძმამ ისინი შინ შეიპატიჟა. მათ შორის, გოგოლაურიც იყო. ისევ დავლიეთ არაყი და დავთვერით. ჩემმა ძმამ მითხრა, გოგოლაურს ადრე შეშას დავპირდი და უნდა მივცეო... ამის შემდეგ გადავწყვიტე, გოგოლაურთან პირადად მივსულიყავი და მისთვის შეშის წაღება ამეკრძალა... როცა ვიგინებოდი, ბიბილაშვილი მოვიდა და უხეშად მომთხოვა, შემეწყვიტა უცენზურო სიტყვების ხმამაღლა ძახილი. მე მას შევაგინე, რაზედაც თავადაც გინებით მიპასუხა. მაშინ გადავწყვიტე მისი მოკვლა. მისკენ ჩქარი ნაბიჯით გავემართე, თან ჯიბიდან დანა ამოვიღე. დანა ოჯახის იყო, სამზარეულო ტიპის. წინ მეზობელი გადამეღობა, მას სახეში მუშტი გავარტყი, გზიდან ჩამოცილების მიზნით. ის გვერდზე გახტა. ამ დროს დავინახე, რომ ბიბილაშვილი ძირს იხრებოდა, მასთან მივვარდი და დანა გულმკერდის არეში ამოვარტყი... იქვე წაიქცა... როცა დავრწმუნდი, რომ მოვკალი, შემთხვევის ადგილი მივატოვე. მივიმალე, რადგან შემეშინდა, ბიბილაშვილის ახლობლებს ჩემზე შური არ ეძიათ. დანა სად გადავაგდე, არ მახსოვს. მახსოვს, რომ როცა იქიდან გავიქეცი, მაშინვე მოვისროლე სადღაც..."*

მოკლულს — კახა ბიბილაშვილს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ მაიზერ გიორგაძესთან მასაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა: მოწმეების — თანასოფლელების თქმით, მათ მომხდარ ფაქტამდე რამდენიმე თვით ადრე მოუხდათ შელაპარაკება რაღაც ყოფით საკითხთან დაკავშირებით. მას შემდეგ, ერთმანეთს ერიდებოდნენ და ფაქტობრივად, არ ურთიერთობდნენ. მოწმეები იმასაც აღნიშნავენ, რომ მაიზერ გიორგაძე საკმაოდ აგრესიული პიროვნება იყო და ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი როგორც ოჯახში, ასევე ნათესავებსა და მეზობლებთანაც.

წარდგენილ ბრალდებაში გიორგაძე სასამართლომაც დამნაშავედ ცნო. ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად მხოლოდ ის მიიჩნიეს, რომ წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. სასჯელის ზომად მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ



M K

ენთუზიაზმი, პროფესიონალიზმიც და მხოლოდ ამიტომ ვაგრძელებთ ამ საქმეს.

**— ირინა ონაშვილი ახსენეთ. ირინას თქვენი მისამართით გარკვეული პრეტენზიები აქვს. თითქოს თქვენს სააგენტოსთან დადებული კონტრაქტის პერიოდში, დაკაბალებული იყო, რომ მას დამოუკიდებლად, თქვენ გარეშე არანაირი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა. რას იტყვით ამაზე?**

— ყველაფერში უნდა არსებობდეს წესრიგი. სილამაზის კონკურსებსაც აქვს თავისი წესები. როდესაც საერთაშორისო დონის ღონისძიებაში მონაწილეობ, ვალდებული ხარ, დაემორჩილო მათ კანონებს. ხელშეკრულებას როდესაც ვდებთ, არსებობს განსაზღვრული მოთხოვნები, რაც პირდაპირ თუ ირიბად გამარჯვებულ გოგონას ეხება. შესაბამისად, ჩვენ ვალდებულები ვართ, იმ გოგონასა და ჩვენ შორის არსებობდეს კონტრქტი: „მის საქართველო“ ვალდებულია წინასწარ დადოს პირობა, რომ ერთი წლის განმავლობაში არ გათხოვდება. კონტრაქტში არის გარკვეული აკრძალვები, რომლებიც თავად გოგონას ინტერესებში შედის. მაგალითად, მას არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახიფათო სპორტულ თამაშებში, რომ არ დაიზიანოს საკუთარი სხეული და ჯანმრთელობა, კარგი ფორმა და გარეგნობა უნდა შეინარჩუნოს — არ გასუქდეს, არ შეიჭრას თმა, არ გაიკეთოს სვირინგი თუ პირსინგი. ეს ჩვეულებრივი რამ არის. მაგრამ ვიღაცებს ამის გაგება არ უნდათ და ეს ყველაფერი საშინელ აკრძალვებად ეჩვენებათ! არადა, მათ ტიტული გარეგნობის წყალობით აქვთ მინიჭებული. ამიტომ, ნება იბოძონ და საკუთარ გარეგნობას გაუფრთხილდნენ! თუ არა და, შესაძლებელია, მათ ჩამოერთვათ ტიტული და ის სხვას გადაეცეს. მსოფლიოში ამის პრეცედენტები ყოფილა.

**— ირინა ონაშვილი ამბობს, რომ ავტომანქანა („მერსედესი“), რომელიც მას, როგორც „მის საქართველო 2003“-ს საჩუქრად ერგო, დღემდე არ არის მის სახელზე გაფორმებული.**

— ვინ მოგვაკითხა, ვინ გვითხრა საერთოდ რამე?!. ამ თემაზე საუბარი არც ყოფილა. მის წარმატებაში ჩვენს წვლილსაც ვხედავ, სხვანაირად ის ვერ გამოჩნდებოდა ფართო ასპარეზზე და შესაბამისად, პოპულარულიც ვერ გახდებოდა... მაგრამ მას მადლობაც არ უთქვამს ჩვენთვის არასდროს...

**— „მის საქართველოს“ ჩატარების უფლება „მის მსოფლიოსთვის“ რომ მოიპოვეთ, ამაში რა თანხა გადაიხადეთ და საერთოდ, ეს ლიცენზია როგორ მიიღეთ?**

— დავიტოვებ უფლებას, რომ ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ, რადგან ნებისმიერ ორგანიზაციას აქვს კონფიდენციალური თემები და მასალა, რაზეც საჯაროდ არ საუბრობს. თან, „ხეზე ცოცვას სხვებს ხომ არ ვასწავლი“?! თუმცა, უკვე ბევრი რამ ვასწავლე. მაგრამ ისინი „მის საქართველოს“ — „მის მსოფლიოსთვის“ ჩვენ გარეშე ვერ ჩაატარებენ, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ მე მექნება ამ კონკურსის მოწყობისა და ჩატარების სურვილი...

**— ე.ი. მე, როგით ადამიანს რომ მომინდეს, „მის საქართველოს“ კონკურსის მოწყობა, ამის შანსი არ მაქვს?**

— ამერიკაში ვისწავლე ერთი ასეთი გამოთქმა — „არასოდეს თქვა არასოდეს“. მე თქვენ ოპტიმიზმისთვის ეს რჩევა მოგეცით... ისე, ბოლო დროს სილამაზის კონკურსების მოწყობით ბევრი ადამიანია დაინტერესებული. ერთი მხრივ, მიხარია, ცდილობენ, ინტერესი აქვთ, წვალობენ, მაგრამ მათ მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვუთხრა, რომ სიამოვნებით გავუზიარებ ჩემს გამოცდილებას, ცოდნას და პროფესიონალიზმს, შევთავაზებ, რომ შემოვიდნენ ჩვენს ქსელში, რომელიც სხვადასხვა რეგიონში „მის საქართველოსთვის“ შესარჩევ ტურებს უკვე ატარებს. თავიანთ უბნებში, ეზოებში, რაიონებში ტყუილად კი არ ჩაატარონ ეს კონკურსები, არამედ ეცადონ, რომ ის გამარჯვებული გოგონები „მის საქართველოს“ ნახევარფინალშიც მოხვდნენ. სიამოვნებით ვითანამშრომლებ ნებისმიერთან.

**— ამერიკა ახსენეთ და იქ ნასწავლი ფრაზაც გაიხსენეთ. კიდევ რა ისწავლეთ იქ? ვიცი, რომ ნიუიორკის უნივერსიტეტში რაღაც კურსს გადიოდით, ასეა?**

— ბევრი რამ ვისწავლე ამერიკაში. უპირველესად, თეორიული ცოდნა ავიმაღლე იმ სფეროში, რომელშიც ვმოღვაწეობ. ეს იყო ფაკულტეტი, სადაც ვისწავლე, თუ როგორ უნდა მოაწყო — შეხვედრა, კონფერენცია, კონკურსი ანუ რაღაც სპეციალური ღონისძიება. გარდა ამისა, ბევრი დრო დავუთმე მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ბიზნესის წარმართვის პრობლემებს. მიმაჩნია, რომ სერიოზული ცოდნა და გამოცდილება მაქვს იმისთვის, რომ ამ სფეროთი დაინტერესებულ ადამიანებს ვასწავლო და გამოცდილება გავუზიარო.

**— ისე რა არის რეალურად ახლა თქვენი ოჯახის საქართველოში დაბრუნების მიზეზი? თუ საქართველოდან იყო მოთხოვნა, რომ ნიჭიერი და გამოცდილი ადამიანები თავის ქვეყანაში უნდა დაბრუნდნენ?**

— სიმართლე გითხრათ, ორწელიწადნახევარი ვიყავით ამერიკაში და ამ ხნის განმავლობაში პირადად მე, ნახევარზე მეტხანს სულ აქ ვიყავი. ამერიკასა და საქართველოს შორის ვმოძრაობდი, მუდმივად გზაში გახლდით. წელიწადში რამდენჯერმე სააგენტოს საქმეებზე ჩამოვდიოდი. ასე რომ, როცა საჭირო იყო, აქ ვიყავი და როცა მინდოდა — იქ. შესაბამისად, არც არასდროს ყოფილა



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ელზა დვალის უბის წიგნაკიდან:



20. „კიდევ რა გავაკეთო თქვენი გულისთვის? — ჰკითხა ერთი კონცერტის დასასრულს მაყურებელს მიხაილ ზადორნოვმა. — ჰო, მართლა, აი, კიდევ, რა შემიძლია!“ — თქვა, სცენაზე ყირამალა დადგა და ხელებზე გაიარა.

21. გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა 1 კილომეტრი სიგრძის მწვადი, რომელიც ნამიბიაში შეწვეს. მის დამზადებას 750 კილოგრამი ხორცი და 240 კილოგრამი მარინადი დასჭირდა.

22. ამერიკელი მილიონერი ფრედ რობკეი ტანკების მსოფლიოში ყველაზე მსხვილი კოლექციონერია. მას 40 მოძველებული ტანკი უყენია ფარეხში, რომელთაგან ოთხი სრულ საბრძოლო მდგომარეობაშია.

23. 2 ცენტი მოკლული ბუზისთვის, 5 ცენტი გარეცხილი ჭურჭლისთვის და 15 ცენტი დაჩეხილი შეშისთვის — ასეთ გასამრჯელოს იღებდნენ ჯონ როკფელერის ოჯახში შვილები საკუთარი მამისგან.

24. მოსკოვში, ძველ არბატზე მდებარე პოლიკლინიკას დღესაც აკადემიკოსი ევგენი ჩაზოვი ხელმძღვანელობს. ეს პოლიკლინიკა სტალინის მმართველობის დროს აშენდა და საბჭოთა მთავრობის წევრებსა და მათ ოჯახებს ემსახურებოდა. ამ პოლიკლინიკაზე ამბობდნენ: „ტამ პალი პარკეტნიე, ა ვრაჩი — ანკეტნიე“, რადგან იქ მომუშავე პერსონალის პირადი ანკეტები სახელმწიფო უშიშროებაში ინახებოდა.

25. სერიული მანიაკები გარეგნულად ნორმალური ადამიანებისგან არაფრით გამოირჩევიან. სკოლაში მასწავლებლად მომუშავე ანდრეი ჩიკოტილო, მოსიყვარულე მამა და მეუღლე გახლდათ. მან 52 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს; ალექსეი სუდარუშკინი 6 თვეში ერთხელ მხეცურად კლავდა პატარა ბავშვებს, მეორე დილით კი პოლიკლინიკაში მიდიოდა, რათა ამავე ასაკის პატარებისთვის ემკურნალა; სერგეი გალოვკინზე, რომელმაც 11 ბიჭს გამოსჭრა ყელი, ეჭვის მიტანა აზრად არავის მოსვლია. ახლობლებს მხოლოდ ის უკვირდათ, რატომ არ სურდა, ჰყოლოდა შვილები. დაკითხვაზე მანიაკმა აღიარა, რომ ოჯახი არ შექმნა მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდა, საკუთარი შვილებიც სხვებივით არ დაეხოცა; 2007 წელს მსოფლიო საზოგადოება კიდევ ერთმა საშინელებამ შეძრა: ამერიკაში დააპატიმრეს ტეხასელი ფერმერი რობერტ ჰისტონი, რომელმაც 49 ქალი გამოასალმა სიცოცხლეს. მოკლულთა ხორცით იგი თავის ღორებს კვებავდა. დაკითხვაზე კი განაცხადა — მხოლოდ იმას ვნანობ, რომ ჩიკოტილოს რეკორდი ვერ მოვხსენი.

ჩვენთან საკითხი ასე დასმული — რომ ამერიკაში სამუდამოდ წავედით. წასვლის დღიდან, მეც დაეროსიც სულ იმას ვამბობდით, რომ მალე უკან უნდა დავბრუნებულიყავით. ჩვენ კიდევ უფრო ადრე ვაპირებდით ჩამოსვლას, მაგრამ შვილების გამო შევფერხდით: ისინი იქაურ სკოლას ძალიან შეეჩვივნენ, წარმატებაც ჰქონდათ; მოეწონათ და შეუყვარდათ იქაურობა. ამიტომ ისინი ასე უცბად ვერ მოვწყვიტეთ იმ სკოლას, თუმცა თბილისშიც არის ამერიკული სკოლები და ამიტომაც უპრობლემოდ წამოვედით.

## ოჯახსა და პირად საკითხებზე

— **ბატონი ეროსი ცოტა ხნის წინ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის კონსულტანტად დაინიშნა. მოსწონს მას ახალი სამსახური?**

— ორივე უკვე ჩვენ-ჩვენს ჩვეულ რეჟიმს დავუბრუნდით. ეროსი თავისი საქმეებით არის დაკავებული, მე — ჩემით. ჯერ არც გვისაუბრია იმ თემაზე, მოსწონს თუ არა მას ახალი სამსახური. ეროსის პროფესიონალიზმში დარწმუნებული ვარ, ეჭვი არ მეპარება, თუ რამეს მოჰკიდა ხელი, ე.ი. იცის, რატომ და რისთვის აკეთებს ამას. წარმატებები მინდა, ვუსურვო.

— **მაპატიეთ გულახდილობისთვის, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებელი დღეს სატელევიზიო სივრცეში არცთუ ისე პოპულარული არხია... უფრო მეტსაც ვიტყოდი, მაგრამ არ მინდა, მეტისმეტად გავანაწყენო მისი ხელმძღვანელი. საინტერესოა, ისეთი პროფესიონალი, როგორიც ბატონი ეროსია, რატომ დათანხმდა ამ არხზე სამსახურს?**

— ბოლოს როდის უყურეთ ამ არხს? ვფიქრობ, რომ თქვენ კარგა ხანია, არ გადაგირთავთ საზოგადოებრივ მაუწყებელზე...

— **შეიძლება; არ ვრთავ ამ არხზე, რადგან არ მიზიდავს.**

— ერთი კვირის წინ ჩამოვედი თბილისში. მანამდე რომ გეკითხათ ამ არხზე აზრი, რასაც თქვენ ამბობთ, იმავეს გეტყოდით, მაგრამ ბოლო ერთი კვირაა, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის იძულებით მიწევს თვალყურის დევნება, რადგან როცა ეროსი სახლშია, ჩვენთან ეს არხია ჩართული. ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ ის აბსოლუტურად სხვა არხია, ვიდრე მახსოვდა. არაერთ საინტერესო გადაცემას წავაწყდი. იქ ცვლილებები უკვე ჩატარებულია და კვლავაც მიმდინარეობს. ახლა მთავარი ამოცანაა, ის უფრო ყურებადი გახდეს.

— **საქმიანი ქალი ბრძანდებით, ხშირად დატვირთული რეჟიმით გიწევთ მუშაობა, მაგრამ ყოველთვის ფორმაში ხართ. ე.ი. მუდმივად გახსოვთ, რომ ქალი ხართ, არა?**

— ქალი რომ ვარ, ყოველთვის მახსოვს (*იღიმება*). საკუთარ გარეგნობას ყურადღებას ვაქცევ, თუმცა ბევრ დროს ვერ ვუთმობ, რადგან თავისუფალი დრო ცოტა მრჩება, მაგრამ ჩემს მოდელებთან პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგად, ბევრი რამ ჩვევად გამომიმუშავდა. სხვებს ვასწავლი თავის მოვლის ხელოვნებას და თვითონ რომ არ გავაკეთო, სირცხვილი იქნება. შეუძლებელია, ღამე როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, მაკიაჟით დავიძინო; რაც არ უნდა გვიან გავიღვიძო, დილას ცხელი და ცივი შხაპი აუცილებლად უნდა მივიღო. სახლიდან მოუწესრიგებელი არასდროს გამოვსულვარ.

— **სპორტს თუ უთმობთ დროს?**

— ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში კალათბურთს ვთამაშობდი. როგორც სპორტსმენი, წარმატებული ვიყავი... იქიდან მაქვს გამოყოლილი — დღეში მინიმუმ, ნახევარი საათი უნდა ვივარჯიშო. თუ საშუალება მაქვს, სადმე დარბაზში გავდივარ, თუ არა და, სახლში, ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ. ისე აქტიური სპორტი უფრო მიყვარს — მაგალითად, კალათბურთის თამაში.

— **ბატონი ეროსიც სპორტულია?**




— კი, ყოველდღე ჩოგბურთს თამაშობს. საერთოდ, სპორტული ოჯახი ვართ. ბავშვებიც სისტემატურად ცურვაზე დადიან. თბილისში რომ ჩამოვედით, დიდად გაერთნენ ციგურებით.

— **თქვენ და თქვენი მეუღლე აზარტულები თუ ხართ?**

— ორივენი აზარტულები ვართ და შეგვიძლია არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა.

— **თქვენს ღირსებად რას მიიჩნევთ?**

— თუ ხმამაღალი არ იქნება, გეტყვით, რომ შრომისმოყვარე ვარ. ჩემს ცხოვრებაში თავისით არაფერი მომხდარა. საკუთარი ხელით ვაკეთებდი და ვაკეთებ ყველაფერს. იმავეს ეროსიზეც ვიტყვი. ყველაფერს თავისი შრომის, ენერგიის, ცოდნისა და გამოცდილების ფასად მიაღწია.

— **როგორ შეაფასებთ მის ცხოვრებას 1994 წლიდან ამერიკაში წასვლამდე — ვგულისხმობ მის ღვაწლს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში?**

— ეროსის ცხოვრებაში ეს პერიოდი იყო უძილო, ნერვული, სტრესული დღეები და ღამეები; პრობლემები და შიგადაშიგ, წარმატებებიც.

— **მასში პოლიტიკოსს თუ ხედავთ?**

— არ ვიცი. ეროსის ვუყურებ, როგორც წარმატებულ ბიზნესმენს და გამოცდილ ადამიანს. ხოლო რა სფეროში გამოიყენებს ის საკუთარ გამოცდილებას, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული და ალბათ, იმ ქვეყანაზე, სადაც ვიცხოვრებთ. რაც არ უნდა აირჩიოს მან, მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ და როგორც აქამდე მის გვერდით ვიყავი, კვლავაც მის გვერდით ვიქნები! თუ მას ჩემი თანადგომა დასჭირდება, გვერდიდან არ მოვცილდები. ხოლო რა იქნება ეს საქმე, არ ვიცი და წინასწარ არც მინდა ვიცოდე. ის გადაწყვეტილებას ყოველთვის დამოუკიდებლად იღებს. ჯერ არ შემცდარა და იმედია, არც ახლა შეცდება.

— **როგორი ადამიანია? შორიდან საკმაოდ შეუვალი ჩანს, ვინაიდან არ სწყალობს პრესას, არ ჩნდება ხშირად ტელეკამერების წინ...**

— ის ლაღი, გახსნილი, ხალისიანი, ენთუზიასტი, აქტიური, მეგობრული ადამიანია. ამავე დროს, ძალიან მომთხოვნია, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. ამ თვისებით ჩვენ ვგავართ ერთმანეთს.

— **თქვენ შორის „მოკლე ჩართვები“ (კამათი, კონფლიქტი) არ ხდება?**

— უკვე 15 წელია, ერთად ვართ და ვისწავლეთ, როდის უნდა დავუთმოთ ერთმანეთს და ზუსტად ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ერთმანეთი გვიყვარს და მუდმივად გვენატრება.

— **რა ეტაპი იყო ამერიკაში ცხოვრება ორივეს ცხოვრებაში?**

— უპირველესად, ეს იყო საშუალება რომ ორივეს დაგვესვენა. მე მას ჩვენს „ნიუ-იორკულ არდადეგებს“ დავარქმევდი. ეროსი გადაღლილი იყო და დასვენება სჭირდებოდა. ეს დასვენება ჩემთვისაც სასარგებლო აღმოჩნდა. მოგვიხდა უზარმაზარი, სიახლეებით აღსავსე ქვეყნის გაცნობა. ეს ჩვენთვის ახალი გარემო იყო, როცა ჩვენ ახალი და ძველიც გადავაფასეთ...

■



# „ჩემი ქმარი რომ არ დაეჭირათ, ოჯახი არ დამენგრეოდა"

**ამ კვირაში ზაზას დედას, ქალბატონ ნათელას ვესტუმრე. ვიცოდი, რომ იმ დროს შინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ოთახის კარი გამოკეტილი დამხვდა. მეზობლებმა მითხრეს: ახლა აქ იყო, შვილიშვილები (ზაზას შვილები) ჰყავდა სტუმრად და ალბათ, ისინი თუ წაიყვანა სადმეო. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნო იყო ჩემთვის, რადგან ვიცოდი, რომ ქალბატონ ნათელას ბავშვები დიდი ხნის განმავლობაში არ ჰყავდა ნანახი და ისინი ძალიან ენატრებოდა. ჩვენი შეხვედრა გადაიდო, მაგრამ იმედია, მომავალ კვირაში შევხვდები და ზაზას შესახებ სიახლეებს შევიტყობ. ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გაგაცნობთ.**

„ზაზა ძალიან მეცოდება. ამ საქმეში მისი უდანაშაულობის მჯერა, მაგრამ მღებრიშვილთან მუშაობის პერიოდში, იქნებ, მასაც ჰქონდა პატარ-პატარა ცოდვები?.. თქვენ რა გგონიათ, დღეს ასეთი უსამართლობა არ ხდება?“

„მარი, ძალიან ვგულშემატკივრობ ზაზას, მაგრამ ერთი კითხვა გამიჩნდა: საიდან იცის ზაზამ, რა საუბარი შედგა ლაშას და ლადოს შორის? ვიცი, რომ ვერ მიპასუხებ“.

„ზაზას ამბავი მათაც წაიკითხონ, ვისაც დღესაც ავალებენ ამგვარი ბინძური საქმეების „შეკერვას“. ფრთხილად! თქვენი კარიერისთვის ნუ გაწირავთ უდანაშაულო ხალხს. ვალერი“.

„გაზაფხული დადგაო და ცამ იცვალა ფერი... ეს გაზაფხული შენია, ზაზა-ბიჭო, შეეენი“...

„ხალხო, დაიჯერებთ? 12 წლის განმავლობაში იხდის სასჯელს უდანაშაულო ადამიანი. ცოტათი მაინც თუ გესმით, ეს რა ბარბაროსობაა?“

„მარი, ახლა ცოტა მშვიდად წავიკითხავ ზაზას ამბავს. იცი, რატომ? პროკურორი და გამომძიებელი უფალმა რომ დასაჯა, იმიტომ. ცოდვები არ შერჩათ. მათი „აღსარებაც“ დაბეჭდე, რა... მინდა, ზაზა გავამხნევო. კარგად. რუსა“.

„ზაზა, სიხარულო, მეგონა, რომ მხოლოდ მე მჯეროდა შენი უდანაშაულობის. ახლა კი მთელი საქართველო იზიარებს შენს ტკივილს. ნეტავ, სიზმარი ამიხდეს და მართლა გნახო ციხის კართან ატუზული, ჩანთით ხელში. ნეტააავ!“

„ზაზა ერთ-ერთი მსხვერპლია ჩვენი არაადამიანური ყოფისა. მართალია, მას ეს ამბავი შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს გადახდა თავს, მაგრამ ძალოვან სტრუქტურებში არც დღეს მუშაობენ „გუგულები“. ახლა უარესი ხდება. წინა ხელისუფლებას რაღაცის შიში მაინც ჰქონდა, ამათ კი, სულ არაფრის ეშინიათ“.

„გავა დრო და ზაზა ამ ამბავს დიდი ტკივილით, მაგრამ მაინც იშვიათად გაიხსენებს. დარწმუნებული ვარ, ახლა ძალზე უჭირს, მომხდარს განიცდის. ვიცი, ძნელია, მაგრამ ღმერთმა ასე გადაწყვიტა და ალბათ, ზაზას ეს გზა უნდა გაევლო. უფლის ნებას კი ვერავინ შეცვლის“.

„ნათქვამია, ღმერთი ადამიანს იმდენ განსაცდელს მოუვლენს, რამდენის ატანაც შეუძლიაო. ჰოდა, ზაზამაც უნდა აიტანოს. ხომ გაუძლო იმდენ წამებას? ახლა პატარა დაბრკოლება აქვს გადასალახავი და მალე, ყველაფერს უკან მოიტოვებს“.

„მარი, მის ცოლზე არაფერს წერ. რატომ? მგონია, რომ ისინი ერთმანეთს გაშორდნენ. ყოველ შემთხვევაში, ეს ჯერ არსად ჩანს და ვნახოთ, შემდეგ თუ გამოჩნდება. ნუთუ, ინტუიცია მღალატობს?“

„გამარჯობა, ზაზა. მინდა, პირდაპირ შენ მოგმართო. გული არ გაიტეხო, კარგო ადამიანო. გავა დრო და გარეთ გამოხვალ. შენ თავიდან უნდა დაიწყო ცხოვრება, რადგან როგორც ჩანს, მთელი 11 წელია, რაც სასჯელს იხდი და ბევრი რამ დაგხვდება შეცვლილი. უნდა ივაჟკაცო და მოერგო დღევანდელობას. რას იზამ, ასეთი ყოფილა შენი ხვედრი“.

„მე ვიცნობ ზაზას დედას. ნეტავ გაჩვენათ, როგორი გაუბედურებული ქალია. მიატოვა სოფელი და ქალაქში ერთი ბეწო ოთახი იქირავა, რომ 2 „კაპიკი“ იშოვოს და შვილს არაფერი მოაკლოს. ყოველკვირა დადის ზონაში და მისთვის საჭმელი მიაქვს. დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე მუხლჩაუხრელად შრომობს. იცით, რას აკეთებს? ჟურნალ-გაზეთებს ყიდის და „კაპიკს“ „კაპიკზე“ „აწებებს“, რომ მთელი კვირის დანაზოგით ზაზას ერთი სადილი მოუმზადოს. ქალმა, რომელიც ლაგოდეხში დიდი პატივისცემით სარგებლობდა (ვეტერინარი იყო), ყველაფერი მიატოვა და შვილთან ახლოს გადმოსახლდა. კიდევ ერთ რამეს გეტყვით — ზაზა გასაჭირში მხოლოდ დედამ არ მიატოვა. დედის გული მაინც, სულ სხვაა“.

„რა ხდება, ხალხო? როგორც ჩანს, მართლაც ჩალით არის ქვეყანა დახურული. ნუთუ, ისე დამთავრდება ეს ამბავი, რომ ზაზა თავის სიმართლეს ვერ დაამტკიცებს? ნუთუ, ახალგაზრდა კაცს ცხოვრება დაუნგრიეს? 23 წლის ბიჭი, 2 შვილის მამა, როცა შვილებით უნდა ეხარა და ცხოვრება დაეწყო, მაშინ დაღუპეს... რა უსამართლობაა!.. სირცხვილი ქვეყანას, სადაც ასეთი ამბები ხდება“.

„აღშფოთებული ვარ იმით, რასაც წერთ. მარი, ან შენ გვატყუებ და ეს ყველაფერი ზღაპარია, ან ღმერთი არ არსებობს ქვეყნად“.

„ხომ ცხადზე ცხადია, რომ ზაზას საქმე თეთრი ძაფითაა ნაკერი. ნუთუ, არ მოიძებნა ერთი ადამიანიც კი, რომელიც ზაზას გვერდით დაუდგებოდა? სად წაუვლენ ღვთის სამართალს? ჩვენ ხომ ყველანი უფლის სამსჯავროს წინაშე წარვდგებით, უფალი კი არც პროკურორია და არც მოსამართლე, რომ მოისყიდო. არც მიქელ გაბრიელია ცრუმოწმე, რომ მოისყიდო და შენი ტყუილი უფალს დააჯერო...“

„ძალიან დამწყდა გული, რომ მოსამართლეს ახალგაზრდა შვილი მოუკვდა. იმ ბიჭმა რა დააშავა? მამის მაგივრად რატომ აგო პასუხი? სწორედ ამიტომაა, რომ სანამ რამეს ჩავიდენთ, მანამ ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ, რათა ჩვენი ცოდვები ჩვენსავე შვილებს არ მოეკითხოთ“.

„ახალგაზრდა ქალი ვარ. ჩემი ქმარი 7 წლის წინ დაიჭირეს. ახლაც მახსოვს ის შოკი, რომელიც მაშინ მივიღე, როცა პოლიციელები შინ მოვიდნენ, ჩემს ქმარს ბორკილები დაადეს და წაიყვანეს. კარგა ხანს ვერ მოვდიოდი გონს... ვერც ჩემმა ქმარმა დაამტკიცა უდანაშაულობა და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. დავრჩი 3 შვილით, მარტო. ჩვენ, ორივენი ბავშვთა სახლში გავიზარდეთ და ერთმანეთს იქიდან ვიცნობდით. არც ერთს არ გვყავდა მშობლები. შვილებს მარტო, სხვების დაუხმარებლად ვზრდიდით. ჩემი ქმარი მუშაობდა, მე კი შინ ვიყავი და ოჯახს ვუვლიდი. მისი დაპატიმრების შემდეგ, იძულებული გავხდი, მემუშავა. ძლივს ვიშოვე სამსახური: ერთ-ერთ ოფისში დამლაგებლად მოვეწყვე. ჩემს უფროსს რესტორანი ჰქონდა და ცოტა ხნის შემდეგ, იქ გადასვლა შემომთავაზა, ოფიციანტად. შესაბამისად, ანაზღაურებაც მეტი მექნებოდა. დავთანხმდი. იქ ერთი დაცვის ბიჭი გადამეკიდა. მეც მომწონდა, მაგრამ მეშინოდა, ეს ამბავი ჩემი ქმრის ყურამდე არ მისულიყო. ბოლოს, მაინც დავნებდი. როცა ჩემი ქმარი გათავისუფლდა, ვუთხარი, რომ ოფიციალური საყვარელი მყავდა. მაშინვე მიმატოვა და წავიდა. ახლა ისევ მარტო ვზრდი 3 შვილს. ჩემი ქმარი რომ არ დაეჭირათ, ოჯახი არ დამენგრეოდა. არ გაიხაროს მან, ვინც მე ასეთი განსაცდელი მომივლინა“.

■



**1995 წლის 29 დეკემბერს საკუთარ სახლში, შვილის დაბადების დღეს დააპატიმრეს პოლიციელი ზაზა ჩუთლაშვილი. ის მცხეთის პოლიციაში მიიყვანეს და იმავე ღამეს 2 ადამიანის მკვლელობაში წაუყენეს ბრალი. ზაზა ცდილობს, პოლიციელები დაარწმუნოს, რომ დამნაშავე არ არის, მაგრამ სამართალდამცველები მას საშინლად აწამებენ, რის შედეგადაც, მესამე დღეს მისგან აღიარებით ჩვენებას მიიღებენ. მკვლელობის მოწმე გახლავთ არასრულწლოვანი ნიკა ტატიშვილი, რომელსაც მოწმის სტატუსი ეჭვმიტანილის სტატუსით შეუცვალეს და დააპატიმრეს. ამასობაში, ზაზა კიდევ ერთხელ გაჰყავთ დაკითხვაზე, სადაც პირველად შეხვდება დედის მიერ აყვანილ ადვოკატს. უკან, საკანში დაბრუნებულს კი, ახალი თანამესაკნე ხვდება, რომელიც უკვე მე-3 „სროკზე“ მიდის. ზაზა მისგან იგებს, როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც ციხეში გადაიყვანენ. ახალი მეზობელი თავისი კრიმინალური ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდს უყვება. ამასობაში კი, გამომძიებელი ლაშა გულდედავა 2 ცრუმოწმის დაყოლიებას ცდილობს, რომ მათ ზაზას წინააღმდეგ მისცენ ჩვენება.**

*დასაწყისი იხ. „გზა“, №10*

*მარი ხაჟარიძე*

ჯერ ისევ ადრიანი დილა იყო, როდესაც ზაზას დედამ, ქალბატონმა ნათელამ ეზოს ჭიშკარი შეაღო. ხმაურზე მისი მეუღლე, გიორგი აივანზე გამოვიდა და როდესაც ცოლი დაინახა, მაშინვე კიბეზე დაეშვა, მომცრო ჩანთა ჩამოართვა და შინ შეიტანა. ოთახში შესულმა ნათელამ იქურობა მოათვალიერა. ყველაფერი ისევე დახვდა, როგორც დატოვა. ჩაიდანიც კი კვლავ ღუმელზე იდგა.

— რა ხდება, ჩვენი ბიჭის თავს, მშვიდობაა? — მოუთმენლად ჰკითხა გიორგიმ.

— ეჰ, რაღა მშვიდობაა, — ხელი ჩაიქნია ქალმა და თვალებიდან ცრემლი წასკდა.

— რა იყო, დავიღუპეთ? — ხელები უღონოდ ჩამოუცვივდა მამას.

— 2 კაცის მკვლელობისთვის დაიჭირეს.

— ეგ როგორ, კაცო, ზაზა ადამიანს როგორ მოკლავდა, მაგის დაკლული ქათამიც კი არ მინახავს, — სკამზე დაეშვა გიორგი და მასაც თვალები აუწყლიანდა.

— ეჰ... საქმეც მაგაშია, რომ მისი მოკლული არ არის, მაგრამ თავის სიმართლეს ვერ ამტკიცებს.

— ბიჭი ნახე? ელაპარაკე?

— არა, კაცო, ვინ შემიშვებდა მის სანახავად? პოლიციის შენობაში რომ შევედი, მაშინ შევხვდი, შემთხვევით, დაკითხვიდან გამოჰყავდათ. მოუკვდეს დედა, რა ნახა ჩემმა თვალებმა... ძლივს მოდიოდა, თავჩაქინდრული, გაწამებული... სახე დასივებული ჰქონდა... ძლივს ვიცანი ჩემი ბიჭი... — დედა ხმამაღლა ატირდა. გიორგიმ ძლივს დაამშვიდა.

— კარგი, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, გაირკვევა სიმართლე და ჩვენს ბიჭს ბოდიშსაც მოუხდიან, — ხმა უთრთოდა გიორგის და მის ნათქვამს დამაჯერებლობა აკლდა.

— გავიქეცი, რომ ახლოს მივსულიყავი და ჩავხუტებოდი ზაზას, მაგრამ პოლიციელმა დამიჭირა და უკან მომაბრუნა. ბიჭს შიმშილით კლავდნენ. მე რომ საჭმელი არ მიმეტანა, მაგის დარდი ვის ჰქონდა? ადვოკატიც ავუყვანე. ის ქალი მაიმედებს, რომ ყველაფერი გაირკვევა და სასამართლოზე ზაზა თავის სიმართლეს დაამტკიცებს, მაგრამ როდის იქნება სასამართლო? დედა მოუკვდეს... ეს რა ხათაბალაში გახვიეს... — გიორგი თავჩაქინდრული იჯდა და მხოლოდ ხანდახან თუ ამოიოხრებდა ხოლმე.

— მე ისევ უნდა წავიდე... ზაზას პატრონი სჭირდება. ნინოს 2 ბავშვი ჰყავს მოსავლელი და თან, პატარა გოგოა, ყველაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს.

— როდის უნდა წახვიდე? — ჩუმად, თითქმის ჩურჩულით იკითხა გიორგიმ.

— დღესვე... ნაწამები რომ არის, ამიტომ ადვოკატმა ექსპერტი მოითხოვა, მაგრამ იმ დასამიწებლებმა ზაზამდე არ მიუშვეს. ახლა ოთარაანთ ქვრივის არ იყოს, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და სანამ სამართალს არ ვიპოვი, მანამდე შინ არ დავბრუნდები.

— გუშინ სამსახურიდან მოგაკითხეს...

— რა მესამსახურება, კაცო... ცეცხლსაც დაუწვავს და მეწყერსაც წაუღია სამსახურიც და სახლ-კარიც.

ქალბატონი ნათელა პარლამენტის შენობის შესასვლელში იდგა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარესთან, სანდრო კავსაძესთან დაკავშირებას ტელეფონით ცდილობდა.

— ბატონ სანდროსთან მინდა შეხვედრა.

— ქალბატონო, შეხვედრა დანიშნული გაქვთ? — ჰკითხა მდივანმა.

— არა, მაგრამ ახლა დამინიშნეთ, თუ შეიძლება.

— ახლა ვერ დავნიშნავ, წინასწარ უნდა იყოთ ბატონ სანდროსთან შეთანხმებული.

— წინასწარ როგორ შევათანხმო, თუ თქვენ არ ეტყვით, რომ მასთან საუბარი მინდა?..

— რა ვიცი, ქალბატონო, მე მისი ნებართვის გარეშე საშვს ვერ დავუშვებ.

— მოახსენეთ, რომ ველოდები.

— ბატონ სანდროს ჯერ არ სცალია, — მოჭრილად უპასუხა ახალგაზრდა ქალის ხმამ და ყურმილი დაკიდა. ქალბატონი ნათელა განზბილებული იდგა, ყურმილი კვლავ ხელში ეჭირა და გონებაში სანდროსთან დაკავშირების ახალ გზას ეძებდა.

— ქალბატონო, თუ დარეკვას აღარ აპირებთ, მიმიშვით ტელეფონთან, თუ შეიძლება, — უცნობი მამაკაცის ხმამ გამოაფხიზლა. ყურმილი დაკიდა და უცნობს გზიდან ჩამოეცალა. მთელი დღის განმავლობაში იდგა პარლამენტის შენობის წინ და ფიქრობდა, რომ ადრე თუ გვიან, ბატონი სანდრო სამსახურიდან შინ წავიდოდა და სწორედ მაშინ შეეცდებოდა მასთან მისვლას და დალაპარაკებას. გვიან საღამომდე ელოდა, მაგრამ იმ დღეს, მისი ნახვა ვერ შეძლო. ვერც მომდევნო 3 დღის განმავლობაში დაუკავშირდა ადამიანის უფლებათა დამცველს. მდივან გოგონასაც გული გაუწყალა, მაგრამ ამაოდ. მეოთხე დღეს გაუმართლა. დილაადრიანად პარლამენ-

ტის შენობასთან მისულმა დაინახა, როგორ გადმოვიდა მანქანიდან ბატონი სანდრო. ქალბატონი ნათელა მისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა, წამოეწია და ვიდრე ის შენობაში შესვლას მოასწრებდა, შორიდან დაუძახა. ბატონი სანდრო შეჩერდა და უცნობ ქალბატონს შეხედა.

— ბატონო სანდრო, გვიშველეთ, ჩემი შვილი ჯალათების ხელშია და გადაარჩინეთ, უდანაშაულო ბიჭს მიკლავენ... მიშველეთ, თქვენი სიცოცხლის ჭირიმე, შვილს ნუ დამიღუპავთ.

— ქალბატონო, დამშვიდდით და ისე ამიხსენით, რა ხდება.

— უკვე 3 დღეა, უშედეგოდ ვცდილობ თქვენთან შეხვედრას. ძლივს მოვახერხე, აქ რომ შეგხვედროდით. მომისმინეთ, გთხოვთ...

— მოგისმენთ, ქალბატონო... რატომ არ დაუკავშირდით ჩემს მდივანს?

— ათასჯერ მაინც დავურეკე... ვერ შევასმინე ჩემი ვედრება, ბატონო სანდრო... არ სცალიაო, მეუბნებოდა.

— კარგით, წამოდით ჩემთან ერთად...

რამდენიმე წუთის შემდეგ, ქალბატონი ნათელა მას ტირილ-ტირილით უყვებოდა თავის გასაჭირს. ბატონმა სანდრომ აღელვებული ქალი დაამშვიდა და დახმარებას შეჰპირდა.

— ნეტავ, რომელი საათია? — გოგიტას ხმამ გამაღვიძა, მაგრამ გამოფხიზლება არ მინდოდა და არ ვუპასუხე. — ზაზა, გძინავს? — მაინც არ მომეშვა.

— ახლა უკვე აღარ. გამაღვიძე და როგორღა მეძინება?

— ძილისთვის უამრავი დრო გექნება, მაგაზე არ ინაღვლო. რომელი საათი იქნება? — გამიმეორა კითხვა.

— რა ვიცი, გეჩქარება სადმე? — გამეცინა.

— ადექი, ჩაი დავლიოთ...

— ოჰო, „დაჟე“, ჩაი უნდა დავლიოთ?

— აბა, რა! ახლა დავუკაკუნებ ბიჭებს და ადუღებულ წყალს მოვატანინებ, — თქვა და კარზე მუშტი მთელი ძალით დასცხო. ცოტა ხანში საკეტში გასაღები გაჩხაკუნდა და თავი ჩემთვის კარგად ნაცნობმა სულაძემ შემოყო.

— რა იყო, მოხდა რამე?

— შენა, ძმურად, „კიპიატოკი“ მოგვიტანე, რა...

— კარაქიანი პურიც გინდათ თუ მარტო „კიპიატოკი“ გეყოფათ? — უკბილოდ იხუმრა სულაძემ.

— გვეყოფა, — მოკლედ მოუჭრა გოგიტამ.

— ვა, ოფიციანტი გამოვგზავნო თუ მე მოგართვათ? — პოლიციელმა ისევ სცადა ხუმრობა. გოგიტამ ავად შეხედა და კბილებში გამოცრა:

— ბიჭო, შენ, რა ცუდად ხუმრობ... — ვიდრე კიდევ რამეს იტყოდა, სულაძე სასწრაფოდ გავიდა საკნიდან და კარი მოხურა.

— ეჰ, ვერ დავლევთ ჩაის... შაქარი მაინც არ გვქონდა, გული არ დაგწყდეს, — ვთქვი მე.

— ნახავ, თუ ვერ დავლევთ.

— გგონია, მოიტანს?

— კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ, რომ მოიტანს...

ცოტა ხნის შემდეგ, ისევ აჩხაკუნდა გასაღები და უცნობმა ტიპმა ჩაიდანი შემოიტანა. გოგიტამ ჭიქები მაგიდაზე ჩამოდგა. იმანაც, მდუღარე წყლით გაავსო. მერე ჯიბიდან რაღაც ქაღალდში შეხვეული ამოიღო, მაგიდაზე დადო და უხმოდ გავიდა. გოგიტამ ქაღალდი გახსნა. იქ შაქარი აღმოჩნდა.

— აი, შაქარიც გაიჩითა, ტო! — გაუხარდა გოგიტას. — ადექი, ადექი... პირი დაიბანე, „დუში“ მიიღე და ვისაუზმოთ.

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს... — ვთქვი და ძლივს წამოვდექი ნარიდან.

— ჰო, დაცინვას არა, მაგრამ ამათი დუბინკებით მკვდარი კი ბევრი მინახავს... — გაიცინა და შაქარი ორივე ჭიქაში თანაბრად გაანაწილა.

— ჩაი სად არის? — ვიკითხე გულუბრყვილოდ.

— რა იყო, შაქრიანი წყლის დალევას არ კადრულობ? — გადაიხარხარა გოგიტამ.

— არაფერი გვქონია, არც შაქარი, არც წყალი... მაგარი ოპტიმისტი ხარ.

— გარეთ 300 ათასი რომ გელოდებოდეს, შენც ოპტიმისტი იქნებოდი, — მითხრა და შაქრიანი წყალი მოხვრიპა. — უუფ, კარგია... დალიე, გათბები... — ხელები ცხელ ჭიქას შემოვაჭდე. სითბო მესიამოვნა. ცოტა ხანში ხელები გამითბა და ვიგრძენი, გაცხელებულმა სისხლმა როგორ მიიტანა სითბო სხეულის თითოეულ უჯრედამდე. მერე, ცხელი წყალიც მოვსვი.

— შენა და... პოლიციაში როგორ მოხვდი? — მკითხა გოგიტამ და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— სტუდენტობისას ქირით ვცხოვრობდი მეგობართან, გელა ლობჟანიძესთან ერთად, — დავიწყე მოყოლა. — მერე მან ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოში, სპეცდანიშნულების განყოფილებაში, თემურ მღებრიშვილთან დაიწყო მუშაობა. ჩვენ ძალზე ახლო მეგობრები ვართ. ჰოდა, მითხრა — ჩემთან წამოდი, თემური შენნაირ ბიჭებს ეძებსო. თავიდან შორს დავიჭირე, რადგან ვიცოდი, რომ ბევრი ცდილობდა მის განყოფილებაში მოხვედრას, მაგრამ ვერ ახერხებდა. — შენ მოდი და ნახავ, როგორც კი თემური გნახავს, მაშინვე მიგიღებსო. ერთ დღეს გელას სამსახურში გავყევი. ჩემდა გასაკვირად, თემურმა იმავე დღეს მიმიღო და მითხრა, რომ ყველა საჭირო საბუთი მიმეტანა. როცა საბუთებს თავი მოვუყარე, გასაუბრებაზე დემურ მიქაძესთან შემიყვანეს. მაშინვე დაადო რეზოლუცია ჩემს საბუთებს და მეორე დღესვე მათი თანამშრომელი გავხდი.

— ვააა... „ზნაჩიტ“, მოეწონე, ტო! სპეცოპერაციებზე მიდიოდი ხოლმე?

— აბა, რას ვიზამდი?

— ბევრი ხალხი დაიჭირე?

— არა, ბევრი არა. მალე წამოვედი იქიდან. თითქმის, სულ სამსახურში მიწევდა ყოფნა. მე კი თან ვსწავლობდი და ამისთვის დრო აღარ მრჩებოდა. სულ ვფიქრობდი, რომ როგორც კი უკეთესი სამსახური გამოჩნდებოდა, მაშინვე წამოვიდოდი იქიდან.

— მერე?

— მერე, ერთ დღეს ქალაქში მანქანით მივდიოდი და ჩემი თანამშრომელი, ჯუბა ჯიქურაული შემხვდა. მანამდე მას მხოლოდ გამარჯობით ვიცნობდი. ქუჩაში რომ დავინახე, მანქანა გავუჩერე და წაყვანა შევთავაზე. ვისაუბრეთ. ცოტა წავიწუწუნე იმის გამო, რომ მთელ დღეებს სამსახურში ვატარებდი და დრო არაფრისთვის მრჩებოდა. ჯუბასაც ჩემსავით, 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა და არც ის იყო წინააღმდეგი, სამსახურში ნაკლები დატვირთვა ჰქონოდა. მან მითხრა, რომ მცხეთის პოლიციაში ჰყავდა ახლობელი, რომელიც სამსახურის დაწყებაში დაგვეხმარებოდა, მაგრამ ვინაიდან მანქანა არ ჰყავდა, თავად გაუჭირდებოდა იქ მუშაობა. მე შევთავაზე, რომ თუ საქმეს ჩააწყობდა, ორივე ჩემი მანქანით ვივლიდით. დამთანხმდა. 4 თუ 5 ნოემბერი იყო, როდესაც პირველად ავედით მცხეთაში და მისი ნათესავი ვნახეთ.

— ვა, „ზნაჩიტ“, მკვლელობის მერე, არა?

— ჰო, მკვლელობა 25 ოქტომბერს მომხდარა, მე კი მცხეთის პოლიციაში 20 ნოემბრიდან დავიწყე მუშაობა. აქ 5 დღეში ერთხელ მიწევდა მორიგეობა და თავისუფალი დროც მეტი მქონდა.

— აბა, რა უნდოდათ? რატომ გაგაფუჭეს? — გაოცებისგან ხელები გაშალა გოგიტამ. ამ დროს კარი გაიღო და სულაძე გამოჩნდა.

— ჩუთლაშვილო, დაკითხვაზე გეძახიან. — წამოვდექი და ნელი ნაბიჯებით გავემართე კარისკენ. დასაკითხ ოთახში გამომძიებელი და ადვოკატი დამხვდნენ. საერთო სალამი ვთქვი და ნანას ხელი ჩამოვართვი, ლაშას გამოწვდილ ხელს კი თვალი ავარიდე და ჩემთვის განკუთვნილ სკამზე დავჯექი.

— ზაზა, ახლა მოწმეები უნდა მოიყვანონ ამოსაცნობად, — მითხრა ნანამ. თავი დავუქნიე. ცოტა ხანში ოთახში ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა. ვიცანი. ის მცხეთის პოლიციის თანამშრომელი იყო, რომელიც აქ მუშაობის პერიოდში რამდენჯერმე მყავდა ნანახი. სახელიც გამახსენდა — გოჩა. ლაშა თავჩარგული იჯდა, რაღაცას გაფაციცებით წერდა. ნეტავ, ამას რაღა უნდა-მეთქი? — გავიფიქრე.

— დაჯექი, — ისე უთხრა ლაშამ გოჩას, რომ თავი არ აუწევია. კარგა ხანს წერდა. მერე, ჯერ მე შემომხედა, მერე — გოჩას.

— ეს არის? — ჰკითხა და თავით ჩემზე ანიშნა.

— კი, ეს არის, — დასტური მისცა მან.

— ვინ ვარ? — ვიკითხე გაოცებულმა.

— ვინ ხარ და მკვლელი, შენ დახოცე ის ხალხი. მე დავინახე, რომ შენ იყავი, — მითხრა და თვალი ამარიდა.

— ვინ ხალხი, ბიჭო, შენი დედა... გაგიჟდი? რა დაინახე, შენი... — გინების კორიანტელი დავაყენე და ფეხზე წამოვხტი. მინდოდა, ყელში ვწვდომოდი ამ ნაბიჭვარს და მომეხრჩო. ნანამ გამაჩერა. ლაშაც ფეხზე წამოხტა. ხმაურზე გარედან პოლიციელებიც შემოცვივდნენ. რომ მივეშვით, ალბათ ორივეს ერთმანეთზე შევახეთქებდი და სულს გავაცხებინებდი, მაგრამ ხელებზე ბორკილები მედო და უძლური ვიყავი. ცოტა ხანში დავმშვიდდი და როცა ყველაფერი გავიაზრე, ენა ჩამივარდა. ადამიანი ხელს მადებს და მიმტკიცებს იმ დანაშაულს, რომელიც არ ჩამიდენია. ნეტავ, რის ფასად დავთანხმდებოდი ასეთ ტყუილზე? ალბათ, არაფრის ფასად. აქამდე კიდევ ვეჭვობდი, რომ რაღაც ეშლებოდათ და იმიტომ მაბრალებდნენ დანაშაულს, მაგრამ ამ ამბის მერე დავრწმუნდი, რომ არაფერიც არ ეშლებოდათ და მე თავიდანვე განწირული ვიყავი.

— კი, მაგრამ აქამდე სად იყავი? როცა დაინახე, რომ ის ადამიანები დავხოცე, რატომ მაშინვე არ თქვი ეს ამბავი? მე ხომ მიცნობდი? ხომ იცოდი, რომ შენი თანამშრომელი ვიყავი? მოსულიყავი და 26, 27, 28 ოქტომბერს გეთქვა — ჩვენმა თანამშრომელმა, ზაზა ჩუთლაშვილმა ტყეში ადამიანები დახოცა და დავინახეო. რატომ აქამდე არ თქვი? პოლიციელი ხარ, ეს როგორ შეგეშალა? მანქანის ნომერი არ დაიმახსოვრე? — კითხვები დავაყარე გოჩას. გამომძიებელმა და ნანამ ერთდროულად შეხედეს მოწმეს. ის დაიბნა: ხან მარჯვნივ გაიხედა, ხან — მარცხნივ.

— თქვა, როგორ არ თქვა, ჩვენს თანამშრომელს, ნუკრი გაგაძეს უთხრა, მაგრამ სამწუხაროდ, ნუკრი ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა. მკვდარს კი ვერ დავკითხავთ, — უცებ მოძებნა გამოსავალი გამომძიებელმა და ჩემს შეკითხვებზე პასუხი გოჩას თავიდან აარიდა.

— მერე, რატომ მაშინვე არ დამიჭირეთ?

— იმიტომ, რომ მას ნუკრისთვის მკვლელის ვინაობა არ უთქვამს, მხოლოდ მკვლელობის ფაქტის შესახებ უამბო.

— ეს გარდაცვლილმა გითხრათ? — იკითხა ნანამ.

— არა, თავად გოჩამ.

— კი, მაგრამ მკვლელის ვინაობა რატომ დამალა? მხოლოდ ახლა რატომ ამბობს ამას? როდის მოგცათ მან პირველი ჩვენება? — ლაშამ საქაღალდეში დაიწყო ქექვა და ცოტა ხანში იქიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო. ეს იყო გოჩა ლაბაძის დაკითხვის ოქმი, რომელიც წინა დღით იყო დათარიღებული და ამბობდა: მკვლელს ხელში თოფი ეჭირა. კარზე დააკაკუნა და როგორც კი კარი გაუღეს, მაშინვე ესროლა დაბლიდან მაღლა. — ნანამ დაკითხვის ოქმი წაიკითხა და გვერდზე გადადო.

— კი, მაგრამ დაბლიდან მაღლა რატომ ესროლა? — ლაშამ ისევ ჩარგო თავი საქაღალდეში და კიდევ ერთი ფურცელი ამოიღო.

— აი, ეს გახლავთ სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ტყვია დაბლიდან მაღლაა ნასროლი იმ იარაღით, რომელიც თავად მოკლულს ეკუთვნოდა.

— საინტერესოა, რა სიმაღლის იყო მოკლული? — იკითხა ნანამ.

— 175 სანტიმეტრი. ეს რა შუაშია?

— რა შუაშია, ბატონო ლაშა და იქნებ, ტექნიკური თვალსაზრისით ახსნათ, როგორ შეიძლება, 2 მეტრი სიმაღლის კაცმა თოფით მოკლას 175 სანტიმეტრი სიმაღლის კაცი, როგორც თქვენ ამბობთ — „ქვევიდან ზევით“?

— ასე თქვა ექსპერტმა და მაშ, იტყუებიან?

— ექსპერტი კი არა, თქვენ იტყუებით, ბატონო ლაშა, — აუღელვებლად უპასუხა ნანამ.

— ხომ გაიგონე, შენი ყურით, რომ მოწმემ ამოიცნო?

— კი, ჩემი ყურით გავიგონე, მაგრამ ეგ მოწმეც თქვენი „შეკერილია“ და მისი ჩვენებაც. — მთელი ამ ხნის განმავლობაში გოჩა ჩუმად იჯდა. ბოლოს, ძლივს ამოილუღლუღა: წავალ, თუ შეიძლებაო. ლაშამ ამოცნობის ოქმზე ხელი მოაწერინა და გაუშვა.

— სულაძეს უთხარი, ქალბატონი ეთერი შემოიყვანოს, — მიაძახა კართან მისულს. ორიოდე წუთის შემდეგ კარი მოხუცმა ქალბატონმა შემოაღო და მოწიწებით შემოვიდა.

— შეიძლება, უფროსო?

— მობრძანდით, ქალბატონო ეთერ, — ფეხზე წამოდგა ლაშა. ქალი იმ სკამზე დაჯდა, სადაც ცოტა ხნის წინ გოჩა იჯდა. — ქალბატონო, ამ ახალგაზრდას იცნობთ? — მიუთითა ჩემზე.

— არა, შვილო, არ ვიცნობ.

— დარწმუნებული ხართ, რომ არასოდეს გინახავთ?

— ჰო, შვილო, კარგი გარეგნობის ახალგაზრდაა და რომ მენახა, არ დამავიწყდებოდა.

— თქვენ ხომ თქვით, რომ სოფელში ამოვიდა ყვითელი ჟიგული, რომლის მძღოლმაც გიორგი სიხარულიძის ადგილსამყოფელი იკითხა.

— კი, ნამდვილად დავინახე უცხო მანქანა, რომელიც შორიდან მოდიოდა. ახლოს რომ მოვიდა, გააჩერა და მძღოლმა გიორგის მისამართი მკითხა, მაგრამ ეს ის ბიჭი არ არის. ტყუილს ვერ ვიტყვი. აბა, ადექი ფეხზე, შვილო, — მე მომმართა ქალბატონმა ეთერმა. წამოვდექი. — უი, არა, შვილო, არა, ის კაცი ასეთი მაღალი არ იყო. ეს ლერწამივით ბიჭია, ის კიდევ, სიმაღლით ამის ნახევარი თუ იქნებოდა. ნამდვილად არ იყო ეს ბიჭი. დანამდვილებით გეტყვით, რომ ამ ყმაწვილს პირველად ვხედავ.

— კარგი, დეიდა, ახლა აქ ხელი მოაწერე და თავისუფალი ხარ, — თითი დაადო ოქმის ბოლოს გამომძიებელმა.

— ახლა, რაღას იტყვით? — ჰკითხა ნანამ, როდესაც მოხუცი კარს მიეფარა.

— ამას რა დაეჯერება, ვერ ხედავ, ერთი გამოჩერჩეტებული მოხუცია...

— და თუ იტყოდა, რომ ზაზა იყო ის კაცი, რომელიც მან ნახა, მაშინ ხომ იქნებოდა დასაჯერებელი?

— კარგით, რა, ქალბატონო ნანა, შარზე ხართ?

— მე ვარ შარზე, არა?

— ნუ ვიდავებთ იმაზე, რაც დღესავით ნათელია. ზაზა დამნაშავეა. ეს მეც ვიცი და თქვენც. ახლა კიდევ ერთ მოწმეს შემოვიყვანთ და ვნახოთ, ის რას იტყვის.

— ვიდრე მოწმეს შემოიყვანდეთ, ერთ რამეს გკითხავთ.

— კი, ბატონო, ბრძანეთ.

— რატომ არ დევს საქმეში მღებრიშვილის უწყებიდან მოსული საბუთი, სადაც წერია, რომ ჩუთლაშვილი 25 ოქტომბერს ფილარმონიის დაცვაში იყო?

— თქვენ საიდან იცით, რომ ასეთი საბუთი არსებობს? — დაიბნა ლაშა.

— ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ვიცი. ასეთი საბუთი მე არ მინახავს. ის ჩემამდე არავის მოუტანია.

— რადგან თქვენ არ გინახავთ, მაშინ მე მოგცემთ, — ნანამ ჩანთიდან ორად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და ლაშას გადასცა. ამ საბუთზე თემურ მღებრიშვილის ხელმოწერაა. იმედია, დამაჯერებელი იქნება თქვენთვის და იმის იმედიც მაქვს, რომ არ დაკარგავთ. თუმცა, მე კიდევ მაქვს...

— როგორ გეკადრებათ, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა გამომძიებელმა.

— ახლა კი შეგიძლიათ, შემდეგი მოწმე გამოიძახოთ და ვნახოთ, რას გვეტყვის.

კიდევ ერთი მოწმე ნიკა ტატიშვილი აღმოჩნდა. ამ ადამიანს უკვე მეორედ ვხვდებოდი. პირველად, დაკავებიდან მეორე ღამეს ვნახე, როცა ჯალათებმა ჩემი წამება ცოტა ხნით შეწყვიტეს და ეს ახალგაზრდა შემოიყვანეს. მაშინ მან თქვა, რომ არ მიცნობდა. საინტერესო ის იყო, რას იტყოდა ახლა.

— მოდი, ნიკა. აი, აქ დაჯექი, — მიუთითა ლაშამ იმ სკამზე, რომელიც ჩემ პირდაპირ იდგა. ნიკა მორიდებით დაჯდა.

— აბა, იცნობ ამ კაცს? — ნიკამ შემომხედა, მერე ლაშას შეხედა, იატაკს დახედა და კითხვას პასუხი ისე გასცა, რომ თავი არ აუწევია.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



ფოტოზე მარცხნივ „მათე ბიჭი“

**დღეს სამართალდამცავ სტრუქტურებში უამრავი ქალი თანამშრომლობს. მაგრამ მაშინ, როცა ჩემმა რესპონდენტმა ბავშვობის ოცნება აისრულა და პოლიციელი გახდა, თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. ის ხანდაზმულთა პანსიონ „სავანეში“ სტუმრობის დროს გავიცანი. როდესაც მოხუცები საკუთარ თავგადასავალს მიყვებოდნენ, ჩემ უკან იდგა და შევამჩნიე, რომ ტიროდა. მათ მონათხრობზე მისი ემოცია ბუნებრივად ჩავთვალე, მაგრამ როდესაც მითხრა — წლების წინ, თემურ მღებრიშვილის სპეცრაზმში ვმუშაობდი და ბიჭებთან ერთად ოპერაციაზეც გავსულვარო — ცოტა გაკვირვებული დავრჩი...**

**ორი დღის შემდეგ, კვლავ შევხვდით ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ალბომიდან რამდენიმე ფოტოს დაბეჭდვაზე უარი არ მითხრა, ვინაობის გამხელა არ ისურვა, მთხოვა „მათე ბიჭი“ დამიძახე, სპეცრაზმშიც ყველა ასე მიცნობდაო.**

# ქართველი გოგონა სპეცოპერაციაზე,

## ქურთუკში დამალული ყვავილები და შაქარყინული „მათე ბიჭისთვის“

*თამუნა კვინიკაძე*

— პოლიციელობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. 1996 წელს ოცნება ავისრულე, თემურ მღებრიშვილმა თავის რაზმში მიმიღო, მაშინ 20 წლის ვიყავი.

— **ოჯახში როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?**

— ჩვეულებრივად, ჩემს არჩევანს პატივი სცეს. მათთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა.

— **20 წლის გოგონასთვის სპეცრაზმის წევრობა ძნელი არ აღმოჩნდა?**

— არანაირად. იმდენად მიყვარდა ჩემი საქმე, რომ რთულად არ მიმაჩნდა. ჯერ უფროსი ლეიტენანტი ვიყავი, შემდეგ — უფროსი ინსპექტორი.

— **ალბათ ფიზიკური მომზადება წინასწარ გქონდა გავლილი...**

— სპეცრაზმში რომ ჩავირიცხე, იარაღის ხმარება და მასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანიც შევისწავლე. თითოეულ გაკვეთილს მონდომებითა და დიდი ინტერესით ვუსმენდი, რადგან იარაღი ძალიან მიყვარს, ერთადერთს, დანას ვერ ვიტან. შემდეგ იქ ყოველდღე ბიჭებთან ერთად ვვარჯიშობდი, გვასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა შევსულიყავით ოჯახში, აგვეყვანა დამნაშავე, როგორ ავსულიყავით მაღალ სართულებზე, როგორ ჩამოვსულიყავით თოკით და ა.შ.

— **როგორც ვიცი, მაშინ თქვენ ერთადერთი გოგონა იყავით, ვინც სპეცოპერაციაში მიიღო მონაწილეობა.**

— 2005 წელს, როდესაც სპეცრაზმის ხელმძღვანელად კახა ნაკანი დაინიშნა, ბიჭებთან ერთად მეც ვმონაწილეობდი სპეცოპერაციაში. ის განცდა ახლაც მახსოვს. არანაირი დაბნეულობა ან საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვება არ მიგრძნია, ძალიან მიხაროდა, საქმის შესრულება რომ მომანდვეს.

— **რა ხდებოდა იქ? კონკრეტულად თქვენ რა გევალებოდათ?**

— ასაყვანები იყვნენ და ავიყვანეთ. მიუხედავად იმისა, რომ რთული ოპერაცია იყო, ერთდროულად სამი პიროვნება — მამა და ორი შვილი უნდა დაგვეკავებინა. ოპერაციას წარმატებით გავართვი თავი. იმის თქმა, თუ რა მევალებოდა კონკრეტულად მე, ცოტა რთულია. თუ ფიქრობთ, რომ როგორც ქალს, რაიმე შეღავათი მექნებოდა, ცდებით. არანაირი განსხვავება არ იყო, როგორც რიგით სპეცრაზმელს, ყველაფერი მეც მევალებოდა.

— **ოპერაციის დროს კაცის მოკვლას შეძლებდი?**

— *(ფიქრობს)* რთული კითხვაა. ღმერთმა დამიფაროს ამ დიდი ცოდვისგან, მაგრამ პოლიციელი ზოგჯერ ფაქტის წინაშე დგება. არ ესვრი? — შეიძლება, თვითონ გესროლოს, ისე, რომ ხელიც არ აუკანკალდება და სიცოცხლეს გამოგასალმებს. ასეთი ფაქტის წინაშე თუ აღმოვჩნდებოდი, ალბათ მოვკლავდი, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილისთვის ყველა მეცოდება.

— **შეცოდების გრძნობა თუ გაგიჩნდა ოპერაციის დროს, როცა მთელი ოჯახი აიყვანეთ?**

— არ გამჩენია. ვიცი, რომ ისინი იმსახურებდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, არ დაიჭერდნენ.



გვყავდა პატარა დათვის ბელი, მას ვუვლიდით, ყოველ დილით შაქარმოყრილ კარაქიან პურს ვაჭმევდით

— **თქვენ ხომ ყოველდღიურად ოპერაციაზე გასვლა არ გიწევდათ. როგორი იყო სპეცრაზმელის ერთი ჩვეულებრივი დღე?**

— ყოველი დღე ვარჯიშით იწყებოდა. მოდუნებისა და უსაქმოდ ყოფნის უფლება არ გვქონდა. თავდაპირველად, ცვლის უფროსად ვმუშაობდი. ღამე სამნი ვმორიგეობდით. ბაზა ორთაჭალაში გვქონდა, დროის დიდ ნაწილს იმ ბაზაზე ვატარებდით. გვყავდა პატარა დათვის ბელი, რომელიც გულუას სპეცრაზმიდან იყო წამოყვანილი, მას ვუვლიდით, ყოველ დილით შაქარმოყრილ კარაქიან პურს ვაჭმევდით.

— **ბიჭები საჩუქრებით არ განებივრებდნენ?**

— 8 მარტს ყვავილები მოჰქონდათ და თან ქურთუკებში მალავდნენ...

— **„მათე ბიჭისთვის“ შაქარყინული არ მოჰქონდათ?**

— *(იცინის)* როგორ არა! ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ალეკო მიქაბერიძე შაქარყინულს ხშირად მიგზავნიდა.

— **დღეს თუ გაქვს მათთან ურთიერთობა?**

— დიახ. ვმეგობრობთ. მიუხედავად იმისა, რომ 2 წელია, რაც პოლიციიდან წამოვედი.

— **არ გქონდა სურვილი, პოლიციელობა გაგეგრძელებინა?**

— არა. არ მინდოდა, სპეცრაზმიდან პატრულში წავსულიყავი.

— **რატომ, დამცირებად მიგაჩნია?**

— არანაირად. უბრალოდ, დავიღალე და აღარ მინდოდა.

— **ოჯახის შექმნას არ აპირებ?**

— ჯერჯერობით, არა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შეყვარებული არ ვარ. არც არასოდეს მყვარებია, 9 აპრილს 32 წლის გავხდი. მიცვალებულების დღეს ვარ დაბადებული, როგორც ერთმა ნაცნობმა მითხრა, 10 წელიწადში ერთხელ უწევს, როცა 9 აპრილი მიცვალებულების დღეს ემთხვევა. შეიძლება ითქვას, რომ ცოტა უცნაური და რთული ხასიათი მაქვს. პოლიციაში წესრიგს მივეჩვიე. უწესრიგობას ვეღარ ვეგუები, ხასიათს მიფუჭებს.

— **როგორ მოხვდი სერიალში — „ყავა და ლუდი“?**

— სერიალის ერთ-ერთი ეპიზოდი ჩვენს განყოფილებაში გადაიღეს. იყო ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც მიშა გომიაშვილის გმირისთვის ვინმეს ყავა უნდა მიეტანა. ამ ეპიზოდისთვის შემარჩიეს და გადამიღეს.

— **სპეცრაზმის შემდეგ ხანდაზმულთა პანსიონატ „სავანეში“ მუშაობ, როგორ მოხვდი აქ?**

— ტელევიზიით რეკლამა ვნახე და მოვედი. მუშაობა დირექტორის კონსულტანტად დავიწყე. პანსიონატში საოცრად კარგი მოხუცები არიან. ყოველ დილით სახლიდან გამოსვლას ვჩქარობ, რადგან ვიცი, რომ იქ მელოდებიან. ■

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი **კოტე გაბაშვილი** პირველია სახელისუფლებო გუნდიდან, ვინც „ერუდიტის“ რუბრიკაში სტუმრობაზე უარი არ გვითხრა. როდესაც მას პირადად შეხვედრისას ეს ამბავი ვაცნობე, გაიღიმა — ხედავ, როგორი გაბედული აღმოვჩნდიო! — მცირე პაუზის შემდეგ კი, მკითხა — სხვები რატომ ამბობენ უარს, ეშინიათო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მოგვინდვია...

როგორც ბატონმა კოტემ მითხრა, კითხვა 5 წლის ასაკიდან დაუწყია. კითხულობდა მაშინაც კი, როცა მშობლებს ეგონათ, რომ ეძინა. წიგნები ლეიბის ქვეშ მქონდა დამალული, როდესაც „დამაძინებდნენ“, უფროსების ოთახიდან გასვლისთანავე, გამოვიღებდი და ფანჯრიდან შემოსული ქუჩის განათების შუქზე ვკითხულობდიო. ცნობილი ინგლისელი რეალისტის, ჰენრი ფილდინგის გამონათქვამს — „ცუდ წიგნსაც ისევე შეუძლია ადამიანის გაფუჭება, როგორც ცუდ მეგობარს“, — ეთანხმება. ამავე დროს მიიჩნევს, რომ არსებობს წიგნები, რომელსაც წაკითხვისთანავე ივიწყებ; კარგი წიგნები კი შენში რჩება, რაღაც საკითხებზე გაფიქრებს და გემოვნებას გიყალიბებს.

# ბნელ ოთახში ფანჯრიდან შემოსული ქუჩის განათების შუქზე წაკითხული წიგნები



## „ამის არცოდნა სირცხვილია“

**თამუნა კვინიკაძე**

**— ედმონდი ამბობდა, რომ ცივილიზაციის ისტორია 8 სიტყვით გამოითქმის. რომელია ეს 8 სიტყვა?**

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ალბათ ამ რვიდან ერთ-ერთი — „სიყვარული“ იქნება.

**— არა, ბატონო კოტე. ეს სიტყვებია: „რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო მეტი შეგიძლია“. ცნობილია, რომ კეთილხმოვანებას ეიფონია ჰქვია. რა ჰქვია არაკეთილხმოვანებას?**

— კაკოფონია.

**— მას, დიდებულ პიანისტს, თავმდაბალ მუსიკოსს და პატრიოტ ემიგრანტს უწოდებდნენ. იგი რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს მუსიკოსად მიაჩნდათ, მაგრამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. მისი ყოველი გამოსვლა მილიონად ფასობდა. მიუხედავად ამისა, კონცერტებზე მუდამ ერთი და იგივე ფრაკი ეცვა. რომელ მუსიკოსზეა ლაპარაკი?**

— *(ფიქრობს)* არ მახსოვს.

**— სერგეი რახმანინოვზე.**

— რახმანინოვის თქმა მინდოდა, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი და თავი შევიკავე.

**— რამდენი ზოლი და ვარსკვლავი აქვს ამერიკის დროშას?**

— ვიცი, რომ 51 ვარსკვლავი აქვს. ზოლებს ვერ გეტყვით.

**— 13 ზოლი. რა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ამ რიცხვებს?**

— მართლა 13-ია? აბა, დავთვალო *(და კაბინეტში არსებულ ფოტოზე ზოლების თვლა დაიწყო. — ავტ.)* მართალი გითქვამთ — 13 ზოლია. ამ რიცხვს რა სიმბოლური დატვირთვა აქვს, არ ვიცი, მაგრამ 51 რომ შტატების რაოდენობას ნიშნავს. ამის თქმა შემიძლია.

**— ბატონო კოტე, 13-იც შტატების რაოდენობას ნიშნავს.**

— ეგ როგორ იქნება?

**— თავდაპირველად, როცა აშშ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, 13 შტატისგან შედგებოდა. ახლა მითხარით, ოთახში, სადაც 50 სანთელი ანთია, თუ 20 სანთელს სულს შეუბერავთ და ჩააქრობთ, რამდენი დარჩება?**

— რამდენი დარჩება და 50.

**— რატომ ჩქარობთ, ბატონო კოტე?**

— შეცდომით ვთქვი? აბა, რამდენი დარჩება?

**— 20 სანთელი, რომელსაც ჩვენ ჩავაქრობთ — 30 ხომ ჩაიწვება. შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ. მისი ტექნიკური მახასიათებლები ასეთია: საწყისი სისწრაფე წამში 12 მეტრი, ფრენის სიმაღლე — 14 მეტრი, ფრენისთვის ცეცხლსასროლი იარაღის პრინციპს იყენებს. რა არის?**

— ვერ გეტყვით.

**— შამპანურის საცობი. იქნებ ის მაინც გაიხსენოთ, ცნობილი გამოთქმის მიხედვით, შამპანურს ვინ ვერ სვამს?**

— ის, ვინც არ რისკავს.

**— თქვენ ხშირად რისკავთ?**

— ანუ შამპანურს ხშირად ვსვამ თუ არა (*იცინის*)?.. ზომიერად.

**— რა ჰქვია ბრინჯის არაყს?**

— საკე.

**— ნამდვილად ასეა. რას გვასწავლის პითაგორა: „ცხოვრების სუფრაზე დაჯექ და...“**

— „...ნუ დანაყრდები“.

**— ცდებით, ბატონო კოტე: „ცხოვრების სუფრაზე დაჯექ და ნუ დაეყრდნობი“.**

— ცუდი მეხსიერება მაქვს. უკვე მერამდენედ ვერ გიპასუხეთ...

**— დამშვიდდით, ჯერ ხომ ყველაფერი წინ არის. ტალეირანის გამონათქვამს თუ დაასრულებთ: „ზოგიერთი თანამდებობა ციცაბო კლდეს ჰგავს. ან არწივი უნდა იყო, რომ აფრინდე, ან...“**

— „...ქვემძრომი, რომ აცოცდე“.

**— ვისი სახელიდან წარმოდგება სიტყვა „ნიკოტინი“?**

— პიროვნების, რომელმაც პირველად შემოიტანა თამბაქო ევროპაში.

**— გერმანული სტატისტიკის მიხედვით, ყოველი 10 ამ ნივთიდან ერთი გამოიყენება საქმისთვის, დანარჩენი კი — მხოლოდ დროის მოკვლაში გვეხმარება.**

— (*ფიქრობს*) ვერ ვხვდები, რა უნდა იყოს.

**— ეს ნივთი გახლავთ კომპიუტერი.**

— ამ სტატისტიკურ მონაცემს არ ვეთანხმები. 10 კომპიუტერიდან 5-ზე მეტს საქმისთვის იყენებენ.

**— თქვენი ნებაა. ყველაზე ტკბილი და ყველაზე მწარე, ზოგჯერ ხმალზე უკეთესადაც რომ ჭრის, რა არის?**

— სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, ხმალზე უკეთესად ენა ჭრის.

**— ავტორი, რომელიც საკუთარ ვინაობას საიდუმლოდ ინახავს?**

— ანონიმი.

**— რომელი სპორტული თამაში გამოიგონა კანადელმა ჯეიმს სმიტმა?**

— ფრენბურთი.

**— მან კალათბურთი გამოიგონა. იქნებ გაიხსენოთ, რამდენი მოთამაშეა მოედანზე კალათბურთის მატჩის დროს?**

— 5.

**— მეტი არა?**

— რამდენი მოთამაშეა მოედანზე? 10! რა დამაბნეველ კითხ-

ვებს მისვამ!..

— **ეს მცენარე კარგად ხარობს საქართველოში და ფართოდაც გამოიყენება. ევროპაში ის XVI ს-ში გავრცელდა. იქიდან კი, მოგვიანებით, ჩვენთანაც შემოვიდა.**

— კარტოფილი.

— **ისინი, თვით ადამიანის არსებობას უზრუნველყოფენ, ამიტომაც ჰქვია ასეთი მაცოცხლებელი სახელი. რაზეა ლაპარაკი და რომელ ანბანს იყენებენ მსოფლიოში მის სახეობათა აღსანიშნავად?**

— თუ არ ვცდები, ვიტამინებზე უნდა იყოს ლაპარაკი, მის სახეობებს კი, ლათინური ანბანით ასხვავებენ.

— **ნამდვილად ასეა. რა აქვს საერთო ადამიანის ზედა კიდურსა და ვაზს?**

— მტევანი.

— **ეს სახელგანთქმული მხატვარი უმეტესად, წითელ ვენახებს და ყვითელ მზესუმზირებს ხატავდა, გინესის რეკორდების წიგნში კი მოხვდა პორტრეტით — „ექიმ გაშეს პორტრეტი“. ვის ეკუთვნის ტილო და რატომ მოხვდა იგი გინესის წიგნში?**

— ტილო ნამდვილად ვან გოგს ეკუთვნის. გინესის წიგნში ალბათ იმიტომ მოხვდა, რომ ყველაზე ძვირად ღირებული იყო.

— **თქვენი პასუხი სწორია. ხომ ვერ გაიხსენებთ, ვის მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგი“?**

— არ ვიცი.

— **კარგი, მეორე მინიშნებას მოგცემთ: ეს პიროვნება ავტორია გამოთქმისა: „ჯერ არც ერთი ცოდვა არ შემხვედრია, რომ შესაფერ გარემოებაში მეც არ ჩავიდინო“.**

— მაინც ვერ გიპასუხებთ.

— **გოეთე. რას უწოდებდა იგი ისეთ ადამიანებს, „ვისაც პოეტის ხმა გულს არ უძგერებს“?**

— კრეტინს.

— **ცდებით. ასეთ ადამიანს ბარბაროსს უწოდებდა. თქვენ გიყვართ პოეზია?**

— განა შეიძლება, ქართველ კაცს პოეზია არ უყვარდეს?

— **„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება...“**

— *(მაწყვეტინებს)* „...თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“.

— **ვის ეკუთვნის ეს სტროფი?**

— ვაიმე!!! ვერ ვიხსენებ. არადა, ამის არცოდნა სირცხვილია.

— **ვაჟა-ფშაველას. რა გვარი იყო ტერენტი გრანელი?**

— კვარაცხელია. წარმოშობით წალენჯიხიდან იყო.

— **ცდებით. იგი კვირკველია იყო. რომელმაც პოეტმა თქვა — „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას ულელი“?**

— ტიციან ტაბიძემ.

— **რა ერქვა თავსაფრიან დედაკაცს?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— **ბატონო კოტე, მისი სახელი...**

— (*მაწყვეტინებს*) მარიამი, მარიამი ერქვა.

— **მას სახელი საერთოდ არ ჰქონდა.**

— ხომ გითხარით, ცუდი მეხსიერება მაქვს.

— **„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, ილხინე, ივერთ მხარეო, და შენც, ქართველო, სწავლითა, ქვეყანა გაახარეო“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?**

— სტალინს.

— **ტუბერკულოზით დაავადებული ეს კომპოზიტორი პარიზში გარდაიცვალა და იქვე პერლაშეზის სასაფლაოზეა დაკრძალული. მისი გული კი, მისივე ანდერძის თანახმად, ვარშავაში გადაიტანეს და წმინდა ჯვარის ეკლესიის ერთ-ერთ სვეტშია დატანებული.**

— ეს კომპოზიტორი გახლდათ შოპენი.

— **დიახ. ვაგნერი არავის აძლევდა მისი ნაწარმოებების კრიტიკის უფლებას. ერთადერთი, რომელზეც აკრძალვა არ ვრცელდებოდა, პეპსი იყო. თქვენი აზრით, როგორ გამოხატავდა ის უკმაყოფილებას, თუ კომპოზიტორის ახალი შედევრი რატომღაც, თვალში... უფრო სწორად „ყურში არ მოუვიდოდა“?**

— პეპსი ვაგნერის ძაღლი იყო და უკმაყოფილებისას, ყეფდა.

— **რა ჰქვია 5 პიროვნებისგან შემდგარ მუსიკალურ ჯგუფს?**

— კვინტეტი.

— **დიდი ინგლისელი დრამატურგი და პოეტი უილიამ შექსპირი კიდევ იყო...**

— მკერავი.

— **მკერავი იყო თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მსახიობი რომ იყო და სცენაზე თამაშობდა, ნამდვილად ვიცი.**

— დიახ, სცენაზე საკუთარი შეკერილი ტანსაცმლით გამოდიოდა.

— **რომელ ქვეყანაშია ქალაქი შანხაი?**

— ჩინეთში.

— **პულსს ცერა თითით რატომ არ ზომავენ?**

— ალბათ იმიტომ, რომ ცერა თითს ნაკლები შეგრძნება აქვს.

— **არა, ბატონო კოტე, მას თვითონ აქვს პულსაცია.**

— პულსაცია ყველა თითს აქვს. ისე, ცერა თითზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა: კაცი მივიდა ექიმთან დაეუბნება — ექიმო, სადაც კი ცერა თითს დავიდებ, ფეხზე, გულთან, თავზე, — ყველაფერი მტკივაო. — აბა, მაჩვენე შენი თითიო, — უთხრა ექიმმა. პაციენტმა ხელი გაუწოდა და... თურმე ცერა თითი გატეხილი ჰქონდა და იმიტომ სტკიოდა.

— **რა მაგის პასუხია და, კერძის დეგუსტირებისას, რატომ არის აუცილებელი, რომ დეგუსტატორი მაძღარი იყოს?**

— იმიტომ, რომ მშიერ კაცს ყველაფერი გემრიელი ეჩვენება და ვერ გაიგებს, კერძს რაიმე აკლია თუ არა. ხომ იცით ქართული ანდაზა: „როცა გშია, ზაქარია, შავი პურიც შაქარია“.

— **მე ვიცოდი, რომ „ცივი მჭადიც შაქარია“...**

— შავ პურზე აღმოსავლეთ საქართველოში ამბობდნენ, მჭადზე — დასავლეთში...

— **ხომ ვერ მეტყვით, როგორ ისჯებოდა სპარტაში აღმზრდელის მიერ დასმულ შეკითხვაზე მოუფიქრებელი პასუხის გაცემისთვის აღსაზრდელი?**

— არ ვიცი, ალბათ, რაღაც საშინელებას დამართებდნენ.

— **აღმზრდელი მას ცერა თითზე ჰკბენდა.**

— ეგ რა უცნაური წესი ჰქონიათ...

— **რა განსაზღვრავს კუს კვერცხებიდან გამოსაჩეკი პატარების სქესს?**

— არ ვიცი. რამ უნდა განსაზღვროს?

— **ტემპერატურამ: მაღალ ტემპერატურაზე მდედრები იჩეკებიან, შედარებით დაბალ ტემპერატურაზე — მამრები.**

— ასეთი რამ პირველად მესმის.

— **ასე ჰქვია ხის თასსაც და უდაბნოსაც...**

— გობი.

— **სად მდებარეობს გობის უდაბნო?**

— აფრიკაში.

— **ისევ აჩქარდით, აფრიკაში საჰარის უდაბნო მდებარეობს და არა გობის.**

— მართალს ამბობთ, გობის უდაბნო მონღოლეთშია.

— **„ცოლი გერმანიაში დიასახლისია, ინგლისში — ბატონი, საფრანგეთში — მანდილოსანი, იტალიაში — ტყვე, იაპონიაში კი — მხევალი“. ვის ეკუთვნის ეს გამონათქვამი?**

— არ ვიცი.

— **პინდე მონტეს. მის გამონათქვამს გავაგრძელებ და გკითხავთ — საქართველოში?**

— საქართველოში — ჟურნალისტი ან პოლიტიკოსია...

— **რა ჰქვია შურისძიების ქალღმერთს ძველბერძნულ მითოლოგიაში?**

— ნემეზიდა.

— **ეს ქვეყანა ევროპის უდიდეს სახელმწიფოდ მიიჩნევა. მის შემადგენლობაში შედის კუნძული გრენლანდია.**

— დანია.

— **დაასრულეთ კანტის ცნობილი გამონათქვამი: „ორი რამ ავსებს ჩემს სულს საკვირველებით — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და...“**

— ეს გამონათქვამი კანტის საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი.

— **როგორ მთავრდება იგი?**

— „...მორალური კანონი — ჩემში“.



განა შეიძლება, ქართველ კაცს პოეზია არ უყვარდეს?



**ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, აგნესა ისევ ამღერდა. მის შემოქმედებაში სიახლეებია. მას გადაწყვეტილი აქვს, შოუბიზნესში ისევ აქტიურად ჩაებას და საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინოს. რატომ არ დადის ის თბილისურ ღამის კლუბებში, რა უქმნის დისკომფორტს და რა გეგმები აქვს სამომავლოდ — ამ კითხვებზე პასუხს მისივე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# „სიყვარულის" თემას ბოლომდე მაინც ვერ ავცდით..."

## რას გაურბოდა აგნესა ლექს–სენთან „გონკაობისას"

სოფო ჭონიშვილი

**— აგნესა, საკმაოდ დიდი შემოქმედებითი პაუზა გქონდა, სად იყავი და რას საქმიანობდი?**

— გეთანხმები, რომ საკმაოდ დიდი პაუზა გამომივიდა, მაგრამ ეს მთლად ჩემი ბრალი არ არის, შოუბიზნესშია პაუზა. ყველაფერი გაჩერებულია, არაფერი ხდება. ქალაქიდან ვიყავი წასული. ახლა ჩამოვედი და გადავწყვიტე, ჩემს შემოქმედებაში რაღაც სიახლე შევიტანო, გავაქტიურდე... დუეტის ჩაწერა გადავწყვიტე, რაც ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ვახერხებდი.

**— რატომ? ხელს რა გიშლიდა?**

— ჩემი, ასე ვთქვათ, კარიერის დასაწყისში, დუეტის ჩაწერას, რომელიმე ცნობილ მომღერალთან, საზოგადოება ცუდად გაიგებდა: შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ვიღაცის ხარჯზე ვცდილობდი პოპულარობის მოპოვებას. დღეს უკვე ამის პრობლემა ნამდვილად აღარ მაქვს, მიმაჩნია, რომ ჩემს შემოქმედებას საზოგადოება, საკმაოდ კარგად იცნობს.

**— რაღა მაინცდამაინც ლექსსენთან გადაწყვიტე დუეტის ჩაწერა?**

— ლექსოსთან დუეტის ჩაწერა დიდი ხანია, მინდოდა. მიმაჩნია, რომ მას რაღაც განსხვავებული და საინტერესო სტილი აქვს. არ ვამბობ, რომ სხვა ქართველი რეპერები ცუდები არიან, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში, რომელიმე მათგანთანაც ჩავწერო დუეტი. ლექსო მეგობრული პრინციპით არ ამირჩევია. კლიპის გადაღებამდე, მასთან უბრალოდ, როგორც კოლეგასთან, ისეთი ურთიერთობა მქონდა.

**— ტექსტის ავტორი ვინ არის?**

— თვითონ ლექსოა.

**— შინაარსი ერთად დაგეგმეთ თუ მთლიანად ლექსოს მიანდვე?**

— შინაარსი ერთად დავგეგმეთ. ჩემი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ტექსტი სიყვარულზე არ ყოფილიყო. ყველა ჩემს სიმღერაში, ხან სიყვარულს ველოდები, ხან — ბედისწერას, ხან კიდევ — ნატვრის ახდენას. მოკლედ, დავიტანჯე... რაღაც განსხვავებული მინდოდა და გამოვიდა კიდეც, თუმცა სიყვარულის თემას ბოლომდე მაინც ვერ ავცდით, მაგრამ ამ შემთხვევაში სიყვარულზე ნაკლებადაა აქცენტი გაკეთებული.

**— შეგიძლია, მოკლედ გვითხრა, კლიპში რა ხდება?**

— კლიპში გამოყენებულია ორი ავტომობილი: „ბე-ემ-ვე" და „აუდი", რომლითაც მე და ლექსო ერთმანეთს დათქმულ ადგილამდე მისვლაში ვეჯიბრებით. ამ შემთხვევაში იქამდე მისვლა, მიზნამდე მისვლას გულისხმობს. კლიპის გადაღებისას მთავარი აქცენტი იმაზე იყო გადატანილი, რომ კლიპი ლამაზი და ეფექტური გამოსულიყო.

**— კლიპის რეჟისორი ვინ არის?**

— რეჟისორი — რამაზ ჩაჩანიძეა, პროდიუსერი და კლიპის სცენარის ავტორი — ნიკა ხომასურიძე.

**— გადაღებები სად მიმდინარეობდა?**

— სხვადასხვა ადგილას ვიღებდით: თბილისის ზღვა, „აუდის" ცენტრი, სასტუმრო „ვარაზი" და აეროპორტის ტრასა, რომელიც „საგონკაოდ" გვჭირდებოდა.

**— „გონკაობა" არ გაგიჭირდა?**

— გაგიმხელ, რომ დუბლიორი მყავდა: ჩემი ძმა დავსვით, ავტომობილს კარგად ატარებს.

**— რამდენადაც ვიცი, ამ კლიპში ცეკვავ კიდეც...**

— ყოველთვის მინდოდა, ისეთი კლიპი გადამეღო, სადაც სიმღერასთან ერთად, ვიცეკვებდი კიდეც. ვცეკვავ „არემბიას" სტილში, რომელიც სპეციალურად ამ კლიპის გადაღებისთვის შევისწავლე. სიმართლე გითხრათ, ცოტა გამიჭირდა იმ მხრივ, რომ საკმაოდ ჩქარი ცეკვაა. ამ სტილში ცეკვა, ძალიან მომეწონა, ამიტომ გადავწყვიტე, სწავლა კიდევ გავაგრძელო და კარგად დავეუფლო.

**— როგორც ვიცი, ხშირად დადიხარ რუსეთში. ხომ არ აპირებ, შენი კარიერა იქ გააგრძელო?**

— რუსეთში, კერძოდ, სამარაში მამაჩემი ცხოვრობს და წელიწადში ორჯერ მაინც მიწევს იქ ჩასვლა. ყველა ჩემი კლიპი, ერთის გარდა, იქ არის გადაღებული, იქაური ტელეარხების ეთერში ტრიალებს კიდეც. რაც შეეხება იქ კარიერის გაგრძელებას, თუკი რაიმე სერიოზული შემოთავაზება მექნება, აუცილებლად გავემგზავრები. იქ ყოფნის პერიოდში, მიწვევები მქონდა სხვადასხვა კლუბიდან, კონცერტებზეც გამოვდიოდი. ნებისმიერ დროს შემიძლია იქ ჩავიდე და დავრჩე, მაგრამ თბილისის გარეშე ვერ ვძლებ. მეგობრები, ნათესავები იქაც ბევრი მყავს, მაგრამ მაინც...

**— რუსული ცხოვრების სტილიდან, რა არის შენთვის ყველაზე ახლობელი?**

— ალბათ თავისუფლება. თავისუფლებაში, რა თქმა უნდა, გარყვნილებას არ ვგულისხმობ. თბილისისგან განსხვავებით, იქ სხვისი ცხოვრება არავის აინტერესებს, ყველა საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. შესაბამისად, არანაირ დისკომფორტს არ გრძნობ. მაგალითად, თბილისში ყოფნისას ღამის კლუბებში არასოდეს მივდივარ.

**— რა განსხვავებაა იქაურ და თბილისურ ღამის კლუბებს შორის?**

— მათ შორის, დიდი განსხვავებაა. როცა იქ კლუბში მიდიხარ, მართლა ერთობი, არ ხარ დაძაბული, რომ ვიღაც აგიშარდება, მით უმეტეს, როცა მამაკაცის გვერდით ხარ — ანუ იქაურ კლუბებში თავს ყველანაირად კომფორტულად გრძნობ. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი; ცნობილი დიჯეები ჰყავთ, რომლებიც გემოვნებიან მუსიკას გთავაზობენ...

**— კლიპის გადაღების დასრულების შემდეგ, რა გეგმები გაქვს?**

— პაუზის გაკეთებას აღარ ვაპირებ. გადაღებების დასრულების შემდეგ, ორი ახალი სიმღერის ჩაწერას და სინგლის გამოშვებას ვაპირებ.

**— როგორ ფიქრობ, გათხოვება და ოჯახის შექმნა ქალს ხელს უშლის პროფესიონალურ წინსვლაში?**

— გააჩნია, როგორი მეუღლე გყავს. თუ ისეთი ადამიანი გეყოლება გვერდით, რომელიც შენს წარმატებებზე, მომავალზე იფიქრებს, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. ოჯახიც გექნება და შენს საქმესაც კარგად გააკეთებ.

**— შენს მეუღლეზე რას იტყვი?**

— *(იცინის)* რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, მას თან მოსწონს ჩემი პოპულარობა და წარმატება, თან — არა, მოკლედ — ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. მთავარი, ურთიერთგაგება და პატივისცემაა, თბილი და ტკბილი სიტყვით ყველაფრის მოგვარება შეიძლება.

**— დაბოლოს: ახალ კლიპს როდის ვიხილავთ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, ალბათ, ძალიან მალე.



M K



# „ის ცრემლი ვარ, რომელიც შენს თვალებში იბადება და ტუჩებზე კვდება"...

**რეპერი ბაბეს სახელზე მოსული „ესე-მესების" გამოქვეყნებას, მისი ერთ-ერთი ფანის მესიჯით დავიწყებ. „ბაბე მართლაც კარგი საპატარძლოა. დღესდღეობით, ასეთი უნაკ-ლო გოგონები სანთლითაა საძებნი. უნაკლო-ში მხოლოდ მის გარეგნობას არ ვგულისხ-მობ, მთავარი ხომ ადამიანის სულიერებაა"... — ბაბეს მისამართით, მსგავსი შინაარსის ბევრი მესიჯი მოვიდა. უბრალოდ, შინაარსო-ბრივი მსგავსების გამო, ყველას გამოქვეყნე-ბა საჭიროდ არ მივიჩნიეთ. ახლა კი, მის სახელზე მოსულ „ესემესებს" გაეცანით.**

*სოფო ჭონიშვილი*

„იცი, ოცნებას ძალიან ჰგავხარ,/ შენ ერთადერთი იმედი მყავხარ,/ დანახვის დღიდან გულში მიზიხარ,/ ეს საოცარი, ნეტავ, ვისი ხარ? სიო".

„რომ გაწვიმდება, იგრძნობ სისვე-ლეს,/ აგითრთოლდება როცა ტუჩები,/ რომ გაგიყუდები მონატრებისგან,/ მოვ-ალ მაშინ და ჩაგეხუტები. მის ბელურა".

„ჩვენ ჩვენს ამხანაგობაში,/ მე მგონია, არავინ გვიმტრობს,/ მეტ-ნაკლებად ყვე-ლა იცნობს/ რატი ხაჩიკიან კრიპტონს. იქნებ, გეცნოს ეს ლექსი და ამით მაინც მიხვდე, ვინც ვარ".

„ქუჩაში მივდივართ, მარტო ჩვენ, ორნი,/ გზას გვინათებენ ლამპიონები,/ ვიღაცამ ლამპიონს ესროლა ქვა,/ სინა-თლე ჩაქრა და გაკოცებ, რა..."

„მთვარიანი ღამე, მე შენ და ზღვა,/ ტალღების ხმა და არავინ სხვა./ მენატრები და იცი, რა,/ მინდა გითხრა, რომ... აუ, ვერ გეტყვი, რაა!"

„ბაბე, თინეიჯერი აღარ ვარ, მაგრამ რეპი ძალიან მიყვარს. შენც ძალიან მომწონხარ, გემოვნებიანი და შესაძლოა, ბევრისთვის მიუწვდომელიც იყო, მა-გრამ მე მაინც მაქვს იმის იმედი, რომ ერთმანეთს მალე გავიცნობთ. რეპის მოყ-ვარული, 23 წლის კოლია".

„სენსაციური არსება და ყველანაირ-ად დადებითი ადამიანი ხარ. გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს. ქეთი-ჯერი".

„საოცრად ძლიერი ენერგიის პატრო-ნი ბრძანდები, ჰიპ-ჰოპის დედოფალო. ლამაზი არსება ხარ, ლამაზი სულით. ჯერი".

„შენზე ფიქრში თუკი თვალი მენაბე-ბა,/ თუ შენს ნახვას ველოდები სიხარუ-ლით,/ ამიხსენი, რა დავარქვა მე ამ გრძნობას,/ მონატრება, ოცნება თუ სიყ-ვარული?.."

„მე ის ცრემლი ვარ, რომელიც შენს თვალებში იბადება, ლოყაზე ცხოვრობს და ტუჩებზე კვდება".

„ღამდება. ვრჩები ფიქრებთან მარ-ტო/ და ჩემს ოცნებას ღრუბელი ახრ-ჩობს,/ მინდა, რომ გნახო, გითხრა, რომ გნატრობ,/ მიყვარხარ, შენთვის ვარსე-ბობ მარტო".

„მენატრები ისე, როგორც არავინ,/ ნეტა, სადმე მედგას ერთი კარავი,/ ქურდი ვიყო, ოცნებების მპარავი,/ მოვიდოდი, ჩუმად მოგიპარავდი".

„რა ლამაზი ტან-ფეხი გაქვს/ ან რა სახე,/ სურათიდან შემიყვარდი,/ თვალ-წარმტაცო, ჩემო ბაბე. მუკობაზიერი".

„მინდა გითხრა, რომ მოდელობა უფრო მოგიხდებოდა. შეეცადე, ჩემი რჩევა გაითვალისწინო. გიჟი როკერი".

„პრივეტ, ბაბე. რა ლამაზი ხარ, სიხ-არულო. თავისუფალი რომ ვიყო, ცო-ლად მოგიყვანდი. სამწუხაროდ, შეყვარე-ბული მყავს. გაგა, ქუთაისი."

„ბაბე, მე მარი ვარ, 15 წლის. რეპი ძალიან მიყვარს და ამის გამო, სკოლა-ში ქამელიონი შემარქვეს. შენი გაცნობა მინდა. მიყვარს რეპერები, განსაკუთრე-ბით კი, შენ. იქნებ, შემომეხმიანო და პირობას გაძლევ, არ შეგაწუხებ. ქამე-ლეონი".

„თუ ვერ გითხარი, რაც გულში მქონ-და,/ თუ ვერ გაგიღე ოცნების კარი,/ ბაბე, იცოდე, უთქმელი გული,/ ყველაზე უფრო გულწრფელი არის. გეორგი".

„ჩემი რომ იყო, მოფერებით დაგა-ძინებდი,/ ჩემი რომ იყო, დილით კოც-ნით გაგაღვიძებდი,/ ჩემი რომ იყო, მუდამ გვერდით მეყოლებოდი,/ ჩემი რომ იყო, არასოდეს მიგატოვებდი. ბაბეს, თიანეთელი ბიჭებისგან".

„ერთი უშენო ღამეც გავიდა,/ მე შენ-თან ყოფნა ისევ მომინდა,/ უთვალავ კოცნას გიგზავნი შორიდან,/ ერთი მო-მწერე, შენამდე მოვიდა?"

„ძალიან მინდა, ჩემ გვერდით შენნაი-რი ქალი იყოს, რომელსაც ცივ ნიავს არ მივაკარებდი, მისი ბედნიერებისთვის ყველაფერს გავაკეთებდი. ბაბე, მიყვარხარ, ჩემო სიხარულო".

„შენზე უიმედოდ შეყვარებული ვარ. კარგი ბიჭი კი გახლავარ, მაგრამ... შენი მისამართი რომ ვიცოდე, ყოველ დილ-ით, კართან ძალიან ლამაზ თაიგულს დაგიტოვებდი. მართლაც, უნაკლო ქალი ხარ".

„არ გინდა, ცხოვრებაში ბედნიერი იყო? — ალბათ, როგორც ყველა ქალი, ქალურ ბედნიერებაზე შენც ოცნებობ. ამიტომ, როცა არჩევანის გაკეთება მოგი-წევს, კარგად დაფიქრდი. კარგი გოგო ხარ და ცუდს ნამდვილად არ იმსახ-ურებ".

„ეჰ... ჩემო ბაბე, შენისთანა გოგო მარტო არ იქნება. რა ბედი მაქვს, რა, ვინც მომეწონა, ყველა დაკავებულია. დათო, 19 წლის".

*P.S. შემდეგ კვირას რუბრიკა „სასი-ძოში" „ჯერობარელ" ბესო სარჯველაძეს იხილავთ. მის თაყვანისმცემლებს საშუ-ალება გეძლევათ, გამოეხმაუროთ თქვენს რჩეულს ნომერზე: 8(98) 23.09.21.*

■


სტომატოლოგიურ კლინიკებში
ქართველ სტომატოლოგებთან ერთად მოგემსახურებათ
უცხოელი სპეციალისტი ა. მაკარატი
გთავაზობთ კბილის ათეთრებას და რესტავრა-ციას თანამედროვე მასალებით:
1. CHARMAFIL-ის უნივერსალური შუქით ბჟენები (პლომბები)
2. პროთეზების მზადდება ევროპული სტანდარტებით და მეთოდებით. კბილის დახშვა (დაპლომბვა) 10 ლარიდან.
3. სიახლე!
ევროპის უახლესი მოდა - ბრილიანტის თვლების მიმაგრება კბილზე.

პაციენტების მიღება მხოლოდ წინასწარი ჩაწერის შემდეგ
ტელ.: (822) 45 03 75; 877 41 58 54; 893 27 37 81

# მესამე ზედმეტია



**დედის გიჟური სიყვარული და ძირს გეომეტრიული ფიგურები ანუ მეორემ მესამე პირველის ქვეშ დაინახა**

„მარი, რა მაინტერესებს, იცი? გთხოვ, აუცილებლად მიპასუხე. ამბობ, ათასამდე მესიჯი მოდისო. ამდენ მესიჯს სულ შენ კითხულობ? ეგ ხომ შეუძლებელია. თან, ხომ უნდა ამოწერო?“ — მსგავს შეკითხვას ბევრი მკითხველი მისვამს. ბევრ თქვენგანს აინტერესებს, რა მოდელის ტელეფონი მაქვს, ამდენ მესიჯს რომ იტევს. თავდაპირველად გეტყვით — 1000 კი არა, 2 ათასამდე მესიჯი მოდის. ყველას მე ვკითხულობ. ტელეფონი კი, ისეთი მაქვს, რომელიც 10 ათას მესიჯს იტევს. მართალია, ვწვალობ, მაგრამ როგორც თქვენ გიყვართ თქმა: „გზავნილები“ მსხვერპლს მოითხოვს... თუმცა, ზოგიერთი მკითხველი არას დაგიდევთ ჩემს წვალებას, „ტყვილაუბრალოდ“ მდებს ბრალს და აი, ასეთ მესიჯს მწერს: „მარი, მოკლედ, შენი ფანტაზიების უკვე თავად გჯერა. საინტერესოა, ენამოჩლექით როგორ მოგწერეს მესიჯი? და თუ მართალია ეგ ამბავი, ის ბავშვი მთელ მსოფლიოს უნდა გააცნო. ორიოდე წლის ბავშვი ლათინურ ანბანში რომ ერკვევა...“ მინდა გითხრათ, მკითხველს არასოდეს ვატყუებ და ეს მესიჯი, რომელიც წინა „გზავნილების“ შესავალში დაიბეჭდა, მართლაც მივიღე და მეგონა, მკითხველი მიხვდებოდა, რომ ის ოთიკოს დედიკოს გამოგზავნილია... ურწმუნო მკითხველების „გულის გასახეთქად“ კიდევ ერთ წერილს გაგაცნობთ, რომელიც ამჯერად, ელ ფოსტით მივიღე და სურათიც ჰქონდა დართული: „მარიორიტა, ხომ ლამაზი ბიჭი ვალ? ალ მოგეჭონე? მე სენ ჯალიან მიკალქალ... მეც მინდა, ჩოლიშ მოყვანა და კალქი გოგო გამაჩანი, ლაა... ცოტნე“... ასე რომ, ქართველმა პატარებმა არა მარტო მობილურით სარგებლობა და ლათინური ანბანი იციან, არამედ, კომპიუტერსა და ინტერნეტსაც შესაშურად ფლობენ და ასეთ პატარა ასაკში, „დაჟე“, ცოლის მოყვანაც კი უნდათ. აგერ, ცოტნეს სურათი და გაიცნოს, ბატონო, მსოფლიომ, ცუდი ჯენტლმენია თუ რა? თანაც, იქნებ, საცოლეც გამოუჩნდეს...



## ხუანი ზედმეტია

„უამრავი ბიჭი მიმესიჯებს და მირეკავს. თან ისეთი ბიჭები, რომ ავ თვალს არ ენახვებიან, მაგრამ რად გინდა? გული ისეთი გაყინული მაქვს.... რა ვიცი, გაზაფხულს ველოდები, იქნებ გამითბეს... ერთხელ ჩემს ტელეფონზე მესიჯი მოვიდა: „თიკო, ჩემო შავთვალა გოჭუნია, დაივიწყე ყველა და ყველაფერი და დღეს ცოლად გამომყევი. „ფარული ვნების“ ხუანი. იმდენი ვიცინე, ძლივს მომასულიერეს. ხუან, გეტყვი, რომ ზედმეტი ხარ ჩემთვის. ჩემზე მაგარი გოგონები დადიან ქალაქში. გაიხედე ფანჯრიდან. ჭიტააა... კეტრინ ზეტა ჯონსი“.

## დაბნეული

„მთელი 3 წლის განმავლობაში მყავდა შეყვარებული და სულ რაღაც 2 თვეა, რაც სხვა გოგოს მიზეზით დავშორდი. როდესაც მესამეს არსებობა გავიგე და დაშორება ვცადე, მეფიცებოდა, შენ მიყვარხარ, ცოლად გამომყევიო, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან ვფიქრობდი, რომ ისინი მერეც გააგრძელებდნენ ურთიერთობას. ახლა, ჩემთან დაშორების შემდეგ, მას შეურიგდა. ძალიან ცუდად ვარ და არ ვიცი, რა გავაკეთო. ვიცი, რომ ვუყვარვარ, მაგრამ თავს ზედმეტად ვგრძნობ. მირჩიეთ, რა ვქნა?“

## მატყუარა

„ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით და მერე, თქვენ განსაჯეთ, მესამე და ზედმეტი რომელია. ჩემი დაქალი შეყვარებულს იმის გამო დაშორდა, რომ ის ბიჭი სხვა გოგოსთან დადიოდა. 9 თვის მერე ისევ შერიგდნენ — ჩემი სულელი დაქალი დააჯერა, იმ გოგოს დავშორდიო. ახლა გავიგე, რომ ასე არ არის და იმ გოგოს ისევ ხვდება. მოკლედ, ისეთი ჩახლართული სიტუაციაა, ვერ გაიგებს კაცი, მესამე და ზედმეტი რომელია. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ჩემს დაქალს სჯერა, რომ შეყვარებული დაიბრუნა და ის გოგოც სამუდამოდ დაავიწყა. აი, ასე... მარიუტა“.

## რომელია ზედმეტი?

„მე და ერთი ბიჭი ვძმაკაცობდით და ერთი გოგოს ნომერი მივეცი — იმ გოგოსი, რომელიც მე მომწონდა. ძალიან „მიტყდებოდა“ დარეკვა და... მერე, გაიცნო ის გოგო და მოეწონა. მითხრა: არ ვიჩხუბოთ, ეგ გოგო დამითმეო. კინაღამ იქვე მოვკალი — ხომ არ უბერავ-მეთქი? მარი, ახლა შენ გეკითხები, არაა ის მესამე ზედმეტი? ლუციფერ“.

## ესა, მესა, გადის ესა...

„რამდენიმე წლის წინ შეყვარებული მყავდა. ის ბიჭი ერთ გოგოსაც უყვარდა და რადგან მასთან ახლო ურთიერთობა მქონდა, დამიმარტოხელებდა და მთელი ხმით მოთქვამდა, რომ ძალიან უბედური იყო, დათო ყურადღებას რომ არ აქცევდა... მოკლედ, იმდენი გააკეთა, შეყვარებული დამათმობინა. 15 წლის, სულელმა გოგომ საყვარელი მამაკაცი სხვას გადაუულოცე. მაშინ მეგონა, ზედმეტი მე ვიყავი და არა ის გოგო. 2 თვის წინ ვნახე დათო, ქუჩაში შემხვდა, გამიღიმა და მითხრა: თუ ძველებურად მოიქცევი, იცოდე, რომ შენს კუთვნილ ადგილს ვერასოდეს დაიკავებო... დღემდე მარტო ვარ, რადგან მგონია, მესამე და ზედმეტი ვარ. ტატუსია“.

## კარგია, მაგრამ ბავშვიანი

„ეჰ... აღარც სიყვარულის მჯერა და აღარც — კაცების. ყველანი ერთნაირები არიან. პატარა ვიყავი, ერთმა გადარეულმა ცოლად რომ წამიყვანა და მალევე დავშორდი. ახლა, მეც კაცს ვზრდი. „პაკლონიკები“ არ მაკლია,

მაგრამ ისეთ ადამიანს ვერ შევხვდი, ვისაც ჩემი შვილიც ეყვარება და მეც ან სადედამთილო რომ არ დამიწუნებს: კარგი გოგოა, მაგრამ ბავშვიანიაო. რა „ტეხავს“, არა? მეც მაგრად „გამიტყდა“. ნუთუ, 19 წლის გოგო შინაბერად დავრჩები? უკომპლექსო ქართველები აღარ არიან? ბავშვი ხომ ანგელოზია! მის ქეთუშკა“.

## ზავი

„მე და ჩემმა ქმარმა ერთმანეთი მაშინ გავიცანით, როცა თავის პირველ ცოლთან ჯერ გაცილებული არ იყო, მაგრამ აპირებდა (ქმრის სიტყვებია). მოკლედ, დარჩა მისი პირველი ცოლი განზე, ორ შვილთან ერთად და მისი სახით მოსისხლე მტერი შევიძინე. სამწლიანი „ომის“ შემდეგ დავზავდით და ახლა, თითქმის მეგობრები ვართ. მისი შვილები ჩემი საყვარელი „მზითვია“, რაც მეუღლისგან მერგო. ეს ასე იმიტომ მოხდა, რომ ჩემი „მეგობარი“ მიხვდა, მესამე ზედმეტია! მაპატიე, ჩემო „მესამევ“, იმედია, აღარ ბრაზობ ჩვენზე. ირიშა“.

## საწყალი ტატუსია

„2 წლის წინ, აგვისტოს ერთ ლამაზ დღეს პაემანზე წავედი და თან ჩემი საუკეთესო დაქალი გავიყოლე. მან და ჩემმა შეყვარებულმა ერთმანეთს უცებ გაუგეს (მანამდე



ერთმანეთს არ იცნობდნენ) და თავი ისე ვიგრძენი, თითქოს, ისინი იყვნენ შეყვარებულები, მე კი ვიღაც მესამე გახლდით. 1 კვირის შემდეგ გაიპარნენ. დღეს მათი შვილის ნათლია ვარ. დაქალი მაინც არ დავკარგე, თუმცა ყოველთვის, როცა იმ დღეს ვიხსენებ, მეტირება. ტატუსია“.

## მიხვედრილები

„პრივეტ“, მარი. გოგო, გადავირიე, რა! ქოქი-ქალმა არ დამასწროოოო?! მე უნდა მომეწერა! მეც მაგას ვფიქრობ, ქოქი-ქალო, რომ მარის დიდი სიურპრიზი სწორედ ჟურნალი ჟურნალში იქნება. ნეტავ, მართლა ვოცნებობთ? ჰაა? არა, არა, ნამდვილად ასე იქნება, იმიტომ, რომ ბევრი უმესიჯებს მარიკოს. მარი ზოგჯერ გვახარებს, ზოგჯერ „ლომკაში“ გვაგდებს. ამიტომ ყველა რომ გაგვახაროს, ასეთი რაღაც გამოიგონა. მარი ხომ გენიოსია გამოგონებაში. დააკვირდით, „მესიჯომანია“ რომ არ გამოეგონებინა, ამდენი დაბალი, მაღალი, გამხდარი, მსუქანი, მწვანე და თაფლისფერთვალება გოგო-ბიჭი ხომ ვერ გაიცნობდა ერთმანეთს? დარჩებოდნენ შინაბერებად და ბერბიჭებად, ნევროზიანებად და „დეპრესიონერებად“. მარ, მოდი, „მესიჯომანიას“ „გვეშველა“ დავარქვათ, მგონი მაინც მასეა და... მონასტრის გოგო“.

## ერისთავის შეცდომა

„ეჰ... ის გოგო შემიყვარდა, რომელიც ჩემს ძმაკაცს სიგიჟემდე უყვარდა. მე კი ბევრი ვიფიქრე, თავს დიდხანს ვებრძოლე, მაგრამ ბოლოს ველარ მოვითმინე და ვუთხარი, რომ მიყვარდა. მერე ისიც ვუთხარი, რომ ჩემს ძმაკაცს არასოდეს ჰყვარებია. სწორედ ჩემი ტყუილის წყალობით ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. გავიდა ხანი და ყველაფერი გაირკვა. იმ გოგომ შემიზიზღა და ჩემი დანახვაც არ უნდა. ამ ორისთვის მე ვიყავი ზედმეტი. ქუთაისელო მარი სვანიძევ, იმედი მაქვს, ოდესმე მაპატიებ. მართლა გულწრფელად ვნანობ. ლევან ერისთავი“.

*ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.*

## ცინცხალი შეყვარებული

„მე რომ კაცი მიყვარს, მას ცოლიც ჰყავს, ცოლის დონის საყვარელიც, წარსულიდან შემორჩენილი და უამრავი ერთჯერადი ლამაზმანიც. დებილი ვარ ალბათ, მაინც მისი ერთი მოფერება რომ მირჩევნია სხვის ძაღლურ ერთგულებას, მაგრამ სიყვარული მართლა აბრმავებს თურმე, ადამიანს“...

„ჩვენ სამში ერთ-ერთი ზედმეტია. მითხარი, წახვალ თუ წავიდე?“ მარი, ჩემთვის და ჩემი შვილისთვის ზედმეტი მისი ტირანი მამიკო იყო. ჰოდა, ადგა და წავიდა. ახლა წყნარად ვართ, ორივე“.

„ახლა ხუთშაბათია. „გზა“ „გადავაბულბულე“. რა მოითმენს იქით ხუთშაბათამდე? აუუუ, ჩემმა დისშვილმა ჩხავილი დაიწყო. რა მტირალა ყოფილა ეს პატარა მარი ჯაფარიძე. ტუტი“.

„ეჰ, მარი, ნეტავ „მეორე“ მყავდეს, „მესამეს“ ვინ იდარდებდა? არც ზედმეტი „მესამე“ მყავს და არც აუცილებელი „მეორე“. ეჰ, რატომ ვარ სულ მარტო? არავის ვეცოდები? მასწავლეთ ეს ოხერი სიყვარული... კი ცდილობენ მასწავლონ, მაგრამ ეტყობა, ცუდი „განმანათლებლები“ არიან. მე კი სერიოზული სპეციალისტი თუ მიშველის მხოლოდ! მეგრელი „კანიბალკა“.

„ეჰ, ვერც ამჯერად ვიხილე ჩემი მესიჯი „გზის“ ფურცლებზე.უკვე ვფიქრობ, რომ სხვა ნომერზე ვგზავნი მესიჯებს. მარი, ეს რუბრიკა მარტო სვანებისთვისაა? მე რა დავაშავე? დილაუთენია დავადექი გამყიდველს თავზე, „გზით“ „შეიარაღებული“ მოვკალათდი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში, მაგრამ სად არის ჩემი მესიჯი? პარიჟანკა“.

„აუ, მარი, იცი, რა დამემართა, ჩემი მესიჯი ჟურნალში რომ ვნახე? აი, დედამიწის დაპორჭყნა მომინდა... ათინათი“.

„ეჰ, მარი როგორ მაბრაზებ? იქნებ არ მაქვს 50 თეთრი, 6-თეთრიან მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ? ერთი სული მაქვს, ხუთშაბათი როდის მოვა, შენ კი იმედს მიცრუებ. პატარა ლელა“.

„ახლა ჟურნალი „გზა“ ვიყიდე და ავედი სახლში, ყავა მოვადუღე და ის იყო, დალევა უნდა დამეწყო, რომ ყავის ჭიქა გადამიყირავდა და „გზა“ შეეწირა. აღარც ყავა მინდა და აღარც საჭმელი. ჟურნალი „გზა“ მინდა! რა გააშრობს? ახლა დავჯდები და გავაშრობ, აბა რა ვქნა? კეტრინ ზეტა ჯონსი“.

„აუ, რა მაგარია ეს „გზავნილები“, მესიჯს გაგზავნი, დაგიბეჭდავს კეთილი მარი. თანაც, ყველას შეუძლია იმაზე ილაპარაკოს, რაზეც უნდა. მაგარია, რა! კისკა“.

„მარი ცუდი გოგოა/ მას არ უნდა ქება/ მესიჯებს რომ არ მიბეჭდავს/ დაისჯება, ნეტავ? მათე“.

„მარი, ჩემს მესიჯებს ნიკს რატომ არ უწერ, რათააა? იმ „შტერმა“ მესიჯმა ისევ ვერ მოგაგნო, ხომ? ნეტავ, სად დაეთრევა? მესიჯომანი“.

„მარი, ახლა დავამთავრე „გზავნილების“ კითხვა და როცა ახალ თემას დავხედე, გული მეტკინა. სამწუხაროდ, ყოველთვის მე ვარ ზედმეტი. ასეა მეგობრობაში, ასევეა სიყვარულშიც... ერთი დაქალი მყავს, რომელიც ძალიან მიყვარს, მაგრამ მას ჩემს თავს მეორე მეგობარი ურჩევნია. თვითონ კი უარყოფს ამას, მაგრამ... ძალიან გამგები, ყურადღებიანი და თბილი ვარ, მაგრამ ალბათ ხშირად ის უფრო გვიყვარს, ვინც ამას არ იმსახურებს... სინიორიტა“.

„მარი, ამბობ, მესამე ზედმეტიაო? რა არის, დამცინი? მე ხომ რატომღაც ყველგან და ყოველთვის „მესამე“ ვარ ხოლმე... „გზავნილებში“ ხომ, საერთოდ... ეჰ, იღბალო, რა ხარ? ბაბნია“.

„მამაჩემი უზომოდ მკაცრია. დაბინდდება თუ არა, „დომაში“ უნდა ვიყო. დახეული ჯინსი — არა! გართობა — არა! მაგრამ დედა მყაააავს... ყველაფერში მეხმარება და ხასიათს მისწორებს. ისე ვიცი, რომ მამა ჩემთვის აკეთებს ყველაფერს. დე, მა, მიყვარხართ, მაგრამ ცოტა მეტი თავისუფლება მინდა და „ვსიო“... „იაზვა“ მარჯა“.

„იცით, რა საფრთხეში ვარ ყოველ ხუთშაბათს? გზის საპირისპირო მხარეს არის გაზეთების ჯიხური. გადავდივარ „გზის“ საყიდლად, მერე სახლში მოსვლამდე ველარ ვითმენ. გადავშლი „გზავნილებზე“ და თან ვკითხულობ. მერე მანქანები მისიგნალებენ. თუ „დამახატეს“ ამ ახალ დაგებულ ასფალტზე, მერე „გზავნილებში“ აღარ იქნება „ტუტის“ მესიჯი. ტუტი.

„როგორ ხართ? ძალიან მომენატრეთ. ხუთშაბათის მოსვლას ზარ-ზეიმით ველოდები. სამსახურში მისვლამდე გაზეთების ჯიხურში გავრბივარ და „გზით“ ხელდამშვენებული, სამსახურში მივდივარ და თანამშრომლებს „გზავნილებს“ ვუკითხავ შესვენებაზე, მაგრამ რად გინდა? ჩემი მესიჯები არსად ჩანს! რატომ, მარი? პრინცესა“.

„მესამეც ზედმეტია და მეოთხეც, მეხუთე და მეექვსე კი საშინლად ზედმეტია. ხუთ კაცს ერთად ვეჩხუბე ერთხელ, აბა, თუ მიხვდებით, ნაცემი ვინ გამოვიდოდა?! დიდი მატყუარა“.

„მესამე? არაააა... ეგ ამბავი თუ „პაკლოებს“ ეხება, ჩემთვის მეორეც უკვე ზედმეტია! სტატისტიკა ასეთია: ყოფილებს ჰგონიათ, რომ კვლავ მასზე ფიქრობ და გისაფრდებიან... რეზერვში მყოფები იცდიან, უფრო აქტიურები კი შეტევაზე გადმოდიან! არა, ეს ომის სტრატეგია კი არა, მამაკაცთა გეგმებია. ზავი მინდა, ზავიიიი! ილინი“.

„გზავნილებს“ ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, რადგან საქართველოში არ ვარ. ახლა „სიყვარულმა ასაკი არ იცისო“, ის წავიკითხე. არ ვიცი, იცის თუ არა ასაკი, მაგრამ მე ყოველთვის დებილები მიყვარდება. ახლა ერთ კახელ დებილზე ვარ შეყვარებული. საბერძნეთში ვარ და მაგრად მენატრება. მარი, კიდევ იცი, რა მინდა ვთქვა? ვიცი, აქაც ბევრი კითხულობს ამ ჟურნალს. იცით, ქართველი ქალები როგორ იყიდებიან ფულზე? ქართველი კაცები დაილია?! პატარა გოგონები არიან ზანგებთან, პაკისტანელებთან და ფულიან ბერძენ პაპებთან. ხანდახან არ მინდა ვთქვა, რომ ქართველი ვარ. ხალხო, ასე როგორ შეიძლება? თაკო“.

„მაგრად „გამისწორდა“, ჩემი მესიჯი რომ „გავჩითე“ „გზავნილებში“. „მიკალქაალ“! ხომ იცი, მალე ვთხოვდები. ჩემი „ლოვე“ ცოლს რომ მიაგდებს, მაშინვე. ველარ მიხვდა ის საწყალი, რომ ზედმეტია? მალე „აახვევინებენ“ და მერეე.... გიუნა ჩემი გახდებაა. თ.16“.

„მარიმიშოოონ! ქალო, ნუ დაგვიხეთქე გულები, რა... :) ყდაზე რომ გამოგიჭიმია, „ჟურნალი ჟურნალშიოოო“, ეს, დარწმუნებული ვარ, „გზავნილების“ სიურპრიზთან პირდაპირ კავშირში იქნება. გამოვიცანი? ვაიმე, რა მაგრობა იქნებააა... მარი-მარი, კარგი ხარ-მეთქი, ქალო, „ჯალიან კალქიიი“. კისა.

„გამარჯობა, მარი. გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ახლა კი ერთი საჩივარი უნდა გითხრა. მესიჯები, თინეიჯერები, „სასტავები“ და ა.შ, არა და არა! ეს სიტყვები ქართულად ასე ჟღერს: წერილები, ყმაწვილები, სამეგობრო. მარი, ლამაზო ქართველო, გთხოვ, დაბეჭდო ეს გზავნილი. გია“.

„მარი, რა გინდა, გოგო, ჩემგან? ეს რა თემა „შემოაგდე“? ტკივილი განმიახლე... მე კი მეგონა, დავივიწყებდი ყველაფერს... ალბათ ამქვეყნად მოსვლა დამაგვიანდა, რადგან როდესაც ის გავიცანი, მესამე აღმოვჩნდი... მე ის დღესაც მიყვარს, განვლილი წლების მიუხედავად, ვერავინ შევიყვარე, ვერ დავივიწყე, ვერც ვაპატიე... ის ახლა ალბათ ბედნიერია... ორ ბედნიერზე ვფიქრობ, მესამე... ფინტიკოზა“.

„მარი, დიდი ხანია „გზავნილებს“ ვკითხულობ, თუმცა პირველად გწერ. „აწი“ მოგწერ, კაი? ისე, მესამე მართლაც ზედმეტია ხოლმე. განსაკუთრებით „ლოვესთან“. კარგი ახლა, „გეპაკავები“ ხუთშაბათამდე. ქეით“.

„ჩემი და „მორიელის“ ურთიერთობაში მესამე და ზედმეტი არც მისი ძველი შეყვარებულია და არც ჩემი ყოფილი ქმარი. „მესამე“ ნარკოტიკი აღმოჩნდა. ვეჭვობ, რომ ის ნარკომანია. უარყოფს, მაგრამ მე ეჭვებით დავავადდი. მერჩივნა, „მესამე“ თუნდაც ჩემი მეტოქე ყოფილიყო, ოღონდ წამალი არა. „კიბორჩხალას“ ყოფილი ცოლი“.

„მარი, ჩემი დებიუტი „გზავნილებში“ ჩემს ცხოვრებაში ურთულეს პერიოდს დაემთხვა. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ „გზავნილებმა“ სულის წარწყმედისგან მიხსნა. მარი, ალბათ შენ ვერასოდეს მიხვდები, თუ რას ნიშნავთ შენ და „გზავნილები“ ჩემთვის. გმადლობთ, მარი... ულრმესი მადლობა. უფალი გფარავდეს, ჩემო მარიამ! ილინი“.

„მარი, წინა ცხოვრებისა რა მოგახსენო და ამ ცხოვრებაში კი პირველად გწერ მესიჯს. მე ერთი ბიჭი მომწონდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ იმის გამო, რომ ცოლშვილიანი იყო, გზიდან ჩამოვეცალე. ვუთხარი — შენი შვილების ცოდვას ვერ ავიკიდებ-მეთქი. ადამიანმა სხვას არ უნდა გაუკეთო ის, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ. ჰოდა, ვზივარ ახლა მარტო, მაგრამ არ ვნანობ. ცელქობანა“.

„მარი, ტრადიცია რატომ დაარღვიე? მესიჯი რატომ არ დამიბეჭდე? აუ, „ლა ცუდი გოგო ქალ“. არ მოგეწონა ჩემი სევდიანი, დედაშვილური ამბები? ახლა სულ ცხელ-ცხელ ამბავს გეტყვი. სამი „გადამკვდარი“ დაქალი ვიყავით ერთ მშვენიერ დღეს, მესამემ თავი ზედმეტად იგრძნო და ჩვენგან წავიდა. ღმერთმა იცის, საბაბი არ ჰქონია. ისე, ორნი უფრო „სკუჩნად“ ვართ. ორი „ლამაზუკა“ დაქალი და მეტი არავინ გვინდა. დაქალის გიჟი. ტუტი.

„მარი, მესიჯის დაბეჭდვისთვის დიდი მადლობა. ჟურნალი ჟურნალში მაგარი იქნება. ალბათ „გზავნილებიც“ გაიზრდება, მაგრამ გთხოვ, ფასი არ მოუმატოთ ჟურნალს, თორემ დედაჩემის წუწუნს რა გაუძლებს — ფული არ მაქვსო. თუმცა, ვიცი, „გზას“ მაინც ვერ შეელევა. თათაკრის“.

„მარი, ყველა შენი მგზავნელი მიყვარს. ახლა კი თემაზე: მე ერთ ბიჭზე მაბოდებდა, მაგრამ არ ვიცნობდი. არც ის იყო მთლად გულგრილი. ერთ დღეს დავინახე, რომ სხვასთან ერთად, ხელგადახვეული სეირნობდა. დაქალმა გაიკითხა და მითხრა: მისი შეყვარებულია სულ ცინცხალიო... აი, ასე აღმოვჩნდი მესამე. იცით, რა ცუდი გრძნობაა? მეტიჩარა“.

„მარი, რა მშვენიერია, რომ ყველას უყვარხარ. არ გეგონოს, გეკაიფებოდნენ. მართლა ისე მიყვარხარ, რომ ვერ აღვწერ. მესამე ჩაერია ჩემსა და ჩემს შეყვარებულს შორის და დღეს ის ცოლია მისი, მე კი შეყვარებული სხვისი. დელ-მარი“.

„ერთი ტიპი მაგრად მომწონს. არა, ერთი კი არა, ორი... უი, ჰო, მართლა, მესამეც მომწონს. და საერთოდ, ქუთაისში რაც კარგი ტიპია, ყველა მომწონს. არც ერთი არ არის ზედმეტი. ბალახვანში რა დაცემა ხალხი ცხოვროოოობს! მაგარი კაცები არიან... კ“.

„მარი, იმედია, არ გაბრაზდები, ასე გვიან რომ გწერ. მესამე ზედმეტიაო? არადა, ჩემი გიჟო ისეთი ლამაზია, გოგონებმა ლამისაა მისთვის ერთმანეთი დახოცონ, მაგრამ გიჟო საფრანგეთში გაფრინდაა... ქართველები არ მყოფნიდნენ, ფრანგები რომ არ დამატებულიყვნენ? მესამე კი არა, ჩვენ შორის ორი ქვეყნის ლამაზმანები არიან. ბაბნია“.

„მესამე ზედმეტია? აი, ეს მესმის! როცა ჩემი და და მისი დაქალი ისეთი „ნამიოკებით“ იწყებენ ლაპარაკს, რომ ვერაფერს ვიგებ, მაშინ ვარ ზედმეტი. გოგონებო, ნერვებს ნუ მიშლიიიით! გაკოცეთ. ლელუჩია“.

„მე ბათუმელი ნინი ვარ და „გზის“ ერთგულესი მკითხველი... „კანიბალკა“ გავიცანი „მაგთიჩათში“ და ძალიან მიხარია... ჩემი დაქალი წავიდა პაემანზე და მეც წამიყვანააааა... აშკარად ზედმეტი ვიყავი, მაგრამ... შოკა, „აწი“ აღარ წამიყვანო და ზედმეტიც აღარ ვიქნებიიიი... შენი „დაქალუშკა“. ნინი-ნინი.

„სიყვარულმა ასაკი არ იცისო, არ მჯეროდა, მაგრამ... რომ დათხოვდნენ ეს ჩემი 70 წლის მეზობლები, 75 წლის კაცებზე, რაღას ვიზამდი? დავიჯერე... არადა, სიყვარულით გავთხოვდითო, კაცოოო... დაუჯერე ახლა მაგათ... ელზას, ნინოს, ნარგიზას და ა.შ. ერთი მე არავინ მიყვარდება და რატომ? მარი, მეტყვიიიი?“

„მესამე ზედმეტია, აბა, რა არის? ერთხელ შეყვარებულმა, ახლა უკვე ყოფილმა, დამპატიჟა კაფეში. ჩემმა დამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, გინდა თუ არა, მეც უნდა წამოვიდეო. სხვა რა გზა გვქონდა? წავიყვანეთ, მაგრამ ცოტა ხანში მიხვდა, მურმანის ეკალივით რომ იყო და იმის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია, წამოსვლაზე“.

„მესამე რომ ზედმეტია, იმიტომ დავივიწყე ჩემი ექსსიყვარული და მეგობარს დავუთმე, მაგრამ ერთმანეთი ვერ „შეირგეს“ და ერთად ერთი დღეც აღარ ყოფილან. ჰოოდა, ახლა სამივე მარტო ვართ. :) ეეჰ, მარი, როგორი იმედი მქონდა, რომ მესიჯებს დამიბეჭდავდი... :(((

„პრივეტ ყველას. მარი, მაგარი ადამიანი ხარ, წინა ნომერში ჩემი დებიუტი შედგა, ახლა მით უმეტეს, ჩვენი ცალკე ჟურნალი გვექნება! მერე ალბათ ყველას დაუბეჭდავ მესიჯს და უკმაყოფილოც აღარავინ იქნება. გამყინვარება“. :))

„მეც ვეთანხმები ზოგიერთ მკითხველს. სულ ცოტა, 15-ჯერ მაინც გადავათვალიერებ ხოლმე ჟურნალს, ეგებ მარიმ ჩემი მესიჯი დაბეჭდა და მე ვერ დავინახე-მეთქი. აღმოჩნდა, რომ თვალებზე პრობლემა არ მქონია. პრობლემა შენშია, მარი. არადა, როგორ მიყვარხარ, იცი? თქვენ კი, ვინც მესიჯს გზავნით და მერე აღარ იცით, სად წაიღოთ ამდენი ჟურნალი, გირჩევთ, რომ ამოჭერით თქვენი მესიჯები და ნაკრები გააკეთეთ. ჯანდაბას, მომბაძეთ. მადლობა ვის? — კამპოლინას!“

„მესამე ზედმეტია! მესამე ყველგან ზედმეტია... სიყვარულში რომ ზედმეტია, ჩემს თავზე გამოვცადე. .ეჰ, მეგობრობაშიც ვიგემე მესამეს ხელი... არ დაუჯეროთ „კეთილ“ მესამეს“.

„ჰო, ეგ საცოდავი მესამეები, სულ ზედმეტები არიან. იმედი მაქვს, მე მესამე არასოდეს ვიქნები. ბებე“.

„ვაშაააა! ვაი, მარი, როგორ გამახარე, არც კი იცი, მესიჯი რომ დამიბეჭდე „გზავნილებში“. ძალიან ცუდად ვიყავი და უცებ კარგ ხასიათზე დავდექი. შენ გაიხარე, ასე რომ გამაბედნიერე და ცხოვრების ერთი საუკეთესო დღე მაჩუქე, ერთი მესიჯის

დაბეჭდვით. კაკუ“.

„თემას არ ეხება, მაგრამ მაინც მოგწერთ. გუშინ ჩემს ძმაკაცს ვუთხარი, ჩემი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდა-მეთქი. (აი ის, სურათებს რომ ვბეჭდავდი) ვა, მართლა? ჩემიცო. — რომელია-მეთქი? და ჩემს მესიჯს დაადო ხელი (მასაც ლევანი ჰქვია). მოკლედ, ასეე... თუ გინდათ, ნუ გაიცინებთ... მარის „ოპოზიციას“ კი მინდა მივმართო: მოეშვან „ეგეთებს“. ლეო-91“.

„ოდესმე მოვხვდები, ნეტავ, „გზავნილებში“? არა, ხომ? ახლა მაღალი სიცხე მაქვს და ძალიან მიხარია, რადგან „გზას“ აღარავინ მართმევს. თამუნია“.

„გზავნილები“ წავიკითხე, ჩემს მესიჯს ვერ მივაგენი, მაგრამ მაინც „გასწორებულში“ ვარ. ნეტავ, რატომ? მგონი „გზავნილებმა“ გამარეკვინა. მეჩე“.

„ვაიმეეე... როგორ ველოდი აღდგომის ღამის თევას, მაგრამ ბატონები შემხვდა და... მარი, ბატონები არ გამიბრაზო, დამიბეჭდე, რააა... „გზავნილების“ ფანი“.

„შეყვარებული მყავს, რომელიც ყოველ შეხვედრაზე თავის ძმას „დაათრევს“. თუ ასე გაგრძელდა, დავშორდები. ნეტავ, ვერ ხვდება, რომ ზედმეტია? რა უბედური ვარ! თეკო-თეკო!“

„ხუთშაბათის მოსვლა თან მიხარია, თან — მწყინს. იმიტომ მიხარია, რომ საყვარელი „გზა“ გამოდის და იმიტომ მწყინს, რომ მერე კიდევ ერთი კვირა უნდა ვუცადო „ჟურნალის“ გამოსვლას. კისკა“.

„ხუმრობა იქით იყოს და თემამ ერთი სევდიანი ამბავი გამახსენა. ოი, ოი, ოი, ახლა გული გამიჩერდება. ეეჰ, გვინდა ახლა ჩვენ სევდა? ძირს ყოველგვარი სამკუთხედი და ყველა გეომეტრიული ფიგურა! მარის ნათლული“.

„ეჰ, მარი, მარი... მესამე არა, მაგრამ როგორც ვხედავ, მე ვარ ზედმეტი „გზავნილებში“ და აღარ მიბეჭდავ მესიჯებს. „ვსიო“, აღარ დაგიმესიჯებ, გაგებუტეეეეე... ეშმაკუნა“.

„მესამე ნამდვილად ზედმეტია, თუნდაც მეგობარი იყოს. ერთხელაც ჩემი „ლოვე“ და მეგობარი ერთად რომ დავინახე, მე იქ მეგობარს ვეჩხუბეეე... ახლა ყველაფერი კარგადაა. ეშმაკუნა“.

„მე ის „გზა“ მიყვარს, რომელიც განვლე და რომელშიაც მესიჯი ვგზავნე! ნეტავ, მარი თუ დამიბეჭდავს? მის ქეთუშკა. აღდგომას გილოცავთ ყველას. ღმერთი გფარავდეთ“.

„მესამე რომ ზედმეტი იყო ორის ურთიერთობაში, ეგ ათასჯერ ვუთხარი ჩემს შეყვარებულს, თავის დაქალზე, მაგრამ არ დამიჯერა. ჰოდა, ერთხელ ის „მესამე“ ჩემმა „მეორემ“ ჩემ „ქვეშ“ დაინახა და ორივე დავკარგე. ისინი ახლაც დაქალობენ. გამამტყუნებთ, ხალხო? უსახელო“.

„მარი, პრივეტ, სიხარული. ძალიან მინდა, რომ თქვენს „სასტავში“ მიმიღოთ. გეფიცებით, არ გიმტყუნებ. პატარა სიხა“.

## დაგვიანებული მესიჯები

## „დე, შემეშვი!“

„დედაჩემი მაგარი ტიპია, მაგრამ ამ ბოლო დროს უცნაურად იქცევა, სულ „მპრანჭავს“. 2-მეტრიან საყურეს გამაკეთებინებს, თვალებს შემაღებვინებს, თმას ბოლო მოდაზე მავარცხნინებს, მოკლე „იუბკებს“ მაცმევს. ამას წინათ გამომიცხადა — სამოდელო სააგენტოში უნდა გატაროო. ისტერიკები რომ დავიმართე, არ მინდა-მეთქი, უხალისოდ გადაიფიქრა, მაგრამ რად გინდა? ისედაც გამხდარი ვარ და კიდევ დიეტაზე დამსვა. თან გულს მიწყალებს, შენი „პახოდკა“ არ მომწონსო. თვითონ გაივლის და მეუბნება — აი, ასე იარეო. რა უნდა ჩემგან, ვერ გავიგე. თუ უნდა, რომ შეყვარებული მყავდეს, ვერ ეღირსება, იმიტომ, რომ ყველა ბიჭი მაგარი იდიოტია. ვინმემ გამაგებინეთ, რა უნდა დედაჩემს ჩემგან? ჰერმიონი“.

## ტასიკოს საწუხარი

„ექვსი წლის ვიყავი, ჩემი მშობლები რომ გაშორდნენ. დედა გათხოვდა და მე ბებია-ბაბუა მზრდიდა. რვა წლის შემდეგ კი მეც დედასთან გადავედი საცხოვრებლად. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ თუ ოდნავ მაინც გავაბრაზებდი დედაჩემს, მაშინვე მემუქრებოდა — სოფელში გაგიშვებ, ისევ ბებია-ბაბუასთანო. ექვსი წელი ვითმინე. ბოლოს კი ავდექი და ჩემი ნებით წამოვედი. დედაჩემმა კი იცით, რა მითხრა? იცოდე, დღეიდან ჩემთვის მკვდარი ხარ და დღეიდან შენი პირველი მტერი მე ვაროო. იმ დღიდან ზუსტად წელიწადი და 1 თვე გავიდა და არც კი ვუკითხივარ. ამბობენ, დედაშვილობა სათუთი გრძნობააო, მაგრამ გამონაკლისიც (იმედია, ძალიან იშვიათი) არსებობს. ტასიკო“.



## „იცი, რა ბარკალი აქვს?“

„მარი, სიყვარულმა არც ასაკი იცის და არც გარეგნობა. ეს ყველაზე უცნაური და ძლიერი სიყვარული იყო. სოფელში რომ წავედი, ჩემი ცუგაც წავიყვანე. ბებიაჩემის კრუხს წიწილები გამოეჩეკა. შევნიშნე, რომ ჩემი ძაღლი საქათმეში ბევრ დროს ატარებდა. ერთ დილას ძაღლის და კრუხის ჩხუბმა გამაღვიძა. „კაროჩე“ ძაღლს და ერთ-ერთ წიწილას ერთმანეთი შეჰყვარებიათ და ღამე ერთად იძინებდნენ. წამოსვლისას ორივე წამოვიყვანე. ორი წელია გასული და ახლაც ერთად სძინავთ. მაგ ქათამს რომ ვუყურებ, ნერწყვი მომდის. იცი, რა ბარკალი აქვს? მაგრამ მე რომ ქათამი შევჭამო, ჩემი ცუგა მე შემჭამს. მარიიი, მიდი, რა, „ჩაგვინახატე“?

## მიმნდობი დედა

„სიყვარულმა ასაკი მართლაც არ იცის. მეც შემიყვარდა თხუთმეტი წლით უფროსი კაცი, ჩემი გიაჩო. არც ფული აქვს, არც ექნება, მაგრამ მიყვარს. სოფო, გორიდან“.

„სიყვარულმა ასაკი მართლაც არ იცის, თორემ ეს ბებიაჩემი 62 წლის ასაკში რამ ააცანცარა?“

„მარი, ვიცი, გვიანია, მაგრამ „ზაპროსტო“ მოგწერე, რა! ჩემზე პატარა გოგო მიყვარს, მაგრამ მერე რა? ტუფლი ხომ არ არის, რომ მომიჭიროს? დ'არტანიანი“.

„დედაშვილური სიყვარულის გამოვლინება ის იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის „დედა პოლიტიკოსები“, მაგალითად, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ან მაია ნადირაძე გვიშუამდგომლებენ „ენერგომამასთან“ და შუქის გადასახადს ან შეგვიმცირებენ, ან გაგვინახევრებენ. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს. ბათუმის უსახლკაროთა თავშესაფარი. თ. სურმანიძე“.

„გამარჯობა, მარი. ნამდვილი გიჟური სიყვარული აქვს დედაჩემს, ჩემი ძმების მიმართ. რამდენჯერ მოტყუებული, რამდენჯერ იმედგაცრუებული დარჩა და მათი მაინც სჯერა. მაინც მათი იმედი აქვს. გადავირიე! მერე კიდევ, იმედგაცრუებულ, სევდიან დედას მე ვაწყნარებ. ამის გამო მასზე ვბრაზობ, რადგან ასეთი მიმნდობია“.

„რომელ დედაშვილობაზე თუ დედმამიშვილობაზეა ლაპარაკი? გამიშრეს სისხლი ჩემმა ძმამ და დამ. აღარ შემიძლია, რა! ჩემს ძმას ურეცხე და აჭამე, ჩემს დას კიდევ, ეხვეწე, „გზა“ მათხოვეო... რა დროს სიყვარულია, ისეთი ამბავი ტრიალებს ჩემს სახლში... მარი ჯაფარიძევ, შენი ბრალია, მე და ჩემი და რომ ვჩხუბობთ. სადაც გნახავ, იქვე მოგკლავ! ქამელეონი“.

*დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — მოღალატე დაისაჯა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელ ფოსტაზე:* marorita77@yahoo.com *ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ფორუმი კი გარკვეული მიზეზების გამო კვლავ გადაიდო და მომდევნო ნომერში იხილავთ.*

# როგორ ამოვიცნოთ მამაკაცი კოცნის მანერით



**კოცნის მანერით მამაკაცები შეიძლება, 4 კატეგორიად დაიყოს და თითოეულ მათგანს ქალთან ურთიერთობის თავისი სტილი აქვს. მაშ ასე, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება თქვენი პარტნიორი და როგორ უნდა მოიქცეთ მასთან ურთიერთობისას? — ამ კითხვაზე პასუხს იმ შემთხვევაში მიიღებთ, თუ ქვემოთ მოცემულ ტექსტს ყურადღებით გაეცნობით.**

*თუ თქვენი პარტნიორი კოცნის დროს იკბინება, მის მართვას ადვილად შეძლებთ*

## სწრაფი

მას დაძაბული, ნერვული კოცნა ახასიათებს. ტუჩები და ენა იმაზე მეტად აქვს დაჭიმული, ვიდრე საჭიროა. ასეთ პარტნიორს ძალიან უყვარს კბენა, ხოლო მის აქტივობას რამდენადმე ისტერიკული ელფერი დაჰკრავს. ასეთი გაცხარებული კოცნა ვნების წუთებში, შეიძლება, ძალიან ალმგზნები იყოს.

**როგორია თქვენი რჩეული:** ურთიერთობისას ინიციატივას თქვენ გითმობთ. მიაჩნია, რომ მისი საქმე — თქვენი გართობაა (შეძლებისდაგვარად), თქვენ კი მიმართულება უნდა მისცეთ და მართოთ. რაოდენ თავდაჯერებულიც არ უნდა ჩანდეს, წესებს მაინც თქვენ ადგენთ. გახდით მისი კეთილი დიასახლისი და „შეუკვეთეთ" ისეთი ერთობლივი გართობა, როგორიც ორივეს მოგეწონებათ. ის მეტისმეტად გულღია პიროვნებაა. მორიგი ლამაზმანისთვის მის მიერ მოწყობილი „ერთი მსახიობის თეატრი" ძალიან ხანმოკლეა. გაიხსენეთ ეს, როცა ლაპარაკს მარადიულ სიყვარულზე წამოიწყებს. კარგი იქნება, თუ მის გრძნობას შეამოწმებთ.

**დაიმახსოვრეთ:** იდეალური წყვილი იქნებით, თუ გაწონასწორებული, საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ და შეგიძლიათ, რბილად, ძალდაუტანებლად მართოთ ურთიერთობა. მაგრამ მასთან კავშირი სასწრაფოდ უნდა შეწყვიტოთ, თუ სხვა ქალთან გაჩაღებულ მსუბუქ ფლირტს ვერ აპატიებთ.

## თავდაჯერებული

ასეთ მამაკაცს მაგარი კოცნა ახასიათებს. მისი მოძრაობები რიტმული და ერთგვაროვანია, მოქმედებს მბრძანებლურად და შეუპოვრად.

**როგორია თქვენი რჩეული:** მასთან მშვიდად იქნებით. ეჭვი არ შეგეპაროთ, ნამდვილი და ძალზე საიმედო მამაკაცია, მაგრამ მისგან რომანტიკული ფანტაზიის გამოვლენას ნუ ელით. ამ ტიპის მამაკაცებს ყველაფრის საფუძვლიანად და დეტალურად გაანალიზება უყვართ. თუ შეგიყვარებთ, თქვენთან ურთიერთობას მაშინვე ოფიციალურად გააფორმებს და ასევე საფუძვლიან წინააღმდეგობას გაგიწევთ, თუ ქორწინება ჯერ მის გეგმაში არ შედის და თქვენ კი მის დაჩქარებას შეეცდებით. დაიმახსოვრეთ: ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილნი, თუ მშვიდი ოჯახური ატმოსფეროს საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ და პარტნიორისგან პირველ რიგში, მორალურ მხარდაჭერასა და სიმშვიდეს მოითხოვთ; მაგრამ ასეთ პარტნიორთან არაფერი გესაქმებათ, თუ ემოციების „ჩანჩქერი", აღტყინება და თავგადასავლები გესაჭიროებათ.

## ნაზი

ახასიათებს ფრთხილი და ნაზი კოცნა, ენას თითქმის არ იყენებს. გეხვევათ ისეთი მოწიწებით და ისე სათუთად, როგორც ანტიკვარულ ვაზას. მოკლედ, მთლიანობაში, ძალიან ნაზად გკოცნით.

**როგორია თქვენი პარტნიორი:** შესანიშნავი. ის ძალზე ალერსიანი და მზრუნველი იქნება. შეიძლება, თავად „ვნების ვულკანი" არ არის, მაგრამ მის სულში სინაზის ზღვას ნამდვილად იპოვით. ასე რომ, მისი გრძნობების მიმართ ტაქტიკური და ფრთხილი იყავით.

**დაიმახსოვრეთ:** თქვენი ერთობლივი ცხოვრება უფრო წარმატებული იქნება, თუ მხარში ამოუდგებით და მართავთ. არა იმიტომ, რომ მან არ იცის, რა აკეთოს, უბრალოდ, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა. ასეთი პარტნიორი ქვეყნის დასალიერამდე უსიტყვოდ გამოგყვებათ და თანაც, ორივეს „ზურგჩანთასაც" თავად წამოიკიდებს. მისი სიყვარული გზას გაგინათებთ, მაგრამ მისგან სასწრაფოდ წადით, თუ მებრძოლი და თავდაჯერებული მამაკაცი მოგწონთ.

## ალღოიანი

მის კოცნას სხვადასხვა არომატის, შაქარყინულის გემო აქვს. შეუძლია, ზემოთ აღწერილი სამივე მანერით კოცნა, ერთიდან მეორეში ადვილად და ბუნებრივად გადადის. ალღოიანი პარტნიორი თქვენს სურვილს ადვილად ამოიცნობს და იმის მიხედვით იმოქმედებს.

**როგორია თქვენი რჩეული:** ნამდვილად გაგიმართლათ. გამორიცხული არ არის, რომ ბედის წყალობა სულ რამდენიმე საათით გაგრძელდეს, შემდეგ კი, ეს გულისხმიერი პარტნიორი წაგართვან, რადგან ის ბევრს მოსწონს და ეს თავადაც მშვენივრად იცის. ამიტომ, მისი მართვის სადავეები მაგრად უნდა გეჭიროთ. თითქოს, ურთიერთობაში ოდნავ დომინირებას ამჟღავნებს, მაგრამ მთლიანობაში, საჭეს ორივე მართავთ, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები. თუმცა, ურთიერთობისას საკვანძო სიტყვა — ურთიერთგაგება — მას ეკუთვნის.

**დაიმახსოვრეთ:** ერთად კარგად იქნებით, თუ საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ მისგან დროულად წადით, თუ იდეალური ქალის სახელის სამუდამო დაცვას აპირებთ.

■

## ბორში ვეგეტარიანელებისთვის



**დაიმახსოვრეთ:** მკაცრი პროპორციების დაცვა საჭირო არ არის, ყველაფერს თქვენი გემოვნება განსაზღვრავს.

**მოსამზადებლად საჭიროა:** კარაქი, ზეთი, ხახვი, სტაფილო, ჭარხალი, ტომატი, კომბოსტო, პომიდვრის ან კიტრის მჟავე, პილპილი, ძმარი, კარტოფილი, მარილი.

**მომზადების წესი:** ტაფაზე დადეთ კარაქი და დაასხით ცოტაოდენი ზეთი. როცა წამოდუღდება, დააყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, მსხვილად გახეხილი სტაფილო და ჭარხალი (ეს უკანასკნელი უფრო მეტი ოდენობით უნდა ჩაყაროთ, ვიდრე სტაფილო, რათა ბორშჩი სასიამოვნო ფერის იყოს). ჩაამატეთ წყალში გახსნილი ტომატი, ცოტა კომბოსტო, პომიდვრის ან კიტრის მჟავე, 2-3 ს/კ პილპილი და ცოტაოდენი ძმარი. ტაფას დაახურეთ თავზე და ეს მასა შუშეთ დაბალ ცეცხლზე ისე, რომ არ მოურიოთ.

ამავდროულად, ქვაბში მოხარშეთ 2-3 კარტოფილი, შემდეგ მასში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი კომბოსტო, 15 წუთის ხარშვის შემდეგ კი, ბოსტნეულის ნაზავი და მარილი ჩაუმატეთ. როგორც კი ადუღდება, ცეცხლიდან გადმოდგით. ამ ბორშჩის მომზადება კომბოსტოს გარეშეც შეიძლება, უბრალოდ, ცოტა მეტი ჭარხლისა და კარტოფილის ჩაყრა მოგიწევთ. ■

# ჯენიფერ ენისტონისა და ვიქტორია ბექჰემის იაპონური დიეტა



იაპონური დიეტა სწრაფად გახდომაში დაგეხმარებათ ანუ 14 დღეში 7 კგ-ს დაიკლებთ, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ზუსტად დაიცავთ და სასარგებლო ნივთიერებებს დააბალანსებთ. ამ დიეტას სისტემატურად იცავენ ჯენიფერ ენისტონი და ვიქტორია ბექჰემი.



*დაიმახსოვრეთ: დიეტის დაცვის პერიოდში დასაშვები საკვებია: ხორცი, თევზი, ზღვისა და რძის პროდუქტები, კვერცხი და იშვიათად, მწვანე სალათა.*

## პირველი დღე

**საუზმე:** 1 ფინჯანი შავი ყავა.

**სადილი:** 2 მოხარშული კვერცხი, უმი კომბოსტოს სალათა (მცენარეული ზეთით), 1 ჩ/ჭ პომიდვრის წვენი ან 1 პომიდორი.

**ვახშამი:** მოხარშული თევზი და უმი კომბოსტოს სალათა (მცენარეული ზეთით).

## მეორე დღე

**საუზმე:** 1 ფინჯანი შავი ყავა და ორცხობილა.

**სადილი:** მოხარშული ან შემწვარი თევზი, უმი კომბოსტოს სალათა (მცენარეული ზეთით).

**ვახშამი:** 200 გ მოხარშული ძროხის ხორცი, 1 ჩ/ჭ მაწონი.

## მესამე დღე

**საუზმე:** 1 ფინჯანი შავი ყავა.

**სადილი:** 1 მოხარშული კვერცხი, 3 დიდი ზომის მოხარშული სტაფილო (მცენარეული ზეთით შეკაზმული).

**ვახშამი:** რამდენიმე ვაშლი.

## მეოთხე დღე

**საუზმე:** 1 უმი, გახეხილი სტაფილო ლიმონის წვენით.

**სადილი:** 500 გ მოხარშული ან შემწვარი თევზი, 1 ჩ/ჭ პომიდვრის წვენი.

**ვახშამი:** შემწვარი ან მოხარშული თევზი, უმი კომბოსტოს სალათა (მცენარეული ზეთით).

## მეხუთე დღე

**საუზმე:** 1 ფინჯანი შავი ყავა.

**სადილი:** ზეთში მოშუშული 1 დიდი კონა ოხრახუში, რამდენიმე ვაშლი.

**ვახშამი:** 2 მოხარშული კვერცხი, 200 გ მოხარშული ძროხის ხორცი, უმი კომბოსტოს სალათა (მცენარეული ზეთით).

## მეექვსე დღე

**საუზმე:** 1 ფინჯანი შავი ყავა.

**სადილი:** 500 გ მოხარშული ქათმის ხორცი, უმი სტაფილოს და კომბოსტოს სალათა.

**ვახშამი:** 2 მოხარშული კვერცხი, უმი სტაფილოს სალათა (მცენარეული ზეთით).

## მეშვიდე დღე

**საუზმე:** 1 ფინჯანი ჩაი.

**სადილი:** 200 გ მოხარშული ძროხის ხორცი, ხილი.

**ვახშამი:** ნებისმიერი რაციონი წინა დღეებიდან, გარდა მესამე დღისა.

მერვე დღიდან, დიეტა კიდევ ერთი კვირის განმავლობაში მეორდება.

გისურვებთ წარმატებას! ■

## საღამოს პუნში



**მოსამზადებლად საჭიროა:** 0,5 ლ წყალი, 75 გ შაქარი, ლიმონი, 2 ჩ/კ შავი ჩაი, 0,75 ლ წითელი ღვინო, 0,5 ლ ალუბლის ლიქიორი, 0,25 ლ კონიაკი ან არაყი, მიხაკი და დარიჩინი (გემოვნებით).

**მომზადების წესი:** წყალი, შაქარი, ცოტაოდენი მიხაკი და დარიჩინი, ასევე, ერთი ნაჭერი ლიმონი მოათავსეთ ქვაბში და დადგით ნელ ცეცხლზე. ნარევი მიიყვანეთ ადუღებამდე და შემდეგ, ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგით. მას დაუმატეთ 2 ჩ/კ შავი ჩაი, კარგად აურიეთ და 6 წთ-ის შემდეგ გაწურეთ. დაუმატეთ წითელი ღვინო, ალუბლის ლიქიორი და კონიაკი ან არაყი. ეს მასა გააცხელეთ 70 გრადუს ტემპერატურამდე. შემდეგ კი, შეგიძლიათ, ცოტაოდენი ლიმონის წვენიც (გემოვნებით) დაუმატოთ. ■

● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები
და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

გამოიწერეთ!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1 ბომონდი | 2,00 | 52,00 |
| 2 Бурда | 7,00 | 42,00 |
| 3 Вог | 12,00 | 72,00 |
| 4 Космополитан | 12,00 | 72,00 |
| 5 Мадам фигаро | 10,00 | 60,00 |
| 6 Елле | 12,00 | 72,00 |
| 7 Караван историй | 8,00 | 48,00 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.

რუბრიკა მოამზადა ლიკა ქაჯაია

სოფო ჭონიშვილი

# „...კარგად გავერთეთ, მაგრამ..."

**მომღერალ ზურა დოიჯაშვილსა და მსახიობ ეკა ნიჟარაძეს, მარჯანიშვილის თეატრში, ეკას საგრიმიოროში შევხვდი. ორივე მათგანისთვის, როგორც თვითონ აღნიშნეს, ჟურნალისტის როლში ყოფნა საკმაოდ საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა. სწორედ ამ ინტერვიუს პროცესში გადაწყვიტეს, დუეტი ჩაწერონ და საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ — ამჯერად კონკურსგარეშე წარდგნენ. ალბათ მაყურებელს კარგად ახსოვს ცოტა ხნის წინ, მათი მონაწილეობა მუსიკალურ პროექტში — „იმედის ტალღა-2", სადაც ერთ-ერთ ორიგინალურ წყვილს წარმოადგენდნენ.**



საიდან გამოვარდა ეკა ნიჟარაძე ზურა დოიჯაშვილთან ერთად

ჟურნალისტი – ეკა ნიჟარაძე
რესპონდენტი – ზურა დოიჯაშვილი

— **ზურა, გაზაფხული მოვიდა, რაც მე ძალიან მახარებს. შენ როგორი განწყობილება გაქვს?**

— არაჩვეულებრივი, გაზაფხული ძალიან მიყვარს. სიგარეტს აღარ ვეწევი, კარგად ვსუნთქავ... ოპერაციის შემდეგ, სიგარეტის მოწევა ამიკრძალეს, ასე რომ, ჯანსაღი ცხოვრებით ვცხოვრობ.

— **ოპერაციის შემდეგ, თავს როგორ გრძნობ?**

— ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მეორედ დავიბადე. იმ დღიდან, რაც სიგარეტს აღარ ვეწევი, ხმაც გამისუფთავდა, ხრინწი აღარ მაქვს (*ღიმება*).

— **ის შენი ხრინწიანი ხმა უფრო მომწონდა... ზურა, როგორ აფასებ ტელეკომპანია „იმედის" მუსიკალურ პროექტს, რომელშიც ჩვენც ვმონაწილეობდით?**

— ძალიან კარგი პროექტია, მსგავს რაღაცებს მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები. მგონი, დამეთანხმები, რომ კარგად გავერთეთ, არა?

— **კონკურსიდან ჩვენი გამოვარდნის შემდეგ, ჟიურიში მოხვდი. იქ თავს როგორ გრძნობდი?**

— გაგიმხელ, რომ თავი კომფორტულად ნამდვილად არ მიგრძნია. ჩემთვის კოლეგებისა და მეგობრების შეფასება ძნელი აღმოჩნდა. მიყვარს — როცა მაფასებენ. სხვისი შეფასებისგან კი, ხშირად თავს ვიკავებ. მიმაჩნია, რომ სიმღერა სპორტის სახეობა არ არის და ქულებით არ უნდა ფასდებოდეს.

— **მე და შენ ამ პროექტში ის წყვილი ვართ, რომელმაც გამოვარდნა, ასე ვთქვათ, „ლაითად" გადაიტანა. იქ იყვნენ წყვილები, რომლებმაც ბუტიაობა დაიწყეს და ერთმანეთის მიმართ წყენა ხმამაღლა გამოხატეს, რას იტყვი ამის შესახებ?**

— ამაში ვერ დაგეთანხმები.

— **ზურა, დამეთანხმე და აღიარე, რომ ასე იყო (*იცინის*)!.. როგორ ფიქრობ, ამ პროექტიდან გამოვვარდით თუ გამოგვაგდეს?**

— გამოვვარდით... ისე, მაყურებელი ბოლომდე გვიცავდა, მაგრამ... მთლიანობაში, ვაღიარებ, რომ პროექტი შედგა. რითიც ძალიან კმაყოფილი ვარ.

— **მოდი, თემა შევცვალოთ... სცენაზე შენი პირველი გამოსვლა გაიხსენე.**

— ზუსტად ვერ გავიხსენებ, გეტყვი იმას, რაც ბევრჯერ მითქვამს. ბავშვობიდან ფორტეპიანოზე დავდიოდი. პირველ კლასში ვიყავი, როცა პირველი ეტიუდი შევქმენი და „ნიავი" დავარქვი. იმდენად პატარა ვიყავი, რომ ფორტეპიანოს პედლებს ვერც კი ვწვდებოდი. იქიდან მოყოლებული, მუსიკის, სიმღერის სიყვარული დღემდე მომყვება.

— **საინტერესოა, ბავშვობაში ვის უსმენდი?**

— ოო... ვუსმენდი „ბითლზს", „როლინგ სტოუნზს". ჯაზს — უფრო მოგვიანებით, ასე, მე-10 კლასიდან.

— **სიმღერებს ვის უძღვნიდი?**

— კონკრეტულად, არავის. საერთოდ, როცა ვმღერი, ჩემი ნამღერი ზოგადად ყველას ეძღვნება, ვისაც კი ჩემი სიმღერა სიამოვნებს. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ინსტრუმენტს მივუჯდები და არაჩვეულებრივი განწყობილება მეუფლება. მოკლედ, მუსიკა ჩემთვის წამალივითაა.

— **ამჟამად რას საქმიანობ? ახლა სიმღერებზე არ მუშაობ?**

— სულ ვმუშაობ, შესვენებას და პაუზას არასოდეს ვაკეთებ. სახლში, პატარა სტუდია მაქვს მოწყობილი, სადაც ჩემთვის წყნარად ვზივარ და ახალ კომპოზიციებს ვქმნი. დიდი სურვილი მაქვს, რომ ყველა ეს კომპოზიცია ერთად შევკრიბო და ალბომის სახით გამოვუშვა. მე თუ ვერ შევძლებ, მერე ჩემი შვილები მაინც შეძლებენ. ასე რომ, არ ვჩერდები, ვაკეთებ იმას, რისი კეთებაც ყველაზე მეტად მსიამოვნებს.

— **სიმღერებისთვის ტექსტს შენ თვითონ წერ?**

— ტექსტის დაწერა, არასოდეს მიცდია, მგონია, რომ ეს საქმე არ გამომივა. როცა მუსიკა მზად მაქვს, შესაბამისად, ვიცი, ტექსტი რა თემაზე უნდა დაიწეროს... ამაში ხან მეგობრები, ხან კიდევ, ჩვენი ცნობილი, ტექსტის ავტორები მეხმარებიან.

— **ზურა, მოდი, ორი სიტყვით, ქართულ შოუბიზნესსაც შევეხოთ: როგორ ფიქრობ, არსებობს საქართველოში შოუბიზნესი?**

— დავიწყებ იმით, რომ სიტყვა „შოუბიზნესი" არ მომწონს. ადრე რუსული ტერმინები იყო, ახლა ინგლისური შემოვიდა. არ ვამბობ, რომ დავბერდი, მაგრამ თავს წინა თაობის კაცად მივიჩნევ, დღევანდელი, თანამედროვე ტერმინოლოგია ყურში რაღაც, სხვანაირად მხვდება. რაც შეეხება ე.წ. ქართულ შოუბიზნესს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის არ არსებობს. ხელოვნებისა და კულტურის აღმავლობა ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. როცა ადამიანს ოჯახში პურის ფული არა აქვს, მისთვის თეატრი და კონცერტი — ოცნებაა.

— **ზურა, დღეს თეატრს მაყურებლის პრობლემა ნამდვილად აღარ აქვს. თეატრებში განსაკუთრებით აქტიურად ახალგაზრდები, სტუდენტები დადიან, რაც ძალიან მახარებს... ახლო მომავალში სოლო კონცერტის გამართვას ხომ არ გეგმავ?**

— რამდენჯერაც ამის შესახებ წინასწარ



M K

ვთქვი, იმდენჯერ არაფერი გამომივიდა. მოდი, ამ კითხვაზე პასუხისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. გეტყვი იმას, რომ ამ ზაფხულს ჩემი რეპერტუარით მთელი საქართველოს მოვლას ვაპირებ. არ არსებობს საქართველოში კუთხე-კუნჭული, კონცერტი რომ არ მქონდეს ჩატარებული, ეს ყველაფერი ძალიან მომენატრა და გადავწყვიტე, ამ ზაფხულს სერიოზული ტურნე მოვიწყო.

— **როგორც ვიცი, ხშირად დადიხარ გასტროლებზე სხვადასხვა ქვეყანაში. როგორ გხვდება იქაური საზოგადოება?**

— გასტროლებზე მარტო არასდროს მივდივარ, 4-5 კაცი ერთად შევიკრიბებით და ორგანიზებულად მივემგზავრებით ხოლმე. რაც შეეხება იქაურ საზოგადოებას — ბევრგან საქართველოს შესახებ არაფერი იციან, თუმცა, ბოლო ხანებში ცოტა გაგვიცნეს. ისე, ძირითადად, ქართველი ემიგრანტებისთვის ვმღერით, რომელთაც ყველაფერი ქართული მონატრებული აქვთ. ჩვენი იქ ჩასვლით, მათ სიამაყის გრძნობა ეუფლებათ, იქაურ საზოგადოებას უჩვენებენ, რომ ქართველები მარტო ძიძები, დამლაგებლები და ქურდები კი არ ვართ, რომ ჩვენც გვყავს მსახიობები, მომღერლები და წარმატებული ადამიანები... ამერიკაში გასტროლების დროს, ასეთი შემთხვევა გვქონდა: კონცერტები ბრუკლინის „მილენიუმის თეატრში“ გვქონდა. როცა პირველად მივედით სარეპეტიციოდ, იქ რუსი ოპერატორი დაგვხვდა. რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავით, ძალიან გაუხარდა. მეორე დღეს ჩვენს კონცერტზე უამრავი რუსი იყო მოსული. ეს ის რუსები იყვნენ, რომლებსაც რუსეთი კომუნისტების მმართველობის დროს ჰქონდათ დატოვებული და ის სიყვარული, რომელიც იმ პერიოდში ქართველებსა და რუსებს შორის არსებობდა, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ განელებული. კონცერტის შემდეგ, უამრავი აპლოდისმენტით დაგვაჯილდოეს...

## ჟურნალისტი – ზურა დოიჯაშვილი
## რესპონდენტი – ეკა ნიჟარაძე

— **ეკა, რა არის შენთვის თეატრი?**

— ჩემთვის თეატრი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მართლა, ყველაფერია. სექტემბრიდან დღემდე, 4 პრემიერა მქონდა. სრული დატვირთვით ვემსახურები საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს. ამჟამად ორ ახალ სპექტაკლზე ვმუშაობ, რომლის პრემიერები ამ სეზონში გაიმართება.

— **რა შეგიძლია გვითხრა სერიალზე, — „ქალალდის ტყვია“, რომელშიც ერთ-ერთ როლს თამაშობდი?**

— რამდენადაც ვიცი, საზოგადოებამ ეს სერიალი საკმაოდ კარგად მიიღო. ახლა ამ ნამუშევრის „დივიდიზე“ გამოსვლას ელოდებიან, რადგან ბევრმა ვერ ნახა იმის გამო, რომ ვერ ახერხებდა ყოველ საღამოს, 10 საათზე სახლში ყოფილიყო. ისევ და ისევ, მოუცლელობის გამო, ყველა სერიის ნახვა ვერც მე მოვახერხე.

— **ეკა, ვინ არის შენი საყვარელი მსახიობი?**

— ამის დაკონკრეტება ცოტა გამიჭირდება. ბევრი საყვარელი მსახიობი მყავს, მათ შორის არიან ქართველებიც და უცხოელებიც. საოცრება იცი, რა არის? — როცა პატარა ხარ და საყვარელ მსახიობს მხოლოდ ეკრანზე ხედავ, იმ დროს ვერაფრით წარმოგიდგენია, რომ იმ ადამიანს ოდესმე პირისპირ შეხვდები, უფრო მეტიც — მის გვერდით სცენაზე ითამაშებ. მსგავსი სიტუაცია, წლების წინ, პირველად, ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესთან მქონდა, როცა ჩეხოვის „სამ დაში“ ვითამაშე. იმ შთაბეჭდილებას დღემდე ვერ ვივიწყებ.

— **თეატრი, კინო, ოჯახი, 3 შვილი — ყველაფერს ერთად როგორ ასწრებ?**

— *(იცინის)* თვითონაც ძალიან მიკვირს, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერს ვასწრებ, ენერგიული ადამიანი ვარ.

— **შენნაირ საქმიან ქალს, კარგი მანქანით, მძღოლი უნდა ემსახურებოდეს.**

— მძღოლი არ მინდა, მომწონს, როცა საჭესთან თავად ვზივარ. ახლა ჩემი მანქანა გაფუჭებულია, რასაც ძალიან განვიცდი.

— **პროფესიული არჩევანი დამოუკიდებლად მიიღე?**

— საერთოდ, გადაწყვეტილებას ყოველთვის დამოუკიდებლად ვიღებ. კარგია ეს თუ ცუდი, ჯერჯერობით, ვერ დავადგინე...

— **როგორც მახსოვს, შენ შოუბალეტ „ვერნისაჟის“ პირველი მერცხალი იყავი...**

— ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში მსგავსი შოუები არ იმართებოდა. მაშინ, ეს ყველასთვის უცხო და საინტერესო იყო. პირველები მართლაც, ჩვენ ვიყავით და ამას რაღაც სხვა ხიბლი ჰქონდა. შემდეგ, ასეთი ჯგუფი ნელ-ნელა ბევრი ჩამოყალიბდა.

— **მანდილოსნების უმეტესობას არ მოსწონს, როცა ასაკს ეკითხებიან. შენ როგორ ფიქრობ, ქალმა წლოვანება უნდა დამალოს?**

— გულწრფელად გეტყვი, რომ ჩემი ასაკი არასოდეს არავისთვის დამიმალავს,


ჩემი ნამღერი ზოგადად ყველას ეძლვნება, ვისაც კი ჩემი სიმღერა სიამოვნებს

არც იმაზე მიფიქრია, ქალმა ასაკი უნდა დამალოს თუ არა. ამიტომ, მოდი, არც შენ დაგიმალავ: 35 წლის ვარ.

— **ისე გამოიყურები, როგორც 22-23 წლის გოგონა.**

— გმადლობ კომპლიმენტისთვის!

— **თავს რომელი ჟანრის მსახიობად მიიჩნევ?**

— როცა ამ კითხვას მისვამენ, პასუხი ყოველთვის ასეთი მაქვს: ჯერჯერობით არ დამიდგენია, რომელი ჟანრის მსახიობი ვარ, კომედიაშიც მითამაშია და ტრაგედიაშიც. მიმაჩნია, რომ ამის გარკვევას, გამოცდილება და დრო სჭირდება.


ჩემი ასაკი არასოდეს არავისთვის დამიმალავს

— **შეგიძლია, დამისახელო შენ მიერ განსახიერებული პერსონაჟი, რომელიც ყველა სხვა როლისგან განსხვავებით, განსაკუთრებულად მოგწონს და გიყვარს?**

— ყველა ჩემი როლი ძალიან მიყვარს, დიდიც, პატარაც და უმნიშვნელოც... თუმცა, არის როლები, რომლებსაც უფრო ხალისიანად ვთამაშობ. არ შეიძლება, ყველა როლი ერთნაირად მოგწონდეს. თქვენ, მომღერლები, ყველა სიმღერას ხომ ერთნაირი შემართებით არ მღერით?

— **რა თქმა უნდა, არა... — წინააღმდეგი ხომ არ იქნები, სიმბოლურად ერთი დუეტი რომ ჩავწეროთ?**

— რა თქმა უნდა, არა. სიამოვნებით. არ გავთავხედდები და არ ვიტყვი, რომ კარგად ვმღერი, მაგრამ თუკი იმის საშუალება იქნება, რომ დუეტი ჩავწეროთ, ძალიან გამიხარდება.

— **იმდენად კარგი მსახიობი ხარ, რომ მოინდომო, კარგი მომღერალიც დადგები...**

— სხვათა შორის, ერთ-ერთ ახალ სპექტაკლში ვმღერი კიდეც და საკმაოდ კარგად გამომდის, ასე რომ... ■

# ტრაგედია პანკისში და ქისტურ-ჩეჩნური ქორწინება...

**ომარ ქავთარაშვილი პანკისელი ქისტია. რამდენიმე წელია, რაც ცოლთან და სამ შვილთან ერთად თბილისში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ხან ვაჭრობს, ხანაც „შა-ბაშკაზე" დადის — აგარაკებს არემონტებს და როგორც თვითონ ამბობს, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ირჩენს თავს. ომარს ამ ცოტა ხნის წინ შევხვდი — საერთო ნაცნობმა გამაცნო. ვკითხე: იმ მშვენიერი ხეობიდან თბილისში რამ ჩამოგიყვანა-მეთქი? — იქ ცხოვრება ძალიან ძნელი გახდაო, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა.**

**ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. გულჩათხრობილი კაცია. მეგობარმა, ვინც ომარი გამაცნო, მითხრა: ყოველთვის ასეთი გულჩათხრობილი კი არა, პირიქით — ძალიან ხალისიანი და მხიარული ბიჭი იყო, მაგრამ ჩეჩნებმა ძმა მოუკლეს და მას შემდეგ, მის ბაგეზე ღიმილი აღარავის უნახავს; თუ გინდა, ვთხოვოთ, მოგვიყვეს, რატომ და როგორ მოუკლეს ძმაო... რამდენიმე დღეში, როცა ომარს კვლავ შევხვდით, მისი ნაამბობი ჩავიწერე.**



*დავით დევიძე*

— პანკისის ხეობა დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ ბავშვობაში დავტოვეთ და კახეთში გადავსახლდით. პანკისში მხოლოდ დედისეული სახლი დაგვრჩა, სადაც წელიწადში ერთი თვე, ხან დედაჩემი ცხოვრობდა, ხან — მე და ჩემი ძმა, იქაურობა რომ არ გაპარტახებულიყო და გავერანებულიყო. მერე, როცა დედა მოხუცდა, სურვილი გამოთქვა, იმ სახლში მინდა მოვკვდე, სადაც დავიბადეო. წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. დედა ხეობაში დაბრუნდა, მე და ჩემი ტყუპისცალი ძმა ჯემალი კი — მამას ვეხმარებოდით ცხვრის მწყემსვაში. დედა უპატრონოდ კი არ მიგვიტოვებია, ორ-სამ თვეში ერთხელ, რომელიმე ჩვენგანი მიდიოდა და მოინახულებდა ხოლმე. ერთი სიტყვით, მწყემსი კაცის პირობაზე, ბედს არ ვემდუროდით. მაგრამ მერე, ყველაფერი შეიცვალა.

**— რა მოხდა?**

— ხომ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ, ჩეჩნეთიდან გამოქცეული ლტოლვილები რომ გადმოვიდნენ პანკისის ხეობაში? მაშინ მათ ბევრი ბოევიკიც მოჰყვა. ამ ხალხმა ადგილობრივი მცხოვრებლებისგან ბინები იქირავა და მყუდროდ მოეწყო. დედაჩემთანაც მისულა ორი ჩეჩენი მებრძოლი. უთქვამთ — კარგ ფულს გადაგიხდით, ოღონდ ოთახი მოგვაქირავეო. დედამაც უარი არ უთხრა. სულაც რომ არ გადაეხადათ ფული, თავზე ქერს როგორ დაამადლიდა ადამიანს?! მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ ამ ორს კიდევ ათამდე კაცი მოჰყვა. მთელი სარდაფი იარაღით გაუვსიათ. მოკლე დროში სახლი „ბარდაკად" აქციეს. ბევრს ეცადა დედაჩემი, ემუდარა — სახლს იარაღის საწყობად ნუ გადამიქცევთო, — მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ასე გაგრძელდა კარგა ხნის მანძილზე. ჩვენ მთაში ვიყავით და არაფერი ვიცოდით. ერთ დღეს კი, ჩემი ძმა ჯემალი წავიდა სოფელში დედის მოსანახულებლად. ცოტა ყველი და ხორცი წაუღო. რომ დაბრუნდა, გვიამბო, თუ რა მდგომარეობაც დახვდა სახლში. თან დასძინა: ორი კვირის ვადა მივეცი, სახლი რომ დატოვონ და იარაღი იქაურობას მოაცილონო.

**— შემდეგ რა მოხდა?**

— ორი კვირის მერე ისევ წავიდა. დღემდე ვნანობ, რომ მეც არ წავყევი, მაგრამ მამას მარტო ვერ დავტოვებდი, გაუჭირდებოდა ცხვრის მოვლა... მეორე დღეს ამოვარდა ჯემალი მთაში. გვითხრა — კაცი მოვკალი და უნდა გავიქცეო. აღმოჩნდა, რომ ის ჩეჩნები ისევ ისე დახვდნენ, ჯემალს მოუთხოვია, ახლავე დატოვეთ სახლიო, — რაზეც ერთ ჩეჩენს უკმეხად უპასუხია. ეს შელაპარაკება თურმე, მუშტი-კრივში გადაზრდილა. ერთი კაცი რას გააწყობდა იმდენი მოწინააღმდეგის წინაშე?! ჯემალს დანა უხმარია — ყველაზე მეტად ვინც აქტიურობდა, მისთვის დაურტყამს და გაქცეულა. ჩეჩნებმა ტყვიის წვიმა დამადევნეს, მაგრამ გადავრჩიო, — ამბობდა. ის ღამე ნათესავთან გაუთევია, მეორე დილით კი, როცა გაიგო, რომ დაჭრილი ჩეჩენი გარდაიცვალა, მთაში დაბრუნდა. რაღას ვიზამდით? მისი მთაში გაჩერება არ შეიძლებოდა. თუ გახსოვთ, იყო ასეთი საველე მეთაური — რიზვან ახმადოვი. ჯემალის მიერ მოკლული ჩეჩენი მისი ახლო ნათესავი აღმოჩნდა და აუცილებლად გამოვიდოდნენ ჩვენს კვალზე, ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო. ჯემალის გარდა, ჩვენც გვემუქრებოდა საფრთხე. ასე რომ, ბევრი აღარ გვიფიქრია — ცხვარი ბარისკენ გავრეკეთ. ზოგი ჩალის ფასად გავყიდეთ, რის გაყიდვაც ვერ მოვასწარით, სხვა მწყემსებს ჩავაბარეთ. აღებული ფული ცოტა მე და მამაჩემმა დავიტოვეთ, დანარჩენი კი, ჯემალს მივეცით, რომელიც რუსეთში წავიდა.

**— თქვენც დაიმალეთ?**

— შურისმაძიებლები ჩვენზე ნადირობას მხოლოდ მაშინ დაიწყებდნენ, თუკი ჯემალის ნახვის იმედს დაკარგავდნენ. მამაჩემს კი, იმედი ჰქონდა, რომ მოლაპარაკების შედეგად, შერიგებას მოახერხებდა, მაგრამ — ამაოდ. დღემდე მიკვირს — მაშინ, როცა ჩეჩნები მთელ რუსეთში ლამის კანონგარეშედ იყვნენ გამოცხადებულები, როგორ მოახერხეს ჯემალის პოვნა?!

**— როგორ იპოვეს?**

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ იპოვეს. როსტოვში იმალებოდა. იქ რაღაც დანაშაული ჩაუდენია და ორი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სწორედ ციხეში მიაგნეს და გამოიყვანეს (?!). რამდენი ფული უნდა გადაეხადათ ამაში?!. გროზნოში ჩაიყვანეს, მოკლულის საფლავზე მიიყვანეს და ავტომატის ჯერით დაცხრილეს. ეს რომ გავიგე... ყველა და ყველაფერი მეზიზღებოდა. იმ ჩეჩნებს ვეძებდი, სისხლი რომ აეღო. პანკისში გადასვლა გამიჭირდა. იქ უკვე სამთავრობო ჯარი ჰყავდათ შეყვანილი. ჩემი ძმის მკვლელები იქ აღარც იქნებოდნენ. ამიტომ, პირდაპირ ჩეჩნეთში წავედი. რიზვან ახმადოვის ნახვა მინდოდა. გადაწყვეტილი მქონდა, მოვმკვდარიყავი, ოღონდ ერთი გასროლა მაინც მომესწრო. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. რამდენიმე დღით დამასწრეს: რიზვან ახმადოვი კიდევ ერთი საველე მეთაურის — არბი ბარაევის ნათესავს, მოვსარ ბარაევს მოუკლავს. მერე მამაჩემმა მომძებნა, მითხრა — ჩემზეც იფიქრე და შენს მომავალზეც, სისხლი ორივე მხარეს დაიღვარა და ახლის დაღვრა საჭირო აღარ არისო... დედაც ლოგინად ჩამივარდა. იძულებული გავხდი, საქართველოში დავბრუნებულიყავი. მერე ისე მოხდა, რომ ჩეჩენი გოგო მოვიყვანე ცოლად. დღეს სამი შვილი მყავს. უფროს ბიჭს ჩემი უბედური ძმის სახელი — ჯემალი ჰქვია... ■





რამაზ ჭუმბურიძესა და დარეჯან გიორგაძეს 7 შვილი ჰყავთ — 6 გოგო და ერთი ბიჭი. აი, მათი სახელები: ირმა, მაია, მარეხი, მარი, იზა, მირანდა და ვეფხია. როდესაც ამ მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ შევიტყვე, ვთქვი: ბიჭის გამო გაუჩენიათ-მეთქი ამდენი შვილი, მაგრამ გამიკვირდა, როდესაც საწინააღმდეგოს წავაწყდი და სწორედ ამის გამო აღმოვჩნდი ჭუმბურიძეების ოჯახში.

მრავალშვილიანი ოჯახისათვის უჩვეულო სიწყნარე სუფევდა. მასპინძლებმა როდესაც ჩემი გაოცება შენიშნეს, გაიცინეს და მითხრეს: დაფრთიანდნენ ჩვენი შვილები და წავიდნენო.

მერე კი აი, რა მიამბეს:

# 6 „ჩიტის კაბა" და ერთი „შარვალი"

## „შვილთა სიმრავლე რჩეულთა ხვედრია"

მარეხ ჭონიშვილი

**რამაზ ჭუმბურიძე:**

— დარეჯანი ახლობლის ქორწილში გავიცანი, ის 19 წლის იყო, მე — 23-ის. საცეკვაოდ გამოვიწვიე, მაგრამ უარი მითხრა. მომეწონა და აღარ მოვეშვი. თავი შევაყვარე და ცოლადაც გამომყვა.

— **რამ გადაგაწყვეტინათ ამდენი შვილის გაჩენა?**

**დარეჯანი:**

— ბავშვები ძალიან გვიყვარს მეც და ჩემს მეუღლესაც. ვფიქრობ, რომ შვილთა სიმრავლე უფლის საჩუქარია და ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ბევრი ფიქრობს, თითქოს, ბიჭის გამო გავაჩინე, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. ჩვენს ოჯახს მატერიალურად არ უჭირდა და არც ახლა გვიჭირს. ჩემი მეუღლე ხელოსანია და მუშაობს. მე და ჩემი დედამთილი კი შინ ოჯახის საქმით და ბავშვების აღზრდით ვართ დაკავებულები. ისე გავზარდე 7 შვილი, მათთვის არაფერი მომიკლია, უფროსი გოგო 30 წლისაა, პატარა ბიჭი კი მეშვიდე კლასში სწავლობს.

— **თუმცა თქვენ, ბატონო რამაზ, ბიჭი მაინც გენდომებოდათ, ხომ ასეა?**

— როდესაც მაღაზიაში შევიდოდი და რამეს ვიყიდდი, ვთქვათ — 6 კაბას და გაიგებდნენ, 6 გოგოს მამა ვიყავი, რაღაც, სხვანაირად მიყურებდნენ... ბიჭი, რა თქმა უნდა, მინდოდა, ქართველი კაცის ხასიათი ხომ იცით. ბიჭი გვარის გამგრძელებელია. მაგრამ მე ამას, სხვებისგან განსხვავებით, ტრაგედიად არ აღვიქვამდი. ტრაგედია ჩვენი ოჯახისათვის ის იყო, როდესაც მესამე შვილი — ერთი წლის ბიჭი დამეღუპა.

— **როგორები არიან თქვენი შვილები და რამდენად გიჭირდათ ამდენი ბავშვის აღზრდა?**

**დარეჯანი:**

— როგორც ყველა ბავშვი, ესენიც ცელქები იყვნენ, როცა გამაბრაზებენ, ვეუბნები: ვეფხია რომ არა, თქვენ არ გაგაჩენდით-მეთქი.

— **მერე, გული არ სწყდებათ?**

— არა, მათ იციან, რომ ისინიც ისევე მიყვარს, როგორც ვეფხია. გოგონები დაიზარდნენ, საოჯახო საქმეებში მეხმარებიან და ერთმანეთსაც უვლიან. მარჯვე ბავშვები არიან და იმისი კარნახი არ სჭირდებათ, რა უნდა გააკეთონ. ერთხელ ვენახის შეწამვლის დროს, მეზობელს ვთხოვე დახმარება, მეორედ მომერიდა, ამიტომ უფროსი ქალიშვილები დავიხმარე და შევწამლე. თავიდან, ვითომ შერცხვათ — რას იტყვიან მეზობლები, კაცის საქმეს ვაკეთებთო! მაგრამ დაველაპარაკე, დავამშვიდე, ვუთხარი — შრომაში სათაკილო და სამარცხვინო არაფერია-მეთქი და ისინიც დამშვიდდნენ.



**ისე გავზარდე 7 შვილი, მათთვის არაფერი მომიკლია, უფროსი გოგო 30 წლისაა, პატარა ბიჭი კი მეშვიდე კლასში სწავლობს**

— **რას საქმიანობენ თქვენი გოგონები?**

— გამიმართლა — შრომასთან ერთად, არც სწავლა ეზარებოდათ, ბეჯითი გოგონები იყვნენ, სკოლა კარგად დაამთავრეს, ახლა სწავლობენ, მე კი, როგორც შემიძლია, ხელს ვუწყობ და ვეხმარები.

— **თუ ურჩევთ, ბევრი შვილი გააჩინონ?**

— ახლა სხვანაირად აზროვნებენ ახალგაზრდები. ხშირად მესმის — ერთსაც ძლივს ვზრდი ამ გაჭირვებაშიო. მაგრამ ვფიქრობ, დრო არაფერ შუაშია. ბევრი შვილის გაზრდას ბევრი წვალება, შრომა და მატერიალური საშუალება სჭირდება. მთავარი ის კი არ არის, რომ გააჩინო, მთავარია, როგორ აღზრდი, რა გზაზე დააყენებ მათ. ამას კი დიდი შრომა დასჭირდება და სწორედ ეს შრომა ეზარებათ ახლანდელ ახალგაზრდებს... 2 ქალიშვილი გათხოვილი მყავს. ერთმა, ახლახან იმშობიარა. სანახავად რომ მივედი, მითხრა: ყოჩაღ, დედა, შენ, როგორ გაგვაჩინე ამდენიო?!. თუკი სურვილი და საშუალება ექნებათ იმისა, რომ შვილებს მოუარონ, რატომაც არა, მე წინააღმდეგი რატომ ვიქნები?! მაგრამ ეს მათი გადასაწყვეტია და ჯერჯერობით, არ ვიცი, რას იზამენ.

— **მთავრობა არ გეხმარებათ?**

— მთავრობისგან დიდი არაფერი დახმარება მიმიღია. რომ მოვიდნენ შესამოწმებლად და ნახეს, რომ არ გვიჭირდა, მითხრეს: თქვენ დახმარება არ გჭირდებათო. ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, კარადა და მაცივარი გვაჩუქეს.

*მასპინძლებს დავემშვიდობე, მათი მშვენიერი ოჯახიდან მოვდიოდი და ვფიქრობდი — რამდენ რამეს ვუწევთ რეკლამას, მათ შორის, კონტრაცეპციას ანუ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, ფუფუნების ნაირ-ნაირ აქსესუარს, იმას, თუ როგორ „ვიცხოვროთ" უპრობლემოდ", როგორ დავგეგმოთ ოჯახი ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, როგორ „გადავიანგარიშოთ" შვილების რაოდენობა ოჯახის ბიუჯეტის შესაძლებლობებზე და მისთანანი. ასეთი რეკლამა კი, არასდროს დაგვილანდავს: „შვილთა სიმრავლე ერის სიცოცხლეა. აცოცხლეთ მამული, ქართველნო"...*

■

*რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი*

# ყველაფერი არტერიული წნევის შესახებ



**არტერიული წნევის მომატებას არტერიულ ჰიპერტენზიას უწოდებენ. წნევის ნორმალური მაჩვენებელი საკმაოდ ინდივიდუალურია. არსებობს რამდენიმე კლასიფიკაცია, მაგრამ ზოგადად მიღებულია, რომ სისტოლური (ზედა) წნევა არ უნდა აჭარბებდეს 140 მმ/ვწს-ს, ხოლო დისტოლური (ქვედა) — 90 მმ/ვწს-ს (ვერცხლისწყლის სვეტის მილიმეტრი). თუმცა ზოგი ამ წნევას (140/90) მოსაზღვრე ჰიპერტენზიად მიიჩნევს.**

**ზოგიერთი ადამიანი ჰიპოტონიკია (დაბალწნევიანი). ასეთი რამ განსაკუთრებით ქალებშია ხშირი. მათთვის წნევის მატება 130 მმ/ვწს-ზე ზემოთ შესაძლოა, კრიზის მიზეზი გახდეს. ზოგიერთი კი (განსაკუთრებით ხანში შესულნი) 150-160 მმ/ვწს წნევაზე თავს მშვენივრად გრძნობენ. ადრე იხმარებოდა ცნება „100+ასაკი“ და ამ ფორმულით გამოთვლილი წნევის მაჩვენებელი ნორმად მიიჩნეოდა, მაგრამ დღეისათვის მედიკოსთა მოსაზრება ამ საკითხზე სხვაგვარია: ის, რომ მაღალი წნევისას ადამიანი თავს კარგად გრძნობს, არ შეიძლება მივიჩნიოთ წნევის ახალი ნორმის დაწესების საფუძვლად. წნევის მაღალ ციფრებთან შეგუების მიზეზი სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული ცვლილებებია. მაღალი წნევა კი კიდევ უფრო აღრმავებს ამ ცვლილებებს და საბოლოო შედეგი შეიძლება სავალალო იყოს. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ რეგულარულად ვიკონტროლოთ წნევა და მისი მატებისას დროულად მივიღოთ მისი დამწევი (ჰიპოტენზიური) პრეპარატები.**

## რატომ იმატებს წნევა

არტერიული ჰიპერტენზია არის დაავადება, რომლის გამომწვევი მიზეზიც დადგენილი არ არის. ამიტომ მას ესენციურ, პირველად ჰიპერტეზიას უწოდებენ.

თუმცა არსებობს სხვადასხვა დაავადებით გამოწვეული ანუ მეორეული ჰიპერტენზიაც. მისი მიზეზი ყველაზე ხშირად თირკმლის დაავადებებია: პიელონეფრიტი, გლომერულონეფრიტი, დიაბეტური ნეფროპათია, თირკმლის კენჭოვანი დაავადება, თირკმლის არტერიის სტენოზი (შევიწროება).

ჰიპერტენზია ვითარდება ენდოკრინული დაავადებების (თირეოტოქსიკოზი, პირველადი ალდოსტერონიზმი, კუშინგის სინდრომი, ფეოქრომოციტომა), აორტის სარქვლის ნაკლოვანების, ზოგიერთი თანდაყოლილი პათოლოგიის დროს.

ჰიპერტენზია შეიძლება იყოს წამლისმიერი. ვითარდება სტეროიდების (ჰორმონული პრეპარატების), არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების, კონტრაცეპტივებისა და ანაბოლური პრეპარატების მიღებისას.

## როდის დაიწყო?

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ აღმოაჩენს ადამიანი ჰიპერტენზიას. შესაძლოა, არაფერი აწუხებდეს, მაგრამ შემთხვევით გაიზომოს და 200 მმ/ვწს აღმოაჩნდეს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჰიპერტენზია კარგა ხანია ჩამოყალიბებულია და ორგანიზმი უკვე მაღალ წნევას შეჩვეულია. ხოლო როდესაც წნევა უეცრად იმატებს, 20 ერთეულით მატებაც კი თავბრუსხვევას, თავის ტკივილს, გულისრევის შეგრძნებას იწვევს, ზოგჯერ კი, კრიზი და თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლაც ვითარდება.

თუ ქალს ჰიპერტენზია კლიმაქსის დროს განუვითარდა, წნევის მაღალი ციფრები შეიძლება კლიმაქსური პერიოდის გავლის შემდეგაც დარჩეს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰორმონული ცვლის მოწესრიგებას, რასაც, თავის მხრივ, შეიძლება არტერიული წნევის ნორმალიზებაც მოჰყვეს.

## რა უფრო საშიშია?

წნევის მატებისას ზოგჯერ უპირატესად ზედა (სისტოლური) წნევის მომატებაა გამოხატული, ზოგჯერ — დისტოლურისა, ზოგჯერ კი ორივე მაჩვენებელი ერთნაირად მატულობს.

სისტოლური წნევა გულის მიერ გადასროლილი სისხლის რაოდენობითაა განპირობებული და დამოკიდებულია გადასროლის სიჩქარეზე, მსხვილ არტერიებში არსებულ წნევაზე. დისტოლური წნევა, რომელსაც ხალხი გულის წნევასაც უწოდებს, გულის შეკუმშვებს შორის (მოსვენებისას) არსებული წნევაა. სწორედ მისი მატებაა უფრო საშიში, ვიდრე ზედა წნევისა, რადგან ამ დროს მეტისმეტად იტვირთება გულის კუნთი და მისი იშემია (კუნთის ჟანგბადოვანი შიმშილი) ვითარდება.

## რისკ-ფაქტორები

წნევის მატების ზუსტი მიზეზი უცნობია, მაგრამ ცნობილია ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც ჰიპერტენზიის განვითარებას უწყობს ხელს. ესენია:

- სტრესი;
- არასწორი ცხოვრების რეჟიმი;
- მარილის ჭარბად მოხმარება;
- სიგარეტი;
- ზედმეტი ჭამა, სიმსუქნე;
- ალკოჰოლის ჭარბი, რეგულარული მოხმარება;
- ფიზიკურ აქტიურობაზე უარის თქმა.

## რა გართულებებია მოსალოდნელი

ჰიპერტენზიის დროს ჩქარდება ათეროსკლეროზის განვითარება, ხდება გულის კუნთის ჰიპერტროფია (გასქელება), ეს ფაქტორები კი, იწვევს გულის იშემიურ დაავადებას, სტენოკარდიას, ინფარქტს, ვითარდება გულის უკმარისობა. ირღვევა სისხლის მიმოქცევა ნებისმიერ ორგანოში. ვითარდება ინსულტი (თავის ტვინში), შეჭმუხნილი თირკმელი და ა.შ.

## მკურნალობა

ერთ-ერთი გამოკვლევის მეშვეობით დადგინდა, რომ ტვინში სისხლის ჩაქცევა უმეტესად, დილის საათებში ვითარდე-

ბა — იმ დროს, როდესაც წამალი მოქმედებას წყვეტს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი მუდმივად წამლის ზემოქმედების ქვეშ უნდა იყოს. რაიმე ტრაფარეტული სქემა არ არსებობს — ყველა პაციენტს ჯანმრთელობის მდგომარეობისა და წამლის ზემოქმედების ეფექტურობის მიხედვით ინდივიდუალურად ურჩევენ პრეპარატთა კომბინაციას. დღევანდელი ფარმაკოლოგია ფართო არჩევანის შესაძლებლობებს იძლევა. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ პრეპარატი, რომელიც თქვენს მეზობელს ან ნათესავს დაუნიშნეს, თქვენც მოგიხდებათ. შეიძლება საპირისპირო შედეგი მიიღოთ, რადგან თქვენი გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობას თვითნებურად შერჩეული პრეპარატი არ შეესაბამება. ამიტომ უმჯობესია, მკურნალობის კურსი ექიმმა დაგინიშნოთ.

არტერიული ჰიპერტენზიისას წნევის დამწევი საშუალებები რეგულარულად უნდა სვათ. ზოგჯერ პაციენტს შეიძლება დიდხანს ჰქონდეს ნორმალური წნევა, მაგრამ უეცრად განუვითარდეს ჰიპერტონიული კრიზი, რაც სერიოზული გართულების მიზეზი ხდება. ამიტომაა საჭირო წნევის რეგულარული კონტროლი. ■

## მწვანე აფთიაქი მამაკაცებისთვის

**პროსტატიტის (წინამდებარე ჯირკვლის ანთების) დროს:**

აიღეთ 1-2 ს/კ ნებისმიერი ჯიშის მსხლის გამომშრალი და დაქუცმაცებული ფოთოლი, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, შეფუთეთ და 2 სთ-ს დააყოვნეთ. შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

აიღეთ 1 ს/კ თხილის გული (შეიძლება ნაჭუჭიც), დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და დადგით 2 სთ-ით, შემდეგ გაფილტრეთ. მიღებული ნაყენი მცირე ულუფებით სვით მთელი დღე (ნაყენი ერთი დღის ნორმაა).

4 ს/კ ჭანგას დაქუცმაცებულ ფესვურას დაასხით 5 ჩ/ჭ წყალი. ადუღეთ, სანამ საწყისი მოცულობის 1/4-მდე არ დაიყვანთ. მიიღეთ 1 ს/კ ნახარში დღეში 4-5-ჯერ.

ეს ნახარში მარგებელია შაქრიანი დიაბეტისთვის.

**ქრონიკული პროსტატიტის დროს**

2 ჩ/კ სელის თესლს დაასხით 1,5 ჩ/ჭ წყალი, ადუღეთ 3-5 წთ ნელ ცეცხლზე. შემდეგ 15 წთ-ს დააყოვნეთ. ამის შემდეგ გაფილტრეთ დოლბანდში. მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში.

ეს ნაყენი სუსტი სასაქმებელი საშუალებაცაა.

ქრონიკული პროსტატიტის დროს კარგია დინდგელი. იგი აქრობს დაავადების ყველა სიმპტომს, აქვს ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო ქსოვილების აღმდგენი ეფექტი. ამასთანავე, ტკივილგამაყუჩებელიცაა.

დინდგელის ნაყენი იყიდება აფთიაქებში. შეგიძლიათ მიიღოთ 10-12 წვეთი 3-ჯერ დღეში მცირე რაოდენობით, რძესთან ერთად.

**პროსტატის ადენომის დროს**

1 ს/კ დაქუცმაცებულ თხილის ფოთოლს ან ხის ქერქს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, მიიღეთ 1-2 ს/ჭ, დღეში რამდენჯერმე.

1 ს/კ ძირტკბილას ფესვს დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და ადუღეთ 10 წთ. გააგრილეთ, გაფილტრეთ. მიიღეთ 100-100 გ ჭამის წინ, 3-ჯერ დღეში. ■


● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები

გამოიწერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. Акушерство и гинекология | 11.50 | 34.50 |
| 2 Журнал неврологии и психиатрии | 14.00 | 84.00 |
| 3 Кардиология | 14.00 | 84.00 |
| 4 Клиническая лабораторная диагностика | 12.00 | 72.00 |
| 5 Клиническая медицина | 11.00 | 66.00 |
| 6 Стоматология | 25.20 | 75.60 |
| 7 Хирургия | 14.00 | 84.00 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი
ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.


## სიცილის ნარკოტიკი ყოფილა



თურმე სიცილი ტვინის იმავე ცენტრს აქტიურებს, რომელსაც ნარკოტიკი — გვატყობინებენ სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები. მათ დაადგინეს, რომ როცა ადამიანი სასაცილო სცენას უყურებს, ტვინის ის ნერვული კონტური უაქტიურდება, რომელიც კოკაინის მოხმარების, ფულის მიღებისა და ლამაზი სანახაობის ჭვრეტისას. ეს ცენტრი ურთიერთმოქმედებს დოფამინთან — ნივთიერებასთან, რომელიც კეთილდღეობის შეგრძნებას ქმნის. სწორედ ამით აიხსნება ეიფორია, რომელიც ადამიანს კარგი ხუმრობის მოსმენის შემდეგ ეუფლება. ■

## ყავა ანტიბიოტიკების ეფექტს ზრდის



ექიმებმა, რომლებიც სტაფილოკოკებზე ანტიბიოტიკების ზემოქმედებას შეისწავლიდნენ, დაასკვნეს, რომ კოფეინი შესამჩნევად ზრდის ანტიბიოტიკის ეფექტურობას. მაგალითად, კარბენიცილინისათვის კოფეინის მატების შემდეგ სატაფილოკოკზე წამლის ზემოქმედება ოთხჯერ ძლიერდება.

კოფეინი და მისი მსგავსი ნივთიერება ამინოფილინი მნიშვნელოვნად ზრდის გენტამიცინის ეფექტსაც. ანტიბიოტიკებისგან განსხვავებით, ამ ნივთიერებებს ანტიბაქტერიული მოქმედება არ ახასიათებს.

გამოკვლევის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს მონაცემები ძალზე დაეხმარება, წამლების მიმართ ბაქტერიების მდგრადობის პრობლემა რომ გადაჭრან. ყველაზე მეტად კი, ეს კანის ადგილობრივი ინფექციების მკურნალობას წაადგება. ■

# გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. მსახიობი კერკ დუგლასი არ მალავს, რომ ახალგაზრდობაში მეტად გაუნათლებელი იყო. მან აღიარა, რომ პირველად იმის შესახებ, თუ ვინ იყო ოდისევსი, 1954 წელს გაიგო, როდესაც მისი როლის შესრულება მოუხდა. ვისი როლი უნდა შეესრულებინა მისი აზრით, როდესაც ფილმ „სპარტაკში“ მთავარი როლის თამაში შესთავაზეს?

2. რა არის ფეშტამალი?

3. ერთხელ, დეპრესიით შეპყრობილმა პაციენტმა ექიმს რჩევისთვის მიმართა. მას ვერანაირი წამალი ვერ შველოდა. „ყოველდღე მიხაილ ზოშჩენკოს თითო მოთხრობა წაიკითხეთ“, — ურჩია ექიმმა. ამის გაგონებაზე, პაციენტი უფრო დანაღვლიანდა. რატომ?

4. რა არის ლაფათა?

5. რა არის საქულბაქე?

6. საგზაო სტატისტიკის მიხედვით, ევროპის გზებზე სიჩქარის გადაჭარბების გამო, ყველაზე ხშირად ჰოლანდიელებს აჯარიმებენ. არა იმიტომ, რომ ჰოლანდიელები ყველაზე ხშირად არღვევენ წესებს, არამედ იმიტომ, რომ... დაასახელეთ მიზეზი.

7. რა არის ჯაფარა?

8. ვის ეკუთვნის გამოთქმა „WHO ევო ზნაეტ?!“

9. 1992 წელს, ჟენევაში იძულებულნი გახდნენ, სახელგანთქმული „ყვავილების საათი“ სკვერის სიღრმეში გადაეტანათ, „...რათა თავიდან ავიცილოთ დიპლომატიური ურთიერთობის გართულება იაპონიასთან“, — ხუმრობდა ჟენევის მერი. რატომ მაინცდამაინც იაპონიასთან?

10. „სუდ უგუტ! ზერ გუდ!“ — რომელი პოეტი ხარობდა ასე ძალიან მომხდარით?

11. ამ ჯიშის ოთახის ძაღლებს, ძველად იხვებზე სანადიროდ იყენებდნენ.

12. ვინ მიიჩნევა ოფიციალურად კანადის მმართველად?

13. რომის იმპერატორმა, კლავდიუსმა აპიუს სილანუსი მკვლელობისათვის სიკვდილით დასაჯა. ვინ მოკლა სილანუსმა?

14. ამ ქვეყანაში ტურიზმი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში არსებობდა.

15. რას ეძახდნენ რუსები „კრაესაგლასიეს“?

# ანეკდოტები

***

— ექიმმა დღეში ასი გრამის დალევის უფლება მომცა.
— მერე?
— 2035 წლამდე გეგმა შესრულებული მაქვს.

***

ავტოინსპექტორმა ლატარიაში მილიონი მოიგო.



— როგორია თქვენი სამომავლო გეგმა? — ეკითხება კორესპონდენტი.
— არ ვიცი, ალბათ, ერთ კარგ გზაჯვარედინს ვიყიდი და სიამოვნებისთვის ვიმუშავებ.

***

— გადავეწყვიტე, მარადიულად ვიცხოვრო. ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის.

***

ღამე ცოლ-ქმარი ლოგინში წევს. ქმარს ცოლთან ალერსი უნდა.
— გაგიჟდი? ბავშვს ღვიძავს! — ეუბნება ცოლი.
— სძინავს, კარგა ხანია. აი, ნახე: ლევანიკო, წყალი მოგვიტანე, რა! — სიჩუმეა, არაფერი ისმის. ცოლ-ქმარმა ერთი ამბავი ატეხა. ათი წუთის შემდეგ, ბავშვის ხმა ისმის:
— დიდხანს ვიდგე ამ ჭიქით ხელში?

***

ორი მონადირე საუბრობს:
— თუ ძმა ხარ, მოჰყევი, დათვი ცოცხლად როგორ ჩაიგდე ხელში?
— ძალზე მარტივად: ალერსი... შამპანური... წყნარი მუსიკა...

***

გურული ჭიშკარს მიადგა:
— მასპინძელო!
— მობრძანდით!

— ერთი შენს გახარებას, წყალი დამალევინე, თორემ, ისე მშია, ღამე სად გავათიო, არ ვიცი.

***

ახალი ამბები: გუშინ, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე სექსბომბა აღმოაჩინეს. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა ის ქალაქგარეთ გაიყვანეს და იქ გააუვნებლეს.

***

საპარიკმახეროში მისული კლიენტი დალაქს ეკითხება:
— თქვენს შეგირდთან რომ დამსვით წვერის გასაპარსად, ხელობა კარგად იცის?!
— ნუ გეშინიათ, ბლაგვი სამართებელი მივეცი.

***

მამაკაცმა ცოლი ფსიქოლოგთან მიიყვანა.
— ექიმო, აი, ეს... რა ჰქვია... სულ ჩივის, რომ სათანადო ყურადღებას არ ვუთმობ.

***

თექვსმეტი წლის გოგონამ საცურაო კოსტიუმი იყიდა, რომელიც თითქმის არაფერს უფარავს. გამოეწყო და დედას ეკითხება:
— როგორ მოგწონს?
— შენს ასაკში ასეთი რაღაც რომ ჩამეცვა, შენ ახლა ათი წლით უფროსი იქნებოდი.

***

სვანი მივა ქალთან და ალმაცერად დაუწყებს ყურებას.
— ა, გოგო, შენ კანფეტი და წამო ჩემთან, სახლში.
ცოტა ხანში:
— ა, გოგო, შენ კანფეტი და გაიხადე.
ცოტა ხანში:
— ა, გოგო, შენ კანფეტი და დაწექი.
— თუ კაცი ხარ, დროზე ქენი, თუ რამეს აპირებ, სანამ დიაბეტი არ დამმართვია.



***

სვანები მიცვალებულს მუსიკითა და ორკესტრით მარხავდნენ, მერე იფიქრეს, ორკესტრი ზედმეტიაო და უკან ამოთხარეს.

***

მოთმინება, რასაკვირველია, მძლავრი იარაღია, მაგრამ ხანდახან, ძალიან გწყდება გული, რომ ეს იარაღი ტყვიას არ ისვრის.

***

ჯარში წასვლამდე მშვიდად მეძინა — ვიცოდი, რომ მიცავდნენ. ჯარში ყოფნისასაც მშვიდად მეძინა — მე ვიცავდი. ჯარის შემდეგ, ცუდად მძინავს, რადგან ვიცი, თუ როგორც მიცავენ.

***

ინტერვიუ მულტიმილიონერთან:

— ყველა ბიზნესში ფულის გაკეთების მილიონი ხერხი არსებობს, მაგრამ მათგან, მხოლოდ ერთია პატიოსანი.

— მაინც, რომელი?

— აბა, მე რა ვიცი.

***

— თუ შეიძლება, 48 გრამი შებოლილი ძეხვი ამიწონეთ.

— ბარემ, 50 გრამი იყოს, — ღიმილით პასუხობს გამყიდველი.

— კარგი, თუ გრიალია, გრიალი იყოს!

***

სვანი ქალი ექოსკოპიაზე მივიდა. ექიმი ეუბნება:

— თქვენ ფეხმძიმედ ხართ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ბავშვი ჩემია?

***

სვანი მივა აფთიაქში და გამყიდველს ეუბნება:

— რვა ცალი პრეზერვატივი მომეცით.

იქვე მდგომ ორ გოგოს გაეცინება. სვანი ალმაცერად გახედავს და გამყიდველს ეუბნება:

— ორი ცალი კიდევ დამიმატეთ.

***

დედა ქალიშვილს გათხოვების წინ ჭკუას არიგებს:

— შვილო, არასოდეს დაუწყო მამაკაცს კამათი, მაშინვე ისტერიკა აუტეხე.

***

— არ გიჭირს საგიჟეთში სანიტრად მუშაობა?

— რას ამბობ, რა სჯობია იმას, რომ ჰიტლერს პანღურს ამოარტყამ და ლენინს თავში წაუთაქებ!

***

— ბევრი უცოლო მამაკაცი ოცნებობს ჰყავდეს ლამაზი, ჭკვიანი და მდიდარი ცოლი.

— ამაზე ბევრი ცოლიანი მამაკაციც ოცნებობს.

***

— ერთდროულად ათ რამეზე შემიძლია ფიქრი.

— თუ ნასვამი ხარ?

— მაშინ, ცხრაზე.

— ეგ, როგორ?

— აბა, სასმელზე ფიქრს რაღა აზრი აქვს?!

***

— ხორცი ახალია?

— არ ვიცი, გრიპი მაქვს.

***

მიხო ცოლთან და ცოლისდებთან ერთად ზღვაზე ისვენებს. ქალები ზღვაში შევიდნენ. ნაპირზე დარჩენილმა მიხომ ცოლისდების ჩანთები გახსნა და იქიდან ვიბრატორები გადმოყარა. ამ დროს ნაცნობმა ჩაიარა:

— ვაა, მიხო, აქ რას აკეთებ?

— აბა, როგორ გითხრა?!. — კეფა მოიფხანა მიხომ. — ქვისლებთან ერთად ზაგარს ვიღებ, ასე ვთქვათ!..

***

ორი კაცი ჭადრაკს თამაშობს.

— მასე სვლა არ შეიძლება, მეფეს მოგიკლავთ — ეუბნება ერთი მეორეს.



— დიდი ამბავი, ავდგები, რესპუბლიკას გამოვაცხადებ და თამაშს გავაგრძელებ!..

# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (პასუხები)

1. ეგონა, რომ საფეხბურთო გუნდის ნახევარმცველი უნდა განესახიერებინა.
2. ხელოსნის წინსაფარი.
3. მან ჩაილაპარაკა: „მე თვითონ ვარ ზოშჩენკო“.
4. თონეში ლავაშის ჩასაკრავი, ნამჯით ან ჩალით გატენილი ბალიში.
5. ასე ეძახდნენ ძველად ქალაქში დუქნებისათვის გამოყოფილ ადგილს.
6. ჰოლანდიური სანომრო ნიშნები ევროპაში ყველაზე დიდია და პოლიციელთათვის მათი დაფიქსირება უფრო ადვილია.
7. ჩხიკვი.
8. კოტე ყუბანეიშვილს.
9. იაპონელი ტურისტები ყველაზე ხშირად მოგზაურობენ ფოტო და ვიდეოკამერებით. „ყვავილების საათის“ გადასაღებად, ისინი რამდენიმე ნაბიჯს დგამდნენ უკან, რის შედეგადაც, გზატკეცილზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.
10. ვლადიმირ მაიაკოვსკი.
11. პუდელი.
12. ინგლისის დედოფალი.
13. არავინ. მკვლელობა საერთოდ არ მომხდარა. კლავდიუსი მისმა გათავისუფლებულმა მონამ, ნარცისმა და მისმა ცოლმა, მესალინამ დაარწმუნეს, საზმარში ენახეთ, სილანუსი როგორ გკლავდაო.
14. საბერძნეთში.
15. რითმას.





# გველის ქერქში

## ველური ნაბლის ხეივანი

**დასაწყისი**

გაგა ვაჩნაძე

**რომანის წინა ნაწილში, რომელსაც ავტორმა „ნოკაუტი“ უწოდა, ბერიძეების ოჯახმა მართლაც რომ ნოკაუტი განიცადა: ჯერ მამა — სოლომონი გარდაიცვალა, მერე — დედა, ვერიკო; უფროსი შვილი, რეზი ციხეში მოხვდა, მანამდე კი, მთელი თავისი და სიდედრ-სიმამრის ქონება გაანიავა; ბინა, სადაც ბერიძეები ათწლეულების მანძილზე ცხოვრობდნენ, გაიყიდა და „დანაწილდა“; არა და არ ჩანს შუათანა შვილი — ნიკა, რომელიც ცრუ-ბრალდებით დაიჭირეს, საპატიმროდან გაიქცა და არალეგალურად გადაკვეთა ქვეყნის საზღვარი. რაც შეეხება უმცროსს, ირაკლის, — წინამდებარე ნაწილში სწორედ მას დაინახავთ „მსხვილი ხედით“...**

ირაკლი, და-ძმებში ყველაზე უმცროსი იყო, რომლის ხასიათსაც, ასე თუ ისე, რომანის პირველ ნაწილში გავეცანით და შემდეგ კარგა ხნით მივივიწყეთ. გემახსოვრებათ, ალბათ, ძმას რომ ესროლა, თუმცა სროლასაც ვერ დავარქმევთ... დედის დასაფლავებას კი დაესწრო, მაგრამ ქელეხში აღარ დარჩა. ჰოდა, როგორ გგონიათ, რატომ არ დარჩა?! იმიტომ, რომ დედის სიკვდილი განიცადა? არა, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ირაკლის დედის სიკვდილი გაუხარდა კიდეც. რატომ? — იმიტომ, რომ ერთადერთი, ვისიც ეშინოდა, სწორედ ვერიკო იყო... ელისო, რომელიც ერთ დროს ოჯახს აზანზარებდა, ირაკლის დიდი ხანია, არარაობად მიაჩნდა და მის ბრძნულ შეგონებებს არაფრად აგდებდა. აი, დედას კი თვალს ვერ უსწორებდა, ასე ეგონა, ყველაფერი იცოდა; ეშინოდა — აი ახლა დამსვამს და ყველაფერს გადმომილაგებსო... და როცა, მისი უეცარი სიკვდილის შესახებ შეიტყო, ასე ეგონა, ბორკილები ახსნეს და გათავისუფლდა. ვინ იცის, ეგებ ის აწუხებდა, თვითონ რომ ასე სწრაფად შემოეფლანგა ის აბსტრაქტული რამ, რასაც ადამიანები სინდის-ნამუსს ეძახიან და რაც დედის მუცლიდან თუ არ დაგყვა, ველარასოდეს შეიძენ?! ოღონდ საკუთარი კი არა, რა თქმა უნდა, დედის სინდისი. ახლა კი დედა მოუკვდა, რომელმაც თავისი სინდისი საფლავში ჩაიტანა და ირაკლიმაც შვებით ამოისუნთქა, რადგან ბოლოდროინდელ ყველა გაუმართლებლობასა და ხელის მოცარვას, რატომღაც დედას — ასე ვთქვათ, დედის ინტუიციის მატერიალიზაციას აბრალებდა. რას აღარ მოიგონებს კაცობრიობა, რომ ბედისწერას როგორმე გვერდი აუაროს.

მოკლედ, თუ გახსოვთ, ირაკლის ოფისს საფინანსო პოლიციის თანამშრომლები ამოწმებდნენ. ირაკლი კი, რომელიც აქედან კარგს არაფერს ელოდა და გვარიანად შეშინებულიც იყო, თავის გადასარჩენად ნემსის ყუნწში ძვრებოდა. როგორც კი „საფინანსო“ „დაეცა“ და მის ბუღალტერიას ჩაუჯდა, ირაკლიმ ლადოსთან ააჭრა და დახმარება სთხოვა. ლადომ შორს დაიჭირა, — მე რა შემიძლია, რომელი იუსტიციის მინისტრი მე მნახე, ჩემი თავისთვის ვერ მომივლია, შენ რა გიშველოო?! ირაკლი, მართალია, თითქმის ნახევარ პარლამენტს იცნობდა, მაგრამ ვისი იმედი უნდა ჰქონოდა?! აი, თუნდაც ილია ჭიჭინაძე — მისი ბავშვობის მეგობარი — მიუხედავად იმისა, რომ დიდი თანამდებობა ეკავა — ხელს არავის უმართავდა არც მეგობრებს და ალბათ, არც მშობლებს... რა ექნა, თბილ სკამს უფრთხილდებოდა... მაინც მიაკითხა. ილიამ ყურადღებით მოუსმინა; თუკი დარღვევები არ გაქვს, ვინ რა ფეხებს მოგჭამსო, — უთხრა და თვალებში მიაჩერდა.

— კი, მაგრამ თუ მოუნდათ, ისეთ დარღვევას აღმომიჩენენ...

— მაშინ ყველაფერს არ მეუბნები. — მოკლედ მოჭრა ილიამ.

— ყველაფერი რომ გითხრა, შენ თვითონ დააჭერინებ ჩემს თავს, — გაეცინა ირაკლის, — ახლა კი მეცინება, მაგრამ ხომ იცი, სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა? — დააყოლა იმწამს.

— მაშ როგორ დაგეხმარო, ძმაო? შენც ხომ იცი, რომ მაგათთან არანაირი შეხების წერტილი არ მაქვს, არა?!

— ჰოდა, მაგათ უფროსს დაელაპარაკე.

— და გგონია, დამიჯერებს? შენ ხომ კარგად იცი, ვისაც უჯერებს ყველა... და რომ იცოდე, რომც დაველაპარაკო, უარესს იზამს... დამიჯერე, არ გინდა არავინ. ვინც გამოწმებენ, იმათ მიხედე, იქვე.

— როგორ მივხედო?! ახლოს არ მიკარებენ. არც კაფეში მომყვებიან. რესტორანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ფინანსური პოლიციის რევიზორები ბუტერბროდებს ჭამენ შესვენებაზე, გეფიცები... შენ აზრობ?

— მაშინ ტყუილად დარბიხარ. თუ ბუტერბროდებს ჭამენ, გამორიცხულია...

— რა არის გამორიცხული?

— რა და არ წამოგყვებიან რესტორანში, რობოტები ყოფილან, რობოტები!

ირაკლი მიხვდა, რომ ილიასთან ტყუილად ამოვიდა; რომ მისი „ტრუსიკის მეგობარი“, — ვიხრჩობი, თოკი გადმომიგდეო, რომ ეთქვა, მაინც არ იყო ხელის გამტოკებელი. წამოდგა.

— ბოდიში, — უთხრა და თვალები აუწყლიანდა.

— შენ იცი, როდის ჩაიჭერი? — უთხრა ამ დროს ილიამ.

— შენთან? შენთან რაში ჩავიჭერი? — ავარდა უცბად ირაკლი.

— არა, ჩემთან კი არა, ის მინდოდა მეთქვა, რომ თავიდანვე ჩემსავით უნდა მოქცეულიყავი, შემძვრალიყავი შენც რომელიმე პარტიაში და მერე იქიდან მისწოლოდი.

— ჰოო?

— ჰო, მაგრამ შენ ბევრად მეტი მოინდომე, თავში გინდოდა ყველასთვის ჩაგერტყა და ეგ შენი რაღაც „ფირმაჩობა“ არჩიე...



— კაი, რაც იყო — იყო, დავანებოთ მაგას თავი. კარგად იყავი, ყველაფერი გასაგებია... — უთხრა ერთხელ კიდევ იმედგაცრუებულმა ირაკლიმ ფეხზე წამომდგარ მეგობარს; არც ხელი გაუწოდა, არც დაემშვიდობა და მისი კაბინეტიდან დაბოლმილი გამოვიდა.



რას საქმიანობდა და რა ფირმა ჰქონდა ირაკლის, რომც მინდოდეს, ვერ ჩამოგირაკრაკებთ. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, რას აღარ საქმიანობდა-მეთქი. ჰო, ირაკლის იმდენი ფირმა ჰქონდა გახსნილი, თვითონაც ვეღარ ითვლიდა, მგონი... და თითქმის ყველა ფირმა ერთდროულად მიულუქეს. მართალია, იმის ჩიტი არ იყო, რომელიმე ფირმა თავისზე გაეფორმებინა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ თუკი ძირისძირობამდე ჩაჰყვებოდნენ, ყველაფერს ამოუტივტივებდნენ. ამიტომ თანამიმდევრობით მივყვებით და თქვენც გაგიყოლებთ იმ ბნელ ლაბირინთებში, რომლის ჩიხიდან გამოსვლა ჩვენს ნაბოლარა ძმას სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნად მიაჩნდა და ალბათ, მართალიც იყო. თუმცა ფირმა — ბევრი, მაგრამ ბუღალტერია კი ერთი ჰქონდა, ერთი ბუღალტერი ჰყავდა და ერთიც — მისი თანაშემწე. ჰოდა, პირველი, რაც გააკეთეს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა, სწორედ ბუღალტერია დაულუქეს. შედიოდნენ, მუშაობდნენ და მერე ისევ ლუქს ადებდნენ. მართლაც რომ არაფერმა გაჭრა და ირაკლიც რომ დარწმუნდა — მასთან საგანგებო დავალებით იყვნენ შემოსულები, თავისი ბუღალტერი, პაპუნა დაიმარტოხელა და იმას მიაწვა.

— შენს თავზე აიღებ, გაიგე? მე, ძმაო, ქიმიკოსი ვარ და ბუღალტერიის არაფერი გამეგება...

— რა?! მე ერთი ქაღალდიც არ მაქვს, შენი ხელმოწერა რომ არ იყოს ზედ...

— უხსენი ახლა ამას... — გამწარდა ირაკლი. — კაი, დავუშვათ მე ჩავჯექი. გაქვს შენ იმის შნო, რომ იქიდან გამომათრიო? არა, ხომ?!

პაპუნამ ჩაიცინა და გვერდზე გაიხედა.

— სად იყურები, ბიჭო, ეე, ხისთავიანო, აქეთ მოიხედე! არა, თუ გამომათრევ და გყავს ხალხი, მაშინ მე წავალ...

— მე ვარ, არა, ხისთავიანი?!. ფულს შენ იდებდი ჯიბეში და ციხეში მე წავიდე? — თქვა თავისი სათქმელი პაპუნამ. — გეუბნებოდი, „მივატორმუზოთ“, ძმაო, „მივატორმუზოთ“-მეთქი! შენ კი, — არა, „მიაჭი“, „მიაჭიო“, გაიძახოდი და მაინც მე უნდა წავიდე ციხეში?

რას იზამდა ამ დროს ირაკლისნაირი ხასიათის ბიჭი? იმას, რაც ირაკლიმ გააკეთა — მოაგროვა, რაც კი რამ გადარჩენოდა (წინასწარ უნდა გითხრათ, რომ სალაროსა და ცეცხლგამძლე სეიფებში, ფულს არასდროს ინახავდა, რადგან — როდის რა მოხდება, ვინ უწყისო, და მართალიც იყო...) და თავის ბოლო სიყვარულს დაურეკა. ისიც გამოიქცა ზუსტად იმ სისწრაფით, რა სისწრაფითაც შეიძლებოდა გამოქცეულიყო, თერთმეტსანტიმეტრიან ქუსლებზე შემხტარი მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი და ირაკლის კარზე ზარი დარეკა.

კაცი, რომელიც ასი პროცენტით იყო დარწმუნებული, რომ ორ-სამ დღეში ციხეში უნდა ამოეყო თავი და წარმოდგენაც არ ჰქონდა, იქიდან ცოცხალი გამოაღწევდა თუ „გააციმბირებდნენ“, ხელგაშლილი, სიცოცხლის ტკბობით აღტკინებული შეეგება თავის „ნესტანს“. იმანაც შემოაჭდო მკლავები, კისერზე ჩამოეკონწიალა და მის ბაგეს ბაგე შეაგება. ირაკლიმ კარი ფეხით მიხურა, ოთახში შეიყვანა და ასე, ხელში ატატებული პირდაპირ დივანზე მიაწვინა. „წინ, წინ!!!“ — გაჰკიოდა ირაკლი და საკინძეაწყვეტილ და პერანგიდან ძუძუმოგდებულ ქალს ისე მხნედ და ისეთი შემართებით უბათქუნებდა, როგორც კომუნისტური, დამკვრელური ბრიგადის წევრები, ერთ დროს, ქვანახშირის საბადოებს ელექტროუროს უხათქუნებდნენ. „მიდი, მიდი!!!“ — გაჰკიოდა ქალიც და ისე აქანავებდა ზევით-ქვევით ვაჟს, ლამის დივნის ზამბარები ჩაეწყვიტა.

— ბოლო ზეიმი მაქვს, ბოლო გრიალი... — თქვა ბიჭმა და გაირინდა, ერექციის სიტკბოებას მინებდა. ამ ყოველივეს ქალის გახშირებული სუნთქვა და კივილიანი კვნესაც ზედ დაერთო და რამდენიმე წამში ყველაფერი დამთავრდა.

— დამძიმებულხარ, იცი? — ახლაღა იგრძნო კაცის სიმძიმე ქალმა და ქვემოდან გამოეცალა. ირაკლი ამოტრიალდა, ხელები უკან გადაშალა, გადაითხლიშა და გაყუჩდა. მგონი, „ყოფნა-არყოფნის“ საიდუმლოებაზეც კი ჩაფიქრდა და გააჟრჟოლა, რადგან წარმოიდგინა, რომ „ყოფნა“ ციხის გარეთ არსებობას, სიცოცხლით ტკბობას და განუწყვეტელ ზეიმს ნიშნავდა, რომელიც მან „მოტეხილი“ ფულით უკანასკნელ წლებში მოიწყო; ხოლო, „არყოფნა“ კი, ამ ფულის ფლანგვით გამოწვეული სიამოვნების გამო, „ცხრაკლიტულში“ მოხვედრას მიაწერა.

— ირაკლი!

ამ ღრმა და ფილოსოფიური ფიქრებიდან ისევ ბაიას ხმამ გამოიყვანა.

— ირაკლი! — ისევ გამოსძახა ბაიამ, რადგან ვაჟმა ხმა არ გასცა.

— რა იყო? — რაღაც ყრუდ გაისმა ცარიელ ოთახში ვაჟის ხმა.

— მოდი, რაა!

ქალი აბაზანაში ჭყუმპალაობდა და ირაკლისაც იქ უხმობდა.

— მოვდივარ! — უპასუხა ქალს ვაჟმა. თუმცა, უხალისოდ წამოდგა, მივიდა და სააბაზანოს კართან აიტუზა. მერე კი თავი შეყო და შეიხედა. ქალი ზურგით იდგა, თავი აეწია, თმა ჩამოეშალა და სახე ჭავლისთვის შეეშვირა. ბაიას შესანიშნავი ტანი ჰქონდა, ამიტომაც ახერხებდა ალბათ, ისეთ მაღალ საზოგადოებაში ტრიალს, როგორიც ჩვენი პარლამენტი თუ აღმასრულებელი ხელისუფლება გახლავთ. ანდა მას შემდეგ, რაც ქვეყნის მეორე პირი, ბუნებრივი აირის გაყონვის გამო, სახელმწიფოს ხელიდან გამოეცლება, იმ ქვეყანაში განა რაიმეა გასაკვირი? თუმცა, სად წავედით? სააბაზანოს კართან შევჩერდით, ხომ? ჰოდა, როცა ბაია სანახევროდ შემოტრიალდა და თავისი, შიშველი მარცხენა ძუძუ, პროფილში კერტიანად გამოაჩინა, ირაკლის ტვინს ქვემოდან ტკბილი ბიოლოგიური იმპულსები გადაეცა და ისიც აბაზანაში ჩახტა. მერე მკლავები ქალის სლიკინა, ხორბლისფერ ტანს, მკერდს ქვემოთ ძლიერად შემოხვია და თავისი უკანალიანად, მოჭიდავესავით დაითრია. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გრძელდებოდა მათი ხელმეორე „შერკინება“, რადგან არა მგონია, ამ დროის ზუსტი განმსაზღვრელი ვინმე იყოს... მოკლედ, პირდაპირ იმ რესტორანში გადავინაცვლოთ, სადაც ჩვენი წყვილი იმ სალამოს გრიალებდა.

რა თქმა უნდა, ირაკლიმ ჩემზე და თქვენზე კარგად იცოდა, მოსალხენად რომ არ ჰქონდა საქმე, მაგრამ რადგან ქართველების დიდ ნაწილს, ამქვეყნად მოვლინება მხოლოდ საგრიალოდ და საქეიფოდ მოსვლა ჰგონია, უნდოდა მოესწრო და ცხოვრებით ბოლომდე დამტკბარიყო. სავალალო შედეგებს კი, როგორც აგრეთვე ქართველ კაცთა უმრავლესობა, არად დაგიდევდათ. თუმცა, ამ შემთხვევაში, ირაკლი სწორედ ამ საბოლოო გრიალმა გადაარჩინა. თუ როგორ — ამას ახლავე შეიტყობთ.

სუფრასთან ხუთნი ისხდნენ, ერთი მამრი და ოთხიც მდედრი — ისინი, ვისაც ირაკლიმ დაურეკა და შეხვედრაზე დაითანხმა. მაშასადამე: ირაკლი, ბაია, ფეფო, დეა და ლელა-თათიკო. ბოლო ორი გახსოვთ ალბათ, რომანის პირველი ნაწილიდან. ამ ოთხი მდედრიდან ირაკლის სამი „გაფორმებული“ ჰყავდა: ბაია, ფეფო და დეა. მხოლოდ ერთი, ლელა-თათიკო ვერაფრით დაითანხმა... არც ახლა ჰყავდა დაპატიჟებული. ლელა დეამ დაუპატიჟებლად მოიყოლა, რაც ამგვარ თანამეინახეებში, მოგეხ-

სენებათ, ჩვეულებრივი ამბავია. ირაკლიმ სუფრა ნაირ-ნაირი კერძით აავსო. ისხდნენ და უბერავდნენ, წითელი „ხვანჭკარით“...

რესტორანი, სადაც ჩვენი გმირები ისხდნენ და რომელსაც „მიდი-მოვდივარ“ ჰქვია, დიღმის ტრასაზე, მარჯვენა მხარეს მდებარეობს და თავისი ღრეობებითა და ორგიებით ქალაქში სახელი აქვს გავარდნილი. ჰოდა, იმ საღამოსაც იგივე დატრიალდა. როგორც კი ხალხი შეზარხოშდა, ბენდმა მაგრად აიწყვიტა და მსოფლიო სამუსიკო რეპერტუარის „კოქტეილი“ დაატრიალა: ერთმანეთში აირია ფრანგული, ქართული, იტალიური, მექსიკური თუ ამერიკული ბლუზი. დატრიალდა ქართული კარუსელი, გადაპატიჟ-გადმოპატიჟება და გაგზავნ-გამოგზავნა. ბზრიალებდა დარბაზი და ტრიალებდნენ თავდავიწყებით წყვილები. მოკლედ, შეუბერეს



ძველიც და ახალიც, „ტანგოც“ და „კინტაურიც“... აი, სწორედ, ამ ჟაგაჟუგში იყვნენ, რომ უეცრად რაღაც გაუგებრობა მოხდა — დაახლოებით იმდაგვარი, ჩვენში რომ იციან თქმა, ბევრმა სიცილმა ბევრი ტირილი იცისო. მათ სუფრას საკუთარი სასმისითა და სკამით, გვარიანად შეზარხოშებული ახალგაზრდა მიადგა და — შეიძლება, თქვენთან დავჯდეო? — იკითხა. დასვით კაცი, სტუმარი ღვთისააო, — სთხოვა ქალებს ირაკლიმ და მათაც გაუთავისუფლეს ადგილი უცნობს, რომელსაც მსხვილნაკვთებიანი, თეთრი პირისახე და ცისფერი თვალები ჰქონდა.

— მაგრად დამევასა თქვენი კომპანია... გუტა გელაშვილი, — გაეცნო ბიჭი და ქალებს სათითაოდ გადახედა. — ერთს ვერ მივხვდი ოღონდ, ამდენ დედალში, ერთი მამალი ცოდვა არ არის? ჰოდა, ამიტომაც გავბედე და თქვენთან გადმოვჯექი. ცუდად მოვიქეცი?

— ძალიან! — არც აცივა და არც აცხელა, პირდაპირ მიახალა ლელამ, რომელსაც, უნდა გითხრათ, რომ ვაჟისგან განსხვავებით, მაგრად არ მოეწონა შემოსწრებული.

— ძუძუს აგახევ, შე ახვარო! — იყვირა გუტა გელაშვილმა და ქალს სავსე სასმისი პირდაპირ სახეში შეასხა, ცარიელი ჭიქა კი ძირს დაახეთქა და ნამსხვრევებად აქცია. ქალები წამოიშალნენ და ისე აწივლდნენ, ვირთხების შემოსევა გეგონებოდათ.

მერე კი, რაღაც ისეთი მოხდა, რასაც იმ სუფრის წევრებიდან თათიკოს გარდა ვერავინ მიხვდა. მუსიკა დადუმდა, ყველა მათი სუფრისკენ მიტრიალდა და სანამ გუტა გელაშვილი ქალისკენ ნაბიჯის გადადგმას მოასწრებდა, ვიღაც ტიპებმა გზა გადაუღობეს და ისეთი სისწრაფით გააქანეს კარისკენ, მათთვის ხელის შეშლა ვერავინ მოასწრო. იმ სუფრის წევრები, სადაც გუტა გელაშვილი იჯდა, მაშინვე მის მისაშველებლად გარეთ გაცვივდნენ. ქალებმა ვერ გაიგეს, რა მოხდა გარეთ, რადგან გუტას სუფრის წევრები მალევე უკანვე შემობრუნდნენ და მათ მაგიდას მიეჭრნენ, ხელში თითქმის ყველას გახსნილი დანა ეჭირა.

— ვინ იყვნენ, ტო, სად წაიყვანეს? დაურეკეთ ახლავე, დააბრუნონ, თორემ აგწევთ სულყველას! — განსაკუთრებით, ერთი მსუქანი, მაღალი, ლამაზსახიანი ბიჭი აქტიურობდა.

თათიკომ ჩანთაში ჩაყო ხელი და იარაღი დააძრო.

— ერთი სიტყვაც და დაგაჭედე შუბლში!

მომხდურებმა, ორი წამის წინ რომ ასე ყაყანებდნენ, მოკეტეს და გაიძურწნენ. მსუქანმა კი უკან დაიხია და ხელები ასწია.

— არ გაინძრე, ეგრე იდექი! — უბრძანა თათიკომ ვაჟს და თავისიანებს მიუბრუნდა, — დავახვიოთ აქედან, ამათი დედაც...

ირაკლიმ ანიშნა და ოფიციანტიც მაგიდასთან დაერჭო.

— ახლავე გიანგარიშებთ, — თქვა მან და კალამი და ბლოკნოტი მოიმარჯვა.

— არ გინდა, — უთხრა ირაკლიმ და პიჯაკის შიდა ჯიბიდან საფულე ამოიღო. გადახსნა. მერე იქიდან ოთხი ასლარიანი ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

— ჰყოფნის? — იკითხა მან, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად და ოფიციანტს შეხედა.

— კი, კი, რა თქმა უნდა, — სწრაფად წარმოთქვა დაბნეულმა ოფიციანტმა და ფული წამოკრიბა.

ირაკლიმ და მისმა „ბოზებმა“ კი დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი, მანქანაში ჩასხდნენ და მოუსვეს.

— სად წავიდეთ? — იკითხა ირაკლიმ, როგორც კი ცოტათი გასცდნენ იქაურობას. — თათიკო, შენი მანქანა სად არის? უმანქანოდ იყავი?

— ჰო, სხვებმა მომაცილეს... — ჩაილაპარაკა თათიკომ, რომელსაც წელანდელი განრისხება ჯერაც არ ჩასცხრომოდა.

— ვინ? გუტა გელაშვილი რომ მოტეხეს, იმათ? — ირონიულად იკითხა ირაკლიმ.

— ჰო... — მოჭრა თათიკომ. — და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, დრო გავატაროთ, მაგათი ახვარი დედაც... „დავაი“ მცხეთისკენ დავახვიოთ, იქ ერთი მაგარი „ხატა“ მეგულება და იქ ჩავუსხდეთ.

ირაკლიმ მანქანა მოატრიალა და მცხეთისკენ აიღო გეზი.

მალე პატარა, მოჩუქურთმებულ ხის ფანჩატურში ისხდნენ, ქოთანში ამოლესილ, ნედლ, სირსვალის ლობიოს მიირთმევდნენ და იცინოდნენ.

— აუ, რა ფერი დაედო იმ ტიპს, ლელამ რომ პისტოლეტი გაუძრო... — უხაროდა ირაკლის.

— შენ, შენ რა ფერი გედო, იცი? — მიუტრიალდა ბაია.

— რა ფერი მედო? — გაუკვირდა ირაკლის.

— რა ფერი და იცი, როგორი? მომწვანო-მონაცრისფრო... ჰო, იცი, როგორ გაშავდი?

— ალბათ, სიბრაზისგან, — თქვა ლელამ.

— არა, მე კი მგონია, რომ ჩაიფსა... — არ დაუჯერა ბაიამ.

— ჩაიფსა? აუ, რა კაია... — გულიანად გადაიკისკისა ამაზე ფეფომ.

— შენ, იცი, რას გეტყვი? ფეფო ხარ თუ ბებიაჩემი... მოკეტე, თორემ გაიჟიმები! — დაემუქრა ფეფოს ირაკლი.

— მერე, მეც ეგ მინდა სწორედ! — და ფეფომ წინ გაზნექილი მკერდით ირაკლისკენ წაიწია.

— ჰა, აბა, აბა! — ხელი ჰკრა და უკანვე დასვა ფეფო ბაიამ. — მე ვერ მხედავთ აქ, „ბოზისტოლას“?

ამაზე ყველამ ერთად გადაიკისკისა.

— შენი იყოს, არსად დაგეკარგოს, — წაჰკბინა ბაიას დეამ.

— დეა, მოჰყევი რა, დედამისმა რომ შემოგისწროთ... — შეეხვეწა ფეფო დეას.

— აუ, რამდენჯერ უნდა მოვყვე? — ხელი ჩაიქნია დეამ.

— მოჰყევი, რა, მოჰყევი, მაგრად გვევასება, — შეეხვეწნენ სხვებიც. დეას.

— კაი, ჰო. ჰოდა, ეს ჩვენი ირაკლი მაგარი ვაჟიშვილია რა! ქალისთვის თითიც არ დაუკარებია, — დაიწყო დეამ თხრობა.

— მართლა? მართლა ვაჟიშვილი იყავი? — მიუბრუნდა ფეფო ირაკლის.

— შენ რომ დაიბადე, ქალიშვილი არ იყავი? — თვალები დაუქაჩა ირაკლიმ.

— ვა, რა მაგარია, მერე, მერე? — მიუბრუნდა ისევ დეას ფეფო.

— ერთი ძმაკაცი ჰყავდა ამას, პინგვინა. ახალი გადასული იყო იმ ბინაში და პინგვინასთან ერთად ცხოვრობდა. ჰოდა, პინგვინა ცისოს იცნობდა, ჩემს დაქალს და მე და ცისო ამასთან აგვიყვანა, თან წინასწარ გაგვაფრთხილა, ვაჟიშვილია და რომელიმემ უნდა დაავაჟკაცოთო! ორივეს მოგვეწონა. ახლანდელისგან განსხვავებით, მაშინ კარგი ბიჭი იყო... ჰოდა, მოგვივიდა მე და ცისოს ერთმანეთში ჩხუბი. პინგვინამ გვითხრა, — კარგი, დაწყნარდით,

კარტი ეთამაშეთ რიგრიგობით და რომელსაც მოგიგებთ, იმასთან დაწვებაო. ვეთამაშებით, რომ მოვაგებინოთ. ორი საათი ვეთამაშეთ, ვერც ერთი ხელი ვერ მოიგო. ასხამს კაცს ცივი ოფლი, ჩვენ ვიფხრიწებით სიცილით, ლამის თავდაყირა დავდგეთ და ეს კი ვერა და ვერ იგებს...

— ეგ არა, დედამისმა რომ შემოგისწროთ, დედამისმა, — უკარნახა დეას ფეფომ.

— ბოლოს ისევ „არიოლ“ და „რეშკა“ ავაგდეთ და ცისოს ერგო... — თითქმის დაგვათენდა, რა, თავზე... ჰოდა, ერთი დიდი საწოლი ჰქონდა და ოთხივეს იმაზე გვძინავს მკვდრებივით. კარზე აკაკუნებენ. დედამისმა იცის, რომ ორნი ცხოვრობენ, ბიჭები. ამას მემაწვნე ჰგონებია და გააღო.

— ძილბურანში ვიყავი, ნაქეიფარი, „ნაწერავები“...

— გაუღო და შემობრუნდა. ვერიკოც შემოჰყვა უკან, ლაპარაკ-ლაპარაკით. პინგვინამ რომ გაიგო დედამისის ხმა, — აუ, დაგვადგაო, — და გადასაფარებელი (ერთი გადასაფარებელი გვეფარა ყველას), თავზე გადაიფარა, თავისი ჭკუით რომ დამალულიყო. მოკლედ, ეს ექვსივე ფეხი გამოჩნდა. უყურებს გაკვირვებული ქალი ამ ჩვენს ფეხებს თურმე და ირაკლის ეკითხება: ეს რამდენი ფეხია, შვილოო? ესეც ითვლის: ერთი, ორი, სამი... და გავარდა ქალი, ყვირილით. ჩვენც წამოვცვივდით. ტუალეტში შევარდა თურმე და „პოლის“ ჯოხი აილო.

— კარი მინდა დავუკეტო, მაგრამ ვერ ვკეტავ, დედაჩემი იქიდან აწვება, — თქვე გათახსირებულებო, თქვე გაფუჭებულებოო! ჩქარა, დროზე „პლეტი“-მეთქი, ვყვირი... — დაამატა ირაკლიმ.

— აუ, რომ გავცვივდით, ყველანი შიშვლები და ეს პინგვინაც კიბეზე შიშველი მოგვდევს... მერე ამან ტანისამოსი აივნიდან გადმოგვიყარა, — განაგრძო დეამ.

— მთელი კორპუსი ამათ უყურებდა, — დაასრულა ირაკლიმ.

— შენთან რომ დრო გვაქვს ნატარები, ტყუილია... — კმაყოფილი იყო დეა.

უხაროდათ, თვრებოდნენ და სიცილით კვდებოდნენ... სულ გადაავიწყდა, სადღა ახსოვდა ირაკლის თავისი დალუქული ოფისები. ოთხ-ხუთ საათზე ოფიციანტმა სთხოვა, ვიკეტებითო და ისინიც თბილისში დაბრუნდნენ. რაც ფული მორჩა, სამორინეში შევიდა და იქ დატოვა... ასეთი ჩვეულება ჰქონდა ირაკლის. მხოლოდ მთვრალი შედიოდა სამორინეში, ფხიზელი არასოდეს ყოფილა...

ახლა კი ისეთ რამეს მოგიყვებით მასზე, იქნებ არც დამიჯეროთ. რას? რას და იმას, რომ თანამშრომლებს ხელფასს არ უხდიდა, სანამ გემოზე არ მიეჟუავდნენ. კი, უყვარდა ფლანგვა, უცნობების სუფრასთან მიპატიჟება, ფულის ჩუქებაც... მოკლედ, „ჭიმიაშვილობა“, დარდიმანდობა თუ ყარაჩოხელობა, არ ვიცი, რა დავარქვა, სისხლში ჰქონდა გამჯდარი. აი, მევალეს კი, ჭიპზეც რომ გამსკდარიყო, ფულს არაფრით დაუბრუნებდა, სანამ არ მიეჟუავდნენ ან სხვას არ აჟუევინებდნენ. როგორც კი ფულს იშოვიდა, იმას ხომ მიაფლანგავდა და კიდევ ერთი იმდენ ვალს იდებდა... ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა ფულთან. ეს რა ხასიათი აქვს, ვის ჰგავსო?.. — გიჟდებოდა ვერიკო.

თათიკოს ჯერ ისევ ტკბილად და თბილად ეძინა ფუმფულა ლოგინში, თავის პატარა აგარაკზე, ხოხბები, ცირცრები და თევზებიც კი რომ ჰყავს, როცა თავს მამამისი — მურაზ ლეშკაშელი წამოადგა.

— შენ ისევ ლოგონში გორაობ? იცი, რომელი საათია? — შეაჯანჯღარა მამამ შვილი.

თათიკომ ძლივს წამოსწია წინაღამეს ალკოჰოლით დამძიმებული თავი და თავისი ლამაზი, ელამი თვალებით მამას მიაჩერდა.

— შენ აქ რა გინდა?

მურაზმა ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა და თათიკომ ახლაღა შენიშნა, რომ მამამისის სახის ნაცვლად რაღაც უცნაური, გაცოფებული „ნიღაბი“ უმზერდა.



— სად იყავი წუხელ? — შეეკითხა „ნიღაბი“.

— ვაიმე, მამა, რა დაგემართა? — წამოჯდა ლოგინში თათიკო, — არსად, სად უნდა ვყოფილიყავი?

— არსად, არა? არსად, ხომ? — უარესად გაცოფდა „ნიღაბი“. — შოლტით უნდა გცემოს კაცმა, შოლტით. ვერ გავიგე, რა დაგიშავეთ, ან მე, ან დედაშენმა, რატომ არ დაგვასვენებ, რატომ? — მთელი ხმით ღრიალებდა „ნიღაბი“.

— რა მოხდა, რამ გაგაცოფა ასე? დაწყნარდი, გამაგებინე, დამელაპარაკე ადამიანურად... — იქით შეუტია თათიკომ.

— ადამიანურად... ადამიანურად, არა?! მერე, ვარ მე ადამიანი?! ვაარ რო?! ძალიან კარგი! ადამიანურადაც დაგელაპარაკები. მაგრამ ჯერ ამას უყურე! — და მურაზმა ოთახის კუთხეში მდგარი ტელევიზორი ჩართო. მერე კი იმ არხზე გადართო, სადაც ახალ ამბებს გადმოსცემდნენ.

— ცხედარი სავარაუდოდ, ბლაგვი საგნით არის მოკლული. ამ ვერსიას ავრცელებენ ძალოვნები, რომელთაც მასმედიას ცხედრის ნახვისა და გადაღების უფლება არ დართეს. მოკლული, რომელიც ანთებული სიგარეტითაც უნდა იყოს ნაწამები, რადგან არაერთ ადგილას აშკარად ეტყობა დამწვრობის კვალი, წუხელვე პროზექტურაში გადაასვენეს. მიუხედავად სამართალდამცავების თხოვნისა, ახლობლებმა უარი განაცხადეს გვამის გაკვეთაზე და ცხედრის გადაცემას ითხოვენ...

ეკრანზე ოციოდე წლის გოგოს გამწარებული სახე გამოჩნდა. რომელსაც ტირილისგან ხმა საშინლად ჩახლეჩოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ჯერაც შოკში იყო.

— დამიბრუნეთ ჩემი ძმა, დამიბრუნეთ ჩემი საყვარელი ძმა! — გაჰკიოდა ქალი, — გამიცოცხლეთ, გამიცოცხლეთ, სასწრაფოდ! — ეჩხუბებოდა ეკრანიდან მთელ ქვეყანას ჭკუიდან გადასული ჭირისუფალი.

ეზოდან ფარშავანგის კივილი გაისმა და ისედაც დამძიმებულ სიტუაციას, რაღაც არაამქვეყნიური ელფერი შესძინა.

— გაგიჟდნენ? ვინ მოკლა, რატომ მოკლეს, რისთვის? — იკითხა ერთბაშად გამოფხიზლებულმა და შეშინებულმა თათიკომ.

— ეგ შენ უნდა გკითხოს კაცმა, შენ გადებენ ხელს! — არ დაინდო შვილი მურაზმა.

თათიკო ამაზე მთლად გადაირია. წამოხტა და ჩაცმა დაიწყო.

— ვინ მადებს ხელს, მე რა შუაში ვარ, ჩემგან რა უნდათ?

ეს იმდენად გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ მურაზი ცოტათი დამშვიდდა.

თათიკომ თმაზე ხელი გადაისვა, საწოლზე ჩამოჯდა, ხელები ჩამოუშვა და თუმც გაგონილით და ეკრანზე ნანახით ჯერაც გაოგნებული იყო, მაინც ძალა მოიკრიბა და უკვე მშვიდად იკითხა.

— გამაგებინე, მამა, ვინ მადებს მე ხელს, შენ ვინ გითხრა, ვინ ნახე?

მურაზი მაგიდასთან დაჯდა. საფერფლე ახლოს მიიწია და სიგარეტს მოუკიდა.

— ჯერ შენ მომიყევი, რაც იყო და როგორც იყო, არაფერი დამიმალო.

თათიკო წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, მამის კოლოფიდან სიგარეტის ღერი ამოაძრო და მოუკიდა. მერე კი მის პირდაპირ დაჯდა.

— იქ არაფერი ყოფილა ისეთი, არაფერი... — თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო. და უცბად ავარდა, — ხომ გეუბნებოდი, არ მინდა-მეთქი ეგ შენი დაცვა, არა! რაში მჭირდებოდა, გამაგებინე! ეგენი მე კი არ მიცავდნენ, შენ გიკაკ-

ლავდნენ ყველაფერს, შენ! მაგათ შეეძლოთ მეც მოვეკალი, ალბათ! — ჩაილაპარაკა ბოლოს თათიკომ და მოჰყვა, რაც რესტორანში მოხდა.

— რაში მჭირდებოდა, რომ სტაცეს ხელი და გააქანეს. მე თვითონ ვერ მოვუვლიდი მაგ საცოდავს?! დავჭმუჭნიდი, გადავყლაპავდი... იმან თუ ერთი ჭიქა ღვინო შემომასხა, მე მთელ გრაფინს დავაცლიდი თავზე და მაგით დამთავრდებოდა ყველაფერი. მაგრამ მოქანდნენ ეგ შენი პირუტყვები, წაიყვანეს, მოკლეს და მე მაბრალებენ?

— კაი, დამიგდე ყური... შენ მაგათ არ იცნობდი, გასაგებია? არც იმ საცოდავს და არც მათ, ვინც ის რესტორნიდან გაათრია. შენ სუფრასთან იჯექი და იქვე დარჩი, ხომ ასე იყო?

— კი!

— თქვენს სუფრაზე, შენ გვერდით ვინ იყვნენ?

— არავინ. გოგოები ვიყავით და ჩვენთვის ვკაიფობდით.

— კაცი? კაციც რომ გყავდათ სუფრაზე, ის კაცი ვინ იყო?

— კაცი კი არა... რა კაცი, ნიკას ძმა იყო, ირაკლი. მისი მიპატიჟებულები ვიყავით. ის არც გატოკებულა, როგორც იყო სკამზე მილურსმული, ისევე დარჩა.

— ჰო, კაი, კაი... — უთხრა მურაზმა და ტელევიზორს მიუტრიალდა. სხვა არხზე გადართო, რომელზეც, აგრეთვე, იმ ღამით მომხდარ მკვლელობაზე საუბრობდნენ.

— სამართალდამცავები, რომლებსაც უშუალოდ ჰბრალდებათ ეს მკვლელობა და რომელთა ვინაობაც და გვარებიც უკვე ცნობილია პოლიციისთვის, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ გვარებს ჯერ არ ასახელებენ, — ამცნობდა საზოგადოებას დიქტორი, — უარყოფენ რაიმე მონაწილეობას ამ მკვლელობაში. ისინი დაჰკითხეს და შინ გაუშვეს. როგორც ისინი ამბობენ, მათ მხოლოდ სიტუაცია განმუხტეს და გუტა გელაშვილს ურჩიეს, იქაურობას გასცლოდა; მერე კი ისინიც დაიშალნენ. თუმცა არსებობენ თვითმხილველები, რომ გუტა გელაშვილი „ნისანის" მარკის ჯიპში ჩატენეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ჯერჯერობით მხოლოდ ასეთი ძუნწი ცნობები მოგვეპოვება, მოვლენათა შემდგომ განვითარებას ჩვენს მომდევნო საინფორმაციო გამოშვებებში გაგაცნობთ. ვეცადეთ, გავსაუბრებოდით რესტორნის მეპატრონეს, მაგრამ მან კომენტარისგან თავი შეიკავა, — აი, ასეთი ტექსტი ედო იმ მასალას, რომელსაც ეთერში გადმოსცემდნენ. ეკრანზე კი მოჩანდა მიცვალებული, რომელიც ასფალტზე ეგდო და თეთრი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული.

— მოკლედ, რაც ახლა მითხარი, ყველას მაგას ეტყვი, შენც და ეგ შენი... — მურაზმა პატარა პაუზა გააკეთა, — დაქალებიც. გასაგებია? ეტყვი, რომ ენას კბილი დააჭირონ.

— გასაგებია, — თქვა თათიკომ და სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***





# „მარჩიელისგან" შეშინებული „ბებერი თინეიჯერის" ჯადოქრული ამბავი და დაღუპული „ქუჩის ბიჭები"

## რამ გადააწყვეტინა სოფო გორდაძეს „დაოჯახების ინსტიტუტის" გახსნა...

**„თინეიჯერობა ძალიან მაგარია. მგონი, ამ ასაკიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვედი და კარგა ხანი დავრჩები მოზარდად", — მითხრა „ჯეობარელმა" სოფო გორდაძემ, რომელმაც სიყვარულში იმედგაცრუება იმდენჯერ იწვნია, რომ ამ გრძნობის აღარ სჯერა.**

*ლიკა ქაჯაია*

— ბიძა მყავს, რომელიც 53 წლისაა და მართალია, ასაკის მიხედვით, თინეიჯერობა აღარ შეჰფერის, მაგრამ ძალიან ბავშვური, მხიარული იყო მთელი ცხოვრება და ასეთი იქნება მუდამ, ასე მგონია.

**— ეს კარგია თუ ცუდი?**

— კარგია იმ მხრივ, რომ ბავშვური საქციელი ცხოვრებას ძალიან გიმარტივებს, მაგრამ მთავარია, ზომიერების შეგრძნება არ დაკარგო.

**— შენი აზრით, ვინ არიან „ბებერი თინეიჯერები"?**

— მე ვარ „ბებერი თინეიჯერი" (*იცინის*).

**— მოდი, კითხვას სხვანაირად დაგისვამ. ალბათ გაგიგონია, როცა თავისი ასაკისთვის შეუფერებლად ჩაცმულ ადამიანზე ამბობენ: უკნიდან თინეიჯერია, წინიდან კი — პენსიონერიო...**

— ...არც მე მომწონს, როცა 50 წლის ადამიანი რაღაც უაზრობებს აკეთებს, თავისი ასაკისთვის შეუფერებლად იცვამს. სახელებს ვერ დაგიკონკრეტებ, მაგრამ დღევანდელ შოუბიზნესშიც გვყავს ისეთი სახეები, რომლებიც ძალიან ცდილობენ, თინეიჯერებს მიჰბაძონ და ამის გამო, ზოგჯერ თავს სასაცილო სიტუაციაში იგდებენ... ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს. შეიძლება, ზრდასრულ ადამიანს ახალგაზრდული სულისკვეთება ჰქონდეს, მაგრამ მან უნდა იცოდეს, თუ სად და როგორ მოიქცეს. როცა ნებისმიერ საზოგადოებაში ერთნაირად იქცევი, ეს თინეიჯერობის შენარჩუნების მცდელობა კი არა, სიდებილეა.

**— როგორ ფიქრობ, ეს სიდებილე, როგორც შენ ამბობ, საიდან მოდის?**

— იქიდან, რომ ყველაფერი ერთმანეთში გვერევა: მაგალითად, უკომპლექსობა და სიშიშვლე, თინეიჯერობა და სისულელე... თინეიჯერობა სისულელე კი არა, თავისუფლება და ბედნიერებაა. თუ ამას გავიაზრებთ, მერე ყველაფერი კარგად იქნება.

**— როცა ასაკი მოგემატება, შეუფერებელი საქციელის ჩადენა შენც ხომ არ გემუქრება?**

— არა და არა (*იცინის*)!.. უბრალოდ, მე ზედმეტად მხიარული ვარ და იმედი მაქვს, რომ ეს საბოლოოდ სიდებილეში არ გადამეზრდება. რა ვიცი, ჯერჯერობით არავის უთქვამს, სულელი ხარო.

**— გასაგებია, რომ სულით თინეიჯერი ხარ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ასაკს გადააბიჯე, შენში არაფერი შეიცვალა?**

— როგორ არა. მართალია, დღესაც ხალისიანი და საოცრად ენერგიული ვარ ისევე, როგორც ბავშვობაში ვიყავი, მაგრამ ახლა უფრო მეტს ვფიქრობ ცხოვრებაზე, სანამ რაღაც ნაბიჯს გადავდგამ, ყველაფერს ვაანალიზებ, რაღაცებს სულ სხვა თვალით ვუყურებ. მაგალითად, თინეიჯერობისას ვიღაცის თვალები რომ მომეწონებოდა, ვფიქრობდი, რომ იმ ტიპს ცოლად გავყვებოდი, ახლა კი, სხვა ღირებულებებით ვაფასებ ადამიანს...

**— რას ნიშნავს შენთვის სიყვარული?**

— საერთოდ, სიყვარულის აღარ მჯერა.

**— ადრე გჯეროდა?**

— ადრე მეგონა, რომ სიყვარული არსებობდა, მაგრამ მერე, ისეთი რაღაცები მოხდა, რომ შეხედულებები შემეცვალა და დღეს ამ გრძნობის არსებობაში ეჭვი მეპარება.

**— ასეთი რა მოხდა?**

— რაღაც სისულელეები. რა ვიცი, რომელი ერთი ამბავი გავიხსენო... ბავშვური სიყვარული ძალიან ლამაზია, მერე კი, ყველაფერი ისე ცუდად მთავრდება, რომ იმედგაცრუებული რჩები.

**— იმედგაცრუება ბევრჯერ იწვნიე?**

— მე ხომ მთელი ცხოვრება „სტრანნი" რაღაცები მემართება. ჯერ არ მქონია ბედნიერება, რომ „ცისფერი" შეყვარებული მყოლოდა, თორემ, დანარჩენი... ვინც სიყვარულს მეფიცებოდა ან მომწონდა, თითქ-

მის ყველამ ცოლი მოიყვანა. ბოლოს გადავწყვიტე, „დაოჯახების ინსტიტუტს“ გავხსნიმეთქი (*იცინის*).

— **ანუ გინდა თქვა, რომ კარგი ფეხი გაქვს?**

— რა ვიცი, ალბათ.

— **სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?**

— გიჟი ბავშვი ვიყავი, ჩაჩაჩული შარვლით დავდიოდი, თმა ხომ ხელს მიწყობდა იმაში, რომ მთლად დალაგებულის შთაბეჭდილება არ დამეტოვებინა და უცნობებს ეგონათ, რომ ცოტა „ვერ ვიყავი“. ისე, კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ზოგჯერ, გაკვეთილების მომზადება მეზარებოდა ხოლმე. ყველა ამბობდა: რა ჭკვიანია და როგორი ზარმაციო!.. მოკლედ, საერთო ჯამში, კარგი ბავშვი ვიყავი, მასწავლებლებს ვუყვარდი.

— **ამაში დარწმუნებული ხარ?**

— რა ვიცი. ყოველ შემთხვევაში, სკოლა რომ დავამთავრე, საქებარი სიტყვებით კი ამავსეს და (*იცინის*)...

— **მასწავლებელს კლასიდან არასდროს გაუგდიხარ?**

— კი, ერთხელ გამაგდო, მაგრამ რატომ, არ მახსოვს... მგონი, ვლაპარაკობდი და იმიტომ. მე ხომ სულ ვქაქანებ და ეტყობა, ძალიან „ჩავიხვიე“, ვერ გამაჩერა და კლასიდანაც გამაძევა. ხელწერილიც ბევრჯერ დამიწერია.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ სკოლიდან ვიპარებოდით. მეგობარმა მოსკოვიდან ჩამომიტანა კალამი, რომლითაც რაღაცას თუ დაწერდი, მერე ეს ნაწერი დროთა განმავლობაში ქრებოდა. ერთხელ დირექტორმა დედაჩემი დაიბარა და გადმოულაგა ჩემი ხელწერილები. ცარიელი ფურცლები რომ ნახეს, გაგიჟდნენ: ეს რა არის? ეს ბავშვი ან ჯადოქარია, ან სატანაო.

— **ჯადოქრობის გჯერა?**

— ისე, რა. ჯადოების ნამდვილად მჯერა, მაგრამ ცრუმორწმუნე არ ვარ.

— **რომელი საგნები უფრო მოგწონდა?**

— ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა, თან, მაგრად ვწერდი და პირველ კლასში ვიყავი, როცა ამბობდნენ: სოფოსგან მაგარი ჟურნალისტი დადგებაო. ოღონდ, ჟურნალისტიკა და მე რა შორს ვართ ერთმანეთისგან, ვერ წარმოიდგენ... რაღაცებს ახლაც ვწერ, მაგრამ არ მიყვარს, როცა ამას სხვები კითხულობენ. წარმოიდგინე, ჟურნალისტი რომ ვიყო და მარტო ჩემთვის ვწერდე რაღაცებს, რა მაგარი იქნებოდა, არა?!.

— **„შატალოზე“ სად მიდიოდით ხოლმე და სკოლის გაცდენის ინიციატორი ოდესმე თავად თუ ყოფილხარ?**

— კი, ერთი-ორჯერ ვიყავი ინიციატორი, მაგრამ მისი მოწყობა ვიღაცას „შეტენეს“ და მეც გავისუსე... დარაჯი გვყავდა მაგარი კაცი, არაყს ან რაღაცას მივუტანდით და „გაგვიშვაააა“.

— **ანუ ქრთამავდით?**

— ვიცი, რომ „ქრთამისტობა“ ცუდია, მაგრამ ასე გამოდიოდა... 61-ე სკოლაში ვსწავლობდი და რა თქმა უნდა, „შატალოზე“ ზოოპარკში მივდიოდით, რადგან ახლოსაა. არ ვიცი, ბატონი დავით ნარსია (*ზოოპარკის ყოფილი დირექტორი. — ავტ.*) ამ სტატიას წაიკითხავს თუ არა, მაგრამ ახლა პირველად უნდა ვაღიარო, რომ მთელი ცხოვრება იქ გავატარე, რადგან ცხოველები ძალიან მიყვარს, მაგრამ არასდროს გადამიხდია ფული შესვლაში, რადგან ხილიანის ქუჩიდან იყო ძალიან დიდი შესასვლელი და იქიდან ვიპარებოდით.

— **არასდროს დაუჭერიხართ?**

— კი, როგორ არა. ერთხელ მთელი კლასი გავიპარეთ და ჩვენი დამრიგებელი ვნახეთ, შორიდან გვიცინოდა. ხელი დავუქნიეთ, მისალმების ნიშნად, მაგრამ სინამდვილეში, „გალიმებულები“ დავრჩით.

— **სკოლაში თაყვანისმცემლები არ გყავდა?**

— როგორ არა და ამიტომაც, ერთხელ „ვაფშე“, მთელი ერთი კვირა არ მიშვებდნენ სკოლაში.

— **რატომ, რამე დააშავე?**

— არა, პატარა ბავშვი ვიყავი, როცა ვიღაც „პაკლონიკი“ მყავდა (ასაკით ჩემზე ბევრად უფროსი იყო), მეც ვენაზებოდი. ერთხელ სკოლაში მოვიდა და ჩემი სკოლელი ბიჭი აუხირდა, რადგან იმასაც ვუყვარდი და ატყდა ჩხუბი. მერე ვიღაცებმა თქვეს: ყველაფერი სოფოს ბრალია, ბიჭებს ერთმანეთი დაახოცვინაო. შემდეგ, ჩემი მშობლები დაიბარეს და უთხრეს: დასაჯეთ, ერთი კვირა სახლიდან არსად გაუშვათო. სკოლის დირექტორს ეგონა, რომ სახლში ჩამკეტეს, მაგრამ სინამდვილეში, მთელი ის კვირა ალმადალმა დავბორიალებდი.

— **როგორი რეაქცია გაქვს, როცა ბიჭები შენ გამო ჩხუბობენ?**

— ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ჩემ გამო იჩხუბეს და მაშინაც ძალიან ბევრი ვინერვიულე, ვიტირე.

— **ვინ არიან შენთვის „დედიკოს ბიჭები“?**

— ჩემთვის „დედიკოს ბიჭი“ ის კი არ არის, ვინც სულ მეცადინეობს და ქუჩაში არ დაყიალებს, არამედ ის, ვინც დედიკოზე ან მამიკოზეა მატერიალურად დამოკიდებული... ბიჭი რომ მომეწონოს, ის განათლებული უნდა იყოს, რაღაცაში უნდა ერკვეოდეს. ჩლუნგებს ვერ ვიტან.



— **როგორ ფიქრობ, ქუჩის მენტალიტეტის მქონე ბიჭები თინეიჯერ გოგონებს რატომ იზიდავთ?**

— იცი, რა, ე.წ. ქუჩური გაგების ძალიან ბევრი ახლობელი ბიჭი მყავდა და თითქმის ყველა მათგანი დაიღუპა. აქედან გამომდინარე, არ არსებობს, ასეთი მენტალიტეტის მქონე ტიპი შემიყვარდეს. ასევე ვფიქრობდი თინეიჯერობის ასაკშიც. საერთოდ, ვინც ამაში ვერ ერკვევა, მათ მოსწონთ „ქუჩის ბიჭები“. და კიდევ: თუ მამაკაცს ქუჩაში უნდა ცხოვრება, იქაც რაღაცას უნდა წარმოადგენდეს, თორემ, აუცილებლად დაიღუპება...

— **თინეიჯერი სოფო სერიოზულად შეყვარებული თუ იყო ვინმეზე?**

— მთელი ცხოვრება შეყვარებული ვიყავი და ვარ, ამიტომაც აღარ მჯერა სიყვარულის...

— **თაყვანისმცემლები სიურპრიზებით თუ განებივრებდნენ?**

— კი, როგორ არა, თუმცა, საინტერესო არაფერი ყოფილა... ერთი თაყვანისმცემელი მყავდა და სანამ ისეთი რაღაც არ მოხდა, რომ ერთმანეთი კინაღამ დავხოცეთ, მოდიოდა და ჩემი სახლის კარზე ვარდს ამაგრებდა. მე კი, ვარდებს ვერ ვიტან. ხომ გეუბნები, გოგო არა ვარ, კაცად დავიბადე.

— **ვარდი რატომ არ გიყვარს?**

— ცოცხალი ყვავილები მიყვარს, მაგრამ უკვე დაკრეფილს, ვერ ვიტან, უფრო სწორად, ისინი მეცოდება... ყოველ დილით, მამაჩემი გადიოდა სახლიდან პირველი (ახლა უკვე მას მე ვასწრებ), ჰოდა, შემოდიოდა ვარდით ხელში და მეუბნებოდა: აჰა, შენ მოგართვესო... ერთხელ კიდევ, ჩემი დაბადების დღეს, დაახლოებით დილის 5 საათზე, როცა უკვე მეძინა, ვიღაცამ დამირეკა და მითხრა: მარჩიელი ვარ და გული მკარნახობს, რომ შენი სახლის კართან რაღაც სიურპრიზიაო. ლამის გული გამისკდა: მარჩიელს ჩემთან რა უნდა-მეთქი? თან, ვიფიქრე: ასე, ტრუსით სად გავტანტალდე, ვიღაცამ რომ ჩამავლოს ხელი ან დამინახოს, მერე რა ვქნა-მეთქი?! — და დედა გავაღვიძე: გადი, ნახე, გარეთ რაღაც ხდება-მეთქი. კართან „საშინელება“ ხდებოდა, იქაურობა ყვავილებით იყო სავსე.

— **ეი. ყვავილები არ უნდა გაჩუქონ?**

— ქოთნიანად თუ მაჩუქებენ, საწინააღმდეგო არაფერი მექნება. აი, მოწყვეტილი ყვავილი ჭკნობას რომ იწყებს, ეს ნერვებს მიშლის.

— **კიდევ როგორი საჩუქარი გიშლის ნერვებს?**

— ხშირად მჩუქნიან ოქროს ნივთებს, არადა, ამ ლითონსაც ვერ ვიტან. ვერცხლი უფრო მიყვარს.

— **შენთვის ისეთი რამ, რაც სიამოვნებას მოგანიჭებდა, არც ერთ თაყვანისმცემელს არ უჩუქებია?**

— ერთმა მაჩუქა ძალიან დიდი, ფუმფულა სათამაშო ლომი. ისე მომეწონა, რომ

ღამის იმწუთასვე გული შემიწუხდა.

— **შეიძლება ითქვას, რომ ამ საჩუქრის ავტორი შეგიყვარდა კიდეც?**

— არა, მაგრამ მან ძალიან გამახარა.

— **როგორ ფიქრობ, რა განსხვავებაა შენი თაობის თინეიჯერებსა და დღევანდელებს შორის?**

— დიდი განსხვავებაა-მეთქი, ვერ გეტყვი, მაგრამ ესენი რაღაცნაირად, უფრო თამამები არიან, მართავენ მიტინგებს და უხარიათ. ძალიან მაგარი თაობაა. მაგრამ არ მომწონს ის, რომ გოგოები აქტიურები გახდნენ და იმისთვის, რომ ვიღაცას თავი მოაწონონ, „სტრანნად“ იქცევიან.

— **შენ რას აკეთებდი იმისთვის, რომ ვიღაცის ყურადღება მიგექცია?**

— მე იცი, როგორი რაღაც მჭირდა? — თუ ვიღაცას არ მოვწონდი, იმას არც შევხვდებოდი, მის „შებმას“ არ დავიწყებდი. შეიძლება, ვიღაცამ დეგენერატად მიმიჩნიოს, მაგრამ ასეთი ვარ და რა ვქნა? ჩემთვის მიუღებელია ის, რომ ვიღაცას მანქანის ბორბლებში შევუვარდე იმისთვის, რომ გავიცნო ან თავი მოვაწონო.

— **როგორც ვიცი, ამჟამად ერთ-ერთი რადიოტალღის დიჯეი ხარ და თინეიჯერები ხშირად გეკონტაქტებიან. მათთან ურთიერთობა გიადვილდება?**

— მათ ძალიან მაგრად ვუგებ, რადგან ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთი ჭკუის ხალხი ვართ. მაგრები არიან... მთელი დღე ვმუშაობ: ჯერ ერთ-ერთ სარეკლამო კომპანიაში მივდივარ, იქიდან რადიოში გავრბივარ და შინ ცოცხალ-მკვდარი ვბრუნდები, არაფრის თავი აღარ მაქვს. მერე აუცილებლად უნდა წავიდე სადმე გასართობად.

— **სად და როგორ ერთობი?**

— ღამის კლუბებში დავდივარ. მართალია, იქაური მუსიკა დიდად არ მიზიდავს (როკი მიყვარს ძალიან), მაგრამ მაინც მშვენივრად ვერთობი... ხშირად ვცდილობ, ისეთ ადგილას წავიდე, სადაც ცოცხალი მუსიკა იქნება.

— **დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?**

— რა ვიცი, რა უნდა ვურჩიო?.. გოგოებს ვურჩევდი, იყვნენ თავისუფლები, მაგრამ უკომპლექსობა და უზრდელობა ერთმანეთში არ აერიოთ, თავს ნუ დაიმცირებენ. თუ ამ რჩევას გაითვალისწინებენ, ძალიან მაგრები იქნებიან. ყველას წარმატებას ვუსურვებ!

P.S. *ძვირფასო მშობლებო! თუ გაგიჩნდათ სურვილი, ჩაერთოთ ამ რუბრიკაში და თქვენც გამოთქვათ აზრი თინეიჯერების შესახებ, ან ვერ უგებთ საკუთარ შვილებს, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27. შენ კი, ძვირფასო თინეიჯერო, ისევ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს? ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი და ის პრობლემები გაგვიზიარო, რომლებიც შენი თაობის ადამიანებს აწუხებთ ან უფროსებთან შეკამათება გსურს, დაგვიმესიჯე. მომავალ ნომერში ფსიქოლოგის რჩევას მიიღებთ. წარმატებებს გისურვებთ!* ■



# გულში ჩაკლული სათქმელი და „დაჩაგრული“ ქართველები



**ქეთი, 17 წლის:**

„რომ იცოდეთ, როგორ გამიხარდა თქვენი ნახვა ამ რუბრიკაში. მაინტერესებს, რას საქმიანობს თქვენი შვილი საზღვარგარეთ და ერთმანეთთან თუ მეგობრობთ? ძალიან მიყვარხართ, დიდ პატივს გცემთ და წარმატებებს გისურვებთ“.

**გივი სიხარულიძე:**

— **ჩემს ვაჟს ჰოლივუდურ ფილმებში იღებენ. ის ამერიკის მოქალაქე გახლავთ და საზღვარგარეთ საკუთარი საჩოგბურთო სკოლაც აქვს, სადაც მენეჯერად მუშაობს... ჩვენ ერთმანეთს ყოველდღე (დღეში 3-4-ჯერ მაინც) ვურეკავთ და ველაპარაკებით.**

**უცნობი, 17 წლის:**

„სალამი. ძალიან მიჭირს უფროსებთან კონტაქტის დამყარება, ამიტომ მშობლებთანაც პრობლემები მაქვს. ახლა დეიდასთან ვცხოვრობ, მასაც ვერ ვეწყობი, მიუხედავად იმისა, რომ სულით და გულით მინდა გამოვსწორდე. იქნებ, თქვენ მაინც მიშველოთ. მირჩიეთ, როგორ მოვაწონო მშობლებს და დეიდას თავი?“

— **მათთან საერთო ენის გამონახვას, მხოლოდ შენივე გულწრფელობით მიაღწევ. წარმატებებს გისურვებ!**

**უცნობი, 16 წლის:**

„ჰაი“. მაგარი ცუდად ვარ. მე და ერთ ბიჭს ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ ერთად არ ვართ, რადგან ის ცოლიანია. ცოლთან გაშორებას აპირებს და მერე კი, ალბათ, მომიტაცებს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

— **სიყვარული ისეთი რამაა, რომ მიჭირს რაიმე გირჩიო. მაგრამ გოგონი, შენ დარწმუნებული ხარ იმ კაცის გრძნობაში? რა გარანტია გაქვს, რომ კაცი, რომელიც ცოლს მიატოვებს, შენ გამოგეკიდება და მოგიტაცებს, ოდესმე გულს არ გატკენს?. ასე რომ, ჯერ კარგად დაფიქრდი და მერე იმოქმედე.**

**ბებე, 17 წლის:**

„გივი სიხარულიძე მაგარი ჯიგარი კაცია, მაგრამ სიტყვა თინეიჯერი რატომ არ მოსწონს, ეგ ვერ გავიგე“.

— **იმიტომ არ მომწონს, რომ საოცრად კარგი სიტყვები გვაქვს ქართველებს — მოზარდი, ახალგაზრდა და ა.შ. მაგრამ საზღვარგარეთიდან შემოსული უაზრო სიტყვები უფრო გვიზიდავს. ამერიკელებს მივბაძოთ, ბატონო, შრომის სიყვარულში, კანონის პატივისცემაში, მაგრამ რატომ უნდა შევისისხლხორცოთ სხვისი ტერმინები, როცა გვაქვს მშობლიური, საყვარელი ქართული ენა?!.**

**იკა, 16 წლის:**

„ბატონო გივი, თქვენ ჩემთვის მამაკაცის იდეალი ხართ. აღფრთოვანებული ვარ თქვენით. სიამოვნებით ვისურვებდი თქვენნაირ უფროს მეგობარს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის კარგ რჩევას მომცემდა“.

— **ჩემო იკა, შენ ნებისმიერ დროს შეგიძლია, რჩევისთვის მომმართო და თუ რამეში დაგეხმარები, ეს ჩემთვისაც სასიამოვნო იქნება, რადგან ყველა ის ადამიანი მიყვარს, რომელიც პატივს მცემს...**

**ხატია** (ქუთაისი), **18 წლის:**

„სირცხვილია, ხალხო, ამერიკაში მიდის გივი სიხარულიძის წიგნები, მე კი ქუთაისში ვცხოვრობ და მისი თუნდაც, ერთი ნაწარმოების წაკითხვა ვერ მოვახერხე. ხალხნო, მოგვაწოდეთ სულიერი საზრდო. აქ სულ რამდენიმე წიგნის მაღაზიაა, გუშინ ერთ-ერთში შევედი და გამყიდველმა როგორც კი დამინახა, მითხრა: შვილო, გივი სიხარულიძის კრებული არ მიგვიღიაო. უკვე ყველამ იცის, რასაც ვეძებ. ძალიან მინდა, ბატონი გივის ერთი წიგნი მაინც მქონდეს. გთხოვთ, იქნებ, ვინმე დამეხმაროთ და ქუთაისის მაღაზიაში გამოაგზავნოთ თანამედროვე ქართული ლიტერატურა. წინასწარ დიდი მადლობა“.

— **ჩემო კარგო, ლიკას უფლებას ვაძლევ, რომ ჩემი ნომერი მოგცეს და დამიკავშირდი. პირობას გაძლევ, ან რჩეულს გაჩუქებ, სადაც მთელი ჩემი შემოქმედებაა თავმოყრილი, ან ყველა წიგნს, სათითაოდ.**

**იაზვა, 15 წლის:**

„ბატონო გივი, დიდ პატივს გცემთ და თქვენს მოსაზრებებს ნაწილობრივ ვიზიარებ... კითხვა ძალიან მიყვარს და კლუბებში სიარულით თავს დიდად არ ვიკლავ. თუ ვინმესთან წაკამათება მომივა, პასუხსაც გავცემ და არც ინტელექტი მაკლია, რაც ჩემი ოჯახის დამსახურებაა. მაინტერესებს, ოდესმე ვინმეს თუ დაუჩაგრიხართ ისე, რომ პასუხი ვერ გაგიციათ?“

— **დაჩაგვრით არავის დავუჩაგრივარ, მაგრამ როცა რაღაცის თქმა გინდა და ვერ ამბობ, ეს დაჩაგვრის ტოლფასი არ არის? ჩვენი, ადამიანების ხვედრია, გულში ჩავიკლათ და სააშკარაოზე არ გამოვიტანოთ ის, რაც ძალიან გვაწუხებს და ეს გულს გვიღრღნის.** ■

**„სიყვარული ჩემთვის ცხოვრების მიზანია“, — ამბობს „მის საქართველო 2006“ — ნინო კალანდაძე. საინტერესოა, რას ფიქრობს გოგონა, რომელიც შარშან საქართველოში ყველაზე ლამაზად აღიარეს. როგორია ის ცხოვრებაში? როგორი მამაკაცები იზიდავს? ჰყავს თუ არა შეყვარებული?..**



# „მამაკაცისთვის ქალი ბოლომდე, წაუკითხავი წიგნი უნდა იყოს“

ეკა მინდაძე

— სიყვარული პირველად, საბავშვო ბაღში მეწვია. ჩემი ჯგუფელი ბიჭი შემიყვარდა. სხვათა შორის, იმ ბიჭსაც ძალიან ვუყვარდი *(იცინის)*, სულ ერთად ვთამაშობდით. ის ხშირად სათამაშოებსაც მჩუქნიდა.

**— დღეს თუ გაქვს მასთან კავშირი?**

— არა, არანაირი.

**— საპირისპირო სქესით პირველად როდის დაინტერესდი?**

— 15 წლის ვიყავი, როცა ბიჭს სერიოზულად შევხედე...

**— იქნებ გაიხსენო შენი პირველი პაემანი?**

— მართალი გითხრა, პაემანზე არასოდეს ვყოფილვარ. დღეს ასე ხდება: ბიჭი, რომელსაც მოსწონხარ, წინასწარ გეტყვის, სადამის შემოგივლი და სადმე წავიდეთო. მგონი, ეს პაემანი არ არის. პირველად ასეთი მიპატიჟება რომ მივიღე, რა თქმა უნდა, მარტო არ წავსულვარ, თან ჩემი დაქალებიც წავიყვანე.

**— იმ შეხვედრაზე მან რაიმე საჩუქარი ხომ არ მოგართვა?**

— როგორ არა?! ძალიან ლამაზი თოჯინა — „ბარბი“ მომართვა.

**— ერთი ნახვით შეყვარების გჯერა?**

— ვფიქრობ, რომ ამას უფრო მოწონება ჰქვია. ერთი ნახვით შეიძლება, ადამიანის გარეგნობამ მოგხიბლოს, მაგრამ მთავარი, გარეგნობა არ არის, მთავარია მამაკაცის ხასიათი და შინაგანი სამყარო, რასაც ერთი ნახვით ვერ განსაზღვრავ.

**— შავგვრემანი ბიჭები უფრო მოგწონს თუ ქერა?**



თუ მას მართლა ვეყვარები, ისიც უნდა ესმოდეს, რომ სამოდელო კარიერა ჩემი ცხოვრების ნაწილია

— ჩემი აზრით, შავგვრემანები უფრო ეშხიანები და მამაკაცურები არიან.

**— მამაკაცის შეფასებისას, პირველ რიგში, რას აკვირდები?**

— მეტყველებას. მიყვარს სალაღ მოაზროვნე და ერუდირებული მამაკაცები.

**— მაინც როგორები გხიბლავს?**

— კარგი გარეგნობის და რაინდული ხასიათის.

**— მამაკაცში რას ვერ იტან?**

— ვერ ვიტან ტრაბახა, დაბალი დონის და უინტელექტო ბიჭებს.

**— ნინო, როგორც მოდელი, ბიჭს ალბათ, ჩაცმის სტილზეც აკვირდები, არა?**

— კი, რა თქმა უნდა. ძალიან ვღიზიანდები, როცა ბიჭს წვეტიანი ფეხსაცმელი ან „ბუთხუზა“ ბოტასი აცვია.

**— გამოდის, რომ ადვილად „შესაბმელი“ არ ხარ.**

— ნამდვილად, ძალიან რთულია ჩემი „შებმა“ *(იცინის)*.

**— მამაკაცის მატერიალურ მდგომარეობას თუ აქცევ ყურადღებას?**

— არა. მამაკაცის შეფასება მატერიალური მდგომარეობის მიხედვით ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ფულით კაცობას ვერ იყიდი. თუმცა, არც იმის მომხრე ვარ, რომ ოჯახი ქალმა არჩინოს.

**— თუ გაჰყვებოდი ცოლად ასაკით შენზე უმცროსს ან პირიქით — უფროს მამაკაცს?**

— ცოლსა და ქმარს შორის დიდი სხვაობა არ უნდა იყოს, რადგანაც ამ შემთხვევაში, საერთო ინტერესების გამოძებნა ძნელია. თუმცა არავინ იცის, წინასწარ ვის რა ელის. შეიძლება, მეც ამგვარი „სიყვარულის მსხვერპლი“ გავხდე. ყველაფერი ხომ ღვთის ნებაა *(იცინის)*.

**— მამაკაცმა, რომელიც გიყვარს, არჩევანის წინაშე რომ დაგაყენოს — ოჯახი ან კარიერაო, — რომელს დათმობ?**

— ვეცდები, ისეთი ვინმე მოვნახო, რომელიც ასეთ ულტიმატუმს არ წამომიყენებს. არ მესმის, რატომ უნდა შემზღუდოს. თუ მას მართლა ვეყვარები, ისიც უნდა ესმოდეს, რომ სამოდელო კარიერა ჩემი ცხოვრების ნაწილია და არავის აქვს უფლება, საყვარელ საქმეს მომწყვიტოს.

**— რა არის სიყვარული?**

— სიყვარული ჩემთვის, ცხოვრების მთავარი მიზანია: უსიყვარულოდ ცხოვრებას აზრი არც ექნებოდა.

**— სიყვარული ზოგს აგიჟებს, ზოგს პირიქით — აჭკვიანებს. შენზე როგორ მოქმედებს?**

— როცა შეყვარებული ვარ, გაცილებით ხალისიანი ვხდები.

**— სასიყვარულო ურთიერთობებში რომ გაერკვე, რჩევას ვის ეკითხები?**

— დედას და ჩემს დეიდაშვილს, რომელიც დასავით არის ჩემთვის.

**— შენთვის ვინმეს სასიყვარულო ბარათი ან ლექსი თუ მოუძღვნია?**

— ბარათი — არა, მაგრამ ბევრი მესიჯი მიმიღია. ერთხელ, ბიჭმა იმსიგრძე მესიჯი მომწერა, რომ 2 საათი ვკითხულობდი.

**— თაყვანისმცემლები თავს ხომ არ გაბეზრებენ?**

— თავს არ მაბეზრებენ, პირიქით, ყველანაირად ცდილობენ, თავი მომაწონონ. ბიჭის მოშორება ძნელი არ არის, მაგრამ ვცდილობ, ეს ადამიანები მეგობრებად ვაქციო.

**— ოდესმე ვინმეს შენთვის სერენადა თუ უმღერია?**

— ბედნიერი ვიქნები, თუ ვინმე სერენადებს მიმღერებს, ძალიან მაგარი იქნება *(იცინის)*.

**— შენი აზრით, რა არის ქართველი მამაკაცის ძირითადი ნაკლი?**

— სამწუხაროა, მაგრამ ბევრმა მამაკაცმა დაივიწყა, რომ მანდილოსანს პატივი უნდა სცეს.

**— როგორ ფიქრობ, შეყვარებულობის პერიოდში, ქალი უფრო აქტიური უნდა იყოს თუ მამაკაცი?**

— რა თქმა უნდა, მამაკაცი. თუმცა დღეს გოგონების უმეტესობა უფრო აქტიურობს. სამწუხაროა, მაგრამ რეალურად ასე ხდება. ჩემი აზრით, ბიჭმა უნდა იაქტიუროს, რომ როგორმე გოგოს გული დაიპყროს, მაგრამ ასეთები იშვიათად არიან. არადა, ვფიქრობ, ხიბლი იმაშია, რომ ბიჭისთვის გოგო ბოლომდე, წაუკითხავი წიგნი იყოს.

**— ნინო, მოდი, თავი მოაწონე მამაკაცებს — უთხარი, როგორი ოჯახის ქალი ხარ. გეხერხება სამზარეულოში ფუსფუსი?**

— თითქმის ყველაფერი მეხერხება. კერძებიდან ყველაფერს გემრიელს ვაკეთებ.

**— ხელსაქმე თუ იცი?**

— კარგად ვქსოვ. მომავალში შეიძლება, დიზაინერობაც კი დავიწყო.

■

# „წარმოდგენილი მაქვს ემი თავი, როგორც ოქროს მჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი“...

**XX საუკუნეში კიდევ ერთი, უდიდესი სულიერების მართლმადიდებელი მამა გვყავდა ქართველებს — ექვთიმე კერესელიძე, რომელიც დაუღალავად იღვწოდა იმისთვის, რომ უძველესი საეკლესიო საგალობლები გადაერჩინა და ჩვენთვის შემოენახა. საქართველოს ეკლესიამაც დააფასა მისი ღვაწლი და წმინდანად შერაცხა — წმინდა ექვთიმე აღმსარებლის სახელით.**

შორენა მერკვილაძე



წმინდა ექვთიმე, ერისკაცობაში — ესტატე კერესელიძე 1865 წელს დაიბადა რაჭაში, სოფელ სადმელში, სოლომონ და მართა კერესელიძეების ოჯახში, რომელიც ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამიტომ რაჭის სამრევლო სკოლის დასრულების შემდეგ, 15 წლის ესტატე იძულებული გამხდარა, მთიდან ბარში წასულიყო ლუკმაპურის საშოვნელად. ის ჯერ ქუთაისში წავიდა, შემდეგ კი თბილისში გაემგზავრა და ერთ-ერთ სასტუმროში მზარეულის დამხმარედ დაიწყო მუშაობა. ამ პერიოდში მას შემთხვევით გაუცნია ილია ჭავჭავაძის ხაზინადარი და მოურავი, მაქსიმე შარაძე. ღვთისმოსავი ახალგაზრდა ძალზე დაუახლოვდა ღვთივსათნო წესით მცხოვრებ მაქსიმე შარაძეს, რომელმაც ესტატესა და სხვა მორწმუნე ახალგაზრდებთან ერთად, მალე თბილისში „უფასო სალმრთო წიგნთსაკითხავი“ დააარსა, რათა საქართველოს მოსახლეობაში მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცების და ძველი ქართული გალობის შესწავლისა და გავრცელებისთვის შეეწყოთ ხელი.

ერთხელ მაქსიმეს ქვაშვეთის ტაძარში ათონის წმინდა მთის ქართველთა სავანეში განსწავლული მელქისედეკ ნაკაშიძისა და მისი გუნდის გალობისთვის მოუსმენია. სულსა და გულში ჩასწვდომია მათი გალობა და მელქისედეკისთვის უთხოვია — ჩვენც გვასწავლეო. დიდი მონდომებით შესდგომია მელქისედეკი საძმოს წევრებთან მეცადინეობას, ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ახალგაზრდებს ძველი ქართული საეკლესიო საგალობლები შეესწავლათ. მას ესტატე კერესელიძეც დაემოწაფა. ყმაწვილთა მონდომებასა და მელქისედეკის მეცადინეობას უკვალოდ არ ჩაუვლია: 5 წლის განმავლობაში მრავალი ქართული საგალობელი შეისწავლეს.

მალე მაქსიმე შარაძემ და ესტატე კერესელიძემ ილია ჭავჭავაძის დახმარებით, სტამბის შეძენა მოახერხეს და კიდევ ერთ, ერისთვის სასარგებლო საქმეს მიჰყვეს ხელი — ბეჭდავდნენ სალმრთო წიგნებს. მაქსიმესა და ესტატეს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ათონის წმინდა მთაზე მოღვაწე ქართველ ბერებთან, რომლებიც ივერთა მონასტრის წიგნთსაცავებიდან გადმოწერილ წმინდანთა ცხოვრების ამსახველ ხელნაწერებსა და წმინდა მამათა დარიგებებს აწვდიდნენ დასაბეჭდად, შემდგომ კი უფასოდ ავრცელებდნენ. 25 წლის განმავლობაში, ქართულ სტამბაში 4 ათასამდე სასულიერო შინაარსის წიგნი დაიბეჭდა. იქვე იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერიაც“. სტამბაში მომუშავე ადამიანები კეთილსინდისიერებითა და ღვთივსათნო ცხოვრებით გამოირჩეოდნენ, ამიტომაც იყო, რომ მათ სტამბას ხალხმა „ბერების სტამბა“ შეარქვა.

1891 წელს, მელქისედეკ ნაკაშიძემ ესტატესა და მაქსიმეს, უცხოეთიდან დაბრუნებული, ლა სკალას ყოფილი მომღერალი ფილიმონ ქორიძე გააცნო, რომელსაც საქართველოში ღამის გასათევიც კი არ დახვედრია. ოღონდ, სანოტო დამწერლობა გვასწავლე და ბინასაც მოგცემთ და მასწავლებლობის საფასურსაც გადაგიხდითო, სთხოვეს ესტატე კერესელიძემ და მაქსიმე შარაძემ. ფილიმონმა სანოტო დამწერლობა ერთ თვეში შეასწავლა 12 ახალგაზრდას და მათაც ნოტებზე საგალობლების გადატანა დაიწყეს. მალე, ალექსანდრე ხახანაშვილის დახმარებით, მოსკოვში ნოტების შრიფტიც შეიძინეს, რათა საგალობლების ბეჭდვა წამოეწყოთ. საამისოდ საჭირო თანხის გაღების სურვილი მაქსიმე შარაძემ და ესტატე კერესელიძემ გამოთქვეს. მათი კეთილი ნება-სურვილი წმინდა ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა. სულ მალე სტამბაში ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადატანილი, ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების 6 კრებული დაიბეჭდა. 1899 წელს კი, ძმები კარბელაშვილების მიერ ნოტებზე გადაღებული, ქართლ-კახური კილოს საგალობელთა 2 კრებული.

იმ პერიოდში გურიაში, ცნობილი მგალობელი ანტონ დუმბაძე ცხოვრობდა. მაქსიმემ და ესტატემ ფილიმონ ქორიძეს მასთან გამგზავრება სთხოვეს, რათა უნიკალური საგალობლები ნოტებზე ჩაეწერა. ანტონ დუმბაძე ღრმად მოხუცებული იყო, ამიტომ მალე ამასოფლისგან გასვლის ჟამი დაუდგა და ფილიმონმა მისგან მხოლოდ ძველი საეკლესიო საგალობლების ნაწილის ჩაწერა მოახერხა. თუმცა, დაწყებული საქმის დაგვირგვინება მაინც შეძლო — ანტონ დუმბაძის ვაჟიშვილის, დეკანოზ დავით დუმბაძის დახმარებით, რომელსაც მამამ თავის დროზე, ყველა საგალობელი შეასწავლა. გურიაში ამ სამუშაოს შესრულებას წლები დასჭირდა. ფილიმონ ქორიძემ 1910 წელს დაასრულა საგალობლების ნოტებზე გადატანა და ესტატე კერესელიძეს გადასცა. იმ დროს მაქსიმე შარაძე ცოცხალი აღარ იყო, ის 1907 წელს გარდაიცვალა.

ძალზე დამწუხრებული იყო ესტატე კერესელიძე ერთგული მეგობრის დაკარგვის გამო, ამას ისიც დაემატა, რომ მარტო დარჩენილ მოღვაწეს, სტამბისა და მისი ქონების გაყოფა მოსთხოვეს. ჩამონათვალში უძვირფასესი ხელნაწერებიც შედიოდა. წინააღმდეგობის მიუხედავად, ესტატეს მაინც ჩამოართვეს ხელნაწერთა რამდენიმე კრებული, რომელთა კვალსაც ვერსად მიაგნო. დარდისგან ავად გახდა. სნეულ ბიძასთან რაჭიდან ძმისწულები ჩავიდნენ. სწორედ მათი მზრუნველობით გამოჯანმრთელდა და კვლავ დაკარგული ხელნაწერების ძიებას შეუდგა. საბედნიეროდ, ეს ხელნაწერები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში მოხვედრილიყო, რომელსაც იმხანად, ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. მას ესტატემ ხელნაწერები სთხოვა გადასაწერად. ექვთიმე თაყაიშვილს, ცხადია, წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მალე ესტატე კერესელიძემ, მღვდელ სვიმონ მჭედლიძის დახმარებით სტამბა და ხელნაწერები ქუთაისში გადაიტანა. იქაც სცადეს, საგალობლებთან სანოტო კრებულების ბეჭდვა, დაიწყეს კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, რადგან არ ჰქონდათ ბინა, სადაც იმ ყუთებს შეინახავდნენ, რომლებშიც დაბეჭდილი საგალობლები იყო მოთავსებული. სწორედ უბინაობის გამო, უკვე

დაბეჭდილი ფურცლების ნაწილი ვიღაც არამზადებმა მოიპარეს.

1911 წელს გარდაიცვალა ფილიმონ ქორიძე და მისი ყველა ნაშრომი — ნოტებზე ჩაწერილი საგალობლები, რომლებზეც 30 წლის განმავლობაში მუშაობდა, ესტატეს გადაეცა. მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობაც უდიდესი მოღვაწის მიერ დატოვებულ საგანძურზე. ყველაზე კარგად ესტატემ იცოდა ამ საგალობლების რეალური ფასი და სათანადოდაც ეპყრობოდა და უფრთხილდებოდა.

1912 წელს, 47 წლის ესტატე, იმერეთის ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილის კურთხევით, მორჩილად შედგა გელათის მონასტერში, ნახევარ წელიწადში ბერადაც აღკვეცეს და სახელად ექვთიმე უწოდეს. 1913 წელს ბერ-დიაკონის ხარისხი მიანიჭეს. გელათის მონასტერში ყოფნისას მამა ექვთიმემ გადაწყვიტა, ზედმიწევნით მოეწესრიგებინა — გადაეთეთრებინა და ტიპიკონის მიხედვით დაეწყო ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადატანილი საგალობლები. რამდენიმე წელი შრომობდა. ამ უდიდეს და ძალზე მძიმე სამუშაოსთან ერთად, მამა ექვთიმეს ერთი ურთულესი საქმის შესრულებაც უხდებოდა — ის ერთადერთი დიაკონი იყო მონასტერში და ყოველდღე უხდებოდა მსახურება. ღვთის შეწევნით, ორივე მოვალეობის შესრულებას პირნათლად ახერხებდა. 1917 წელს, მამა ექვთიმე მღვდელ-მონაზვნის ხარისხში აღამაღლეს...

უკვირდათ თურმე ბერებს და ეკითხებოდნენ — რა სარგებლობა გაქვს, უფულოდ თავს რატომ უჭირვებო? მამა ექვთიმე კი, სულ სხვა სარგებელს და სიმდიდრეს ეძიებდა: „მე ამაში ვპოულობ სიმდიდრეს, ეს თვითონ ფულია, თვითონ ძვირფასი განძია, ეს ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა!.. მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროს მჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! ხანდახან გაკვირვებაშიც კი მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უღირსი ამაში ხელს ვურევ?", — ხშირად უთქვამს თურმე მისი საქმიანობით და მუხლჩაუხრელი შრომით გაკვირვებული ბერებისთვის.

1921 წელს, ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლისთანავე, მამა ექვთიმე დააპატიმრეს როგორც ახალი წყობისთვის არასაიმედო პიროვნება, მაგრამ ვერანაირი ბრალდება ვერ წაუყენეს და რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს. არც ამის შემდეგ შეუწყვეტია საგალობლებზე ზრუნვა.

1923 წელს, კომუნისტურმა ხელისუფლებამ გელათის მონასტრის დახურვა გადაწყვიტა. იქაურობის დასატოვებლად მის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილს მხოლოდ რამდენიმე დღის ვადა მისცეს. მამა ექვთიმემ გელათის მონასტრიდან საგალობელთა ორმოცამდე კრებული ქუთაისში, ერთ საიმედო ოჯახში გადაიტანა, რათა განადგურებისაგან ეხსნა. ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირთა დევნა-შევიწროება დღითი დღე მძაფრდებოდა. ურჯულო ხელისუფლების ბრძანებით, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი, ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად დახვრიტეს. არც ღვთის მორწმუნე ადამიანებს ინდობდნენ, ანადგურებდნენ საეკლესიო სიწმინდეებსაც. მამა ექვთიმემ გადაწყვიტა, საგალობლები ქუთაისისთვის გაეშორებინა და უფრო უსაფრთხო ადგილას — მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში გადაემალა. რომ არა ღვთის მფარველობა და შეწევნა, მამა ექვთიმე ვერ შეძლებდა ასეთ დაძაბულ პერიოდში, საგალობლები ურმით მარტოდმარტოს ჩაეტანა ქუთაისიდან მცხეთამდე.

მცხეთაში ჩასვლის შემდეგ, იქვე სვეტიცხოვლის ტაძარში დარჩა. ტაძრის წიგნთსაცავში სძლისპირთა უძველეს ნევმირებულ კრებულს მიაკვლია. ეს საგალობლებიც სანოტო სისტემაზე გადაიტანა.

1929 წელს მამა ექვთიმე ზედაზნის მონასტერში გადაიყვანეს. საგალობლებიც თან წაიღო, დიდ რკინის ყუთში მოათავსა და მიწაში დაფლა, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლებოდა, თავს დასხმოდნენ მონასტერს და 5532 საგალობელი განადგურებულიყო. საგალობლები კი გადამალა, მაგრამ იმაზე ფიქრი არ ასვენებდა, თუ რა ბედი ეწეოდა მათ, მისი გარდაცვალების შემდეგ.

ერთხელ ბეთანიაში მოღვაწე ბერებს — მამა გიორგის და მამა იოანეს, მეტეხის მუზეუმის თანამშრომელი, დავით დავითაშვილი სწვევია, რომელიც ფარული ქრისტიანი იყო. საუბრისას მწუხარებით უთქვამს ბეთანიელი მამებისთვის — ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი უძველესი საეკლესიო საგალობლები დაიკარგაო. საგალობლები მამა ექვთიმესთან ინახება ზედაზენზეო, — უპასუხიათ ბერებს. დავითი ბეთანიიდან პირდაპირ მამა ექვთიმესთან წასულა ზედაზენზე, რათა მასთან საგალობლების შესახებ ესაუბრა და მათ გადასარჩენად ერთად ეზრუნათ. აქამდე რატომ არ გვითხარი, საგალობლები თუ შენ გქონდაო? — უკითხავს მისთვის. თავიდან, მამა ექვთიმე დაეჭვებით უცქერდა თურმე, მისთვის უცხო ადამიანს, მაგრამ როდესაც მასში საგალობლების მიკვლევის გამო გამოწვეული სიხარული დაინახა, მიენდო და უთქვამს: მეშინია, არავინ დამესხას თავს, საგალობლები არ წამართვან, არ დაწვან და მეც ციხეში არ ჩამსვან მათი დაწერისა და შენახვისთვისო. შემდეგ საგალობლებიც უჩვენებია. როდესაც დავითს ნოტებისთვის გადაუხედავს, მამა ექვთიმესთვის აღფრთოვანებით უთქვამს: ამ ხელნაწერებს არათუ შევინახავთ, არამედ ამათი გადარჩენისთვის შესაძლოა, მთავრობისგან მადლობაც კი დავიმსახუროთო. ძალზე გაჭკვირვებია მისი ნათქვამი მამა ექვთიმეს, მაგრამ მაინც გამოჰყოლია თბილისში.



ზედაზნის მონასტრის იღუმენი ექვთიმე (1930-იანი წლები)

ისტორიკოსების და მუსიკოსების შემადგენლობით შექმნილმა კომისიამ საგალობლების განსაკუთრებული ფასეულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა. მამა ექვთიმეს პრემიაც გადასცეს და პენსიაც დაუნიშნეს.

მალე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს დაუბარებია, მადლობა გადაუხდია გაწეული ღვაწლისთვის და უთხოვია — „სახარების", ლოცვისა და კვერექსების კითხვის ძველი კილო ნოტებზე ჩაეწერა. მამა ექვთიმემ სიხარულით შეასრულა პატრიარქის თხოვნა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, მამა ექვთიმე მარტოდმარტო დარჩა ზედაზნის მონასტერში, რადგან მასთან ერთად მოღვაწე ახალგაზრდა ბერი, პართენ აფციაური ცრუბრალდებით დააპატიმრეს, ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი მამა მიქაელი (მინდია) კი, კომენდანტის საათის დარღვევის ბრალდებით მოკლეს საგურამოს გზაზე, როდესაც ბერებისთვის სანოვაგე მიჰქონდა. გარდაიცვალა მხცოვანი ბერი საბაც (ფულარიანი).

უკვე მოხუც მამა ექვთიმეზე მისი სულიერი შვილები — სამთავროს დედათა მონასტრის მონაზვნები ზრუნავდნენ. 1944 წლის ზამთარში, მოძღვრის მოსანახულებლად ასულ დედა ზოილესა და რამდენიმე მონაზონს მამა ექვთიმე სარეცელზე მიჯაჭვული დახვდათ. სნეულმა ბერმა მალე მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს და ღვთისა და ერის წინაშე ღვაწლმოხდილი წარდგა ზეციურ საუფლოში. მისი წმინდა ნეშტი კი იქვე, ზედაზნის მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

მამა ექვთიმეს მიერ გადარჩენილი უძველესი საეკლესიო საგალობლები — 34 სანოტო კრებული, რომელიც 5532 საგალობლისგან შედგება, ამჟამად, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

■

# სტალინის მკვლელები

## XX საუკუნის მთავარი საიდუმლო



*არ არსებობს უფრო რთული საქმე — ჩანაფიქრის თვალსაზრისით, უფრო საეჭვო საქმე — წარმატებული შედეგის მიღწევის მხრივ, უფრო სახიფათო საქმე შესრულებისას, ვიდრე ახალი მმართველობის ორგანოების შემოღებაა. ასეთ დროს ხომ გარდამქმნელს მტრად მოევლინება ყველა, ვისთვისაც სარფიანია უწინდელი წესწყობილება და მას მხოლოდ გულგრილი დამცველები გამოუჩნდება იმ იშვიათ ადამიანებს შორის, ვისაც შესაძლოა, ახალი წყობის პირობებში გაუმართლოს.*

*ნიკოლო მაკიაველი*

**ცნობილი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის იური მუხინის წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „იოსებ ბესარიონის ძე სტალინი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა.**

**იოსებ ბესარიონის ძე სტალინი მოკლეს. მოკლეს მის უახლოეს გარემოცვაში მოკალათებულმა შეთქმულებმა. მოკლეს იმ დიდი რეფორმების გამო, რომელიც უნდა წამოეწყო... ამ წიგნში XX საუკუნის ყველაზე დიდი საიდუმლოს შემცველ უბინძურეს ისტორიულ მითს ეხდება ფარდა. შეიტყვეთ სიმართლე ბელადის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ“.**

### პროლოგი

თქვენს ხელთაა დეტექტივი, თუმცაღა, ეს განსაკუთრებული დეტექტივია. ჩვეულებრივ, დეტექტივს ჰყავს გმირი, რომელიც დანაშაულს იძიებს, აქ კი დანაშაულს თქვენ, თავად მკითხველები გამოიძიებთ. ავტორი, როგორც ოპერმუშაკი, ფაქტებს შეაგროვებს თქვენი საგამოძიებო საქმიანობისთვის, დასკვნები კი თავად გააკეთეთ და ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს მსჯელობას.

ორიოდე სიტყვა ფაქტების შესახებ. მათი პოვნა არცთუ ისე ადვილია, რადგან, რუსეთში არ არსებობს ისტორია — აქ არსებობს მხოლოდ რაღაც ლეგენდები, მითები, რომლებშიც ისტორია მუდმივად მახინჯდება, ხან ერთი, ხან — მეორე რეჟიმის სასარგებლოდ. ამიტომ, სანამ თვით დანაშაულის სამხილებს მივაგნებთ, იმ მითური ნეხვის მთელი გროვის მოშორება მოგვიწევს, რომლითაც ჩვენი ისტორიაა დაფარული და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ, განვიხილოთ რეალური ფაქტები. ეს — ერთი, მეორე: ამ დანაშაულის მოტივები ჩვეულებრივი ადამიანისთვის ძალზე რთული გასაგებია, რადგან მკვლელობა საბჭოთა კავშირის უმაღლეს მმართველთა მიერაა ჩადენილი, ხოლო მათ ქმედებაში, თუმცაღა კი არსებობს მოტივები, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისინი მეორე პლანზე გადადის.

სტალინი იმიტომ მოკლეს, რომ მკვლელებს სურდათ, ისე ემართათ საბჭოთა კავშირი, როგორც თვითონ მოეპრიანებოდათ და არა ისე, როგორც ამას სტალინი აპირებდა. ამიტომ, შეუძლებელია, სტალინის მკვლელობის მოტივების გაგება, თუ არ გავიგებთ იმას, თუ როგორ იმართებოდა იმ წლებში საბჭოთა კავშირი, ვინ მართავდა მას და რა ინტერესები ჰქონდათ მის მმართველებს.

მე სტალინზე ვწერ, მაგრამ ნაწარმოები, როგორც ჩავიფიქრე, იქნება არა მასზე, არამედ მის მცდელობაზე, სახელმწიფოს მმართველობისთვის ჩამოეშორებინა კომუნისტური პარტია — ეს გიგანტი, რომლის თავიც ლპობის პროცესში იმყოფებოდა. ეს იყო მცდელობა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ თვით კომუნისტთა პარტიის გადარჩენისაც, რომელიც, ბელადის ჩანაფიქრით, სახელმწიფოს ელიტურ, ინტელექტუალურ ძალად გადაქცევას ისახავდა მიზნად.

80-იანი წლების ბოლოს, უტვინო გორბაჩოვმა, რომელიც ხარბი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ნომენკლატურის ხელში მარიონეტი იყო, ქვეყანაში განახორციელა გარდაქმნა მის სასარგებლოდ — საშუალება მისცა ამ ნომენკლატურას, გაეძარცვა საბჭოთა კავშირი. 1952 წლის ბოლოს, კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე სტალინმაც დაიწყო გარდაქმნა, ოღონდ — გარდაქმნა ხალხის საკეთილდღეოდ. სტალინმა სწორედ მაშინ დაიწყო სახელმწიფო „გობისთვის“ პარტიული ნომენკლატურის ჩამოშორება. და სწორედ ეს იქცა იმის მიზეზად, რომ სტალინი და ბერია მონსტრებად წარმოეჩინათ. ხრუშჩოვის მოხსენება, რომლის არსი ის გახლდათ, რომ სტალინი იყო არამზადა, რომელიც ბერიასთან ერთად, შიშის ზარს სცემდა მთელ საბჭოთა ხალხს და დაუსრულებლად ხოცავდა და ხოცავდა ადამიანებს...

ამ მითის მთელი უაზრობა და საზიზღრობა ის გახლავთ, რომ პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში მდგომნი, ყველანი — სტალინის მოწაფეები და თანამებრძოლები იყვნენ. ისინი სიცოცხლეში წარმოუდგენლად აქებდნენ და ადიდებდნენ მას და, რაც მთავარია, სწორედ ისინი აკეთებდნენ ქვეყანაში ყველაფერს, საკუთარი ხელებით. და თუ ქვეყანაში მართლაც, რაიმე ცუდი ან დანაშაულებრივი ხდებოდა, ამას სტალინი კი არ აკეთებდა, არამედ სწორედ ეს სახელმწიფო მოღვაწენი და რადგან კარგად ხედავდნენ, თუ რას აკეთებდნენ, შეეძლოთ ეს არ გაეკეთებინათ. მაგრამ ხომ აკეთებდნენ! და შემდეგ, უცებ, ყოველივე ამაში სტალინი დაადანაშაულეს?!!

ახლა ჩავუფიქრდეთ იმას, თუ როგორად წარმოჩნდნენ სტალინის თანამებრძოლები ამის შედეგად? ეს იყო გონებაჩლუნგი და მშიშარა ადამიანების ბრბო, რომელიც სტალინმა იმდენად დააშინა, რომ სიკვდილის შიშით, სტალინის საამებლად დანაშაულს სჩადიოდა!.. ხრუშჩოვს, მიქოიანს, მალენკოვს და კიდევ ასეულობით მათ თანაპარტიელ კოლეგას არ შეიძლებოდა, არ გაეცნობიერებინათ: როცა სტალინს ცილს სწამებდ-

**ეს იყო გონებაჩლუნგი და მშიშარა ადამიანების ბრბო, რომელიც სტალინმა იმდენად დააშინა, რომ სიკვდილის შიშით, სტალინის საამებლად დანაშაულს სჩადიოდა!..**



**2002 წლის 20 ნოემბერს, თბილისში აბაშიძის ქუჩაზე საზარელი მკვლელობა მოხდა: საკუთარ ავტომანქანაში თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი კახი ასათიანი ჩაცხრილეს. იმ დღიდან ოთხ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ეს საზარელი დანაშაული ჯერაც გაუხსნელია. ბატონი კახის ღვაწლი და დამსახურება ქართული სპორტის გულშემატკივრებისა და მთელი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, ამიტომ მისი ბიოგრაფიიდან მხოლოდ რამდენიმე საკვანძო მომენტს შეგახსენებთ და შემდეგ, მისი კოლეგებისა და მეგობრების საინტერესო მოგონებებს შემოგთავაზებთ.**

# კახი ასათიანი

## მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური ფეხბურთელი

ლაშა თაბაგარი

*კახი ასათიანი 1947 წლის 1-ელ იანვარს თელავში დაიბადა. 12 წლის ასაკში, თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელ გვარჯალაძესთან დაიწყო ვარჯიში, 3 წლის შემდეგ კი, „ნორჩ დინამოელში“ გრიგოლ გაგუასა და ომარ უშვერიძის ხელმძღვანელობით განაგრძო წვრთნა. 18 წლის ასაკში უკვე თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა, რომლის ღირსებას 10 წლის განმავლობაში (1965-1975) იცავდა. ამ ხნის მანძილზე, გუნდში 285 შეხვედრა ჩაატარა და 27 გოლი გაიტანა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში 16 მატჩი ითამაშა და მეტოქეთა კარი 6-ჯერ აიღო. კარიერის განმავლობაში, „დინამოს“ შემადგენლობაში სამჯერ დაეუფლა ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს — 1967, 1969 და 1972 წლებში. ასევე გახლდათ საკავშირო თასის ფინალისტი (1970). ნაკრების შემადგენლობაში 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა, სადაც ბელგიის ნაკრებთან შეხვედრაში გოლი გაიტანა. საბჭოთა კავშირის „33 საუკეთესო ფეხბურთელის“ სიაში 3-ჯერ დაასახელეს: 1967 წელს — მე-3 ნომრად, 1969 წელს — 1-ელ ნომრად, 1970 წელს — მე-3 ნომრად.*

*კარიერის დასრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სწავლობდა. წლების მანძილზე, თბილისის „დინამოში“ გუნდის უფროსად მუშაობდა, ხოლო 1987 წელს მთავარი მწვრთნელიც იყო. მას 1978 წელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. 1983-1986 და 1987-1989 წლებში ბატონი კახი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ. საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის დამაარსებელი და თავჯდომარე იყო. გარდა ამისა, 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტკომიტეტს, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტს. ასათიანი ავიაკომპანია „აირზენას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. მან დააარსა აგრეთვე, კომპანია „მერსედესის“ ცენტრი — „აკა“.*

*მიუხედავად იმისა, რომ კახი ასათიანმა კარიერა ნაადრევად დაასრულა, მან ქართული ფეხბურთის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.*

**ვლადიმერ ელოშვილი,** *ვეტერანი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი:*

„13-14 წლის ასაკში კახი ასათიანი 35-ე საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა, როდესაც ჩემთან მისი ოჯახის ნათესავი კაკო თოდრია მოვიდა და მითხრა — მინდა, ერთი ნიჭიერი მოზარდი განახვოო. დავინტერესდი და კახის სანახავად წავედი. ასათიანის თამაში მომეწონა და თოდრიას ვთხოვე, იგი ჩემთან გამოეგზავნა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ის რატომღაც, არა იმ ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში აღმოჩნდა, სადაც მე ვმუშაობდი, არამედ გრიშა გაგუასთან — „ნორჩ დინამოელში“... ერთხელ, საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა პირველობაზე ერთმანეთს ჩვენი გუნდები შეხვდნენ. „ნორჩი დინამოელი“ ფინალურ ეტაპზე უკვე გასული იყო, მაგრამ წაგება არ სურდა. მეტიც, გაგუამ მთხოვა, 3 გოლი გაგვატანინეთო. ცხადია, ამას არ დავთანხმდი. პირველი ტაიმი 3:0 მოვიგეთ. ჩემთან კახის მეგობარი, ვახტანგ ჭელიძე თამაშობდა. შესვენებაზე მან მითხრა — ის მაღალი ბიჭი, რომლის თამაშიც მოგეწონათ, კახი ასათიანია და ორ გოლს თუ გავატანინებთ, გათამაშების ბომბარდირი გახდებაო... დავთანხმდი და მართლაც, კახის ერთი ბურთის გატანის საშუალება მივეცით. მეორე ეპიზოდშიც მას ირგვლივ ყველა შემოეცალა, რათა თავის გამოჩენის საშუალება მისცემოდა, მაგრამ ასათიანმა ბურთი განგებ, აუტში გადააგდო და თვითონ მოედნიდან გავიდა. მისმა საქციელმა ისე გამახარა, რომ მივედი და გადავეხვიე... მახსოვს, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა, პარამონოვმა თანაშემწედ ამიყვანა. ჩვენ გუნდისთვის კანდიდატებს ვარჩევდით. თბილისიდან რეკომენდაცია, მცველ მალხაზ შერგელაშვილთან ერთად, კახი ასათიანსაც გავუწიე. ნაკრებში ბიჭების გამოცდის შემდეგ, მოსკოვიდან რომ ვბრუნდებოდით, მალხაზს ვთხოვე, მე და კახი კუპეში მარტო დავეტოვებინეთ, რადგან მასთან პირისპირ დალაპარაკება მსურდა. შერგელაშვილის გასვლის შემდეგ, ასათიანს ვუთხარი — ყველას ძალიან მოეწონე, მაგრამ 1947 წლის იანვარში ხარ დაბადებული და თუ დაბადების თარიღად 1946 წლის დეკემბერს მიუთითებ, ნაკრებში ადგილი გარანტირებული გექნება-მეთქი — ეს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თხოვნა იყო და იგი ფეხბურთელისთვის აუცილებლად უნდა გადამეცა... მიუხედავად ნაკრებში თამაშის პერსპექტივისა, ასათიანმა ასაკის თარიღის გადაკეთებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. კახის პასუხმა აღმაფრთოვანა და პირდაპირ ვუთხარი — ნამდვილი კაცი ხარ-მეთქი!.. მოგვიანებით, მან ჩემთან გააგრძელა ვარჯიში და ვინაიდან ფიზიკური მომზადების მხრივ მოისუსტებდა, სავალდებულო დატვირთვების გარდა, დამატებით, მძლეოსნობაში ვავარჯიშებდი“.

**სერგო კუტივაძე,** *ვეტერანი ფეხბურთელი:*

„ქუთაისის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ 1967 წელს გადმომიყვანეს და პირველი, ვისგანაც მეგობრული მხარდაჭერა ვიგრძენი, კახი გახლდათ. ჩვენ „დინამოში“ იმ პერიოდში მივედით, როდესაც 1964 წლის „ოქროს ბიჭების“ თაობა თამაშს ამთავრებდა. სწორედ თაობათა ცვლის პროცესმა დააჩქარა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ორივე ჩვენგანის დამკვიდრება. კახი უნიჭიერესი ფეხბურთელი გახლდათ, რომლის მსგავსი იშვიათად იბადება. მას პრაქტიკულად, არ ჰქონდა სუსტი წერტილი. სამწუხაროდ, დიდი ფეხბურთიდან ნაადრევად წავიდა, არადა, შეეძლო, უფრო მაღალ დონეზე ეთამაშა. საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ყველამ ყველაფერი იცის, ამიტომ, წარმოუდგენელია, როგორ მიიჩქმალა მისი მკვლელობის ამბავი...“

**მურთაზ ხურცილავა,** *ვეტერანი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი კაპიტანი:*

„დინამოში“ კახი 1965 წელს მოვიდა და უკვე 2 წლის შემდეგ, გუნდის მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა სოლოვიოვმა ძირითად შემადგენლობაში დააყენა. კლუბში ასათიანის გამოჩენისთანავე მივხვდით, რომ ნიჭიერი და ტექნიკური ფეხბურთელი შემოგვემატა, რომელიც მოედანზე უზადოდ აზროვნებდა. ასათიანმა საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მალე გაიკვალა გზა და — სრული პასუხისმგებლობით ვამბობ — იმ დროს გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო. 1970 წელს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა სტუმრად თურქებს 3:0 მოუგო და ორი ბურთი ასათიანმა გაიტანა. მაშინ მან როგორც ჟურნალ-

ისტებისგან, ასევე სპეციალისტებისგან მაღალი შეფასება დაიმსახურა. სხვათა შორის, იმ პერიოდში გავრცელდა ჭორი, თითქოს ჩემსა და კახის შორის კონფლიქტი არსებობდა, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა, კარიერა რომ დავასრულეთ, უფრო მეტად დავმეგობრდით... იმ დღეს, როდესაც ის მოკლეს, დილით კახისთან კაბინეტში ბორის სიჭინავა და სერგო კოტრიკაძე იყვნენ მისულები. მათთან ერთად მეც უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოვახერხე. საღამოს კი, მისი მკვლელობის ამბავი ტელევიზიით შევიტყვე...“

**ვლადიმერ ბარქაია,** *ვეტერანი ფეხბურთელი:*

„დინამოში“ კახის გამოჩენა კარგად მახსოვს. იგი უკან დახეული ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა და ორგანიზატორული ნიჭით გვანცვიფრებდა. თავდაპირველად, ასათიანი დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა, ხოლი გუნდიდან ჩვენი თაობის წასვლის შემდეგ, ძირითადში დამკვიდრდა. კახი ყველასთან მეგობრობდა, მაგრამ განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მიშა მესხთან ჰქონდა. ერთხელ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსთან, დავით ცომაიასთან რაღაც კონფლიტი მომივიდა. მაშინ კახიმ ჩემი მხარე დაიჭირა და ყოველივე ისე ჭკვიანურად გააკეთა, რომ მოწინააღმდეგეებს სათქმელი აღარ დაუტოვა. თურქეთის ნაკრებთან თამაში კახის კარიერაში მართლაც, ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. იმ ორმა გოლმა, რომელიც მან მეტოქეს გაუტანა, ასათიანს დიდი ავტორიტეტი შესძინა“.

**ალექსანდრე ჩივაძე,** *ვეტერანი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი კაპიტანი:*

„თბილისის „დინამოში“ რომ მიმიწვიეს, გუნდს ალექსანდრე კოტრიკაძე წვრთნიდა, რომელიც ძალიან ბევრს გვავარჯიშებდა. იმ პერიოდში კლუბში ისეთი ფეხბურთელები გამოდიოდნენ, როგორიც მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, კახი ასათიანი, მანუჩარ მაჩაიძე და გივი ნოდია იყვნენ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს შევნიშნე,



„დინამოში“ კახის გამოჩენა კარგად მახსოვს. იგი უკან დახეული ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა (სლავა მეტრეველთან ერთად)

რომ მეტოქის მეკარე წინ იყო გამოსული და საკმაოდ შორი მანძილიდან ბურთი თავზე გადავუგდე. გოლი მართლაც ლამაზი გამოვიდა, მაგრამ სიხარულის გამოხატვა მეუხერხულა, ამიტომ თავი დავხარე და მოედნის ჩვენი ნახევრისკენ ისე წავედი. ამ დროს კახიმ დამიძახა, თავისთან მიხმო და შემაქო. ამან ძალიან გამამხნევა, რადგან ის გუნდში ძალზე ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ“.



კახი თამაშის დროს ნამდვილი „შემქმნელი“ გახლდათ

**ანზორ კავაზაშვილი,** *ვეტერანი ფეხბურთელი, მოსკოვის „სპარტაკის“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე:*

„კახი თამაშის დროს ნამდვილი „შემქმნელი“ გახლდათ. ნაკრებში მას მწვრთნელები საგანგებო დავალებებით არ ტვირთავდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ის ეკეთებინა, რაც ყველაზე უკეთ ეხერხებოდა... იმ პერიოდის ქართველ ფეხბურთელებს რომ ვიხსენებ, ერთი დასკვნა გამომაქვს: ისინი პირველ რიგში, თავიანთი ინდივიდუალური თვისებებით იყვნენ ძლიერნი. ასათიანიც სწორედ მათ რიგს მიეკუთვნებოდა. ის გულისხმიერებით, ადამიანური თვისებებითაც გამოირჩეოდა. მახსოვს, კარიერის დამთავრების შემდეგ, კახი „დინამოში“ მუშაობდა და მისი დახმარება დამჭირდა, კერძოდ — სამუშაო წიგნაკში იმ სამწლიანი სტაჟის აღდგენა მსურდა, რომელიც „დინამოში“ თამაშისას დამიგროვდა: თავის დროზე, „დინამოდან“ ლენინგრადის „ზენიტში“ რომ გადავედი, ძველი წიგნაკი არ წავიღე და ახალი გავხსენი, ამიტომ „დინამოში“ თამაშის წლები მეკარგებოდა. კახის ტელეფონით ყველაფერი ავუხსენი და მან მითხრა, რომ პრობლემას მომიგვარებდა. მართლაც, 3 დღის შემდეგ, ჩემი წიგნაკი, აღდგენილი სტაჟის ჩანაწერით მომიტანეს“.

*1970 წლის ივნისში, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას, სააგენტო „ასოშეიტედ პრესის“ კორესპონდენტმა, მერი კრისტინა ანჟელომ გამოკითხვის შედეგად და პირად შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით, ყველაზე ელეგანტურ ფეხბურთელთა მსოფლიო ნაკრები შეადგინა. როდესაც ადგილობრივმა გაზეთმა „ესტომ“ სია და ფოტოსურათები გამოაქვეყნა, ფრანც ბეკენბაუერის, ბობი მურისა და ჯანი რივერას გვერდით, კახი ასათიანი ფიგურირებდა. ცხადია, ეს ფაქტი ქართველის დიდი აღიარება გახლდათ.*

*აღნიშნულ მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრები მეოთხედფინალში ურუგვაისთან პაექრობისას დამარცხდა და* ***კახი ასათიანი*** *მექსიკაში გუნდის გამოსვლას არცთუ ისე კარგად იხსენებდა:*

„ჩემი აზრით, უდიდესი შეცდომა გახლდათ, ვითომდა, აკლიმატიზაციის მიზნით, სამხრეთ ამერიკაში 2 თვით ადრე გამგზავრება. ამას ისიც დაერთო, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ საორგანიზაციო საკითხები სათანადოდ ვერ მოაგვარა. მაგალითად, ეკონომიის მიზნით, ისეთ სასტუმროში მოგვათავსეს, სადაც საცურაო აუზი არ იყო, რომ აუტანელ სიცხეში, გაგრილების საშუალება გვქონოდა... მახსოვს, შესარჩევ ჯგუფში გასამართი ერთ-ერთი მატჩის წინადღეს, გუნდის თავკაცებმა ტყეში წაგვიყვანეს — მწვადი უნდა გაჭამოთო. მეორე დღეს, მოთამაშეთა ნახევარს მუცლის გვრემა დაემართა... მეოთხედფინალში ურუგვაისთან მატჩში არასწორად შერჩეული შემადგენლობის გამო დავმარცხდით, რადგან მეტოქის 4 ნახევარმცველის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, 2 კაცს — მე და მუნტიანს მოგვიხდა თამაში. ურუგვაიელებმა ამით კარგად ისარგებლეს“.

*აქვე გეტყვით, რომ მექსიკის მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა ნაკრებმა ყველაზე შთამბეჭდავად, ბელგიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ითამაშა, რომელიც ანგარიშით 4:1 დაამარცხა. ეს მატჩი კახი ასათიანმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა და მშვენიერი გოლიც გაიტანა. ამ მატჩის დასრულების შემდეგ, ასათიანის თაობაზე საბჭოთა ფეხბურთისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ერთ-ერთ პატრიარქად აღიარებულმა მწვრთნელმა,* ***ანდრეი სტაროსტინმა*** *ქართველი ნახევარმცველის თაობაზე შემდეგი თქვა:*

„ცენტრალური ნახევარმცველის საკვანძო პოზიციაზე კახი ასათიანი დავაყენეთ. ის ცხოვრებაში ძალზე მშვიდი პიროვნება გახლდათ და მოედანზეც ძალიან თავდაჯერებულად ირჯებოდა. მშვენიერი ტექნიკის მქონე კახი შესაძლოა, ბურთს ცოტა მეტხანს აყოვნებდა, მაგრამ ის შეტევას ისე ელეგანტურად ამზადებდა, რომ გულშემატკივარი აღტაცებაში მოჰყავდა. მისი თამაშის შემხედვარე, ინგლისელთა თავკაცმა — ალფ რამსეიმ ტყუილუბრალოდ როდი თქვა, რომ საბჭოთა ფეხბურთის მესვეურებს სანერვიულო არაფერი აქვთ, რადგან მის წიაღში ასათიანის კლასის ფეხბურთელები იბადებიან. ბელგიელებთან თამაშის დროს, შესვენებისას, ფრიად დაღლილმა კახიმ შემომხედა და მითხრა — ისინი ქანცგაწვეტილები არიან, ცოტა უნდა მოვუმატოთ და აუცილებლად მოვიგებთო. მართლაც, მან ნახა საკუთარ თავში იმის ძალა, რომ მარცხენა ფლანგზე გაჭრილიყო და გაეტანა გოლი, რომელმაც ფაქტობრივად, მატჩის ბედი გადაწყვიტა“. ■

## ჰოლივუდში კიდევ ერთი ვარსკვლავური ოჯახი ინგრევა



„კეტი იძულებული იყო, ტომისგან წასულიყო, რადგან ქმართან ცხოვრება მისთვის უმძიმესი წნეხი იყო და ამის ატანა ვეღარ შეძლო“, — იუწყება ამერიკული ტაბლოიდი National Enquirer, რომელმაც ეს ინფორმაცია ვარსკვლავური წყვილის ახლობლისგან მოიპოვა. საგულისხმოა, რომ გამოცემამ მასალა კეტი ჰოლმსის მძიმე ხვედრის შესახებ იანვარშიც გამოაქვეყნა და მსახიობს „სტეპფორდელი ცოლი“ უწოდა. ამჯერად კი, ცნობილი გახდა, რომ ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი თაფლობის თვის დასრულებისთანავე დაიწყო. ტომ კრუზი ცოლის პირად ცხოვრებას მკაცრად აკონტროლებდა და მის უფლებებსა და თავისუფლებას ზღუდავდა. ქმარი ცოლს ბარებსა და რესტორნებში სიარულს უკრძალავდა და მოითხოვდა, რომ კეტის ინტერესები მის ინტერესებს დამთხვეოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კეტი მაღაზიებში სიარულსა და ყველანაირ შენაძენს ქმართან ათანხმებდა. განქორწინების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ მათი 1 წლის ქალიშვილზე მეურვეობის უფლების მოსაპოვებლად, ცოლ-ქმარს შორის ცხარე ბრძოლა გაიმართება. დასავლური პრესა იუწყება, რომ ტომ კრუზმა და კეტი ჰოლმსმა კონსულტაციისათვის იურისტებს უკვე მიმართეს. ■

## ჯენიფერ ლოპესის სიყვარულით გაჯერებული შემოქმედება

ცნობილი პოპვარსკვლავი და მსახიობი ჯენიფერ ლოპესი ამბობს, რომ მისი და მარკ ენტონის ოჯახური ცხოვრება სიყვარულით გაჯერებული მუშაობისა და თამაშის ნაზავს წარმოადგენს. 37 წლის მომღერალს არ უყვარს, როდესაც მისი პირადი ცხოვრება და



სამუშაო ერთმანეთისგან გამიჯნულია. „მე და ჩემი მეუღლე ადამიანთა იმ ტიპს არ მივეკუთვნებით, რომლებიც პირად ცხოვრებასა და სამუშაოს ერთმანეთისგან გამოყოფენ. ჩვენ ერთად ვმუშაობთ. ჩვენი ცხოვრება კინოს, მუსიკის, მოსაწყენი ყოველდღიურობისა და რაც მთავარია, სიყვარულისგან შედგება“, — განაცხადა ჯენიფერმა ჟურნალისთვის — Vanity Fair — მიცემულ ინტერვიუში. წარსულის სასიყვარულო თავგადასავლებს ლოპესი არ ნანობს. „არაფერს ვნანობ და არავის წინაშე მობოდიშებას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემი ცხოვრების უკანასკნელმა მოვლენებმა შემცვალა. ამჟამად ვცდილობ, რომ ჩემი ხელოვნების თამასა კიდევ უფრო ავამაღლო. ამას კინოსა და მუსიკის შესახებ მოგახსენებთ“, — ამბობს მომღერალი, რომელიც საკუთარ ფესვებს დაუბრუნდა და პირველი ესპანურენოვანი ალბომი — Como ama una mujer — გამოუშვა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში დაბადებული „ლათინოსთა“ უმრავლესობის მსგავსად, მშობლიურ ენას ჯენიფერიც არ ფლობდა. „კარგად ვიცი, რომ ალბომი ისეთი არ არის, როგორსაც ჩემი თაყვანისმცემლები ჩემგან ელოდნენ, მაგრამ ეს შესანიშნავი შანსია, რომ ჩემი მეორე მხარე წარმოვაჩინო — ის, რაც ჩემი განუყოფელი ნაწილია“. თავად მომღერალი ახალი ალბომით კმაყოფილია და უახლოეს ხანებში დისკის ინგლისურ ენაზე გამოშვებას და მისი პრომოტურის ჩატარებას გეგმავს. ■

## მაიკლ ჯექსონის ნივთები აუქციონზე გაიყიდება

მაიკლ ჯექსონის პირადი ნივთები აუქციონზე მისი ნება-სურვილის გარეშე გაიყიდება. ლოტებს შორისაა ოქროს დისკი — Thriller და ჯგუფის The Jackson Five (ამ ჯგუფში შედგა მაიკლ ჯექსონისა და მისი ძმების დებიუტი) — ჰიტის — A.B.C. სამუშაო ეგზემპლარი. ეს ნივთები სააუქციონო სახლმა, სატრანსპორტო ფირმა Universal Express-თან დადებული გარიგების შედეგად მიიღო. ფირმამ 1 წლის წინ, ჯექსონის ნივთები ამ კომპანიისგან შეიძინა, რომელმაც თავის მხრივ, ისინი დავალიანების სანაცვლოდ მიიღო.




მაიკლმა და მისმა დამ ჯენეტმა ლოსანჯელესის სასამართლოს მიმართეს. ისინი კომერციული მიზნით მათი პირადი ნივთების გამოყენების აკრძალვას მოითხოვდნენ, მაგრამ მათი სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა. „მაიკლ ჯექსონს არავინ აცნობა, რომ მისი პირადი ნივთები აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს. ამის გამო მაიკლი ძალიან წუხს“, — განაცხადა სუპერვარსკვლავის წარმომადგენელმა. ■

## სახელგანთქმულ მოდელიერს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ



ცნობილ მოდელიერს, ანანდ ჯონ ალექსანდერს გამოძიებამ თავდაპირველად, 5 ბრალდება წაუყენა. სამართალდამცველები ვარაუდობდნენ, რომ დიზაინერმა მასთან მომუშავე 7 გოგონა და ქალი გააუპატიურა, მაგრამ მოგვიანებით საჩივარი კიდევ ხუთმა ქალმა შეიტანა და ახლა პროკურორმა ბრალდებულს კიდევ 13 ბრალდება წაუყენა. ბევერლი-ჰილზში გამართულ სასამართლო მოსმენაზე ანანდ ჯონ ალექსანდრმა განაცხადა, რომ მას 12 ქალის გაუპატიურებაში ბრალი არ მიუძღვის. დიზაინერს, რომელიც ისეთი ვარსკვლავების ჩაცმულობაზე ზრუნავს, როგორებიც არიან — მიშელ როდრიგესი, პერის ჰილტონი, პაულა აბდული და ჯეი ბლაიჯი, — პროკურორმა ქალმა „სექსუალური მანიაკი“ უწოდა. „ჩვენ ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი მაგალითი განვიხილეთ, — განაცხადა მარა მაკილვეინმა, — მაგრამ ცნობილია ფაქტები, როდესაც ეს კაცი არასრულწლოვან გოგონებს აუპატიურებდა, რაც იმის მომასწავებელია, რომ ის კვლავაც ჩაიდენს მსგავს სისასტიკეს“, — დასძინა პროკურორმა. ■



## ცნობილი კინორეჟისორი ავტოკატასტროფაში დაიღუპა

გასულ კვირას ავტოკატასტროფაში ცნობილი ჰოლივუდელი რეჟისორი, რობერტ კლარკი დაიღუპა. მისმა თანაშემწემ პრესას ტრაგედიის შესახებ დაწვრილებითი ცნობები აუწყა. აღმოჩნდა, რომ ამერიკული კინოს ოსტატისა და მისი ვაჟიშვილის, არიელ ჰენრატ-კლარკის სიცოცხლე მთვრალი მძღოლის დაუდევრობამ შეიწირა. მისი ავტომობილი — GMC Yukon კლარკების Infinily-ს შეასკდა. პოლიცია იუწყება, რომ 24 წლის ლოს-ანჯელესელი ჰექტორ ველასკეს-ნავა მთვრალი იყო, თანაც, მანქანას მართვის უფლების გარეშე მართავდა...




რობერტ კლარკმა ათამდე ფილმის გადაღება მოასწრო. რეჟისორს განსაკუთრებული პოპულარობა სურათმა — „საშობაო ამბები“ — მოუტანა. კარიერის ადრეულ ეტაპზე, კლარკის საყვარელ კინოჟანრებს, საშინელებათა ფილმები და თრილერები წარმოადგენდა („გვამები ბავშვების სათამაშო არ არის“, „მკვლელობის ბრძანება“, „საწყისი წერტილი“, „შავი შობა“). რეჟისორს განსაკუთრებული წარმატება 1980 წელს გადაღებულმა კომედიამ — „გაროზგვა“ მოუტანა, რომელსაც 2 წლის შემდეგ, სიქველი „გაროზგვა-2. მომდევნო დღეს“ — მოჰყვა. ფილმში „საშობაო ამბები“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა, სკოტ შვარცმა განაცხადა: „მათთვის, ვინც ბობს იცნობდა და უყვარდა, ეს საშინელი ტრაგედიაა. ხალისიანი, მხიარული კლარკი ყველას ძალიან დაგვაკლდება“. ■

## ამერიკელ ბავშვთა კერპები

Nickelodeon Kid`s Choice Awards-ის ყოველწლიური ცერემონია წელს ლოს-ანჯელესში მეოცედ ჩატარდა. ამერიკელმა ბავშვებმა საყვარელი მუსიკოსები, მსახიობები, საუკეთესო ფილმი, ტელეპროგრამა, მუსიკალური ჯგუფი და ვიდეოთამაში დაასახელეს. ზეიმში, რომელიც კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩატარდა, „კარიბის ზღვის მეკობრეების“ ვარსკვლავები ორლანდო ბლუმი, ჯეკ ბლექი, ნიკოლ კიდმანი, მენდი მური, მომღერალი გვენ სტეფანი და სხვა ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. ცერემონია ყოველწლიურად 6 მლნ-ზე მეტ ტელემაყურებელს იზიდავს, ამიტომ გვენ სტეფანის მენეჯერი ფიქრობს, რომ „Nickelodeon Kid`s Choice Awards პლანეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შოუა“... წელს კენჭისყრაში 18 ქვეყნის 40 მლნ წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ნომინაციაში — „ვარსკვლავი, რომელსაც მსურს, რომ დავემგსავსო“ — მსახიობმა ბენ სტილერმა გაიმარჯვა (კომედია „ღამე მუზეუმში“). წლის უსაყვარლეს მამაკაც მსახიობად ბავშვებმა ადამ სენდლერი აღიარეს, წლის საუკეთესო მსახიობ ქალად კი — „სამყაროთა ომების“ ვარსკვლავი, დაკოტა ფენინგი. წლევანდელი ცერემონიის გამარჯვებულმა მუსიკალურმა ჯგუფმა — Black Eyed Peas — ისეთი კონკურენტები დაამარცხა, როგორებიცაა ჯგუფები: Fall Out Boy, Nickelback და Red Hot Chili Peppers. ცერემონია ტრადიციისამებრ, მწვანე სითხით წუწაობით დასრულდა, ამიტომ ჯასტინ ტიმბერლეიკი იძულებული იყო, ჯილდოს მისაღებად, სცენაზე დამცველი სათვალით გამოსულიყო. ■

## ჯენიფერ ენისტონი ჰომოსექსუალებმა დააჯილდოეს



ალიანსმა — „ჰომოსექსუალები და ლესბოსელები — ცილისწამების წინააღმდეგ“ — მსახიობი ჯენიფერი ენისტონი „სექსუალურ უმცირესობათა პრობლემების გაგებისთვის“ Vanguard Award-ის პრემიით დააჯილდოვა. ამ პრემიის მფლობელებს შორის არიან: შერი, ერიკ მაქკორმაკი, ანტონიო ბანდერასი, ლაიზა მინელი და შარლიზ ტერონი. „ენისტონი ამ ჯილდოს არ მოელოდა, მაგრამ ახლა მოხარულია და ამაყობს, რომ პრემია მიანიჭეს“, — აღნიშნა მსახიობის პრესმდივანმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ალიანსმა ვარსკვლავს ეს ჯილდო მის მიერ ეკრანზე ნათამაშები მრავალი ლესბოსური სცენის გამო მიანიჭა. ■

## „მისტერ მსოფლიო–2007“

ჩინეთის ქალაქ სანიაში მამაკაცთა სილამაზის კონკურსი — „მისტერ მსოფლიო-2007“ ჩატარდა. პლანეტის ყველაზე სასურველი მამაკაცის ტიტულისთვის გამართულ ბრძოლაში 56 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. გამარჯვებულად ესპანელი ხუან გარსია პოსტიგო დასახელდა. საპატიო მეორე ადგილი ბრაზილიელმა ლუკას ჯილმა დაიკავა, მესამე ადგილი კი — ჩინელ იან ლეიუნს ერგო წილად. 25 წლის ხუან პოსტიგომ 2006 წელს „მისტერ ესპანეთის“ ტიტული მოიპოვა. ქალაქ სანიაში გამარჯვების შემდეგ, მას 100.000-დოლარიანი სარეკლამო კონტრაქტი გარანტირებული აქვს. გამარჯვებული 1 წლის განმავლობაში ლონდონში იცხოვრებს, სადაც ინგლისურ ენას დახვეწს და სამსახიობო ხელოვნების კურსს გაივლის. კონკურსში „მისტერ ესპანეთი“ მონაწი-



ლეობის მიღებამდე, ხუანი ქალაქ ტორემოლინოსში დის კუთვნილ რესტორანში ოფიციანტად მუშაობდა. „ეს ყველაფერი სიზმარი მეგონა, ვიდრე ჩემი დის თვალებზე სიხარულის ცრემლები არ დავინახე“, — იხსენებს „მისტერ მსოფლიო-2007“.

კონკურსი პირდაპირი ეთერით მსოფლიოს 100 ქვეყანაში გადაიცემოდა და 1,4-მილიარდიანმა აუდიტორიამ იხილა. განსაკუთრებული ყურადღება ჯანმრთელობაზე, სილამაზეზე, ვაჟკაცობაზე, მზრუნველობასა და პასუხისმგებლობაზე იყო გამახვილებული. ეს ის თვისებებია, რომლებიც ქალებს ყველაზე მეტად იზიდავს. კონკურსანტები 3 კვირის მანძილზე ცდილობდნენ ფიზიკური, პრაქტიკული და ფსიქოლოგიური მონაცემების წარმოჩენას. ისინი ფიტნესსა და კრივში ვარჯიშობდნენ და ამასთან, სამზარეულოშიც ტრიალებდნენ.

კონკურსი „მისტერ მსოფლიო“ პირველად 1996 წელს ჩატარდა და მას შემდეგ 3 წელიწადში ერთხელ იმართება. კუნძულ ხაინანზე მდებარე ტროპიკულ ქალაქ სანიაში 2003-05 წლებში ქალთა სილამაზის კონკურსი — „მის მსოფლიო“ ჩატარდა, წელს კი იქ მამაკაცებს უმასპინძლეს. ■



M K

## ბინძური ცეკვები კარმენ ელექტრას

მსახიობმა კარმენ ელექტრამ სპეციალურად ლესბოსელთათვის საცეკვაო შოუ ჩაატარა. ლეგენდარული პორნოვარსკვლავის — კენდი ფაივუეიზის შესახებ გადაღებული ფილმის — I Want Candy — მონაწილემ, ქალაქ პალმ-სპრინგსის (კალიფორნიის შტატი) გეიფესტივალზე მისული ასობით გოგონა ტყავის ჩექმებითა და ბადურა წინდებით მოხიბლა, მისმა შოუმ კი, ფესტივალის მაყურებელი აღაფრთოვანა.

34 წლის ლამაზმანი ახლახან გაეყარა ჯგუფის — Red Hot Chilli Peppers ყოფილ გიტარისტს, დეივ ნავაროს და 48 წლის როკვარსკვლავ ქალთან, ჯოან ჯეტთან გააჩაღა რომანი. როგორც ამბობენ, კონცერტის შემდგომ, ბევრმა საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ კოცნიდნენ და ეალერსებოდნენ ერთმანეთს „გოგონები“, ასე რომ, არავის გაჰკვირვებია,



როდესაც კარმენი და ჯოანი გეიფესტივალზე ერთად გამოცხადდნენ. ლესბოსურმა წყვილმა ერთმანეთი შარშან გაიცნო. შემდეგ კარმენმა ჯოან ჯეტის ცნობილ სიმღერის — A.C.D.C. კლიპში ითამაშა, რომელიც ბისექსუალ გოგონას ეძღვნებოდა. ვიდეოკლიპში ელექტრა თავდაპირველად, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ გოგონას ეალერსება, მერე მდიდარ ბატონებს უჯდება მანქანაში და თეთრ კაბას იხდის, რომლის ქვეშაც ჯინსის შარვალი აცვია, შემდეგ კი, იმ კლუბს მიაშურებს, სადაც ჯოანი მღერის... ლურჯთვალა ლამაზმანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯოანი ბავშვობიდან უყვარს: „როდესაც 8 წლის ვიყავი, ჯოან ჯეტზე ვაფრენდი“, — აღნიშნა მსახიობმა და ის კლიპი გაიხსენა, სადაც ჯოანი ტყავის პალტოს იხდის და ბიკინიში გამოწყობილი, გიტარით ხელში როკავს...

მკითხველს შევახსენებთ, რომ ბოლო სურათში კარმენ ელექტრასთან ერთად მონაწილეობდნენ მსახიობები: ტომ რაილი, საიმონ ვუდსი, ედი მარსანი, მიშელ რაიანი და ფილიპ ჯექსონი. გადაღებები დიდ ბრიტანეთში მიმდინარეობდა. ■



## ფერჯის ახალგაზრდობის მძიმე წლები

ამას წინათ, ფერჯიმ გაზეთისთვის —Daily Mirror — მიცემულ ინტერვიუში საკუთარი ახალგაზრდობის წლები გაიხსენა. ამ მოგონებებმა მრავლისმხილველი ჟურნალისტებიც კი გააოგნა: მომღერალმა აღიარა, რომ მას ლესბოსური სიყვარულის მდიდარი გამოცდილება აქვს. ფერჯის არც ის დაუმალავს, რომ ახალგაზრდობაში ნარკოტიკების მიღების გარდა, მის რეალიზაციასაც კი ახდენდა. „არავინ მაკონტროლებდა. ვინმეს რომ ეცადა კიდეც, ვერაფერს მიაღწევდა. იმ დროს ისეთი შემთხვევაც იყო, რომ ნარკოტიკების გასაღებისას, საფეთქელთან პისტოლეტის ლულა მომაბჯინეს, მაგრამ გადავრჩი... საბედნიეროდ, ბოლოს და ბოლოს, ამ წუმპიდან თავის დაღწევა შევძელი“, — დაასკვნა ფერჯიმ. ■

## ბრიტნი სიბრალულს არ იმსახურებს?!

მას შემდეგ, რაც ბრიტნი სპირსმა სარეაბილიტაციო კლინიკას მიაკითხა და მკურნალობა დაიწყო, პრესაში გამუდმებით ჩნდება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ თანაუგრძნობენ მას სხვა ვარსკვლავები. მაგრამ ბრიტნი სპირსი ყველას როდი ეცოდება. მაგალითად, ავრილ ლავინმა განაცხადა, რომ ბრიტნი სიბრალულს არ იმსახურებს! „სულაც არ მიკვირს, რომ ბრიტნი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი საქციელი გაკიცხვას იმსახურებს. გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი, სიტუაციის გამწვავების ნაცვლად, პრობლემის გადაჭრას უნდა ცდილობდეს. მათ, ვინც შოუბიზნესში მოღვაწეობენ, კარგად იციან, თუ რა ელით, ამიტომ ჟურნალისტებისა და პაპარაცების წნეხსა და სხვა უსიამოვნებებზე არ უნდა იწუწუნონ — ეს ჩვენი სამუშაოს ნაწილია! წვეულებებზე დროს ტარება და მეგობრებთან ერთად ქეიფი მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ ამას ისე ვახერხებ, რომ არავინ გაიგოს“, — ამბობს ავრილ ლავინი. ■

## მაიკლ დუგლასის იდუმალი ოცნება

ჰოლივუდის ვარსკვლავების — მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის ექვსწლიანი კავშირი დაშლის ზღვარზეა. „განხეთქილება დიდი ხნის წინ დაიწყო. ადრე სულ ერთად იყვნენ. როდესაც მათი რომანი დაიწყო, ორივე ძალზე დაკავებული გახლდათ, მაგრამ ისინი ერთმანეთისთვის დროს მაინც პოულობდნენ. ახლა კი, ფაქტობრივად, ერთმანეთს ველარ იტანენ. საკმარისია, ოთახში ერთად აღმოჩნდნენ, რომ მაშინვე სკანდალი იწყება. სიტუაცია ძალზე დაძაბულია!“ — ამბობს ვარსკვლავური წყვილის ერთ-ერთი მეგობარი.



ამას წინათ, ცოლზე 25 წლით უფროსი დუგლასის ხუმრობამ კეტრინ ზეტა-ჯონსი გააცეცხლა. 62 წლის ვარსკვლავმა ჟურნალისტებს ხუმრობით უთხრა, რომ ცოლთან ერთად ისეთ ფილმში მონაწილეობაზე ოცნებობს, სადაც მისი გმირი მეორე ნახევარს კლავს. „მე მოხუცი ბოროტმოქმედი ვიქნები, რომლის ახალგაზრდა ცოლს ახალგაზრდა საყვარელი ჰყავს. ბოლოს კი მას მოვკლავ“, — „იხუმრა“ მსახიობმა. ■

## კეიტ მოსი სექსსიმბოლო აღარ არის



პაპარაცებმა რამდენჯერმე გადაუღეს ფოტოსურათი კეიტ მოსს ნარკომან ბოიფრენდ, პიტ დოერტისთან ერთად. ამ ფოტოებზე მოდელი ძალზე უხეიროდ გამოიყურება. პოდიუმის დედოფალმა შარშან ჟურნალის — FHM რეიტინგში მხოლოდ 87-ე ადგილი დაიკავა, წელს კი, საერთოდ, ამ რეიტინგის მიღმა დარჩა! ამიერიდან სუპერმოდელი კეიტ მოსი პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალბატონთა რიგებს აღარ მიეკუთვნება. მამაკაცები, რომლებიც ტრადიციულად, სხვადასხვა გამოკითხვის „სახალხო ჟიურის“ წარმოადგენენ, ფიქრობენ, რომ ახლა კეიტ მოსი ფეთხუმ ქალს წააგავს. უმრავლესობას მიაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც კეიტი სკანდალებით ცნობილ ნარკომანს პიტ დოერტის ხვდება, მან მიმზიდველობა და ეშხი დაკარგა. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა Chanel-ის, Christian Dior-ისა და Burberry-ს სახე ჟურნალ FHM-ის ასეულს მიღმა. მართალია, ამ ჟურნალის აღმასრულებელი რედაქტორი კრის ბელი ფიქრობს, რომ კეიტ მოსი კვლავაც აღიარებული მზეთუნახავია, მაგრამ ჟურნალის მკითხველები ამ აზრს არ იზიარებენ: „კეიტის ცხოვრების წესი — წვეულებები, ღრეობები თავისსას შვრება — მოდელი აშკარად ცუდად გამოიყურება“, — ამბობენ ისინი და მართლაც, გამუდმებულმა ჩხუბმა და უსიამოვნებებმა კეიტის სილამაზე და მომხიბვლელობა ფრიად შელახა. 2005 წელს, პიტ დოერტის წყალობით, მოდელი ჰეროინთან დაკავშირებულ სკანდალში აღმოჩნდა ჩათრეული. მოსს ფოტოსურათები იმ დროს გადაუღეს, როდესაც ხმის ჩამწერ სტუდიაში ჰეროინით ერთობოდა. ამ სურათებმა დიდი ბრიტანეთის ყველა საინფორმაციო საშუალება მოიარა და კეიტ მოსის კარიერა კინაღამ შეიწირა. მოდელმა მეგობრების, კოლეგებისა და საზოგადოების წინაშე საჯაროდ ბოდიში მოიხადა, მკურნალობის კურსი გაიარა და დოერტისაც იგივე მოსთხოვა. არიზონაში მდებარე სპეციალურ ცენტრში კეიტმა 30 დღე დაყო. მკურნალობის თითოეული დღე 4.000 დოლარი დაუჯდა. კლინიკა The Meadows უდიდესი პოპულარობით სარგებლობს იმ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ შორის, რომლებიც ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის ტყვეობიდან თავის დაღწევას ცდილობენ. კლინიკაში მათთან ფსიქოლოგები, ნარკოლოგები, თერაპევტები და სხვა სპეციალისტები მუშაობენ.

პიტ დოერტიმ კი, ჭკუა ვერა და ვერ ისწავლა. 2006 წელს, მუსიკოსი სასწაულებრივად გადაურჩა დაპატიმრებას. ნარკოტიკების შენახვის გამო, სასამართლომ მხოლოდ ჯარიმა — 1.525 დოლარის გადახდა და ავტომობილის მართვის უფლების 4 თვით აკრძალვა მიუსაჯა. ერთ-ერთი ამერიკული საიტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პიტ დოერტიმ, რომელსაც ლიზა მურიშთან ვაჟიშვილი ესტილი ჰყავს, „პირველობისათვის“ ბრძოლაში მაიკლ ჯექსონსაც კი აჯობა და „ცნობილ ადამიანთა შორის, „ყველაზე ცუდი მამის“ „საპატიო“ ტიტული მოიპოვა. „ყველაზე ცუდი მამების“ ათეულში აგრეთვე შედიან: ტომ კრუზი, რეჟისორი ვუდი ალენი და ბრიტნი სპირსის მეუღლე კევინ ფედერლაინი.

■



## Rolling Stones–ის გიტარისტის აღიარება ანუ წინაპართა მტვერი სუნთქვით...

ამ ლეგენდარული ჯგუფის 63 წლის გიტარისტმა, კეიტ რიჩარდსმა ჟურნალისტებს გული გადაუშალა და შემზარავი განცხადება გააკეთა: მან თქვა, რომ ერთ დროს, ნარკოტიკების დიდი დოზების გარდა, სხვა, არანაკლებ საშიშ ნივთიერებებს მოიხმარდა — კოკაინში საკუთარი მამის ნეშტს ურევდა და ამ ნარევს ყნოსავდა...

„გაინტერესებთ, რომელია ყველაზე უცნაური ნარკოტიკი, რომელიც ოდესმე მიმიღია?.. საკუთარ მამას ვყნოსავდი“, — განუცხადა მუსიკოსმა ბრიტანული ჟურნალის — კორესპონდენტს. „გარდაცვალების შემდგომ, მამაჩემის ნეშტს კრემაცია ჩაუტარდა. თავი ვერ შევიკავე და ფერფლი ცოტაოდენ კოკაინს შევურიე. დარწმუნებული ვარ, რომ მამას არ ეწყინებოდა... როგორც ხედავთ, ყველაფერი კარგად დასრულდა — სრულიად საღ-სალამათი ვარ“ (რიჩარდსის მამა, ბერტი 2002 წელს, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა), — განაცხადა რიჩარდსმა, რომელიც როკის სამყაროს ყველაზე შლეგი მოღვაწის რეპუტაციით სარგებლობს და დასძინა, რომ ახალგაზრდა მუსიკოსებს ურჩევს, მის მაგალითს არ მიჰბაძონ, რადგან სიცოცხლე მხოლოდ იღბალმა შეუნარჩუნა. „ასეთი რამ ისე, უბრალოდ, გავაკეთე, მაგრამ ხალხს ჰგონია, რომ ეს ჩემი ცხოვრების წესია... უკვდავებაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ. სხვების მსგავსად, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, უბრალოდ, გამიმართლა. ბოლო 10 წლის მანძილზე, „იმ ქვეყნად გასამგზავრებელთა“ სიაში პირველი ვიყავი. გამოგიტყდებით, რომ იმედი გამიცრუვდა, როდესაც ამ სიას გამოვეთიშე“, — ამბობს კეიტ რიჩარდსი. საგულისხმოა, რომ ჯგუფის — Rolling Stones — 2006 წლის საზაფხულო ტურნე კეიტ რიჩარდსის ავადმყოფობის გამო ჩაიშალა, რადგან ფიჯის კუნძულებზე მოგზაურობის დროს, ექსტრავაგანტურ გიტარისტს ქოქოსის კაკლით პირის ჩატკბარუნება მოუნდა, პალმაზე აძვრა და ჩამოვარდა. მუსიკოსს თავის ტვინის ურთულესი ოპერაცია დასჭირდა.

■

ინტიმური ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

# სტალინის მკვლელები

## XX საუკუნის მთავარი საიდუმლო

დასაწყისი იხ. „გზა“ №14

**„თქვენს ხელთაა დეტექტივი, თუმცაღა, ეს განსაკუთრებული დეტექტივია... ავტორი, როგორც ოპერმუშაკი, ფაქტებს შეაგროვებს, დასკვნები კი თავად გააკეთეთ“, — წერს ისტორიკოსი იური მუხინი წიგნში, რომლის დასაწყისი „გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ. პირველ თავში ის მოგვითხრობს იმ დღეზე, როცა ბელადი ცუდად გახდა და რეზიუმეს სახით, აღნიშნავს: „სტალინის პირადი დაცვის წევრები იმთავითვე აიძულეს, რომ ეცრუათ და ისინიც განაგრძობდნენ ცრუინფორმაციას 25 წლის შემდეგაც...“ შემდეგ განაგრძობს:**



### ხრუშჩოვის დაპირისპირება დაცვასთან: დახმარების აღმოჩენა

მოდი, მათ შემდგომ სიცრუესაც გავეცნოთ. ლოზგაჩოვი იხსენებდა:

*„მეორე დღეს კვირა იყო. დილის ათ საათზე, როგორც ყოველთვის, ყველანი უკვე სამზარეულოში ვიყავით, იმდღევანდელი საქმეების დაგეგმვას ვიწყებდით.*

*10 საათზე მის ოთახებში არავითარი მოძრაობა არ შეინიშნებოდა (ასე ვამბობდით, როცა მას ეძინა). მაგრამ აი, 11 საათი შესრულდა და — კვლავ არაფერი; 12 საათზე — ისევ არაფერი. ეს უკვე უცნაური იყო.*

*ჩვეულებრივ, სტალინი 11-12 საათზე დგებოდა, ზოგჯერ 10 საათზეც აღარ ეძინა.*

*მაგრამ უკვე დღის პირველი საათი შესრულდა და მასთან ისევ არავითარი მოძრაობა არ იყო. 2 საათზეც მის ოთახებში სრული სიწყნარე იყო. ცოტა ავღელდით... 3-4 საათზეც ჩამიჩუმი არ ისმოდა. შეიძლება, ტელეფონები კი რეკავდა, მაგრამ როცა ეძინა, ჩვეულებრივ, მათ სხვა ოთახებზე გადართავდნენ ხოლმე... სტაროსტინთან ერთად ვისხედით და სტაროსტინმა გვითხრა: „რაღაც ცუდი ხდება, რა ვქნათ?“ მართლაც, რა უნდა გვექნა, მასთან შევსულიყავით? მაგრამ მან ხომ მკაცრად გაგვაფრთხილა, რომ თუ მის ოთახებში მოძრაობა არ იყო, მასთან არ შევსულიყავით, თორემ დაგვსჯიდა. ჰოდა, ვისხედით ჩვენს სამსახურებრივ ნაწილში, რომელიც დაახლოებით 25-მეტრიანი კორიდორით უკავშირდებოდა მის ოთახებს და ცალკე კარი ჰქონდა. უკვე დილის 6 საათი შესრულდა, ჩვენ კი არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. უეცრად, გარედან გუშაგმა დარეკა: „ვხედავ, პატარა სასადილოში სინათლე აინთო“. მადლობა ღმერთს! გავიფიქრეთ, ყველაფერი რიგზეა-თქო. ყველანი სასწრაფოდ ჩვენ-ჩვენი ადგილებისკენ გავეშურეთ. ყველანი ფხიზლად ვართ, დავრბივართ და... კვლავ არაფერი! 8 საათზეც — ისევ არაფერი. არ ვიცოდით, რა გვეღონა. 9 საათზეც არაფერი შეცვლილა, არც 10-ზე. სტაროსტინს ვუთხარი: „შედი მასთან, შენ ხომ დაცვის უფროსი ხარ, უნდა შეწუხდე“. მან მიპასუხა: „მეშინია, ვერ წავალ“. მე ვუთხარი: „შენ გეშინია და მე — არა? მე რა, გმირი ვარ, მასთან რომ შევიდე?“ სწორედ ამ დროს, ფოსტა მოიტანეს — პაკეტი ცენტრალური კომიტეტიდან. ფოსტას ჩვეულებრივ, ჩვენ გადავცემდით, უფრო სწორად — მე, ფოსტა ჩემს მოვალეობაში შედიოდა. „კარგი, მე წავალ, — ვთქვი, — თუ რაიმე მოხდა, იცოდეთ, არ დამივიწყოთ, ბიჭებო“. ჰო, უნდა წავიდე. ჩვეულებრივ, მასთან ფეხაკრეფით არ შევდიოდით ხოლმე, ზოგჯერ კარსაც ვაჯახუნებდით, რომ გაეგონა, რომ მასთან შევდიოდით. ის ძალზე ცუდად რეაგირებდა, როდესაც მასთან ჩუმად შევდიოდით. მასთან მტკიცე ნაბიჯით უნდა შესულიყავი, მოურიდებლად და მის წინაშე არ უნდა გაჭიმულიყავი, წინააღმდეგ შემთხვევაში გეტყოდა — „რა ჯარისკაცი შვეიკივით მეჭიმები?“ მოკლედ, კარი გავაღე, ხმაურით მივდიოდი კორიდორში, ის ოთახი კი, სადაც დოკუმენტებს ვაწყობდით, სწორედ პატარა სასადილოს წინ იყო. შევედი ამ ოთახში და ვიყურები პატარა სასადილოს ღია კარში, იქ კი, იატაკზე სტალინი წევს და მარჯვენა ხელი ასწია... აი, ასე, — ამ დროს ლოზგაჩოვმა ნახევრად მოკეცილი ხელი ასწია. — გავშეშდი, — განაგრძო მან თხრობა, — ხელები და ფეხები აღარ მემორჩილებოდა. სტალინს ეტყობოდა, ჯერ კიდევ არ დაეკარგა გრძნობა, მაგრამ არც ლაპარაკი შეეძლო. სმენა კარგი ჰქონდა. როგორც ჩანს, ჩემი ფეხის ხმა გაიგონა და გაჭირვებით აწეული ხელით დასახმარებლად მიხმობდა. მივირბინე და ვკითხე: „ამხანაგო სტალინ, რა მოგივიდათ?“ მან, როგორც ჩანს, ჩაისველა, სანამ იქ ასე იწვა და მარცხენა ხელით რაღაცის გასწორებას ცდილობდა. ჩავეკითხე: „ექიმი ხომ არ გამოვიძახო?“ მან კი რაღაც გაურკვევლად მიპასუხა: „დზ... დზ...“ — ამოიღუღლუღა და — მორჩა. იატაკზე მისი ჯიბის საათი და გაზეთი „პრავდა“ ეგდო. საათი, როცა ის ავიღე, შვიდის ნახევარს უჩვენებდა. მას ეს შვიდის ნახევარზე დამართვია. მახსოვს, მაგიდაზე ერთი ბოთლი მინერალური წყალი იდგა — „ნარზანი“. ეტყობა, მის ასაღებად მიდიოდა, როცა მის ფანჯარაში სინათლე აინთო. სანამ ვეკითხებოდი, როგორ მოვქცეულიყავი, ალბათ ორი-სამი წუთი გავიდა. უეცრად ჩუმი ხვრინვა შემომესმა... ისეთი ჩუმი, თითქოს ეძინა... შიდა ტელეფონის ყურმილი ავიღე. სულ ვკანკალებდი,*



ნახევარი საათის შემდეგ, მალენკოვმა დაგვირეკა და გვითხრა: „ბერია ვერ ვიპოვე“

**შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, სახელმწიფო უშიშროების ისეთი მინისტრი, რომელსაც ეშინია, გაემგზავროს დაავადებულ სახელმწიფოს მეთაურთან?!**

ოფლი მასხამდა. სტაროსტინს დავურეკე: „ჩქარა, ჩემთან მოდით!“. სტაროსტინი მოვიდა, ისიც გაოგნდა. პატრონი კი უგრძნობლადაა. სტაროსტინს ვუთხარი: „მოდი, დივანზე დავაწვინოთ, თორემ იატაკზე უხერხულია“. სტაროსტინს უკან ტუკოვი და მოტია ბუტუსოვა მოჰყვნენ. საერთო ძალებით სტალინი დივანზე გადავაწვინეთ, იატაკზე ხომ უხერხულია. სტაროსტინს ვუთხარი: „მიდი, ყველას დაურეკე, ყველას, გამონაკლისის გარეშე“. ის დასარეკად წავიდა. მე კი პატრონს არ ვშორდებოდი. იგი გაუნძრევლად იწვა და მხოლოდ ხვრინავდა. სტაროსტინმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, იგნატიევთან რეკვა დაიწყო, მაგრამ მას შეეშინდა და ბერიასთან და მალენკოვთან „გადაამისამართა“. სანამ ის რეკავდა, ჩვენ ერთმანეთში მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, პატრონი დიდ სასადილო ოთახში გადაგვეწვინა, დიდ დივანზე... იმიტომ გადავიყვანეთ, რომ იქ მეტი ჰაერი იყო. ეს ყველამ ერთად გავაკეთეთ, იგი ტახტზე დავაწვინეთ და პლედი დავახურეთ. ჩანდა, ძალიან სუსტად იყო, მარტო წოლილა საღამოს შვიდი საათიდან... ბუტუსოვამ პერანგის აკაპიწებული სახელოები ჩამოუწია — ასე ალბათ სციოდა. ამ დროს სტაროსტინმა მალენკოვს დაურეკა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, მალენკოვმა დაგვირეკა და გვითხრა: „ბერია ვერ ვიპოვე“. კიდევ ნახევარი საათი გავიდა და ახლა ბერიამ დაგვირეკა: „ამხანაგი სტალინის ავადმყოფობის შესახებ არავის არაფერი უთხრათ“.

ღამის 3 საათზე გავიგონე, რომ სახლთან მანქანა გაჩერდა. ბერია და მალენკოვი მოვიდნენ. მალენკოვის ფეხსაცმელი ჭრაჭუნებდა. მახსოვს, მან ფეხზე გაიხადა და ფეხსაცმელი იღლიაში ამოიდო. ისინი შემოვიდნენ: „რა სჭირს ამხანაგ სტალინს?“ ის კი წევს და ოდნავ გასაგონად ხვრინავს. ბერიამ შემაგინა: „რა პანიკას ტეხ? ამხანაგ სტალინს თურმე მშვიდად სძინავს! წავიდეთ, მალენკოვ!“ მე მათ ყველაფერი მოვუყევი, როგორ იწვა ის იატაკზე, როგორ ვკითხე მას, რა მექნა და როგორ მიპასუხა რაღაც, გაურკვევლად... ბერიამ მითხრა: პანიკას ნუღარ ატეხ, ჩვენ არ შეგვაწუხო. ნურც ამხანაგ სტალინს შეაწუხებ“, — და ისინი წავიდნენ.

კვლავ მარტო დავრჩი. ჰოდა, გავიფიქრე, ისევ სტაროსტინს უნდა დავუძახო, დაე, კვლავ მან დარაზმოს ყველა. ჰოდა, ისევ მოვუხმე და ვუთხარი: „ასე თუ გაგრძელდა, ის მოკვდება და მე და შენ დაგვიღუპებით. დარეკე, რომ მოვიდნენ“.

მხოლოდ რვის ნახევარზე მოვიდა ხრუშჩოვი და დაგვამშვიდა: „მალე ექიმები მოვლენ“. დაახლოებით ცხრა საათზე მართლაც, გამოჩნდნენ ექიმები...“

მოდით, ჯერ ლოზგაჩოვის ტყუილები განვიხილოთ. წარმოიდგინეთ სიტუაცია: ისინი — პირადი მცველები — საკუთარი სიცოცხლით აგებენ პასუხს სტალინის სიცოცხლეზე. ის კი, მისთვის ჩვეულ დროს — დილის 11 საათზე არ ჩანს; არ საუზმობს, არ სადილობს, ტერასაზე არ გამოდის; უკვე დაღამდა და ის მაინც არ ჩანს. მცველები კი სხედან და არავითარ ზომებს არ იღებენ! რატომ? იმიტომ, რომ ეშინიათ? სტალინის შეწუხებისთვის მათ, ყველაზე ცუდი, რაც შეიძლებოდა მოსვლოდათ, სუსლოვის დაცვაში გადაიყვანდნენ, მაგრამ დასაცავ პირს თუ დახმარებას არ აღმოუჩენდნენ, ეს ხომ უკვე, უეჭველად, მათ დახვრეტას მოასწავებდა! მაგრამ მასთან მაინც არ შედიან?! .არა, ეს უკვე მეტისმეტია... მცველები — სტაროსტინი და ტუკოვი სამორიგეოდ, 10 საათზე გამოცხადდნენ. მათ საერთოდ, არც უნახავთ და ერთი სიტყვაც არ სმენიათ სტალინისგან. მაშ, ვისლა იცავდნენ ისინი — საკუთარ თავს? იქნებ სტალინი სულაც მოტაცებული იყო და თავის ოთახებში აღარც იმყოფებოდა?.. ამ სიცრუეს მხოლოდ ის იდიოტები დაიჯერებდნენ, ვისაც არასოდეს უმუშავია.

სტალინის ყოფილი პირადი მცველი რიბინი იმ დროისთვის უკვე დიდი თეატრის კომენდანტი იყო, მაგრამ 1977 წელს სწორედ მან ჩაწერა მცველთა პირველი მოგონებები სტალინზე და ერთგვარი პოლემიკური წიგნიც კი გამოსცა, სახელწოდებით — „სტალინის გვერდით“. ის ეწინააღმდეგება ხრუშჩოვის ცილისმწამებლურ მტკიცებას, თითქოს სტალინი ბევრს სვამდა და ხშირად თვრებოდა. ეწინააღმდეგება, აი, ასეთი საინტერესო მაგალითით:

„მიმნდობმა მკითხველმა სერიოზულად რომ არ მიიღოს მორიგი ანეკდოტი იმ უამრავიდან, რომელთა მოყოლის ოსტატიც ხრუშჩოვი გახლდათ, დავაზუსტებ: სტალინი მხოლოდ „წინანდალსა“ და „თელიანს“ სვამდა, ზოგჯერ კონიაკსაც მიირთმევდა, არყით კი უბრალოდ, არასოდეს დაინტერესებულა. არაყს მისი „თანამებრძოლები“ ყლურწავდნენ, თან, საკუთარი ხარჯით: გახსოვთ, სტალინმა მათ ხელფასები 25 ათასიდან 8-მდე რომ შეუმცირა? სწორედ ეს ფული მიდიოდა საერთო „ყულაბაში“; ორლოვი ამ თანხას პოლიტბიუროს წევრთა სადილებზე ხარჯავდა.

რაც შეეხება თვითონ სტალინს... 1930-დან 1953 წლამდე, დაცვას იგი „უწონად მდგომარეობაში“ მხოლოდ ორჯერ უნახავს: გენერალ შტემენკოს დაბადების დღეზე და ამხანაგ ჟდანოვის ქელეხზე.

ყველა ხედავდა, რომ სტალინი ჟდანოვს განსაკუთრებული სითბოთი ეპყრობოდა. ამიტომ, დაკრძალვის შემდეგ, აგარაკზე ქელეხის სუფრა გააშლევინა. საღამოს, შინ წასვლამდე, მოლოტოვმა ასეთი მითითება მისცა სტაროსტინს:

— თუ ღამით სტალინი ყვავილების მორწყვას გადაწყვეტს, გარეთ არ გაუშვა, შეიძლება, გაცივდეს...

დიახ, წლები თავისას შვრებოდა. სტალინი იოლად ცივდებოდა, ხშირად ემართებოდა ანგინა, ამიტომ სტაროსტინმა კარში ისე გაარჭო გასაღები, რომ სტალინს ვერ გაეღო. ცოტა ხანს, კარის წინ ტყუილად იხვნეშა სტალინმა და მერე სთხოვა:

— კარი გამიღეთ.

— გარეთ წვიმს. შეიძლება, გაცივდეთ, ავად გახდეთ, — შეეპასუხა სტაროსტინი.

— ვიმეორებ: კარი გამიღეთ!

— ამხანაგო სტალინ, ვერაფრით გაგიღებთ.

— უთხარით თქვენს მინისტრს, რომ წაგიყვანოთ აქედან! — გაცხარდა უცებ სტალინი. — თქვენ მე აღარ მჭირდებით.

— არის! — მხედრულად უპასუხა სტაროსტინმა, თუმცა, ადგილიდან არ დაძრულა. აღშფოთებულმა სტალინმა ცოტა ხანს იხმაურა, ყვიროდა, რომ მას, გენერალისიმუსს ვიღაც მცველი არ დაემორჩილა, შემდეგ კი დასაძინებლად წავიდა. დილ-


ის ეწინააღმდეგება ხრუშჩოვის ცილისმწამებლურ მტკიცებას, თითქოს სტალინი ბევრს სვამდა


ბერიამ კი უხეშად უთხრა: „თქვენ ექიმი ხართ. ასე რომ, მოჰკიდეთ ხელი, როგორც საჭიროა“

*ით სტაროსტინმა, განწირულივით, საკუთარი ნივთები მოაგროვა და მანქანაში ჩასადებად წაიღო. სწორედ ამ დროს, ის სტალინთან გამოიძახეს, რომელმაც ძალზე ტკბილად უთხრა:*

*— დაივიწყეთ, რაზეც გუშინ ვლაპარაკობდით. ჩათვალეთ, რომ მე არ მითქვამს, თქვენ კი — არ გაგიგონიათ. ცოტა დაისვენეთ და სამსახურში გამოცხადდით.*

*მართლაც, საინტერესო სიტუაცია ყოფილა, არა?.. ფსიქოლოგიური ნიუანსები თავად შეაფასეთ, მე კი ხაზგასმით აღვნიშნავ აი, რას: თუ სტალინს მაინც სურდა ყვავილების მორწყვა და ღამით გამართული მთელი დიალოგიც დაამახსოვრდა, მაშინ არც ისეთი მთვრალი ყოფილა, ხომ ასეა?.. თუმცა, წმინდა ცხოვრებისეული გაგებით, აქ ყველაფერი ნათელია — წინადღეს ხომ, კაცმა ერთ-ერთი საუკეთესო თანამოსაუბრე დაკრძალა...“*

ვფიქრობ, რიბინს შეიძლება დავეთანხმოთ იმაში, რომ სტალინი არასოდეს კარგავდა გონებას სიმთვრალეში. მაგრამ მაშინ, კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ლოზგაჩოვს იმაში, რომ სტაროსტინს და ტუკოვს მთელი დღე ეშინოდათ სტალინის ოთახში შესვლის. წარმოიდგინეთ — სტაროსტინს არ შეეშინდა, დაერღვია სტალინის პირდაპირი ბრძანება, იმის კი ეშინოდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაერკვია?!

2001 წელს OPT-ზე ნაჩვენებ ფილმში „კრემლი, 9. სტალინის უკანასკნელი წელი“ — ჩართულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მაშინდელი მოადგილის, ნიკოლაი ნოვიკის ინტერვიუ, სადაც ის ერთ ასეთ ეპიზოდს ჰყვება: შაბათობით სტალინი აბანოში დადიოდა, რომელიც აგარაკის ტერიტორიაზე მდებარეობდა (და რომლითაც ასევე სარგებლობდა აგარაკის დაცვაც, მაგრამ, რა თქმა უნდა — არა მაშინ, როცა იქ სტალინი იმყოფებოდა). ამ პროცედურას სტალინი ჩვეულებრივ, ერთ საათს ანდომებდა ან — საათსა და 10 წუთს. მაგრამ ერთ დღეს მან იქ ჩვეულებრივზე მეტხანს დაყო. 20 წუთის შემდეგ, დაცვამ ამის შესახებ ნოვიკს აცნობა, რომელიც იმ დროს აგარაკზე იმყოფებოდა. 35 წუთში მან სახელმწიფო უშიშროების მინისტრს — იგნატიევს დაურეკა, მინისტრმა კი მაშინვე, მალენკოვთან დარეკა. ამას მოჰყვა ბრძანება — შეემტვრიათ აბანოს კარი (შიგნიდან ის ურდულით იკეტებოდა). 46 წუთის შემდეგ, ნოვიკი, სტალინის პირად მცველთან ერთად, უკვე აბანოსკენ გარბოდა. მაგრამ კარი გაიღო და ზღურბლზე ნამძინარევი სტალინი გამოჩნდა... ასეთი იყო წესები და ასეც უნდა ყოფილიყო! ჩვენ კი ზღაპრებს გვიყვებიან, თითქოს სტალინის დაცვამ მისი მდგომარეობის შესახებ არაფერი იცოდა და ამის გამო მთელი დღე არ შეწუხებულა?!

მეორე აშკარა სიცრუე ისაა, რომ იგნატიევს შეეშინდა და ამის გამო არ გაემგზავრა სტალინის აგარაკზე. აბა, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, სახელმწიფო უშიშროების ისეთი მინისტრი, რომელსაც ეშინია, გაემგზავროს დაავადებულ სახელმწიფოს მეთაურთან?! ეს ხომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე აშკარა უარს ნიშნავს, რისთვისაც შეიძლებოდა, სახელმწიფო მოხელისთვის დახვრეტა მიესაჯათ!

ახლა იმის შესახებაც ვთქვათ, რაც შეიძლება, უცებ თვალში საცემი არ იყოს. ლოზგაჩოვს, მოქმედ პირთა რიგიდან შეგნებულად გაჰყავს იგნატიევი (სხვათა შორის, ის მაინც ერთადერთია, ვინც იგნატიევი ახსენა). ის იგნატიევს მხოლოდ ისე მოიხსენიებს, როგორც სახელმწიფო უშიშროების მინისტრს. არადა, ლოზგაჩოვისა და სტაროსტინისთვის იგნატიევის მინისტრობის ფაქტი მეორეხარისხოვანი იყო... თუმცა, ამის შესახებ — ცოტა მოგვიანებით.

სანამ ხრუშჩოვის სიცრუეს გავეცნობოდეთ, მოდით, მომხდარი დავყოთ ეტაპებად, დაცვის ვერსიის მიხედვით: 1-ელ მარტს მთელი დღე დაცვას არავითარი ზომები არ მიუღია; დაახლოებით ღამის 12 საათზე მან რეკვა დაიწყო; 2 მარტს, ღამის 3 საათზე აგარაკზე მივიდნენ მალენკოვი და ბერია, მაგრამ მათაც არაფერი მოუმოქმედებიათ და მხოლოდ დილის 8-ის ნახევარზე გამოჩნდა ხრუშჩოვი და მის შემდეგ, აგარაკზე ექიმებიც მივიდნენ.

ახლა კი, თავად ხრუშჩოვს მივცეთ სიტყვა. ის თავის ჩვენებას კვირა დღის — 1-ელი მარტის მოვლენების გადმოცემით იწყებს.

*„ვფიქრობდი, რადგან ის დღე უქმე იყო, სტალინი უეჭველად გამოგვიძახებდა. ამიტომ, მთელი დღე არ მისადილია, ვფიქრობდი, იქნებ ადრე დაგვიძახოს-მეთქი. მერე მაინც ვჭამე. ტელეფონი კი, არა და არ რეკავდა! არ მჯეროდა, რომ უქმე დღეს ჩვენ დაგვითმობდნენ, ასეთი რამ თითქმის არ მომხდარა. მაგრამ — არა. უკვე გვიანი იყო, გავიხადე და დასაძინებლად დავწექი.*

*უეცრად, მალენკოვი მირეკავს: „ახლა სტალინისგან ბიჭებმა დამირეკეს (მან გვარები დაასახელა), „ჩეკისტებმა“ და შეშფოთებულებმა მაცნობეს, რომ სტალინს რაღაც მოუვიდა. „სასწრაფოდ უნდა გავემგზავროთ იქ, შენ ახლა გირეკავ, ბერიასა და ბულგანინს უკვე ვაცნობე, პირდაპირ იქ გაემგზავრე“. მაშინვე მანქანა გამოვიძახე. ის აგარაკზე მეყენა. სასწრაფოდ ჩავიცვი და სტალინის აგარაკზე გავჩნდი. ამ ყველაფერს დაახლოებით 15 წუთი დასჭირდა. ჩვენ დავთქვით, რომ არა სტალინთან, არამედ სამორიგეოში შევსულიყავით. შევედით დაცვის წევრებთან და ვკითხეთ: „რაშია საქმე?“ ისინი გვპასუხობენ: „ჩვეულებრივ, ამხანაგი სტალინი ამ დროს, საღამოს 11 საათზე აუცილებლად გვირეკავს, გვიძახებს და ჩაის გვთხოვს. ზოგჯერ ჭამს კიდეც. ახლა კი, ასე*

## როცა ხრუშჩოვი თავის მოგონებებს უკარნახებდა, არც კი ეჭვობდა, რომ დაცვაც ჩააწერინებდა თავის ჩვენებას და მასავით იცრუებდა


მაშინვე მანქანა გამოვიძახე. ის აგარაკზე მეყენა. სასწრაფოდ ჩავიცვი და სტალინის აგარაკზე გავჩნდი

*არ იყო“. „დაზვერვაზე“ მატრიონა პეტროვნა გავუშვით — მიმტანი, არცთუ ისე ახალგაზრდა ქალი, რომელიც უკვე მრავალი წელი მუშაობდა სტალინთან. ის ცოტა არ იყოს — გაუნათლებელი, მაგრამ ამავე დროს, პატიოსანი და სტალინის ერთგული ადამიანი გახლდათ.*

*„ჩეკისტებმა“ გვითხრეს, რომ ის უკვე გაგზავნეს იმის სანახავად, თუ რა ხდებოდა პატრონთან. მატრიონა პეტროვნამ მაშინ აცნობა, რომ ამხანაგი სტალინი იატაკზე იწვა, ეძინა, მის ქვეშ კი სისველე იყო. „ჩეკისტებმა“ აიყვანეს და ტახტზე დააწვინეს, პატარა სასადილოში. იქ იყო პატარა სასადილო და დიდი სასადილო... სტალინი იატაკზე დიდ სასადილოში იწვა. გამოდის, რომ ის ლოგინიდან წამოდგა, სასადილოში გავიდა, იქ წაიქცა და ჩაისველა. როცა გვითხრეს, რომ ასეთი რამ მოხდა და ახლა მას თითქოს სძინავს, ჩვენ მივიჩნიეთ — უხერხული იქნება მასთან ჩვენი გამოჩენა და იმის დაფიქსირება, რომ აქ ვართ, რადგან ის ასეთ საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჰოდა, სახლებში გავემგზავრეთ.*

*გავიდა ცოტა ხანი და კვლავ ზარის ხმა მესმის. ისევ მალენკოვია: „ისევ დამირეკეს ბიჭებმა ამხანაგი სტალინისგან. ამბობენ, რომ მაინც რაღაც ხდება მის თავს. მატრიონა პეტროვნამ კი თქვა, რომ მას მშვიდად სძინავს, მაგრამ ეს უჩვეულო ძილია. კიდევ ერთხელ უნდა გავემგზავროთ მასთან“. შევთანხმდით, რომ მალენკოვი დაურეკავდა ბიუროს ყველა დანარჩენ წევრს, ვოროშილოვისა და კაგანოვიჩის ჩათვლით, რომლებიც სადილზე არ ყოფილან და პირველად აგარაკზე ჩვენთან ერთად არ წამოსულან. შევთანხმდით ასევე, რომ ექიმებსაც გამოვიძახებდით.*

*ისევ გავემგზავრეთ სტალინის აგარაკზე და კვლავ სამორიგეოში შევედით. კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და ექიმები მოვიდნენ. ექიმებიდან მახსოვს, ცნობილი კარდიოლოგი — პროფესორი ლუკომსკი. მასთან ერთად, კიდევ იყო ვიღაც, მაგრამ ვინ — ახლა აღარ მახსოვს. ოთახში შევედით. სტალინი იწვა. ექიმებს ვუთხარით, რომ თავიანთ საქმეს შესდგომოდნენ და გამოეკვლიათ, თუ რა მდგომარეობაში იყო ამხანაგი სტალინი. პირველი მასთან ლუკომსკი მივიდა, ძალიან ფრთხილად, რაც სავსებით გასაგებია... ისე შეეხო სტალინის ხელს, როგორც გავარვარებულ რკინას, ცოტათი თრთოდა კიდეც... ბერიამ კი უხეშად უთხრა: „თქვენ ექიმი ხართ. ასე რომ, მოჰკიდეთ ხელი, როგორც საჭიროა!“*

ვიმეორებ — როცა ხრუშჩოვი თავის მოგონებებს უკარნახებდა, არც კი ეჭვობდა, რომ დაცვაც ჩააწერინებდა თავის ჩვენებას და მასავით იცრუებდა, — სხვა შემთხვევაში, ის რა თქმა უნდა, გაიმეორებდა დაცვის ვერსიას — თითქოს პირველად სტალინთან მალენკოვი და ბერია მივიდნენ. ჰოდა, უნებლიეთ თავი გასცა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# საპრემიერო ციებ-ცხელება რუსთავში

## დაკარგული სიყვარული და ტკივილი, რომელიც რეალურად უნდა განიცადო



ამირან ქაჩიბაია, ანა შარვაძე

**რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, რუსთავის თეატრს სამხატვრო ხელმძღვანელად ამავე ქალაქის მკვიდრი, ახალგაზრდა რეჟისორი, გეგა ქურციკიძე მოევლინა. მიუხედავად იმისა, რომ მას ღირსეული წინამორბედები (1999-2003 წლებში — სამხატვრო ხელმძღვანელი: გოგი ქავთარაძე; 2004-2005 წლებში — სამხატვრო კონსულტანტი: რობერტ სტურუა) ჰყავდა, გეგას მემკვიდრეობად არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა დახვდა. თუმცა, რეჟისორი მაინც ახალგაზრდული შემართებით შეუდგა საქმეს და იმ პირობის შესრულებას, რომ თეატრმა სეზონში ექვსი სპექტაკლი დადგას. მოზარდი მაყურებლისთვის გოგებაშვილის „იავნანის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა (რომლის რეჟისორიც კანდიდ გურგენიძე გახლავთ), უკვე შედგა. რაც შეეხება მოზრდილებს, მათთვის, აფხაზეთის თემაზე არჩილ სულაკაურის პიესების — „მტრედები“ და „ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფვიან“ — მიხედვით, მანანა დოიაშვილის მიერ დაწერილ ინსცენირებაზე — „ღიად დარჩენილი საფლავები“ — გეგა ქურციკიძე დასის ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად მუშაობს და რუსთაველ მაყურებელს პრემიერას კვირაცხოვლობას, 15 აპრილს შესთავაზებენ. „გზა“ გენერალურ რეპეტიციაზე ესტუმრა მათ და წინასაპრემიერო განცდებიც გაიზიარა.**

*მაია ღუღუნიშვილი*

**გეგა ქურციკიძე:**

— მოდის თაობა, რომელმაც არ იცის ჩვენი უახლესი ისტორია, ის, თუ რა მოხდა 1993 წლის სექტემბერში, არ განუცდია მაშინდელი ტრაგედია და შესაბამისად, ტკივილს ნაკლებად განიცდის. ამ სპექტაკლით გვინდა, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ხალხს, რა არის ომი, რა საშინელების მოტანა შეუძლია მას ჩვეულებრივი ადამიანებისთვის და მით უმეტეს, ახალგაზრდებისთვის. ჩვენი სპექტაკლის გმირები მხოლოდ ახალგაზრდები არიან.

**— როგორ ფიქრობთ, ამ ტრაგიკული სურათის ჩვენება რა გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით კი მათზე, ვინც ამ ამბების უშუალო მონაწილე იყო?**

— მინდა, თეატრში მაყურებლის თვალწინ გავაცოცხლო ის პერსონაჟები, ვინც ამ ომს შეეწირნენ. სპექტაკლი ომის ფონზე მიმდინარე ახალგაზრდების ცხოვრებაზე, მათ ურთიერთობებზე, სიყვარულზე, განშორებით გამოწვეულ უზარმაზარ ტკივილზეა. ბავშვების თვალწინ ხდება ტრაგიკული მოვლენები და კიდევ: ხუთი პერსონაჟიდან სამი კვდება, ერთი მორალურად ნადგურდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სპექტაკლის ფინალი მაინც იმედიანია.

**თეა შარვაშიძე,** *მსახიობი:*

— ჩვენდა საუბედუროდ, ეს თემა აქტუალური არის და იქნება მანამ, სანამ მის გარშემო რაღაც კითხვის ნიშნები იარსებებს. მიმაჩნია, რომ რეჟისორის გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებულია როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით.

**— ყოველდღიური უარყოფი-**



ჩემი პერსონაჟი ტრაგიკული პიროვნებაა: მან დაკარგა საყვარელი ადამიანები და წავიდა საბრძოლველად...



საყვარელ ადამიანს ძმის სიკვდილის ამბავს ვატყობინებ და ამის შემდეგ, ის საბრძოლველად მიდის

**თი ინფორმაციით დამძიმებული მაყურებელი განტვირთვისთვის მსუბუქ სანახაობებს ამჯობინებს. ამიტომაც, ბოლო დროს, ქართველი რეჟისორები ერიდებიან დრამატული თემების შერჩევას...**

**გეგა:**

— თეატრის რეპერტუარში ყველანაირი ჟანრის სპექტაკლი უნდა იყოს. მაყურებლის რაოდენობას ალბათ, სპექტაკლის ხარისხი ანუ ის განსაზღვრავს, თუ რამდენად გულწრფელად თამაშობს მსახიობი, როგორ მიაწვდის რეჟისორი თავის სატკივარს საზოგადოებას და ა.შ. ამ ეტაპზე, ჩემთვის ფსიქოლოგიური დრამა უფრო საინტერესო აღმოჩნდა და ვფიქრობ, სპექტაკლის სანახავად ბევრი ადამიანი მოვა...

***„— ახლა, რა უნდა ვაკეთოთ?***

***— ცას უნდა ვუყურო და ვუყარაულო.***

***— ასე, წამოწოლილმა?***

***— მე ასე უკეთ ვხედავ. რა გაცინებს?***

***— წამოწოლილი გუშაგი ვის გაუგონია, თანაც, მხარ-თეძოზე წამოწოლილი.***

***— ჯდომა შეიძლება?***

***— მგონი, ჯდომაც არ ივარგებს!***

***— მაშინ ცხენებივით ფეხზე ვიდგეთ!..“***

*ამ ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზებით შეყვარებული წყვილი ესაუბრება ერთმანეთს, ისინი ცის ყარაულობაში ალბათ, საკუთარი სახლების დარაჯობას გულისხმობენ. ეს ის ადამიანები არიან, ვინც ახალგაზრდობასთან ერთად, ყველაზე წმინდა და გულწრფელი სიყვარული დაკარგეს, ის ქვეყნის მომავალს შესწირეს... მათი როლების შემსრულებლებისთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორი ტკივილი შეიძლებოდა განეცადათ მათ გმირებს რეალურად. ამიტომაც, თამაში ორივეს ძალიან გაუჭირდა.*



რეჟისორი მსახიობებთან ერთად

**ამირან ქაჩიბაია,** *მსახიობი:*

— როდესაც პიესას გავეცანი, ვიგრძენი, რომ სირთულეებს წავაწყდებოდი, მაგრამ ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, სწორედ ამ სირთულის დაძლევა აღმოჩნდა მიმზიდველი. ჩემი პერსონაჟი ტრაგიკული პიროვნებაა: მან დაკარგა საყვარელი ადამიანები და წავიდა საბრძოლველად... ჩემთვის ეს პიესა გარკვეულწილად, ისტორიული წყაროა, საიდანაც გავიგე, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში. თანაც, ჩვენ გარშემო არიან ის ადამიანები, რომლებმაც მაშინდელი ტრაგედია საკუთარ თავზე იწვნიეს და მათგან ბევრ საინტერესო ამბავს ვიგებთ, რაც ხელს გვიწყობს იმაში, რომ ჩვენი გმირების ტკივილი საზოგადოებამდე სწორად მივიტანოთ.

**ანა შარვაძე,** *მსახიობი:*

— ჩემი გმირი საბრალო ადამიანია: საყვარელ ადამიანს ძმის სიკვდილის ამბავს ვატყობინებ და ამის შემდეგ, ის საბრძოლველად მიდის, მე კი, ჩვენს შვილთან ერთად, მის გარეშე ვრჩები... დამერწმუნეთ, ამ როლის თამაში ძალიან რთულია, მე ხომ ყველაფერი ბოლომდე უნდა გავითავისო, რათა გულწრფელი ვიყო. მაგრამ იმედი მაქვს, ამას შევძლებ.

*სპექტაკლში რუსთავის თეატრის კიდევ ორი წამყვანი მსახიობი — დავით ხახიძე და სოსო ელიზბარაშვილი — მონაწილეობს. მუსიკალური გაფორმება თამარ სალუქვაძეს ეკუთვნის, მხატვრული — გურამ მღებრიშვილს.*

*ამ პერიოდისთვის, თეატრში პარალელურად სხვა სპექტაკლზეც მიმდინარეობს მუშაობა. თემურ ჩხეიძის სახელოსნოს კიდევ ერთი რეჟისორი, მამუკა ტყემალაძე გურამ დოჩანაშვილის პიესაზე — „ხორუმი ქართული ცეკვაა“ — მუშაობს, რომლის პრემიერაც აპრილის ბოლოსთვის იგეგმება. ასე და ამგვარად, ორმოცწლიანი ისტორიისა და დიდი ტრადიციების მქონე თეატრი, მალე ბევრ საინტერესო სიახლეს შემოგვთავაზებს.*

■




**„შეგვჭამა, ბატონო, ამ კომპიუტერულმა თამაშებმა! ბავშვებს სხვა აღარაფერი აინტერესებთ, მისჩერებიან კომპიუტერის ეკრანს და თამაშობენ და თამაშობენ“, — ასეთი საყვედური, დარწმუნებული ვარ, თქვენც გსმენიათ. ამ გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ კი, შემიძლია გითხრათ, რომ თბილისში არსებობს კომპიუტერული თამაშების გუნდები, რომლებშიც გაერთიანებული ბიჭები (და გოგონებიც) არა მარტო არ „შეუჭამია“ კომპიუტერს, არამედ პირიქით, შეიძლება ითქვას, მათ ბევრი რამ შესძინა... აზროვნების სისხარტე, ხელის მოძრაობის სიზუსტე — ეს ყველაფერი აუცილებელია, რომ კიბერსპორტსმენი (კომპიუტერული თამაშების სპორტსმენი) იყო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ახალგაზრდები უკვე ქვეყნის სახელს იცავენ, უცხოეთში — მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე გადიან, სადაც ქართულ ინტელექტსა და შესაძლებლობებს წარმოაჩენენ.**

# კიბერსპორტსმენები ხუთჯვრიანი დროშით

## ანუ საერთაშორისო ასპარეზზე უსპონსოროდ გასული ბიჭები

ლელა ჩიყაშვილი

*ყოველ გაზაფხულზე, გერმანიაში ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოფენა და ჩემპიონატი, რომელშიც ამჯერად, ქართველებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი გუნდის ლიდერი — ლევან გომშიაშვილი ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და ყველაზე უმცროსია ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ლიდერთა შორის (ანუ „თიიმლიდერთა“ შორის). სწორედ მან შეიტანა საქართველოს დროშა დარბაზში, სადაც თამაშები ტარდებოდა... ვინ თქვა, რომ ჩვენი მომავალი თაობა უინტერესო და ყოველივე ეროვნულისადმი ინდიფერენტულია?!. უნდა ნახოთ ლევანი და მისი მეგობრები და ასეთ შეხედულებას საბოლოოდ უკუაგდებთ...*

**ლევან გომშიაშვილი:**

— ჰანოვერში სტრატეგიული თამაშები, სპორტული სტიმულატორები და უხეშად რომ ვთქვა — სროლასთან დაკავშირებული პროგრამები იყო წარმოდგენილი. თამაშები პერიოდულად იცვლება ანუ ჩემპიონატამდე გამოკითხვა ტარდება და მისი შედეგების გათვალისწინებით ხდება შერჩევა. მაგალითად, წინა მსოფლიო კონკურსში ჩვენ მეშვიდე ადგილი დავიკავეთ თამაშში, რომელიც ჰანოვერში გამართულ ევროპის ქვეყნების კომპიუტერული თამაშების კონკურსზე უკვე ამოიღეს... ამ კონკურსში მაინც გამოვიჩინეთ თავი: გიორგი ფაშალიშვილმა შვეიცარიელ სპორტსმენებს სძლია, გუნდურად კი — მეჩვიდმეტე ადგილზე გავედით.

**— რამდენად რთულია საქართველოში კომპიუტერულ თამაშებში დახელოვნება?**

— რთულია, რადგან ჩვენ არ გვაქვს ისეთი ხარისხის ინტერნეტი, როგორიც ევროპაში ან ამერიკაშია, ამიტომ მხოლოდ ერთმანეთთან თამაში შეგვიძლია, სხვები კი, უცხოურ გუნდებს ეთამაშებიან და ასე ვარჯიშობენ...

**— კომპიუტერული თამაშების წარმატება მხოლოდ ხელის სისწრაფეზეა დამოკიდებული?**

— არა, საჭიროა აზროვნება, სტრატეგიის დასახვა... ამიტომაც, თამაშის წინ რაღაც ვარიანტებს განვიხილავთ.

**— დღის განმავლობაში რამდენი საათი ზიხარ კომპიუტერთან?**

— 3 საათი, მეტის საშუალება არ მაქვს... საერთოდ, ჩვენში ისე ხანგრძლივად არავინ ზის კომპიუტერთან, როგორც უცხოეთში. გავიცანით მოთამაშეები, რომლებიც დღეში 13 ან 18 საათის განმავლობაში ვარჯიშობენ... სხვათა შორის, მათ თავიანთი ქვეყნების უმსხვილესი კომპანიები აფინანსებენ და ამაში ხელფასსაც კი უხდიან. ჩვენს ნაკრებს სპონსორი არ ჰყავს, ამიტომაც, ჩვენი ხარჯებით გვიხდება შეჯიბრებებზე წასვლა.

**— ჰანოვერის ჩემპიონატიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა?**

— ვიდრე ჩემპიონატი დაიწყებოდა, ჯერ ქვეყნებს ასახელებდნენ და გუნდის ლიდერები თავიანთი ქვეყნის დროშით გამოდიოდნენ. როცა საქართველო გამოაცხადეს, ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა გავშალე და გავედი. ჩვენს წარდგენას დარბაზი ისეთი შეძახილებით შეხვდა, რომ მომდევნო ოთხი-ხუთი ქვეყნის გამოცხადებისას აღარაფერი ისმოდა. გვიხაროდა, როცა მოდიოდნენ და გვეკითხებოდნენ: საქართველოდან ხართ, სადაც ვარდების რევოლუცია მოხდაო? ზოგიერთი გერმანელი კი, შევარდნაძეს გვიხსენებდა და ბერლინის კედლის დანგრევაზე გველაპარაკებოდა... ერთ-ერთი პაექრობისას, ჩვენი მოთამაშის გვარს შეცდომით, სხვა ქვეყნის დროშა დაურთეს. გავიქეცით და ვუთხარით, რომ შეცდომა გამოესწორებინათ. ახლა აშშ-ის ჯორჯიის შტატის დროშა არ დაურთეს?! მაშინ, ჩვენი დროშა გავშალეთ და ისე მივედით ორგანიზატორებთან... ახლა სასიამოვნოდ გვახსენდება, როგორ ვიბრძოდით ამისთვის...

*ახლა, რომ გითხრათ, გრიგოლ ორბელიანის ლექსი — „თამარის დროშა გაშალეს“ — გამახსენდა-მეთქი, ვიცი, გაგეღიმებათ: სად თამარის ლაშქარი და სად ჩვენი კიბერსპორტსმენებიო?!. მეც ვიცი, წარმოუდგენელი შედარებაა. მაგრამ ამ ბიჭებმა საქართველოს დროშა ხომ გაშალეს! არც სპონსორი ჰყავდათ, არც მატერიალური დაინტერესება ჰქონიათ, მომზადებისთვის საჭირო ტექნოლოგიაც კი არ გააჩნდათ თავიანთ სამშობლოში... მერე, რა?! ჩავიდნენ გერმანიაში, წარმატებასაც მიაღწიეს და ყველაზე, ყველაზე ბედნიერები მაშინ იყვნენ, როცა სამშობლოს დროშა გაშალეს! ეს კი უბრალო საქმე ნამდვილად არ არის.*

■



ჩვენი დროშა გავშალეთ და ისე მივედით ორგანიზატორებთან... ახლა სასიამოვნოდ გვახსენდება, როგორ ვიბრძოდით ამისთვის...



ლევან გომშიაშვილი

# რომარიო მეათასე გოლს მიუახლოვდა

**ამ ცოტა ხნის წინ, ბრაზილიელმა ფორვარდმა რომარიომ თავისი 999-ე გოლი გაიტანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანუკვარ მიზანს — მეათასე გოლის გატანას მას ერთი ნაბიჯიღა აშორებს. როცა ეს მოხდება, ის პელეს შემდეგ, ფეხბურთის ისტორიაში მეორე ოსტატი იქნება, ვინც „1000-გოლიანი მწვერვალი“ დაიპყრო და სავარაუდოდ, კარიერასაც დაასრულებს.**

*ალექსი რეხვიაშვილი*

რომარიომ თავისი დიდი აღმასვლა 1979 წელს, 13 წლის ასაკში, ნაკლებად ცნობილ ჭაბუკთა გუნდ „ოლარიაში“ თამაშით დაიწყო. გარკვეული ხნის მანძილზე, ბრაზილიის ნაკრების მომავალი ვარსკვლავი შეუმჩნეველი რჩებოდა. მაგრამ უკვე 1981 წლიდან, მასზე ნამდვილი ნადირობა დაიწყო. საბოლოოდ, რომარიო რიოს „ვასკუ და გამაში“ აღმოჩნდა. 4 წლის შემდეგ კი, ტანმორჩილმა თავდამსხმელმა თავისი პირველი პროფესიონალური კონტრაქტი გააფორმა. სულ მოკლე დროში რომარიო პოპულარული გუნდის ნამდვილ ლიდერად და ქომაგთა საყვარელ მოთამაშედ იქცა. გულშემატკივრები მას აღმერთებდნენ.

„ვასკუ და გამაში“ ჩატარებული სამი სეზონის მანძილზე, რომარიო 47 მატჩში მონაწილეობდა და 17 გოლი გაიტანა. ამავე დროს, გუნდთან ერთად, არაერთ ტიტულსაც დაეუფლა. თუმცა თავისი ბომბარდირული მონაცემები ფორვარდმა ყველაზე უკეთ ევროპაში გამოავლინა. ჰოლანდიური პსვ-ს მესვეურებმა მას მალევე დაადგეს თვალი, ხოლო ფეხბურთელის შეძენის შემდეგ, „ბრაზილიური ძვირფასი ალმასისგან“, ნამდვილი „ბრილიანტი“ შექმნეს.

ამგვარად, „ტანმოკლე“, ჰოლანდიაში გადავიდა, სადაც 5 სეზონის მანძილზე, უპირველეს ვარსკვლავად მიიჩნეოდა. ფანტასტიკური ტექნიკის, სისწრაფისა და ფილიგრანული სიზუსტით შესრულებული ფინტების წყალობით, რომარიომ 109 მატჩში



98 გოლი გაიტანა. იმ პერიოდში პსვ-მ სამჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი; რომარიო ზედიზედ ოთხჯერ გახდა ჰოლანდიის პირველობის, ერთხელ კი — ჩემპიონთა თასის გათამაშების (1990) საუკეთესო ბომბარდირი. მიუხედავად ამისა, ბრაზილიელ სუპერფორვარდს კიდევ უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში ასპარეზობა ესაჭიროებოდა. „ბარსელონას“ კი, რომარიოს თავის რიგებში ხილვა სურდა.

თავისი კარიერის ყველაზე მაღალ მწვერვალზე რომარიო სწორედ კატალონიურ გრანდში ავიდა. მან ესპანეთის ჩემპიონატში გაიმარჯვა და საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც დაისაკუთრა.

აღნიშნული წარმატების შემდეგ, რომარიოს საკლუბო კარიერაში არასტაბილური პერიოდი დაუდგა. თუმცა, ცალკე სასაუბრო თემაა მისი ასპარეზობა ბრაზილიის ეროვნულ გუნდში.

რომარიოს სანაკრებო კარიერა ოლიმპიურ გუნდში დაიწყო. 1988 წელს, ბრაზილიის ოლიმპიურმა ნაკრებმა ქომაგებს იმედი გაუწბილა, როდესაც სეულის თამაშების ფინალში საბჭოთა კავშირის გუნდთან წააგო. მაგრამ რომარიომ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წარმომადგენელთა ყურადღების მიპყრობა შეძლო. ამგვარად, ის 1990 წლის მუნდიალზე გასამგზავრებელი ნაკრების განაცხადში მოხვდა, მაგრამ „სელესაომ“ კვლავ წარუმატებლად იასპარეზა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი, ყვითელმაისურიანთა დროც დადგა. ტურნირზე მართლაც, საუკეთესო იყო რომარიო, რომელიც ბებეტოსთან ერთად, შიშის ზარს სცემდა ნებისმიერი გუნდის დაცვას. 24-წლიანი პაუზის შემდეგ, ბრაზილიელებმა ისევ წაიღეს სამშობლოში მსოფლიო თასი, ხოლო რომარიო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

„ტანმოკლე“ ყოველთვის ჭირვეული ხასიათით გამოირჩეოდა. უდისციპლინობის გამო, მას ხშირად შეჰქმნია პრობლემები მწვრთნელებთან. საპასუხისმგებლო მატჩების წინ, ბრაზილიელი ფორვარდი არაერთხელ უნახავთ ღამის კლუბსა თუ სხვა გასართობ დაწესებულებაში. სწორედ მისი ამგვარი ქცევა გახდა იმის მიზეზი, რომ რომარიო ჯერ მარიო ზაგალომ არ წაიყვანა 1998 წლის მუნდიალზე, მოგვიანებით კი, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სტარტზე, ასევე მოიქცა ლუიშ ფელიპე სქოლარი. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები აღიარებენ, რომ რომარიო ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, ვისაც კი ოდესმე „სელესაოს“ მაისური მოურგია. საერთო ჯამში, ბრაზილიის ნაკრებში გამართულ 74 მატჩში „ტანმოკლემ“ 56 გოლი გაიტანა.

როგორც აღვნიშნეთ, „ბარსელონიდან“



წასვლის შემდეგ, რომარიოს ძალზე გაუჭირდა ისეთი კლუბის მოძებნა, რომელშიც სტაბილურად იასპარეზებდა. „ვალენსიაში“ მის გამოსვლას წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ბრაზილიელი ვერაფრით მოერგო ყველაზე პრაგმატული ესპანური კლუბის სათამაშო სტილს, რის შედეგადაც, სამშობლოში დაბრუნდა, სადაც კლუბებს ხელთათმანებივით იცვლიდა. მიუხედავად ამისა, რომარიომ კიდევ რამდენიმე წელი ითამაშა მაღალ დონეზე. თავდაპირველად, მან „ვასკუ და გამას“ ტრადიციული მეტოქის, „ფლამენგოს“ მაისური მოირგო. მოგვიანებით, ჭირვეული ფორვარდი ისევ მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა, სადაც 46 მატჩში 41 გოლი გაიტანა.

ნათქვამია, დრონი მეფობენ და არა მეფენიო. 38 წლის რომარიოც უკვე ველარ უჩვენებდა ისეთ თამაშს, როგორის დემონსტრირებასაც ახალგაზრდულ ასაკში ახერხებდა. და მაინც, „ტანმოკლემ“ ოფიციალურად განაცხადა — ბუცებს კედელზე მანამ არ დავკიდებ, ვიდრე 1000 გოლს არ გავიტანო! როგორც ვხედავთ, დიდი ბრაზილიელი თავის დანაპირებს ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 41 წლისაა...

აღსანიშნავია ისიც, რომ დასახული ამოცანის გაიოლების მიზნით, რომარიო ისეთ კლუბებში ასპარეზობასაც არ მოერიდა, როგორებიც ქუვეითური „ალ სადი“ (სადაც, სხვათა შორის, არც ერთი გოლი არ გაუტანია), ამერიკული „მაიამი“ და ავსტრალიური „ადელაიდე იუნაიტედია“. „ტანმოკლე“ ამ გუნდებში დიდხანს არ დაყოვნებულა. მალე ის კვლავ „ვასკუ და გამაში“ დაბრუნდა. რამდენიმე დღის წინ კი, ლეგენდარულ „მარაკანაზე“ შეკრებილმა მაყურებელმა სუპერფორვარდის მიერ გატანილი 999-ე გოლი იხილა. ალბათ, ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ უახლოეს მომავალში რომარიო მიზანს მიაღწევს და კარიერის დასრულების შესახებაც გააკეთებს განცხადებას. მართალია, არაერთი გოლი მან არაოფიციალურ შეხვედრებში და სიჭაბუკის ასაკში ჩატარებულ მატჩებში გაიტანა, მაგრამ ამბიციურ თავდამსხმელს ეს ხელს არ შეუშლის იმაში, რომ მაჟორულ ნოტზე დაასრულოს წარმატებული კარიერა და მისი სახელიც ფეხბურთის ისტორიაში „ოქროს ასოებით“ ჩაიწეროს. ■



ჰიჩკოკის კოლექციიდან

# რიჩარდ ჰარდუიკი

# ქერათმიანი ქალი

როცა მე და დენ პივი პოლიციის ახალთახალი „პონტიაკით“ სოფლის ძველ სასტუმროს — „გეილ ინს“ მივუახლოვდით, ჩასკვნილი ჰორეის ალენი აივნის წინ ბოლთას სცემდა. ის მანქანის კარის სახელურს ჯერ კიდევ მის გაჩერებამდე წაეტანა.

— ასეთი რამ აქ არასოდეს მომხდარა! — წამოიძახა ჰორეისმა. ის აწრიალებული დარბოდა ჩვენ გარშემო, სანამ მანქანიდან გადმოვიდოდით და ხის განიერ კიბეს ავუყვებოდით. — არა, ჯენტლმენებო, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა! ჩვენ, ალენები ამ სასტუმროს 1892 წლიდან ვფლობთ, იმ დროიდან, როცა ის ჩემმა პაპისპაპამ ააშენა და არასოდეს ასეთი არაფერი მომხდარა!..

ჰორეისმა ტელეფონით გამოგვიძახა და ისტერიკული ხმით გვამცნო, რომ მისი ერთ-ერთი მობინადრე საშინელი მკვლელობის მოწმე გამხდარიყო.

...სასტუმროს მეპატრონემ საკმაოდ ბნელი ჰოლით გვატარა და ასეთსავე ბნელ სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა. შუაში მდგარ დივანზე მამაკაცი იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

ჰორეისმა ტორშერი აანთო და გვითხრა:

— აი, ისიც. დოქტორო, ეს შერიფი დენ პივი გახლავთ, პოლიციის საოლქო სამმართველოდან. ეს კი — მისი თანაშემწე პიტ მილერი. — მერე ჩვენ მოგვიბრუნდა: — დოქტორი შელდონი, ჩემი მობინადრე. ყველაფერს თვითონ გიამბობთ.

შელდონი წამოდგა. როცა წელში გასწორდა, დავინახე, რომ ჩემზე მთელი თავით მაღალი ყოფილა, მე კი 188 სმ სიმაღლის ვარ. ამრიგად, ჩემ წინ ძალე მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იდგა. ვიწრო, მკვეთრი ნაკვთებით გამორჩეული სახე და მაღალი, ნაოჭებიანი შუბლი ჰქონდა. მისი ნატანჯი იერის გათვალისწინებით, ასე, 45-ოდე წლის თუ იქნებოდა. შორტი და მოკლესახელოებიანი ჭრელი პერანგი ეცვა. მთლიანობაში, ვეებერთელა, მექანიკურ თოჯინას ჰგავდა.

— მოუყევით, დოქტორო, — სთხოვა ჰორეისმა.

შელდონმა ნიკაპი მოიფხანა.

— ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ეს ბატონმა ალენმა გიამბოთ. ჩვეულებისამებრ, დილით ვსეირნობდი — აქედან ყურემდე და უკან. ხომ არ აჯობებს, რომ ადგილზევე გიჩვენოთ? შეგვიძლია, სანაპიროს პარალელურად გაყვანილი გზით მივიდეთ იქამდე.

დენი დაეთანხმა და ოთხივე ერთად „პონტიაკში“ ჩავსხედით. სანამ ნიყარებით მოკირწყლულ გზას მივუყვებოდით, დენი, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა, შელდონს მიუბრუნდა, რომელიც უკანა სავარძელზე ჰორეისის გვერდით იყო მოკალათებული.

— ეს ყურემდე დაახლოებით ნახევარ გზაზე იყო, — დაიწყო მოყოლა შელდონმა. — ასე, სასტუმროდან სამიოდე კილომეტრის მოშორებით.

— უთხარით პიტს, როცა იმ ადგილს მივუახლოვდებით, — ჩაურთო დენიმ. — ახლა კი, განაგრძეთ.

უკანა ხედვის სარკეში შევნიშნე, რომ შელდონი კუთხისკენ მიჩოჩდა. მან თხრობა განაგრძო.

— ყურემდე მივაღწიე და უკან გამოვბრუნდი. როცა შევჩერდი, რომ ჩიტების კვერცხები შემეთვალიერებინა, უცნაური ხმა შემომესმა. თავიდან მეგონა, რომ თოლიის ან ზღვის რომელიმე სხვა ფრინველის ჭყივილი მომესმა. მაგრამ როცა ხმა განმეორდა, მივხვდი, რომ შეშინებული ქალი კიოდა. და რადგან სანაპირო აბსოლუტურად ცარიელი იყო, ვიფიქრე, რომ ხმა დიუნებიდან მოდიოდა, რომლებიც სანაპიროს გზას გასდევს. მაშინვე ავედი და უახლოეს დიუნთან გავჩნდი...

ის დადუმდა, სანამ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებდა. დენმა ასანთს გაჰკრა და მოაკიდებინა. შელდონმა მადლობის ნიშნად, თავი დაუქნია.

— დიუნებზე ავედი და ორივენი შევნიშნე. ისინი სულ რაღაც თხუთმეტი მეტრით იყვნენ ჩემგან დაშორებულნი. ორნი — ქალი და კაცი ერთმანეთს ებრძოდნენ. ქალი კაცზე ბევრად სუსტი ჩანდა. კაცს საშინელი სახე ჰქონდა, თვით სასიკვდილო ცოდვის განსახიერება გეგონებოდათ. მე გმირი როდი ვარ. ჩემთვის ნათელი იყო, რომ მასზე ბევრად სუსტი ვიყავი... ყველაფერი რაღაც წამებში მოხდა. კაცს ხელში დანა ეჭირა. მან ის ორჯერ ჩასცა ქალს მკერდში.

შელდონმა თვალებზე ხელისგული გადაისვა, თითქოს საშინელი სურათის თავიდან ამოგდება უნდაო.

— ქალი ქვიშაზე დავარდა. ამ დროს კაცმა თავი ასწია და დამინახა. მან თვალში თვალი გამიყარა. მერე გამხეცებულმა დაიღრიალა და დანით ხელში ჩემკენ გამოექანა. საბედნიეროდ, სწრაფად სირბილი მეხერხება. დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, სირბილში ვვარჯიშობდი. ერთხელ მილი 4 წუთსა და 6 მეათედ წამში დავფარე. დღესაც მშვენიერ ფორმას ვინარჩუნებ. ჰოდა, სასტუმროსკენ მოვკურცხლე. ორასი თუ სამასი ნაბიჯი რომ გავირბინე, უკან მივიხედე და მივხვდი, რომ მდევარმა თავი დამანება: ის აღარსად ჩანდა.

შელდონმა ფანჯარაში გაიხედა და თქვა:

— ეს სადღაც აქ იყო, მისტერ მილერ, დარწმუნებული ვარ...

მან თავისი გრძელი ხელი გაიშვირა.

— ხედავთ, აი, იმ პალმებს? ეს მათ გვერდით მოხდა.

მანქანა დავამუხრუჭე. შელდონმა კარი გამოაღო. მაგრამ სანამ მანქანიდან გადავიდოდა, დაამატა:

— იქ კიდევ რა იყო, იცით, შერიფო? რაღაც... მომეჩვენა, რომ იმ ქალში ამოვიცანი ერთი ქალბატონი, რომელიც მთელი ხუთი წელია, არ მინახავს.

დენმაც და მეც გაოცებულებმა შევხედეთ.

— ის იყო... უფრო სწორად, მომეჩვენა, რომ ეს ქალი მონიკა ბაროუზი იყო.

— კარგი, — თქვა დენ პივმა, — მოდი, გადავიდეთ და ადგილზე შევამოწმოთ.

ყველანი მანქანიდან გადავიდნენ. დიუნები არც ისე მაღალი იყო. თუმცა ზღვის მხარეს ხედს მთლიანად ფარავდა. ადრიანი დილის სიმშვიდეს ზღვის ტალღების ხმა არღვევდა.

ჩვენ ქვემოთ დავეშვით და უახლოეს დიუნზე ავედით.

— აი, იქ მოხდა ყველაფერი, — თქვა შელდონმა. — მან... მან გვამი გადამალა...

შელდონი მართალი იყო. ჩვენ წინ მხოლოდ ქვიშა იყო. დენ პივი მითითებული ადგილისკენ გაემართა. დანარჩენები უკან მიჰყვნენ.

— ფრთხილად იყავით, — გააფრთხილა დენმა ყველა. — ეცადეთ, კვალი არ წაშალოთ.

დაკვირვებით დავყურებდით ქვიშას დიუნებს შორის. შელდონის მიერ მითითებული მანძილის ნახევარი გავიარეთ, მაგრამ ვერავითარი კვალი ვერ აღმოვაჩინეთ. როცა ნაპირამდე მივედით, შევეკითხე:

— დოქტორო, დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ ის ადგილია?

მისი სახე დაბნეულობას გამოხატავდა. ის დიუნის ფერდს აუყვა და როცა თავზე მოექცა, უეცრად შეჰყვირა:

— ჰო, რა თქმა უნდა! აი, ნახეთ! აი,

ჩემი კვალი! მეც დიუნზე ავედი.

ყველანი მასთან მივედით. მშრალ, თეთრ ქვიშაზე გარკვევით ჩანდა ნეფეხურები, რომელსაც ქვიან პლაჟამდე გავყევი. ნაკვალევი იქაც გარკვევით ჩანდა და გარდა ამისა, ჩიტების კვერცხების წყობასაც წავაწყდი, რომელიც მან ადრე ახსენა. ისევ დიუნის მწვერვალზე დავბრუნდი. დენ პივი ნაკვალევის შესწავლას განაგრძობდა. ის მართლაც, სასტუმროსკენ მიდიოდა, რაც იმას ადასტურებდა, რომ შელდონმა აქ მართლაც გაირბინა.

მაგრამ ამასთანავე, ნათელი იყო, რომ შელდონის გარდა, აქ არავინ იყო ნამყოფი. გავჩუმდით და მას მივაჩერდით.

— მე... ვერ გამიგია, რაშია საქმე! ისინი იქ იყვნენ, აი, იქ! ქალს წინწკლებიანი საცურაო კოსტიუმი ეცვა. აი, იქით კი, ქუჩის მხარეს, მანქანა იდგა...

— მანქანა? — შეეკითხა დენი.

— დიახ. მე... რატომღაც დამავიწყდა, თავიდანვე მეთქვა. სედანი. ბოლო მოდელი. თავიდან ყურადღება არც მიმიქცევია, მაგრამ მომეჩვენა, რომ „ფორდი“ ან „შევროლე“ იყო. მანქანა ცხვირით სასტუმროსკენ...

— გაქცევის შემდეგ ძრავას ხმა გაიგონეთ? — შევეკითხე მე.

შელდონმა თავი გააქნია.

— არა, ზღვის ტალღების ხმაური ფარავდა.

— მაგრამ თქვენ ხომ მოგესმათ ქალის ყვირილი?

— კი, მაგრამ ეს სულისშემძვრელი კივილი იყო. ხომ გითხარით, რომ თავიდან ვერც მივხვდი, რომ ქალის კივილი იყო.

შელდონი დიუნიდან ჩამოვიდა და კიდევ ერთხელ დაიწყო ქვიშის დათვალიერება. ვიღაცამ ხელი სახელოზე მომკიდა. ეს ჰორეისი იყო.

— პიტ... დენ... როგორც ჩანს, ბოდიში უნდა მოგიხადოთ ყოველივე ამის გამო, განსაკუთრებით, თუ ზოგიერთ გარემოებასაც გავითვალისწინებთ. როცა მიყვებოდა, ყველაფერი ძალზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა...

— რომელ ზოგიერთ გარემოებას გულისხმობთ, ჰორეის? — შეეკითხა დენი.

— იმას ვგულისხმობ, რის გამოც დოქტორი შელდონი ჩვენთან იმყოფება... ახლაღა გამახსენდა, — ის გაჩუმდა და ფეხსაცმლის წვერი ქვიშაში ჩაარჭო. — მას ნერვული აშლილობა ჰქონდა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მოეჩვენა.

და ჰორეისმა თითი საფეთქელთან მიიტანა.

— ფიქრობთ, რომ შელდონს მხოლოდ და მხოლოდ მოეჩვენა მკვლელობა? — შევეკითხე მე.

— ვშიშობ, რომ ყველაფერი სწორედ ასეა.

ქვემოთ გავიხედე და დავინახე, რომ შელდონი ჩვენკენ იყურებოდა.

— თქვენ გგონიათ, რომ ეს ყველაფერი მომელანდა?

— პიტსაც და მეც იშვიათად გამოგვაქვს ნაჩქარევი დასკვნები, დოქტორო, — უპასუხა დენმა. — შეგიძლიათ, ქალის გარეგნობა აღგვიწეროთ?

— დიახ, — თქვა შელდონმა. — საშუალო სიმაღლის, დაახლოებით, ოცდაათი წლის, ლამაზი, ქერათმიანი. თუმცა, როცა დავინახე, ის იმდენად იყო შიშისაგან შეძრწუნებული... თმა მოკლედ ჰქონდა აჭრილი...

მას ჰორეის ალენმა გააწყვეტინა სიტყვა:

— თქვენ ახლა მისის ტრუდი მეისფილდის გარეგნობა აღწერეთ.

ჰორეისმა განმარტა, რომ მისის ტრუდი მეისფილდი სასტუმროში იმყოფებოდა. შელდონს ვკითხე, იცნობდა თუ არა მისის მეისფილდს? შელდონმა თავი გადააქნია.

— არა, აქ მხოლოდ რამდენიმე დღეა, ვიმყოფები და საჭმელსაც თვითონ ვიმზადებ. სასტუმროში არ ვიკვებები.

— მართალია, — დაუდასტურა ჰორეისმა. — დოქტორ შელდონს ერთ-ერთი საზაფხულო კოტეჯი აქვს დაკავებული. ის ქუჩის მეორე მხარესაა, მთავარი კორპუსიდან მოშორებით. საკუთარ თავს თვითონვე ემსახურება.

— დასასვენებლად ჩამოვედი, — თქვა შელდონმა.

— მოდი, დავბრუნდეთ „გეილ ინში“ და ვნახოთ, არის თუ არა იქ მისის მეისფილდი.

სასტუმროში დავბრუნდით. მის მახლობლად თხუთმეტიოდე წლის წინ, ჰორეისმა ექვსი საზაფხულო კოტეჯი ჩადგა.



თითოეული ერთიმეორისგან გარკვეული მანძილით იყო დაშორებული, ცალკე მისასვლელი გზა ჰქონდა, რომელიც მთავარ გზას უკავშირდებოდა, ის კი სანაპირომდე გადიოდა. ამ თხუთმეტი წლის მანძილზე კოტეჯების გარშემო მირტისა და ვარდის ბარდები მომრავლდა, რომლებიც იქ მცხოვრებთ სხვებისგან აბსოლუტური განმარტოების საშუალებას აძლევდა.

შელდონს №1 კოტეჯი ჰქონდა დაკავებული, რომელიც ჩრდილოეთის მწკრივის ბოლოში იდგა. მისის ტრუდი მეისფილდი №2 კოტეჯში ცხოვრობდა. ჰორეისმა განმარტა, რომ №4 კოტეჯში ცოლ-ქმარი დანვუდი ცხოვრობდა, რომელიც სათევზაოდ ჩამოსულიყო.

— სასტუმროს მთავარ კორპუსში მოხუცი ლონდონი ცხოვრობს, — დაამატა ჰორეისმა. — აქ სათევზაოდ უკვე მრავალი წელია, ჩამოდის.

ჰორეისის მითითების მიხედვით, №2 კოტეჯს მივუახლოვდი. სასტუმროსა და სხვა კოტეჯების მხრიდან მას მირტის ხშირი ბარდები შემოხვეოდა. ზღვის მხარეს კი, არავითარი ბარდები არ იყო, ამიტომ სახლი კარგად მოჩანდა.

კოტეჯის გვერდით „მრავლისმნახველი“, მყვირალა ყვითელი ფერის „პლიმუტი“ იდგა.

ჰორეისმა კარზე დააკაკუნა, მაგრამ კაკუნზე არავინ გამოეხმაურა.

— ეტყობა, პლაჟზეა გასული, დენ, — თქვა მან. — ან სასტუმროში, სასაუზმოდ.

შელდონმა შეწუხებისთვის ბოდიში მოიხადა, ჩემს სახლამდე პლაჟის გავლით მივალო, — თქვა და წავიდა.

ჰორეისი სასტუმროში მივიყვანეთ. როგორც გაირკვა, მისის მეისფილდი გუშინდელი საღამოს შემდეგ არ გამოჩენილა. სანამ წავიდოდა, დენმა ჰორეისს სთხოვა, მისის მეისფილდის ნახვისთანავე, განყოფილებაში დაერეკა.

— დაივიწყეთ ეს ამბავი, — გვითხრა ჰორეისმა. — საცოდავმა ექიმმა უბრალოდ, აურია.

დენმა მაინც სთხოვა, დაერეკა. მერე, თავის ფაფუკ, ხშირ თეთრ თმაზე გადაისვა ხელი.

— რაღაც უცნაურია, მაინც, არა, პიტ?.. — შენიშნა მან.

— დრო ტყუილად დავკარგეთ, — ვუპასუხე მე.

დენი მცირე ხანს დუმდა, მერე თქვა:

— ცოტა სწრაფად იარე. ისედაც ბევრი საქმე მაქვს, თან თორმეტზე სასამართლოს შენობაში უნდა ვიყო. ცოტა ხნის შემდეგ, დენი ისევ ალაპარაკდა.

— არადა, შესახედავად ეგ შელდონი, ჩვეულებრივ, ნორმალურად მოაზროვნე კაცს ჰგავდა.

სანამ შერიფი დენ პივი სასამართლოში იყო, კაბინეტში ვიჯექი და შელდონსა და მის უცნაურ თავგადასავალზე ვფიქრობდი. მაინც რამ უნდა მიიყვანოს ადამიანი ჰალუცინაციამდე? რანაირად შეიძლება, კაცი მყუდრო, წყნარ პლაჟზე დასეირნობდეს და უეცრად წარმოესახოს, რომ მკვლელობის მოწმეა?!

დაახლოებით თერთმეტ საათზე ჰორეის ალენს დავურეკე და შევეკითხე, ხომ არ გამოჩნდა მისის მეისფილდი? მიპასუხა — ჯერჯერობით არა, მაგრამ საცაა უნდა გამოჩნდესო. მაგრამ მის ხმაში შეშფოთება შეიმჩნეოდა.

სადილის შემდეგ, სასტუმროდან დარეკეს. დენი რამდენიმე წამი მდუმარედ უსმენდა და მერე თქვა:

— თავი ხელში აიყვანეთ. დამშვიდდით

და თავიდან მომიყევით ყველაფერი... აი, ასე. ასე უკეთესია.

დენი ყურადღებით ისმენდა და დროდადრო თავს აქნევდა. შემდეგ თავის კარტოფილივით ცხვირზე მოივლო ხელი და ყურმილში ჩასძახა:

— კარგით, მე და პიტი გამოვდივართ! — მერე მე შემომხედა და თქვა: — მისის მეისფილდი იპოვეს.

— მერე, რამე თქვა?

— ბევრი ვერაფერი, — თქვა დენმა, მძიმედ წამოდგა და მაგიდაზე დადებული ცილინდრი აიღო. — ის მკვდარია. მოკლულია.

ჰორეის ალენი სულ მთლად ფერმკრთალი დაგვხვდა, როცა იმ გზაგასაყართან მივედით, საიდანაც №2 კოტეჯის გზა იწყებოდა. „პონტიაკი“ გავაჩერე და ჰორეისი ჩავისვით, რომელიც უკანა სავარძელზე მოთავსდა. ის ღრმად სუნთქავდა.

— ღმერთო! დენ, ეს ამბები ალბათ, დამასამარებს!.. მინდოდა, თეთრეული გამომეცვალა. ვუბრახუნე, ვუბრახუნე, ის კი არ მიღებს. ავდექი და ჩემი გასაღებით გავაღე...

ის დადუმდა, რადგანაც სახლს მივუახლოვდით. „პონტიაკი“ ყვითელი „პლიმუტის“ გვერდით გავაჩერე.

— შეიძლება, არ წამოგყვეთ? — იკითხა ჰორეისმა და გასაღები გამოგვიწოდა.

— კარგი, ჰორეის, აქ დარჩი, მაგრამ არსად წახვიდე, რადგან ვფიქრობ, რომ შეკითხვები შენთანაც მექნება.

მანქანიდან გადმოვედით. სახლის კარი შევაღე. იქვე, კარს იქით, იატაკზე თეთრეულის შეკვრა დავინახეთ, რომელიც ჰორეისს დაუვარდა. თეთრეულს გადავალაჯეთ და ოთახში შევედით.

ქალი ზურგზე, ერთ-ერთ საწოლთან იატაკზე იწვა. საცურაო კოსტიუმზე რამდენიმე ჭრილობა ეტყობოდა.

უეცრად გამახსენდა:

— დენ...

მან თანხმობის ნიშნად, მაშინვე თავი დამიქნია.

— კი, მესმის. ის წინწკლებიან საცურაო კოსტიუმშია და ნაძლევს დავდებ, რომ დანითაა მოკლული.

ის ქალის სხეულისკენ დაიხარა. მეც დავხედე მოკლულს. მოკლე თმა, ქერა, საშუალო სიმაღლის ქალი იყო. მისი გარეგნობა, შელდონის მიერ აღწერილი ქალისას ზუსტად ემთხვეოდა.

ოთახში ცოტაოდენი ავეჯი იდგა. გარდა ორი საწოლისა, სარკიანი კომოდი, პატარა მაგიდა და ორი სკამი. შემოსასვლელ კართან პატარა სამზარეულოც მოეწყოთ. ჩრდილოეთის მხარეს — ტუალეტი და სააბაზანო იყო განთავსებული. დიდი ფანჯრიდან, რომელიც აღმოსავლეთის მხარეს გადიოდა, ოკეანის მშვენიერი ხედი მოჩანდა.

— შესაძლოა, ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც ამას შელდონი გვიამბობდა? კაცმა ქალი მოკლა და შემდეგ, გვამი ავტომობილით აქ გადმოიტანა, სანამ შელდონი დაბრუნდებოდა. სახლს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ თავისუფლად შეიძლებოდა, ვერავის შეემჩნია, თუ როგორ მოვიდა, როგორ გადმოიღო გვამი და შემდეგ უკან გაბრუნდა.

— მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, — შენიშნა დენმა.

— რომელი?

— შესაძლებელია, ის აქვე იყოს მოკლული. შეხედე, იატაკზე, მის ქვეშ სისხლია. ოთახში სხვაგან არსად არ არის სისხლი.

ის მართალი იყო. ნათელი იყო, რომ ქალი იქ მოკლეს, სადაც ახლა ესვენა.

დენი მძიმედ წამოდგა ფეხზე.

— სხეული უკვე ცივია. როგორც ჩანს, ის დილიდან აქაა. ე.ი. ქალი უკვე მკვდარი იყო, როცა ჰორეისმა დააკაკუნა.

დენი კომოდთან მივიდა. სუნამოების, ნელსაცხებლებისა თუ ფერ-უმარილის გარდა, იქვე მისი ხელჩანთაც იდო. დენმა გახსნა და ყველაფერი კომოდის ზედაპირზე გადმოყარა. ჩვეულებრივი წვრილმანები, ქინძისთავები, მონეტები, სიგარეტის ღერები... გარდა ამისა, ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზეც ტელეფონის ნომერი ეწერა: □□8-62-13. აგრეთვე, საფულე, რომელშიც 63 დოლარი და ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იდო.

— ეს, შესაძლოა, არც იყო მკვლელობა ძარცვის მიზნით, — ვისროლე მე.

დენმა საფულეში ჩადებული დოკუმენტების დახარისხება დაიწყო. ბოლოს, მანქანის მართვის მოწმობასაც მიაგნო და ხმამაღლა წაიკითხა:

— მონიკა ბაროუზი, ქალი, თეთრკანიანი, ოცდათერთმეტი წლის. 3106, უეილფილდ სტრიტი, ოთახი 6. კინგსტონი. მეორე მხარეს წარწერაა: „დარღვევები არ აქვს“.

კეფა მოიფხანა და მთხოვა, ტელეფონით ჯერი და ექიმი სტებინსი გამომეძახებინა. აგრეთვე, შემევლო შელდონთან და გამეფრთხილებინა, რომ შერიფი მის ნახვას აპირებდა.

პოლიციის განყოფილებაში დავრეკე და №1 კოტეჯისკენ გავეშურე. დავაკაკუნე. იქვე ახლოს შელდონის ავტომანქანა იდგა.

— ვინ არის? — მკითხეს შიგნიდან.

— შერიფის თანაშემწე, დოქტორო.

— შემოდით, კარი ღიაა.

შევედი. შელდონის ბინა მეზობელი ბინის ზუსტი ასლი იყო. ის სიგარეტს ეწეოდა და ჭერში იყურებოდა. საწერ მაგიდაზე გადაშლილი წიგნი იდო, რომელსაც ყდა ზემოთ ჰქონდა მოქცეული.

— შერიფს თქვენთან საუბარი სურს, დოქტორო, — ვუთხარი.

ის ნელა წამოჯდა. სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა და პერანგს გადასწვდა, რომელიც მეორე საწოლზე იდო.

— ქალი გამოჩნდა?

— დიახ, გამოჩნდა.

მან პერანგი და შორტი ჩაიცვა და ფეხები უზარმაზარ მოკასინებში ჩაყო. მაგიდაზე, წიგნის გვერდით, აბებით სავსე შუშის პატარა ფლაკონი იდგა.

— რისთვის დავჭირდი შერიფს? — მკითხა შელდონმა.

— ამას თვითონ გეტყვით, მე მხოლოდ მის მითითებას ვასრულებ.

სახლიდან გამოვედით და №2 კოტეჯამდე პლაჟის გავლით უხმოდ მივედით. როცა ხის კიბის საფეხურებზე ავდიოდით, შელდონმა პოლიციის მანქანა შეამჩნია და როგორღაც დაეჭვებით იკითხა:

— განა ეს მისის მეისფილდის სახლი არ არის?

თავი დავუქნიე და ნაბიჯს ავუჩქარე, რომ დენთან და ჰორეისთან მივსულიყავი, რომლებიც „პონტიაკის“ გვერდით იდგნენ.

როცა მივუახლოვდით, დენმა „პონტიაკს“ შემოუარა და გვითხრა:

— დოქტორო, მისის მეისფილდი ნაპოვნია. ვფიქრობ, პიტი უკვე გაცნობებდათ ამ ამბავს.

შელდონმა თავი დაუქნია.

— ის აქაა, სახლში, — განაგრძო დენმა. მან თვალები ოდნავ მოწკურა: — ის მკვდარია. მოკლული.

შელდონს ყბა ჩამოუვარდა.

— მოკ-ლუ-ლი?

— დიახ, მოკლულია. ამ საქმეს ზოგიერთი უცნაური გარემოება ახლავს. ჰორეისმა მითხრა, რომ თქვენ აქ დასასვენებლად და ნერვების სამკურნალოდ ჩამოხვედით. მაგრამ მე მაინც მინდოდა მეთხოვა, რომ გვამი გენახათ, თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო.

— რისთვის? — იკითხა შელდონმა. — ამ სასტუმროში მხოლოდ ერთ მობინადრეს ვიცნობ — მისტერ დანვუდს. გუშინ საღამოს მე და მან ჭადრაკი ვითამაშეთ.

— მე ის უკვე ამოვიცანი, დენ. რაღა საჭიროა, რომ დოქტორ შელდონს უჩვენოთ? არცთუ ისე სასიამოვნო სანახაობაა.

— რას იტყვით, დოქტორო? — შეეკითხა დენი.

— თუკი ეს... თუკი ეს აუცილებელია, შერიფო...

— მაგრამ მაინც... — დენი სახლთან მივიდა, კარი გამოაღო და შელდონს მიუბრუნდა.

დენი, შელდონი და მე შევედით. შევნიშნე, რომ გვამის დანახვაზე შელდონი ძალზე დაიძაბა. ეს აბსოლუტურად ბუნებრივი რეაქცია გახლდათ. შემდეგ მან კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა და მოკლულის სახეს დააკვირდა. მერე მისკენ აკანკალებული ხელი გაიშვირა და თქვა:

— ეს... ეს ისაა! ეს მონიკაა!..

— სწორედ ეს სახელი ახსენეთ ამ დილასაც, — უთხრა დენმა. — და სწორედ ეს სახელი წერია მის დოკუმენტებშიც.

— რა ურთიერთობა გქონდათ თქვენ და მონიკა ბაროუზს? — შევეკითხე მე.

შელდონმა გვამს ზურგი აქცია.

— მონიკა და მე ერთმანეთს ვიცნობდით. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. ესაა და ეს. ალბათ, ხუთი ან ექვსი წელი იქნება, რაც არ მინახავს. შერიფო, არ მესმის...

— დოქტორო, განსაკუთრებულს ვერაფერს ამჩნევთ?

შელდონმა თვალები დახუჭა.

— ამ დილას მას სწორედ ასე ეცვა. ეს

# ფოტოგრაფის ჟურნალისტი მუზა

მარტი რომ ქალების თვედ არის მიჩნეული, ეს ბევრმა მამაკაცმა კარგად იცის და ამ თვის დადგომისთანავე იწყებს ზრუნვას მის გარშემო მყოფი ქალბატონების გულის გასახარებლად. ზუსტად 8 მარტს — ვერა, მაგრამ 28 მარტს ფოტოგრაფმა **მიხეილ როსტომაშვილმა** ერთ-ერთ ქართველ ჟურნალისტ ქალს — თამარ ძინძიბაძეს საკუთარი ფოტონამუშევრების გამოფენა მიუძღვნა და მას „განწყობილება" დაარქვა. მან ფოტონამუშევრები სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ დარბაზში გამოფინა.

მიხეილ როსტომაშვილი ამ საქმეს უკვე 30 წელია ემსახურება და ამჟამად, საგამომცემლო სახლ „კვირის პალიტრის" ფოტოგრაფი გახლავთ. ის წლების განმავლობაში თანამშრომლობდა სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემასთან. რაც შეეხება აღნიშნულ ექსპოზიციას, — ეს მისი რიგით მეშვიდე პერსონალური გამოფენა გახლავთ.





**მიხეილ როსტომაშვილი:**

— ამჯერად მინდოდა, ფირზე აღმებეჭდა ერთი რიგითი ადამიანის ცხოვრების ფრაგმენტები. ისინი სულ 39 ფოტოსურათშია თავმოყრილი, რომლებსაც 2000 წლიდან ნელ-ნელა ვიღებდი. ბუნებრივია, შეუძლებელია, ადამიანის ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე კადრად დაყო. მაგრამ ჩემს ნამუშევარში სიახლე ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით ერთი ადამიანის „ყოველი ნაბიჯის" ფირზე გადატანა არავის უცდია, მით უფრო — არაცნობილი სახის. ცოტა ხანში, ამავე ხერხით პოპულარული პიროვნების გადაღებას ვაპირებ.

— **რატომ აირჩიე თამუნა ძინძიბაძე შენი ნამუშევრების მთავარ გმირად ანუ მუზად?**

— ლაღი, თავისუფალი ადამიანია. მასთან მუშაობა ჩემთვის ადვილი იყო. ამ გამოფენას ზაფხულში ბათუმში წავიღებ, რადგან ფოტოების უმეტესობა იქ არის გადაღებული. ■





# სტეფანეს მიერ დასაჩუქრებული „ჯიგარი" ანჟელიკა ვარუმი და მისი ქართველი ფანები

უკვე ტრადიციად დაამკვიდრეს კომპანია „არტ-ფორუმმა" და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-მა ერთობლივი პროექტების ჩატარება. 30 აპრილს, კლუბი „ნაით ოფისი" მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას დაეთმო, სადაც ამ კომპანიების მიერ თბილისში ჩამოყვანილი, რუსული ესტრადის კაშკაშა ვარსკვლავი — ანჟელიკა ვარუმი და მისი ბენდი გამოდიოდა. კლუბში ანჟელიკას უამრავმა ქართველმა ფანმა მოიყარა თავი, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი 60 ლარი ღირდა, ხოლო VIP ადგილები — 200 ლარი. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ სცენაზე ვარუმის გამოჩენას, რომელიც თბილისში კიევიდან საკმაოდ კარგი განწყობილებით ჩამოფრინდა.

**კახაბერ ცისკარიძე,** *„არტ-ფორუმის" პროდიუსერი:*

— ანჟელიკა ვარუმის ჩამოყვანაზე ფიქრი შემოდგომიდან დავიწყეთ, მას მერე, რაც აქ მისი მეორე ნახევარი — ლეონიდ აგუტინი იმყოფებოდა, რომელმაც იან ჰომერის საჩოგბურთო კორტების გახსნისას დიდი კონცერტი გამართა.

— **არ გიფიქრიათ, რომ ცოლ-ქმარი ერთად ჩამოგეყვანათ?**

— შეიძლება, მალე ესეც დავგეგმოთ. მთავარია, რომ თბილისი ორივეს ძალიან უყვარს...

— **დაძაბულ რუსულ-ქართულ პოლიტიკურ ურთიერთობას ანჟელიკასთვის ხელი არ შეუშლია?**





# „ერთი ქალის ისტორიას" ნატო გელაშვილთან ერთად ქართველი მომღერლებიც მოგვიყვებიან...

**ნატო გელაშვილმა წლების წინ თავისი პირველი სიმღერა როგორც კი საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა, მსმენელმა ის მაშინვე შეიყვარა. მას მერე ბევრი დრო გავიდა. დღესდღეობით კი ნატო უკვე საკმაოდ ცნობილი ავტორ-შემსრულებელია, რომლის სიმღერებსაც არათუ სიამოვნებით ისმენენ მსმენლები, თავადაც მღერიან. ამიტომ მას უამრავი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი ჰყავს. მისი ნამუშევრები რადიოსადგურების ჰიტათეულებში ხშირად მოწინავე ადგილებს იკავებს. ასე რომ, კომპოზიტორის შემოქმედებაში ახლა ის ეტაპია, როდესაც მან გაბედა და კომპანია „არტ რუსთავს" ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში თეატრალიზებული კონცერტის სახელწოდებით — „ერთი ქალის ისტორია" გამართვაზე დათანხმდა (სწორედ ეს კომპანია გახლავთ საღამოს ორგანიზატორი). ეს ნატო გელაშვილის პირველი სოლო კონცერტი იქნება ფილარმონიის სცენაზე, ის 18 აპრილს გაიმართება.**

**პროექტის რეჟისორი ბაკურ ბაკურაძეა. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები: მერაბ სეფაშვილი, ნუკრი კაპანაძე, მაია ჯაბუა, ლელა წურწუმია, ლიზა ბაგრატიონი... მოკლედ, საქმეში მთელი ჯარია ჩართული. შესრულდება ნატოს სიმღერებზე შექმნილი ცნობილი დუეტებიც. თუ ორგანიზატორებსა და რეჟისორს დავუჯერებთ, დაუვიწყარი სანახაობის მომსწრენი გავხდებით. იმავე დღეს იქვე მოეწყობა ნატოს ლექსების კრებულის პრეზენტაცია. ეს ის ლექსებია, რომლებსაც ავტორი მხოლოდ პოეტურ ნაწარმოებებად მიიჩნევს, ამიტომ მათზე სიმღერები არ დაიწერება.**



*ლალი ფაცია*

**ბაკურ ბაკურაძე:**

— ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ ნატოს კონცერტის რეჟისორობა მე დამაკისრეს. თითქოს ყველანი შეჩვეულები ვართ იმ აზრს, რომ ნატო ქალაქური სიმღერების შემქმნელი კომპოზიტორია. როდესაც კონცერტის მზადებისას კიდევ ერთხელ გავეცანი მის შემოქმედებას, აღმოჩნდა, რომ ქალაქური სიმღერა ნატოს სულ რაღაც 5 აქვს, დანარჩენი — ლირიკული, ქართული ტრადიციული ესტრადის ნიმუშები გახლავთ, საოცრად შინაარსიანი და მუსიკალურად გამართული. პროგრამის აწყობისას, იმასაც მივხვდი, რომ მისი ყველა სიმღერა ზეპირად მცოდნია. უზარმაზარი მასალაა. მისი ერთ საღამოზე აჟღერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია და 30-31 ნამუშევარზე შევჩერდით.

— **ეს ხომ ნატო გელაშვილის პირველი სოლო კონცერტი იქნება ფილარმონიის სცენაზე. რას შემოგვთავაზებთ, როგორც რეჟისორი?**

— ნატოსთან, როგორც თანამშრომელთან, ამჯერად პირველად მიწევს შეხვედრა, თუმცა ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ. ეს იქნება თეატრალიზებული კონცერტი, მსახიობებად თავად მომღერლები მოგვევლინებიან. ნატო ჯერ საკუთარ ლექსებს წაიკითხავს, ყველაფერი ერთად კი ისე შეიკვრება, რომ „ერთი ქალის ისტორიას" შევიტყობთ — ანუ ერთი ქალის ისტორიას სცენიდან სხვადასხვა ადამიანი მოგვითხრობს.

— **რას იტყვი ნატოზე, როგორც შემოქმედზე? ის მრავალმხრივი ნიჭით არის დაჯილდოებული: წერს ლექსებს, სიმღერებს, თავადვე ასრულებს...**

— მთავარი ის არის, რომ ის ხალხისთვის საყვარელი ხელოვანია. ხალხის გულის მოგება ადვილი არ არის, საკმაოდ რთულია. ეს ნატომ შეძლო. თუკი თანამედროვე საქართველოში ვინმე სახალხო კომპოზიტორისა და მუსიკოსის ტიტულს დაიმსახურებს, ეს უპირველესად ნატო გელაშვილს ეკუთვნის. ამ სიტყვებს გულით ვამბობ და ამაში ეჭვი არავის შეეპაროს. მისი ნებისმიერი ნამუშევარი — ჰიტია, რომელიც ხალხმა შეიყვარა და აიტაცა.

**ნატო გელაშვილი:**

— „არტ რუსთავის" თხოვნით დავთანხმდი, რომ ფილარმონიაში გამემართა ჩემი პირველი სოლო კონცერტი. სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან ვღელავ... 18 აპრილისთვის ერთი ახალი სიმღერაც დავწერე. ახლა ალბომზეც დავიწყე მუშაობა — „სანო სტუდიაში" ჩავწერე 12 სიმღერა. რატომღაც მხოლოდ ავტორისეული შესრულებით უნდოდათ, რომ ყოფილიყო. გამოვიდა ასევე ჩემი ლექსების კრებულიც.

— **ე.ი. რომ გვპირდებოდი — „აყვავდება როცა ნუშის" მერე დიდ სიურპრიზებს გპირდებითო, ამას გულისხმობდი?**

— ჰო-ო (*იცინის*), ასეა. აყვავდა ნუში და მეც გავცოცხლდი.

— **მოდი, შენი ლექსების კრებულიდან ერთი ლექსი წაგვიკითხე.**

— სახლი გაივსო მტვრითა და ჭუჭყით,/ სუნთქვა გაჭირდა, ჰაერზე გავედი,/ ჰაერის მოსაძებნად დიდი დრო დამჭირდა,/ უცნაურია, მზიან ამინდში თვალზე მაწვიმდა;/ ხომ არ დაგინახავთ, ხომ არ დაგინახავთ,/ როდის გაწვიმდა?!.. ■



## იაპონიაში Civic Type R-ის გაყიდვა დაიწყო



რამდენიმე დღის წინ, Honda-ს წარმომადგენლებმა იაპონიაში ახალი მოდელის — Civic Type R — გასაღების დაწყების შესახებ გამოაცხადეს. მას 24 ცხ.ძ-ით მეტი სიმძლავრე აქვს, ვიდრე ევროპული ბაზრისთვის განკუთვნილ ამავე სახელწოდების ჰეჩბექს. წინახიდიანი სედანი — Civic Type R — 30 მარტიდან იყიდება. ავტომობილი ორლიტრიანი, ოთხცილინდრიანი, 225 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი, რომელიც ექვსსაფეხურიან მექანიკურ გადაცემათა კოლოფით იმართება. Type R საბაზო სედანისგან ე.წ. დიფუზორებით, საბარგულის სახურავზე დამონტაჟებული სპოილერით, აგრეთვე კაპოტითა და ბამპერებით განსხვავდება. მანქანა Brembo-ს სამუხრუჭე მოწყობილობით, ბორბლების 18-დუიმიანი დისკებითა და Bridgestone Potenza-ს საბურავებითაა აღჭურვილი, რომელიც მხოლოდ ექსკლუზიური 3 ფერით იქნება წარმოდგენილი.



ავტომობილის ფასი 2 მილიონ 835 ათასს იენს (24 ათას დოლარს) შეადგენს. Honda თვეში დაახლოებით 400 მანქანის გასაღებას გეგმავს. ■

## დაჯავშნული Range Rover Vogue Security

კომპანიამ — Land Rover — მარკის ისტორიაში პირველი სერიული დაჯავშნული მანქანა წარმოადგინა. Range Rover Vogue Security სპეციალური — B4 და B6 კლასების დაცვითაა აღჭურვილი. მაქსიმალურად დაცული Range Rover ათი მეტრის მანძილიდანაც „კალაშნიკოვის" ავტომატის 7,62 კალიბრის ტყვიებისთვისაც გაუმტარი იქნება. მანქანის ძირი ორი ხელყუმბარის აფეთქებას გაუძლებს, ხოლო მისი საწვავის ავზი თვითჰერმეტიზაციის სისტემითაა აღჭურვილი. Range Rover Vogue Security-ის საბურავები, ჰაერისგან სრულად დაცლის შემთხვევაშიც კი არ შეუშლის მძღოლს ხელს მანქანის ნორმალურად მართვაში.

ოპციის სახით მომხმარებელს ძრავას ხანძარსაწინააღმდეგო სისტემას, მრავალტონალურ სირენას, სალონში ჰაერის დამოუკიდებლად მისაწოდებელი ჟანგბადის ბალონებსა და საკომუნიკაციო სისტემა „ინტერკომს" შესთავაზებენ. დაჯავშნის შედეგად, Range Rover-ის მასა ორიდან სამ-ნახევარ ტონამდე გაიზარდა. შეიმუშავეს ახალი სამუხრუჭე მექანიზმი, რაშიც კომპანია Prodrive-ის სპეციალისტები დაიხმარეს. დაჯავშნული Range Rover-ის ფასი ჯერჯერობით უცნობია. ■



## სამი კონცეპტუალი General Motors-ისგან

ნიუ-იორკის ავტოსალონზე კონცერნი General Motors სამ კონცეპტუალურ მიკროლიტრაჟიან მანქანას წარმოადგენს, რომლებიც მსოფლიოს უმსხვილეს ბაზრებზე გასაყიდად განკუთვნილი, მომავალი „გლობალური" მოდელების პროტოტიპებად უნდა იქცნენ. სამივე ახალი მოდელი GM-ის სამხრეთკორეულმა სტუდიამ შეიმუშავა. პირველი ავტომობილის — Chevrolet Trax-ის ფოტოები ზოგიერთი საზღვარგარეთული გამოცემის საიტზე უკვე გამოქვეყნდა. თავისი პროპორციებით, ეს მანქანა Chevrolet Spark-ს მოგვაგონებს. იგი საკმაოდ აგრესიული გარეგნობით გამოირჩევა. ცნობილია ისიც, რომ ნიუ-იორკის ავტოსალონზე გასატანი Trax ეკონომიური 1-ლიტრიანი ბენზინის მოტორით აღიჭურვება.

დანარჩენი ორი სიახლის შესახებ General Motors-ს ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ გაუვრცელებია. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც მათი ოფიციალური პრემიერები გაიმართება. ■




გამოიწერეთ!

● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. Авторевю | 3,50 | 42,00 |
| 2 Автомир | 2,50 | 65,00 |
| 3 Клаксон | 3,50 | 42,00 |
| 4 Автомобильный транспорт | 37,00 | 222,00 |
| 5 Автопилот (комерсант) | 10,00 | 60,00 |
| 6 Автоспорт | 3,50 | 21,00 |
| 7 За рулем | 7,00 | 42,00 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო

ქ. თბილისი
[illegible] ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

## (12 – 18 აპრილი)

**ვერძი 21.03-20.04**

გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, უფრო აქტიური, ენერგიული გახდებით, ოპტიმისტური განწყობილება დაგეუფლებათ და ადვილად მიიპყრობთ გარშემო მყოფთა ყურადღებას. მოცემულ პერიოდში ძალზე მნიშვნელოვანი იქნება თქვენი დამოკიდებულება მშობლებისა და შვილების მიმართ.

**კურო 21.04-20.05**

ეს პერიოდი მატერიალურ სტაბილურობას მოგიტანთ. ამრიგად, თამამად შეგიძლიათ ხარჯოთ ფული გართობასა და საყიდლებზე. ახლობლების თვალში კეთილ ფერიად იქცევით, რომელიც მხიარულ დღესასწაულებს აწყობს და საჩუქრებს არიგებს.

**ტყუპი 21.05-21.06**

ამ კვირას გაგიჩნდებათ სურვილი, სიხარული და სიამოვნება მიანიჭოთ გარშემო მყოფებს. ადვილად შეძლებთ საწინააღმდეგო სქესის ყურადღების მიპყრობასაც. უქმე დღეები აქტიურ გართობას დაუთმეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

თქვენში იმდენად მძლავრი იქნება ძალაუფლების მოპოვებისა და წინსვლის წყურვილი, რომ თანამშრომლებთან ურთიერთობა ერთობ გაგიმწვავდებათ. თუმცა თქვენი თანამოაზრეების სურვილებსა და მათ ფინანსურ შესაძლებლობებს თუ გაითვალისწინებთ, სასურველ შედეგს ადვილად მიაღწევთ.

**ლომი 23.07-23.08**

ამჯერად რელიგია, ფილოსოფია და უცხო კულტურები გაგიტაცებთ. ეს დრო ხელსაყრელია განათლების დონის ასამაღლებლად და თვალსაწიერის გასაფართოებლად. ენთუზიაზმი სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებას და საქმიან პარტნიორებთან ხელშეკრულებების დადებაში დაგეხმარებათ. არ არის გამორიცხული, რომ გაწეული შრომისთვის პრემიაც მოგანიჭონ.

**ქალწული 24.08-23.09**

ამ კვირას უჩვეულოდ აქტიური იქნებით და გაგიჩნდებათ სურვილი, მოიპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. თუმცა თქვენი წინსვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებთ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას.

**სასწორი 24.09-23.10**

თუ გსურთ მატერიალური სტაბილურობა შეინარჩუნოთ, ამისთვის ბევრი შრომა მოგიწევთ, რადგან ერთი შეხედვით მომგებიანი ფინანსური ოპერაცია შესაძლოა, სრული მარცხით დასრულდეს. ეს დრო უფრო ხელსაყრელი იქნება შემოქმედებითი ან საგამოძიებო საქმიანობისთვის.

**მორიელი 24.10-22.11**

ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი საქმეებისგან მოგაცდენთ. შექმნილი ვითარება კი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღების და წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმისკენ გიბიძგებთ. ამ პერიოდში მწვავე უთანხმოებაა მოსალოდნელი. შეეცადეთ, ვალები დროულად გაისტუმროთ.

**მშვილდოსანი 23.11-21.12**

ამ კვირას თქვენს ყურადღებას ოჯახური საქმეები მიიპყრობს. არამდგრადი მატერიალური მდგომარეობიდან გამოსავალს იმ შემთხვევაში იპოვით, თუ უცხოელ პარტნიორებთან კავშირის დამყარებას შეძლებთ. ამ პერიოდში გრძელვადიანი პროექტების წამოწყება არ ღირს.

**თხის რქა 22.12-20.01**

ამ დღეებში საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ, უმჯობესია, საქმეში ოჯახის წევრები ჩართოთ. კარგი იქნება, თუ კვირის ბოლოს სამოგზაუროდ წახვალთ ან მეგობრებთან ერთად ბუნების წიაღში დაისვენებთ.

**მერწყული 21.01-19.02**

დროა ოჯახური კავშირების განმტკიცებას ან პარტნიორის ძიებას შეუდგეთ. მოცემული პერიოდი არაჩვეულებრივია სასიყვარულო ურთიერთობისთვის, მთავარია, პარტნიორის თავისუფლება არ შეზღუდოთ. ამ დღეებში მოგზაურობა გელით, რომლის დროსაც ახალ საქმიან კავშირებს დაამყარებთ.

**თევზები 20.02-20.03**

ამ კვირას მოგეცემათ შანსი შეიცვალოთ ბინა, პროფესია ან სამუშაო ადგილი. ყოველივე ეს კი იმის საშუალებას მოგცემთ, რომ თქვენი ნიჭიერება და ფარული მონაცემები გამოამჟღავნოთ. თუმცა, გახსოვდეთ, წარმატებას მხოლოდ გარკვეული ძალისხმევის ფასად მიაღწევთ.

იყიდება აპრილის ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...



**იმისთვის, რომ „მესიჯომანიაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია). და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**

## qalebi

1. ვარ 22 წლის. გავიცნობ ბათუმელ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვისაც უნდა ნამდვილი სიყვარული, დამიმესიჯოს. ნომერი მარისთანაა. ბათუმი.

2. ვარ 30 წლის. ვეძებ კარგ პიროვნებას, საქმროდ. ლაწირაკები არ შეწუხდნენ.

3. ვეხმაურები მე-12 მესიჯის ავტორს, რომელიც ეძებს რძალს ძმისთვის.

4. ამ ცხოვრების შემყურე პესიმისტად ვიქეცი. ხალხო, რამე მიშველეთ, თორემ გადავირევი. 40 წლის მტირალა.

5. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს, 45 წლამდე. ვარ 30 წლის, სიმპათიური, უმაღლესი განათლებით, თბილისელი. ლიკა.

6. ვარ 28 წლის. მინდა, სამეგობროდ გავიცნო 30-35 წლის მამაკაცი.

7. მინდა, გავიცნო 35 წლამდე ასაკის სერიოზული ბიჭი, სამეგობროდ. ნინო.

8. გადამრიეს ამ კაცებმა. ყველას მდიდარი და თბილისელი გოგო უნდა. ღარიბი და მოწყენილი, მწვანეთვალება ანგელოზი არ გინდათ?

9. ვარ 30 წლის, კარგი წარსულით, სერიოზული. დანარჩენი მერე იყოს. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. თხის რქა.

10. ვარ 32 წლის, აღმოსავლეთ საქართველოდან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 38 წლამდე ასაკის, სერიოზულ, სამსახურით უზრუნველყოფილ მამაკაცს. დუმფარა-32.

11. მარი, აყარე ეგ ბერბიჭები, თორემ დავრჩი ანგელოზივით გოგო გაუთხოვარი. მის-36.

12. გავიცნობ ვინმეს, სამეგობროდ. სქესს მნიშვნელობა არ აქვს. გელოდებით. ჩემი ნომერი მარისთანაა. ტა-15.

13. მინდა, „გზა“ №14-ის, 21-ე მესიჯის ავტორს, ზუკას გამოვეხმაურო. თუ საინტერესო ადამიანი ხარ, დამიმესიჯე. შენი მატერიალური მდგომარეობა არ მაინტერესებს. მარი, მხოლოდ ზუკას მიეცი ჩემი ნომერი.

14. ვარ 43 წლის, გასათხოვარი „მორიელი“. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი გაწონასწორებულ, საქმიან მამაკაცს.

15. მარი, ნუგოს ნომერი მომეცი, თუ შეიძლება.

16. მინდა, გავიცნო ადამიანი, მამაკაცი „არესტანტი“. 27-დან 32 წლამდე ასაკის. მარი, ვინც პირველი დაგირეკავს, იმას მიეცი ჩემი ნომერი. მეორე და მესამე უკვე ზედმეტია. გოგონა.

17. ვეხმაურები წინა ნომრის მე-11 მესიჯის ავტორს. ნიკა, სიამოვნებით გაგიცნობ. მეც ვაფასებ მორწმუნე და პატიოსან ადამიანებს. ჩემი ნომერი მარისთანაა. შემეხმიანე, სოფო.

18. 25 წლის და ლამაზი გოგო ვარ. ვოცნებობ წმინდა სიყვარულზე, მაგრამ ყველა მამაკაცს მხოლოდ სექსი აინტერესებს. ნუთუ, აღარ არსებობს კაცი, რომელსაც წმინდა სიყვარული შეუძლია? ია.

19. „გზა“ №14, 25-ე მესიჯის ავტორს, 21 წლის ბიჭს მიეცი ჩემი ნომერი. მზად ვარ, გვერდით დავუდგე. ყველანი მიყვარხართ. მაგრები ხართ. გკოცნით. ფისუნია. :)))

20. ვეხმაურები მალუს. სიამოვნებით გაგიცნობ, ჩემო კარგო. პუპსიკა.

21. ვარ 38 წლის, ვცხოვრობ ფოთში. გახლავართ სამსახურით უზრუნველყოფილი და ძალიან მხიარული, მაგრამ დღემდე ვერ ვიპოვე მეგობარი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი ნორმალურ მამაკაცს.

22. „ზდაროვა“. :) ვარ 20 წლის, შავგვრემანი, „ძაან“ ქალი. :) გამომეხმაუროს 21-28 წლის ბათუმელი, სიმპათიური, ასევე შავგვრემანი „ძაან“ კაცი. :) მეც ბათუმელი ვარ! ნატულია.

23. ძალიან მინდა მყავდეს „სმს“-მეგობარი. ვინც გამომეხმაურება, არ ინანებს. კაცებში არ მიმართლებს და იქნებ, მეგობარმა მიშველოს? ტანჯულა.

24. პირველად გწერთ. ვარ 25 წლის გოგო. მინდა, გავიცნო 30 წლამდე ასაკის, ნორმალური ბიჭი, სამეგობროდ. გასართობად ნუ შეწუხდებით. თამუნა.

25. ვეხმაურები მე-11 მესიჯის ავტორს, 27 წლის ნიკას. დამიმესიჯე. ნომერი მარისთანაა.

26. გავიცნობ 21-25 წლის სერიოზულ ბიჭს. აუცილებელია იყოს მორწმუნე, განათლებული, სიმპათიური, კაცური, ტრადიციული... აბა, ვინ მასწავლის ამ ოხერ სიყვარულს? :) მის ანომალია.

27. კაცებო, სად გაქვთ თვალები და ინტუიცია? აბა, ჩემი 40 წლის უმშვენიერესი მეგობარი გასათხოვარი რატომ დატოვეთ? იცით, რა გოგოა? გამომეხმაურონ სერიოზული, მარტოხელა მამაკაცები.

28. ვარ 15 წლის, 176 სმ სიმაღლის და 53 კგ. ყოფილი მოდელი. გოიმებმა და სოფლელებმა თავი შეიკავეთ. ჯოლი.

29. ვარ 29 წლის, ცისფერთვალება, ლამაზი ქალიშვილი. გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის, განათლებულ მამაკაცს. ლალიკო.

30. მე ვარ თამუნა, ფოთიდან, 19 წლის. უკვე მინდა მუშაობა დავიწყო. კიდევ, ისეთი მამაკაცი, რომელთანაც გულახდილი საუბრები მექნება. ოღონდ, ტყუილს ვერ ვიტან.

31. ვარ მაღალი, გამხდარი, სასიამოვნო გარეგნობის გოგო. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის, 28-32 წლის ბიჭს. მატყუარებმა და უსაქმურებმა თავი შეიკავეთ.

32. მე მარი ვარ. ვცხოვრობ და ვმუშაობ ათენში. ვარ 38 წლის, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი. მსურს, გავიცნო ათენში მცხოვრები ქართველი მამაკაცი, არახშირი შეხვედრებისთვის. დასაქმებული და არა ალფონსი. მსურველს ნომერი მიეცით.

33. მყავს სიმპათიური, პატიოსანი დაქალი, 34 წლის, ქვრივი. ჰყავს 1 ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით დაუკავშირდით. რუსუდანი.

## mamakacebi

1. პრივეტ, მარი. ახლა მეგობრის ნომრიდან გწერთ. განადგურებული ვარ. გახლავართ 19 წლის, მაღალი, შავგვრემანი ბიჭი. მქვია ცოტნე. ცოლი მინდა!

2. ვეხმაურები 30 წლის ქალბატონს, რომელსაც მარტოობა მოჰბეზრდა. თუ დაინტერესდები, ნომერი მარის გამოართვი. რამაზი.

3. ვარ 23 წლის, 176/80, დასაქმებული ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ კარგ გოგოს.

4. ვარ 27/180/82 კაცი, ცისფერი თვალებით. სამეგობროდ გავიცნობ 18-დან 35 წლამდე ყველანაირად უზრუნველყოფილ მანდილოსანს, რომელსაც მხოლოდ მამაკაცის სითბო აკლია.

5. ვეხმაურები გზა №14-ის, 10-ე მესიჯის ავტორს. ვარ 26 წლის, საშუალო სიმაღლის ბიჭი. სერიოზული ურთიერთობა მინდა. მარი, გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი. გთხოვ.

6. ვარ 25 წლის მამაკაცი, თბილისელი, დასაქმებული. გავიცნობ 23-30 წლის მანდილოსანს, რომანტიკული და ლამაზი ურთიერთობისთვის. გელოდები, ჩემო კარგო.

7. მე ვაკო ვარ, 5 თვის და 15 დღის ულამაზესი ბიჭუნა. ვეხმაურები მაია რჩეულიშვილს. მინდა, გავიცნო. დიდი სიყვარულით, ვაკო შაქარაშვილი.

8. ვეხმაურები „გზა“ №14-ის, 25-ე მესიჯის ავტორ ქალბატონს. გთხოვთ, მომცეთ ნომერი.

9. ვარ 26 წლის, სიმპათიური მამაკაცი, 186 სმ სიმაღლის. გავიცნობდი 25-35 წლის მანდილოსანს, რომელიც მაგრძნობინებს, თუ რას ნიშნავს ნამდვილი ქალი. ძალიან მინდა, სექსით დამღალოს. ნომერი მარისთან იქნება.

10. გავიცნობ 16-17 წლის გოგოს. ვარ მაღალი, გამხდარი, კარგი გარეგნობის ბიჭი. ვცხოვრობ თელავში. სოიერი. არ „გაგიტყდეთ“, თამამად იმოქმედეთ.

11. ვარ 17 წლის, ფეხბურთელი ბიჭი. ვისაც უნდა ჩემი გაცნობა, დამიმესიჯეთ ამ ნომერზე: 8.95.19.43.66. გიორგი.

12. ვარ 15 წლის, სპორტული აღნაგობის. გავიცნობ ქუთაისელ გოგონას, ინტიმური შეხვედრებისთვის. დამიმესიჯეთ!

13. მარი, ძვირფასო და კეთილო ადამიანო, №13-ზე ამბობენ, თარსიაო და №19 მესიჯის პატრონი ფლორენციაში თუ გამატარ-გამომატარებს, უარს არ ვიტყოდი. გონდ ვაჩ.

14. მარი, „სათუთის“ ტელეფონის ნომერი გამომიგზავნე, რაა...

15. ვეძებ 40-45 წლის მანდილოსანს, გართობის მიზნით. ვარ ყველანაირად უზრუნველყოფილი. გთხოვთ, დაბეჭდოთ. ვნებიანი ბესო.

16. მარი, გთხოვ, „გზა“ №14-ის, მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი მომეცი. მაგრად გთხოვ. გიო.

17. მარი, მე-12 ნომრიდან ქუთაისელი ქერათმიანი, მწვანეთვალებას ნომერი გამომიგზავნე, გთხოვ. დროა, ოჯახი შევქმნაო, აი, ამას წერდა. გელოდები.

18. ვარ 27 წლის. ვეხმაურები „გზა“ №14-ის, 34-ე მესიჯის ავტორს. დავითი. P.S. მიეცით ჩემი ნომერი.

19. ვარ კლდის არწივი. მაგარ გოგოებს ველოდები. ნომერი გამოაქვეყნეთ: 8.99.13.22.39. ილო.

20. გავიცნობდი 30 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, ბათუმელ გოგოს, მეგობრობისთვის და ინტიმისთვის. რომა-27.

21. პრივეტ, მარი... დღეს წითელი პარასკევია. ღმერთმა ყველა კარგად გამყოფოთ. არ შეიძლება, რომ სურვილი ამისრულდეს? მე-13 ნომრის, მე-19 მესიჯის ავტორზე მაბოდებს. მარი, შენ რომ იყო ჩემს ადგილზე, უთუოდ მოგიგვარებდი. ღმერთი ხედავს შენს სიკეთეს. როგორ დავუკავშირდე, გამაგებინე მესიჯით, გეხვეწები. დათო.

22. ვარ 35 წლის, თბილისელი, სერიოზული, უზრუნველყოფილი მამაკაცი. ქალბატონებო, 40-დან 50 წლამდე, ვისაც გინდათ სიყვარული და დაუვიწყარი სიამოვნება, გელით. ნომერი მარისთან იქნება.

23. ვარ 24/75/180, სპორტული აღნაგობის, ქართველი ვაჟკაცი, სამსახურით უზრუნველყოფილი. სამეგობროდ გავიცნობდი ლამაზ, სტუდენტ გოგონას, ვისთანაც ურთიერთობა არ გამიჭირდება.

24. გავიცნობ „გზა“ №14-ის, მე-3 მესიჯის ავტორს, გვანცას. მიეცით ჩემი ნომერი. 19 წლის კობა.

25. ვარ 19 წლის, შავგრემანი ბიჭი. გავიცნობ საშუალო სიმაღლის გოგოს, 18 წლამდე. მსურველებს მიეცით ჩემი ნომერი (სამესიჯოდ). კობა.

26. ვარ 26 წლის მამაკაცი, სამსახურით უზრუნველყოფილი. ჩემი სახელია ვატო. გამომეხმაურო 22-35 წლის მანდილოსნები. 170 სმ-ზე მაღლები. სიყვარულთან ერთად, სექსიც მინდა.

27. მინდა, სამეგობროდ გავიცნო რუსთავში მცხოვრები ქალი, რომელსაც სჭირდება ყურადღება, სითბო და ალერსი. ნომერი მარისთანაა.

28. დამიმესიჯეთ, გოგონებო, არ ინანებთ, 28 წლის მეგობრული, მხიარული ბიჭი გელოდებათ.

29. ვარ 30 წლის, ნორმალური გარეგნობის მამაკაცი. არავის გინდათ, რომ ზღაპრული სიამოვნება მოგანიჭოთ? მანდილოსნებო, ნუ გაუშვებთ შანსს. ნომერი მარისთანაა.

30. ქართველი კაცები, რა, ქალებზე ნაკლები ვართ? ჰოდა, ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ ალბანელ, პაკისტანელ, ინდოელ, უკიდურეს შემთხვევაში, ფილიპინელ ქალს. ასაკსა და გარეგნობას მნიშვნელობა არ აქვს. აი, ასე! რაოოო? იმათ ქართული არ იციანო? ვასწავლი! პატრიოტი.

31. კარგი ურთიერთობისთვის გავიცნობ 18-25 წლის გოგოს. ვარ 18 წლის და ვცხოვრობ ათენში. ბაჩო.

## „usqeso”

• „გზა“ №13-ის, მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი მომეცით, თუ შეიძლება.

• მარი, ჩემო კარგო, „გზა“ №14-ის, 38-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერს გთხოვ. დიდი მადლობა...

• ქალბატონ მარის დიდი ბოდიში, ასე გვიან რომ ვწერ მესიჯს. გთხოვთ, „გზა“ №14-ის, 41-ე მესიჯის ავტორის ნომერი მომცეთ და მისი სახელიც მითხრათ.

• არ გინდა, გამიცნო და გული გამითბო? არ გინდა, შენ ჩემი ფიქრები გაიგო? არ გინდა, მაკოცო, ოცნება მაჩუქო? არ გინდა, ეს გული მხოლოდ შენ გაჩუქო? გელი.

• გამარჯობა, მარი. „გზა“ №14-ის, „უსქესოს“ მე-3 მესიჯის ავტორი ჩემს ნომერს ითხოვს. მიეცი ჩემი ნომერი.

• მარი, „გზა“ №14-ის, მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი მომეცი, გეხვეწები.

• ვეხმაურები „გზა“ №14-ის, 27-ე მესიჯის ავტორს. ჩემი მეილია: kalshibaia@hotmail.com. ველი პასუხს.

• „გზა“ №14-ის, 37-ე მესიჯის ავტორის ნომერი გამომიგზავნეთ.

• მარი, გთხოვ, მომცე „გზა“ №13, მე-15, მე-19 და 25-ე მესიჯების ავტორების ნომრები.

• მოკლედ, რა, ბედი არ მქონია. ვიყიდე „გზა“ და ვნახე, რომ ჩემს განცხადებას არავინ ეხმაურება. არადა, მაგარი გაგებული ვარ. სამეგობროდ გაგებულ ადამიანს გავიცნობ.

## sxvadasxva

• „აუ, სვანი ისტერიჩკა ხარ თუ ვინ ჯანდაბაც ხარ, გირჩევნია, ხევსურებს თავი დაანებო, რა! :) სვანებო, დაიხურეთ თქვენი სვანური ქუდები და „გზიდან“ აახვიეთ. გაიგეთ? ხევსურები მაგრები ვართ! ის გოგო“.

• ბოხოოო! იცი, რააა! „გზაში“ ამ მესიჯს რომ ნახავ, უნდა დარეკო მარისთან და ჩემი ნომერი გამოართვა! რატომ? იმიტომ, რომ მომეწონე. „ვოტ ტაკ“! :) არადა, კოცნით გაგგუდავ! გოგო-ქისო. :) კისს.

• ფუი, რა საზიზღრობაა ცუდი ამინდი... ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბააა! :( კაკუ.

• ჩვენს ეზოში დარიაოოო, მე და ერთის განშორებააა, ნეტავ, ვისი ბრალიაოოო? :) :) :) „მიკალქალ“, გიოოო. :) :) :) რამსტამტა, რამტატა... რამტარიროოო... ნელკა.

• აუ, სკოლა და საერთოდ, სწავლა მომბეზრდა... უუუფ! :( :( :( დავიღალე, რააა... :( რამტარიროოო... რიმტარიროოო... :) :) ვინაა ჩემი სიხარულებიიი? :) :) :) ნელკა.

• ერთი, ორი, სამები, შორიდან გესალმებით. როგორ ხართ? „სტიქიამ“ ყველას ნიკზე გარითმა, ჩემს გარდა. ჩემიც გარითმე, რააა. „პატალა“ ვალ და ლექსი მინდააა... მის სიო.

• მეცინება? მეტირება? ეს ცხოვრება მერინდება! ყოველდღე ტანჯვით, ტანჯვით მეცინება! მაპატიეთ, იქნებ დღესვე, სამუდამოდ მეძინება? გიჟი პოეტი.

• ძალიან მიყვარს შოკოლადიანი ნამცხვარი. ჰოდა, ვიყიდე, მაგიდაზე დავდე და ვიფიქრე, ბარემ ყავას მოვადუღებ და მერე შევჭამ-მეთქი. გავედი სამზარეულოში და ბრახ... შემოვედი და რას ვხედავ? ჩემს 10 თვის შვილს ნამცხვარი გადმოუგდია და თითებით ზელს. თან, სიხარულისგან ბუქნებს აკეთებს. ავიყვანე ხელში და მოთხუპნული სახე, ხელები დავუკოცნე. აბა, ხომ არ გავუბრაზდებოდი? პუპსიკა.

• ნეტავ, რას ეძებთ ბეჩავნო, ხუთშაბათობით „გზაშია“, სულ ერთად დაგაქუჩებდით, ცემით გაგრეკდით მთაშია, მოგცემდით კომბალ-კავებსა, გარბენინებდით ცხვარშია!

• თავი არასდროს შეიცოდო და გაიღიმე. ამით შენს მტრებს შეცდომაში შეიყვან. პელაგია.

• ჰაი, როგორ ხართ „მილანის“ ფანებო? „მილანი“ მაგარია და აუცილებლად მოუგებს „ბაიერნს“. გააქტიურდით, „მილანის“ ფანებო! სნუპი.

• პრივეტები, ყველას! მარი, როგორ ხარ? შენი ფანი ვარ. მე ნინი გახლავარ, 22 წლის და ცოტა ბუტია, ცოტა ეშმაკუნა, ცოტაც — ჯიუტი. ვარ რომანტიკული და მომწონს ყველაფერი ლამაზი.

• ნათ, სულელურად მოვიქეცი. მაპატიე, რააა. :-( ბექა უკლება.

• ქალბატონო მარი ჯაფარიძე, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ, რომ არსებობთ. თქვენი დახმარებით ერთი ძალიან კარგი მეგობარი გოგო შევიძინე. დიდი მადლობა. სახელო.

• ხან კარგად ვარ, ხან — ცუდად. ნელკა, რას ვიზამთ? თავად როგორ ხარ? მპუა, მაგარი „ტიპშა“ ხარ. კაკუ.

• თქვენი ასაკი დაწერეთ, ვინც მე მერჩით. 14 წლის ვარ და „საღოლ“ თქვენ, თუ მე მეჯიბრებით! კაკუ.

• ნაზი მქვია. გამაგებინეთ, რა დაგიშავეთ, რომ მერჩით და მზღუდავთ? აქ დამესიჯებით ჩემს არცთუ ისე მხიარულ ცხოვრებას ვიხალისებ... :-( :-( :-( კაკუ.

• „მესიჯომანო“, რა საყვარელი ხარ, „გენათალევო“. რაც მაგრები ვართ, მესიჯომანები ვართ! კაკუ.

• ნომერს აღარ გამოვაქვეყნებ. დიდი სისულელე იქნება, ჩემი მხრიდან. კაკუ.

• რაცხააა... ისე, რაჭველებო, რომელ სოფლებში „ქალთ“? მე უწერაშიიი... „სტიქუშ“, მართლა 20-ის ხარ? „ვენათალე“ „გზას“. მპუა ყველააას. :) :) ნელკა.

• მარიმ მესიჯი დამიბეჭდა „გზავნილებში“. მარი, რა ჯიგარი ხარ! შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ გამახარე. კაკუ.

• ჩემი წყენა არ შეიძლება, სპაზმები მეწყება და ვიხრჩობი. თუ თქვენ გამო მოვკვდი, პასუხი გაეცით იმათ, ვისაც ვუყვარვარ. მე ბევრს ვუყვარვარ, ჰოდა, „დალშე“, რა! კაკუ.

• მე ვინატრებდი მხოლოდ ერთ რამეს, მხოლოდ ერთ დღეს, მხოლოდ ერთ ღამეს, მხოლოდ შენს მოსვლას, მხოლოდ შენს კოცნას, გულში ჩაკვრას და სულ ასე ყოფნას! კაკუ.

• თვალები სველი, სხეული ცხელი, ხელები თბილი, ტუჩები ტკბილი, სხვა ვინ ვინატრო, მე შენზე თბილი, მომწმინდე ცრემლი, მაკოცე ერთი, ორივეს ერთად გვფარავდეს ღმერთი. კაკუ.

• შენ ერთს გაჩუქებ ლამაზ სიყვარულს, შენ ერთს მოგიძღვნი ჩემს პატარა გულს, შენ ერთს გაჩუქებ ჩემს სათუთ კოცნას და მხოლოდ შენთან ვისურვებ ყოფნას. კაკუ.

• დილით მინდა, მზემ გაჩუქოს სიყვარული, ამ სიყვარულს დარაჯობდეს ღამით მთვარე, რაც კი ქვეყნად სიყვარული გაგიგია, შენ გჩუქნი და სათითაოდ მიითვალე. კაკუ.

• მე ყოველ წამს შეიძლება დავტოვო ეს ქვეყანა და სადღაც ზემოთ, მაღლა გადავინაცვლო. შეიძლება, მომავალ ხუთშაბათსაც აღარ ვიყო თქვენ გვერდით, მაგრამ თქვენ ვერც კი გაიგებთ, რომ მე ამქვეყნად აღარ ვარ. ერთი ნატვრა მაქვს და ვერ ვისრულებ. ერთი დღე მაინც გავიდეს ისე, რომ არავინ მაწყენინოს. :-( კაკუ.

• დიდი ხანია მინდა გკითხო, მაინტერესებს, ჩემზე რას ფიქრობ? შენი თვალები მე შენკენ მიხმობს, შენს სიახლოვეს ხშირად ვგრძნობ სითბოს. გიყვარვარ, ვითომ? ნინკა.

• ორთაჭალის მეხუთე იზოლატორის პატიმრებს: აგნესას, რამაზ ზაზაძეს, პაატა კაკიაშვილს, დათო ქავთარაძეს ბიცოლა ენაცვალოს.

• „ტემბოლეე“, „იასნია“, სწრაფები ვართ. :) :) :) ლოოოოლ. :) აუ, მივხვდი... „ცელუიუ“ და „ზმიზმი“ ერთი და იგივეა? უუუ. :( ეტყობა, არაა რაჭველობა. :) ზაზუნა-22, „გენათალეეე“... ნელკა.

• მე შენს აზრებში ვიპოვე სითბო, გაყინულ გულს რომ ყოველთვის მითბობს, სამაგიეროდ არაფერს ვითხოვ, დაუფიქრებლად სიცოცხლეს გითმობ.

• გიო, რა მინდა, გკითხო, იცი? რისთვის თამაშობ? ამით რის მიღწევას ცდილობ? იცი, რა გააკეთე? ხელოვან ხალხს დაუახლოვდი. იცი, ქართული ჩუქურთმა რა საოცარია? დამიჯერე, ეს ნამდვილად დაგეხმარება. შენ მოინდომე, ძლიერი იყავი, გულით ეცადე, შენი ცხოვრება შეცვალო. სულიერად ნუ დაეცემი და გწამდეს, უფალი ყოველთვის დაგეხმარება. დათო-1.

• მარიშააა... რა „საკალელი“ „ხააალ“ „სმსკა“ რომ დამიბეჭდეეე! :-) მართლა მაგარი შეგრძნებაა, საკუთარ „სმს“-ს რომ გაჩითავ „გზავნილებში“. :-) გაიხარეეე! მპუააა. მეგრელი დადუ.

• მგზავნელებო! სულიერ სიმშვიდეს გისურვებთ! მარი, ამ ვნების კვირას ტაძრებში რაც კი წირვა-ლოცვა აღევლინება, ის მადლი შეგეწიოს. :-) მეგრელი დადუ.

• აუ, მცხეთაში „ლა კაქი“ ამინდიააა... მის სიო, მართლა მაგარო „ქალოოო“. მპუა, შენ, „ბელი-ბელი“. ნეტავ, შემეხმიანებით? როგორ მაინტერესეეებს. კაკუ.

• შენს სურათს ახლაც ვინახავ, თავი ჩარჩოზე დიდია, ბევრი ფრინველი დააფრთხო, ახლაც ყანაში კიდია... ეძღვნება თავგასიებულ გიგას...

• „ვაფშე“, მიყვარხართ... „პროსტო“, მევასებით... „კაროჩე“, გაფასებთ... „ზნაჩიტ“, მენატრებით... „კაკრას“, თქვენ მომწონხართ... კოცნა გელოდებათ... „შუსტრად“ დაამესიჯეთ...

• კაი, რა, მარიმიშონ, სამართალი არ არის, ტო? ჩემი გზავნილი შემოკლებით დაბეჭდეთ და ნათია ჟივიძის „მგზავრულს“ ორი გვერდი დაუთმეთ? :) ნათია დეიდა, მაგრად ხუმრობ, რა!

• მინდია კორკოტაშვილო, მე გაგაფრთხილე და აგისრულებ... ნინი ნაცვლიშვილო, ჩემი ოცნების ქალი ხარ. გკოცნი ლამაზ ტუჩებში. გრუნტი.

• ჩემო კარგო, აბა, როგორ გინდა, სულ კარგად ხომ ვერ იქნები? :) ზოგჯერ შეცდომების დაშვებაც აუცილებელია, რადგან ადამიანი საკუთარ შეცდომებზე სწავლობს. არ მოიწყინო. ზაზუნა-22.

• აუ, მარიიი! ძალიან მაგარი ადამიანი რომ გავიცანი, იცი? :) „პატრიოტო“, ჩემო „ტყუპისცალოოო“, ძალიან საყვარელი და კარგი ადამიანი ხარ... ზაზუნა-22.

• კაკუ, არ მიაქციო ყურადღება, ჩემო კარგო, ყველას ხომ ვერ ეყვარები, სიხარულო? :) შენც ძალიან „საკალელი“ ხარ. :) ზაზუნა-22.

• აჰა, „ჩუტ ნე ზაბილა“. :)) ჯუზი, სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ სიყვარულს, სიხარულს და კიდევ ერთხელ, სიყვარუუუულს. :) ზაზუნა-22.

• კეტრინ ზეტა-ჯონსო, ხუანი არ მინდაო და აი, თავად ბრეტ პიტი გიხსნის სიყვარულს. :) ჯოლიმ არ გაგიგოთ, თორემ აქ ამბავი დატრიალდებააა... დედა შვილს არ აიყვანს ხელში. :)) გაიხარე, ჩემო კარგო, შენც ბევრი მპუები. უსაყვარლესი ხარ. ზაზუნა-22.

• თეო, დიდი მადლობა ამ თბილი სიტყვებისთვის. ბერძნის ქალს კი ვეტყვი: ბოდიში რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდა. მის სატანა.

• „ბარცას“ და „მილანის“ გულშემატკივრებო, თუ ამ კლუბების საიტების მისამართები იცით, დამიმესიჯეთ, რააა... „ბარცა“.

• მეგრელო დადუ, გაიხარე, „გენათალე“. კეთილი იყოს შენი ფეხი ამ დიდ ოჯახში. ;-) აბა, დაიმკვიდრე ადგილი და დარჩი ჩვენთან. კაკუ.

• მის 13.07, შენთანაა დიდი საძმო, 2000 კაცი ვართ. ბუს...ას საძმო... თუ რამე გიჭირთ ან ვინმე გაწუხებთ შენ და მის დაიას, გაგვაგებინეთ. იცი, ვისთან უნდა დარეკო...

• ჩიპსი, „გენათალე“, დავამესიჯე და ნახავ, რა! ჰოდა, დიდი მადლობა, ნუ შეწუხდები ჩემი დაპატიჟებით. მარტო ის დაწერე, რომ ბედნიერი იქნები. მე ეგ გამიხარდება! კაკუ.

• სვანი ხარ თუ ვიღაცა, სანამ ხევსურებს ახსენებ, მდუღარე წყლით პირი გამოირეცხე... თქვენ ვისზე რა უნდა თქვათ? გაიგე, ჩემო ისტერიჩკა?

• მოვედიიი... მეგრელო დადუ, გაიხარე! ჯიგარი ხარ! ჰოდა, დღეს კარში ხელი ჩამყვა და თითებს ველარ ვგრძნოობ... მტკივა, რაა... აუ, აღდგომაც მოვიდააა...მაგარია, რა! მის სიო.

• გამარჯობა, მე ნატა ვარ. ძალიან დაღონებული გახლავართ, არაფერში მიმართლებს. ჩემთვის ყველაფერი პრობლემად იქცევა ხოლმე. არადა, ეკლესიურად ვცხოვრობ. რატომ ხდება ასე? ნუთუ, ეს ბედისწერაა?

• ჰაი, ყველააას! როგორ ხართ, „სიფორცხლეებო“? მე ახალი ვარ. იმედია, მიმიღებთ თქვენს „სასტავში“. კაკუ, მეც 14 წლის ვარ. ხიფათა.

• მარი, მინდა ფშავლებს ვუთხრა, რომ ძალიან მაგრები არიან. მეც ფშაველი ვარ და ვიცი, რომ მაგრები ვართ. შოკე-16.

• აუ, ყელი მაგრად მტკივა. :( ლა ვქნა? :( უი, ისე, სამებაში ვინ ათენებს? იმედია, ბევრი მოდის... აღდგომას გილოცააავთ! ყველა სიხარულები ყოფილიყავით. :}:}) ნელკა.

• „იტოგში“, ცუდად ვააარ. :( მინდა, სიხარული... მინდა, სიყვარული... მინდა, სიცოცხლე... უუუ... შენს გულში მინდა... :):):) :(:(:( ნელკა.

• ჩემს ახლოს, ბუჩქებში კურდღელი კურდღელს კოცნის. გაიგეთ? „სტიქია“ თურმე, 20-ის ყოფილა... ბებიაჩემი კი ხვალ ხდება 120-ის. მთიულებო, მიყვარხართ. კისს. ყანჩა.

• ვეხმაურები „გზა“ №14-ის, „სხვადასხვა“ რუბრიკაში, გიოს. ეკლესიაში იარე და ყველაფერი კარგად იქნება. დონ უკარება.

• არ მინდა სიცოცხლე, მომბეზრდა ყანჩობა — ყოველდღე ამსიგრძე კისერის აწევა, გუბეში ჩემხელა ნისკარტის დანახვა, ამსიგრძე ფეხებზე დგომაც კი მომბეზრდა.

• აქ ყველას „სტიქია“ ჯობია. ხომ მართალი ვარ? „სტიქია“, ასე გააგრძელე! ჩემს ნიკზეც დაწერე რამე! ზღარბუნია.

• ქალი ნაზია, როგორც ყაყაჩო, თუ მოინდომებს, კაცსაც დაახრჩობს. ზღარბუნია.

• მოკლედ, ეს „მანაველი“ სულ დამეკარგა, რაც მაგასთან ქეიფი გადავწყვიტე. ფშაველი, „ჩორტიოზნაეტი“ და „მანაველი“ უძალიანესად მაგრები არიან. „ტემბოლე“.

• ყველა ძალიან საყვარლები ხართ. ახალი ვარ და მჯერა, მიმიღებთ. ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ, მარი კი, ჩვენი დედიკოა. უფალი გფარავდეთ. მატატა.

• მდააააა! ზაზუნა-22, „დაჟე“, გიცნობ? ვინ ხარ, „სიხალულო“? აუ, მითხარი, რააა :) დამაბნიე, „იტოგში“. :) ზმიზმი. „ცელუიუ“. :)

• „დაკარგულები“ არ მოგწონთ? სოიერი მაგარია. :-) ლოსტ.

• ცაში რომ ვიყო, მაღლა, ღრუბლებში, მიუხედავად ღმერთის ნებისა, ჩამოვიდოდი დედამიწაზე და გისურვებდი ძილინებ-

ისას. :) ნინუნცარი.

• უა... ხა... ხა... :) ფოტოკურიოზებში ფეხბურთელების ფოტო რა კაიფია, არა? :) თან, უკან რომ ჩრდილია, დაამულამეთ. ჰოოოდა, „დედასგიჟო“, 1943-ში „რეალს“ რა შეემთხვა, გახსოვს? ნინო-მილანი.

• ზოგი არ დამიჯერებს, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ „მილანი“ მოახერხებს ნახევარფინალში გასვლას. ამაზე რთული სიტუაციიდანაც გამოსულა. „მილანელებო“, მიყვარხართ. :) ნინო-მილანი.

• ვეხმაურები წინა ნომერში, „სხვადასხვაში“ გამოქვეყნებულ გიოს მესიჯს, რომელიც როგორც გავიგე, თამაშს თავს ვერ ანებებს. გიო, ჩემი ნომერი მარისთანაა და თუ დაგაინტერესებს, დამირეკე.

• ცხოვრობ ასე, გიჭირს, გილხინს, წუხხარ, მხიარულობ და არ იცი, რომ არის ადამიანისთვის კიდევ ერთი სანუკვარი გრძნობა — იმით გამოწვეული სიხარული, როდესაც იგებ, რომ შენზე ვიღაც ფიქრობს.

• ხევსურო მზევინარ, არ გამეცნობი? თასებს ლუდის ფერ გადმოსდით, თუ შუქ ეღვრება ხმლებისა, მთვარე კი აზრობს ტანიეთ, ყმუილი ბებრის მგლებისა. ცაზე ვარსკვლავებ დახშირდა, ნათება კელაპტრებისა, ჯიშად არ მასდგამთ ხევსურებს, შიში რომ ჰქონდეთ მტრებისა. მთიული.

• კაკუ, „ლა ცაკალელი ხალ“, სიიიხ? შენი გაცნობა მინდა. დარწმუნებული ვარ, ერთად მაგრად „გავაჯაზებთ“. ჩემი ნიკი იქნება „ტიხკო“. „სტიქიავ“, არ გარითმავ, სიიხ? მგონი, გაგიძნელდება...

• დაბოლილო „სტიქიავ“, სჯობს მთვარეზე დაჯდე, ჰაერში არ დარჩე! გიჟი პოეტი.

• ჰეი, მესიჯომანებო, მიმიღებთ? მაგრად მიყვარხართ ყველა. კაკუ, ჰარი პოტერი დაიკიდე, . „სტიქია“, კაკუ, „ცელუიუ“, ზაზუნა-22, გკოცნიიიით! მპააა... გენაცალეთ და გეხუტუნეეთ. :) „ტიხკო“.

• ხევსურო, ხმალი გალაღებს, ფშაველო — ენა გრძელიო, მთიულო — ხანჯალი პირბასრი, ძვლების მჭრელიო. გავიცნობ ნიკა ზვიადაურს ანუ მურღვას. ჯიქური.

• არც იოცნებო, „სტიქიავ“, ენას არასდროს ჩავიკმენდ. მგონი, მაგრად გაჭედე. ლექსი არა, სიტყვა სამი, „გზაში“ შენი დავწერე. გიჟი პოეტი.

• აუ, მითხარით, ვინ არის ზაზუნა-22, თორემ გამიჩერდა გული. :) მაგრად ჩამაფიქრა. :) აააპ! გავგიჟდები, იცოდეთ. :) „ცელუიუ“! ზმიზმი.

• რამდენი რაჭველი ვყოფილვართ. :) ნელიკო, „ტემბოლეე“, მეე... :) ა, კიდე, „კვატუსია“. :) გენაცალეთ, რაჭველებოოო! „ცელუიუ ვას ვსეხ“. :) ზმიზმი.

• „ანარქია“, ანიიი! გენაცალეეე! ასე არ სჯობია? ვის აქვს კიდევ სურვილი, სახელი გვითხრას? კისუსები, ანი, შენ...

• ნახეთ, რა, ყველა მალავს ნომერს. :) მარიიი! ჩემიც გადამალე, რააა. :) სუუუ! არ თქვა. :) კატო-14, გაგიცნობ, თუ სურვილი გაქვს. :) „ცელუიუ“, ზმიზმი.

• ფატი, „გენათალე“, მე ნაზი მქვია. ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, ასეთი განსაკუთრებული სიყვარული რით დავიმსახურე? გაიხარე. კაკუ.

• მიყვარხარ-მეთქი, გითხარი და გაგეცინა — პატარა ხარო. ჰოდა, თუ პატარა ვარ, ეგდე და იოცნებე ჩემზე, მისტერ ნევროზ... მის სატანა.

• მის გაუჩო, გმადლობთ, „გენათალე“. დიდი მადლობა, გაიხარე! აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ. მისი მადლი გფარავდეს მუდამ! კაკუ.

• ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დაესწარით, ბედნიერები და რაც მთავარია, ჯანმრთელები. კაკუ.

• მე ამ საღამოს ლექსით გაგათბობ, შენ მონატრების კვამლი დაგათრობს, დღეს სიყვარული აგირევს ფიქრებს, ახლა გისურვებ მე ლამაზ სიზმრებს. ანგელოზი-2.

• სიყვარულის ტორტის რეცეპტი: 1 ჭიქა მეგობრობა, 2 ჭიქა ღიმილი, 3 კგ სიყვარული, 4 ს/კ გაგება, კოცნა — გემოვნებით. ავთქვიფოთ და მოვათავსოთ გულში. ანგელოზი-2.

• რაო, რაო? მოვედიიი... ანდადასი, ანდადასიიი. თუ მაგარ ხასიათზე ვარ, ვანგრევ ყველაფერს. :) მინდა ბალიიი, მომე ბალიიი. ბალი სულ სხვააა. ეჰ, გავაფრინე. გავქრი მეე. მის სიო.

• კაკუ, არ იტირო და ჯადოსნურ ჯოხს გაჩუქებ. რას იტყვი, ჰა? ჰარი პოტერი.

• „მესიჯომანი“, ჩუ, რა... და სნეიპი შენთვის დაიტოვე. ჰარი პოტერი.

• მოვიკითხავ ქობულეთში თამუს, თეოს, თამთას, მარის, თეო-თეოს. ქობულეთი მაგარია! ლელუსი.

• უნდა მოვასწრო, წარსულის გზებზე, ლექსის სისწრაფით გადავირბინო, რომ სამასი ძმის დაღვრილი სისხლი, სამას სიმღერად ავაგუგუნო. მთიული.

• მე შენ გაჩუქებ სისხლისფერ ვარდებს, რომელთაც ასდით წითელი ალი, არ დაიჯერო, რომ ქვეყანაზე არსებობს შენზე ლამაზი ქალი. მარიკუნა, მაგარი ხარ. ანგელოზი-2.

• თუ გინდათ, შეგრჩეთ შეყვარებულთ სითბო გულისა, გამყიდველები ნუ გახდებით, სიყვარულისა. თუში კილერი.

• მაოოო, როგორ ხარ? მაგარი „მისწორდება“ შენნაირი ნაცნობი რომ მყავს. შენ გვერდით ნებისმიერი ქალი ბედნიერი იქნება. „ცელუიუუუ“. „მაზოხისტკა“.

• მე პატარა მცხეთელი ვარ! კაკუ.

• კაკუუუ! ჯიგარი ხარ, სიხ :) „მიკალქააალ“! გკოცნი! :)) „სტიქიავ“, მაგარი ხარ. :) ჩემი ნიკი გარითმე, რა, გთხოვ. ხიფათა. :)

• მოსიყვარულე ადამიანი ვალდებულია, რომ სიყვარულის ცეცხლში იწვოდეს. ისე, მე შენი კარგი კი მო... შენ სიყვარულის რამე იცოდე. მის სატანა.

• რატომ დაირქვი „სტიქია“? მინდა, რომ იყო ლეონი, ძალიან ვწუხვარ, ამ ამბავს, მე თქვენი „ქამელეონი“. „სტიქიავ“, მარის შენი ნომერი რომ გამოვართვა, წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

• ანა, რა ლამაზი ვარდის რტო ხარ, მენანები მარტოდ რომ ხარ, დავთვრები და საკოცნელად, უეჭველად შენთან მოვალ. შენ ხომ იცი, ჩემო კარგო, ჩემი სიხარული რომ ხარ?..

• ფშაველი კი ვარ, მთიულო, მაგრამ გაზრდილი ბარშია, გული რომ გავხსნა, რა გინდა, ვერ შევძლებ ყოფნას მთაშია! ქართველებო, ყველას შემოგევლეთ! ფშაველი დიაცი.

• ვეხმაურები გიოს, რომელიც თამაშს თავს ვერ ანებებს. გიო, მე არ ვიცი, შენ როგორი ცხოვრებით ცხოვრობ ან ვინ ხარ, მაგრამ მე ჩემზე გეტყვი: როცა ძალიან მიჭირს, ყოველთვის ეკლესიაში მივდივარ, ვლოცულობ, მოძღვარს ჩემს გასაჭირს ვუყვები და მერე, გამოსავალს აუცილებლად ვპოულობ ხოლმე. ისე, შეუცდომელი არავინაა. მთავარია, შენს თავში რწმენა იპოვო და მიზნად ამ მავნე ჩვევისგან გათავისუფლება დაისახო. თუ შეყვარებული ხარ, შეეცადე, იმ ადამიანზე გადაიტანო ფიქრი და შენი ცხოვრების რიტმი შეცვალო. რწმენა და სიყვარული გქონდეს და ყველაფერი მოგვარდება... პუპსიკა.

• ხალხოოო, რა კარგები ხართ? თქვენთან არ მიმიღებთ? თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, თუმცა, პირველად გწერთ. ვარ 20 წლის. არ გინდათ, ვიმეგობროთ? გელოდებით, რააა... მისს დეპპი.

• თუკი ოდესმე რამ მინატრია, თუ რამ მითქვია ლოცვაში ღმერთთან, რომ შემხვედროდა მე ანგელოზი, ის ყოფილიყო ყოველთვის ჩემთან. ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება, შენი გაცნობა მარგუნა ბედად და ანგელოზი, ვისაც ვნატრობდი, შენ მოგავლინა ჩემთვის ამქვეყნად! ეს ლექსი შენ დამიმესიჯე. თუ მიხვდები, ვინ ვარ? მარი, ჩემი ნომერი არავის მისცე. ციკო.

• მე ვარ „სალიერი“, თუ იცით, რომელი? ღმერთისგან მოვლენილი და „გზაში“ მოსული. კეთილი იყოს ჩემი ფეხი, „მესიჯომანიაში“. ყველა მესიჯომანს გილოცავთ აღდგომას. სალიერი.

• გაუმარჯოს „სტიქიას“, კაკუს, მის სიოს. თქვენ ქმნით ამ რუბრიკას. ჰარი პოტერი კი, გვარცხვენს. ჰარი, ჩუმად, თორემ დაგერხევა. ფუნჩულა.

• გადავწყვიტე, ნიკი შევიცვალო. ამიერიდან ნაინა ვარ, ქართლიდან, 16 წლის და ყველა ძალიან მიყვარხართ. ახლა წავედი, თორემ მომკლავენ, რომ დამინახონ. ნაინა.

• ბევრი ახსენებს დღეს უფლის სახელს და აინთება ბევრი სანთელი, მე მივალ ხატთან და ამას შევთხოვ, რომ ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად! ზაზუნა-22.

• მაო, ძვირფასო, მაგარიიი საყვარელი ხარ! ლიმონათი გინდა? ჰა, დალიე... ცოტა დამიტოვე, რა. :) მპუააა.. სად გაკოცო?

• არ შეგვჭამეს კახელებმა, მეგრელებმა და სვანებმა? გურულებო, თქვენ სადღა ხართ? ამოვიღოთ ყველამ ხმა, თორემ, ჩრდილქვეშ მოგვაქციეს... როიდი.

• მე ხომ ერთი ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი, დელიკატესს მირჩევნია, ერთი ლუკმა ხაჭაპური. როიდი.

• „მესიჯომანიაში“ პირველად ვამესიჯებ, ყველანი მაგრები ხართ. განსაკუთრებით, „სტიქია“ და ფშაველი. დაჩოქილი გევედრები, ეს მესიჯი დამიბეჭდე. პაკა. ცრუნტა.

• მეგრელო დადუ, ბოხო და სხვა მგზავნელო მეგრელებო, გავიცნოთ ერთმანეთი და ჟურნალში პატარა სამეგრელო შევქმნათ. მარი, მიეცი ჩემი ნომერი მეგრელებს.

მეგრელი კანიბალკა.

• „სტიქიავ“, აგყვე? ამყვები, მადა მოსულა ჭამაში, ჯენიფერს გააოცებდა, ეგ შენი ტრ..ის თამაში. ფშაველი.

• მითხარ, სადა ხარ ლელაო, რო მოგეპარო ღამითა, დავიხოცებით მე და შენ, იმ დამბალ ხაჭოს ჭამითა. ფშაველი.

• ისტერიჩკა, წარმოშობით სვანი კი ვარ, მაგრამ მარის ოპოზიცია არ გავხდები. :) ისე, კარგი იქნება, თუ ნიკს შეიცვლი, არ გიხდება. ლეო-91.

• მგონი, „სტიქიას“ „გზის“ დამსახურებული მოლექსეს წოდება უნდა მივანიჭოთ. :) ლეო-91.

• კაკუ, ნუ ტირი, დაიკიდე ხალხის მასა, ვინც არ დაგევასა! ლეო-91.

• დიდი სურვილი მაქვს, თქვენთან პაექრობის. მიმიღებთ?.. ვინც წინააღმდეგია, ვურჩევ თავი შეიკავოს. ერთი უბრალო, სიმპათიური, დარდითა და ტკივილით სავსე ადამიანი ვარ.

• გაუმარჯოს რაჭველებს! კერძოდ, ონელებს. გენაცვალეთ, ძალიან მაგრები ხართ. ბაბულიკა.

• აუ, კაკუ, ცოტა არ იყოს, მომაბეზრებელი ხარ. შენი პრობლემები არავის აინტერესებს. გასაგებია, ძვირფასო, ნუ გადაგვაყოლე შენს წუწუნს. :) სვანი ისტერიჩკა.

• ქრისტე აღდგა! აუ, იცით, მირიან ჯიშკარიანი აღარ მიყვარს, მაააშ! დინდინგი.

• მოვედიიი... ნუ, გუშინ ისე ვიყავი, თუ გადავრჩებოდი, არ მეგონააა. თქვენ როგორ ხართ? რაღაცნაირად მიყვარხართ, იცით? აუ, მაგარია ცხოვრებააა. მის სიო.

• არა მაქვს საწერ-კალამი, არ ვაღლევინებ მაჯასა, მაგრამ არ დაუვარდები, რაზიკაშვილსა, ვაჟასა. მთიული ჯიქური.

• გამწარებული მთიული, ველებზე კვამლის საბანი, ფეხის ხმა კრწანისისაკენ, მიდიან მამა-პაპანი, ვინ ბრუნავს ხმალჩაბღუჯვილი, სისხლით თავგადანაბანი... მთიული ჯიქური.

• „სტიქიავ“, მაგარი ხარ. შენი შურთ ალბათ, რომ გკბენენ. ძალიან მსიამოვნებს შენი მესიჯების კითხვა. ასე გააგრძელე. გვანცა.

• არა, არ ვიცი, რა ეშველება, ქართლის კერაში ჩამქრალ ნაკვერჩხლებს, ერის სიცოცხლე ვით უდაბნოში, დამშრალ წყალივით ძლივს მორაკრაკებს.

• ჩემს შეცდომებზე მე ვაგებ პასუხს, დაცვა არვისთვის არ მითხოვია. მე სიყვარული მომილებს ბოლოს და სიამაყე, ასე მგონია. ლილე.

• ყველანი ძალიან მაგრები ხართ. მე ახალი ვარ. შემოგიერთდებით, O.K. ბუბუ.

• ეჰ, მარი, რას მერჩი, ჰა? გწერ და არ მიქვეყნებ. ზაზა მანჯგალაძე, შენს შეყვარებულს ლოყაზე რამოდენა „პრიშჩიკი“ აქვს, ბიჭო. უშველე რამე. X.

• დღეს მათემატიკის მასწავლებელმა ტელეფონი მთელი 2 საათით ჩამომართვა, რადგან „დირიხლეს პრინციპს“ მესიჯობა ვარჩიე. ლეო91.

• მოთამაშე გიო, კარგია, რომ ცდილობ, შენი მავნე ჩვევა დასძლიო. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოგივა. წარმატებებს გისურვებ. ღმერთს ებარებოდე. ლეო-91.

• მზევინარ, ქალაუ, გაიხარეეე. :)) მართლაც, აქ მაინც ნუ ვეჩხუბებით ერთმანეთს. „გზის“ მოლექსე „სტიქიავ“, ხომ მეკუთვნის ამ ტიტულის მონიჭებისთვის ერთი ლექსი? :) ლეო-91.

• მარი ჯაფარიძე, მინდა გითხრა, რომ თქვენი რუბრიკის წყალობით უამრავი კარგი ადამიანი გავიცანი და ყველა ძალიან მიყვარს.

• კაკუ, „ლა კალქი ქალ“! „სტიქიავ“, არ გეგონოს, შენს ნიჭს არ ვაფასებდე. ძალიან მაგარი, მესიჯომანებში გამორჩეული ლიდერი ხარ. მის სიო, ნუ მიბერავ, ისედაც გაცივებული ვარ. კისკა.

• ვეხმაურები სვან ისტერიჩკას. რაც მაგრები ვართ, სვანები ვართ, არ მეთანხმები, მარი? სვანი კესო.

• საბერძნეთში ვმუშაობ, ბავშვებთან. ტვინს მიბურღავენ ლაპარაკით. „გზა“ ავიღე ხელში, რომ ქართულად წამეკითხა და რას ვხედავ? აქაც ბერძნულად წერენ მესიჯებს. რა გჭირთ, ხალხო? მანდ რომ დავბრუნდები, ამ ენაზე აღარასოდეს ვილაპარაკებ.

• ერთ საწყალი ბიჭი ვარ, სახლად მაქვს ერთი ქოხია, ყანას მიფუჭებს ყოველ წელს, სახელად ჰქვია კოხია. თუ შენ ხარ, აღარ მოხვიდე, სანაცვლოდ მირტყი ჯოხია. „სტიქია“.

• მართალია, ახლა გავაქტიურდი, მაგრამ თუ არ „დამაწინაურებთ“ და პატარა ადგილს არ დამითმობთ „მესიჯომანიაში“, მერე სამესიჯო აღარ მექნება. ქეთი.

• მიხვედრილი ჩანხარ, ლუსი, მოგელანდა ალბათ რამე, ეგ ისეთი სიმართლეა, როგორც არის დღე და ღამე. „სტიქია“.

• ვეხმაურები იმ გოგოს, რომელსაც მოჭარბებული ბერძნულის ცოდნა აწუხებს, სინდისი კი — არა. მე პრეტენზია კი არა, ეჭვი მაქვს მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

• მელოდიებს წერდა თურმე, ძალზედ კარგად შოუმენი, ვცდილობ, ლექსით დავაფასო, ჩვენი „იქსი“ ვუმენი. „სტიქია“.

• მესიჯომანებო, როგორ ხართ? ახალი ვარ, მიმიღებთ? თან, ერთი პრობლემა მაქვს, სვანი ვარ და სვანური არ ვიცი. ვინ მასწავლის „გზაში“? ნიკოლე.

• შენზე ფიქრის დროს გულზე დარდი მომძალებია, შენზე ძალიან არავინ არ მომნატრებია, რაც შენზე ფიქრში ღამეები მითენებია, ალალი იყოს, არ გაყვედრი, მიჩუქებია.

• „სიკალულებო, ძალიან მიკალქალთ, გაიხარენიიიით“! „სტიქიავ“, გთხოვ, ჩემს ნიკზე რამე გარითმე, არ მაწყენინო, „ლაააა“. ნიკოლე.

• მგონი, სულ გავრეკე, ამხელა „მუტრუკმა“, რაღა დროს ჩემი მესიჯომანიაა, მაგრამ რაღაცით ხომ უნდა გაერთოს კაცი? საინტერესო რუბრიკა გაქვთ. ისე, ნაკლები აგრესია და მეტი მიმტევებლობა გვჭირდება. თანაც, ხომ ხედავთ, ზოგ-ზოგიერთები ჭკუაზე თავისით მოვიდნენ. ეს კიდევ კარგია. ზვიო.

• „სტიქიავ“, მაგრად „მევასები“. გაიხარე! ერთი ჩემი ნიკიც გარითმე, რა, გეხვეწები. ბუტია.

• „სტიქია“ მაგარი ბიჭია. ის ხომ ყველას გვიყვარს? მე მიყვარს. კისკა.

• მის სიო (გურულო), როგორ ხარ? შენც გოგო ხარ, ხომ? კისკა.

• ვის რად უნდა შენი ლექსი, ახლა ყველას ხიბლავს სექსი, მუზონები, „ტანცი“, „ზასი“, მეცეკვე და შენც გაქვს შანსი. ელ-ილი.

• შენ ხარ ოცნება, შენ ხარ სინაზე, შენ ხარ ცის ცრემლი, ცოდვილ მიწაზე, შენ ხარ სიცოცხლე, სითბო, ალერსი, შენ მოგეფერო, მინდა, ამ ლექსით. ელ-ილი.

• ყველა მაგრები ხართ, ბერძნის ქალის, „მალაკას“ გარდა. საბერძნეთში მეტი ვერაფერი ისწავლა? ელ-ილი.

• ოეეე... ძალით მამაკაცებო, რას ინაზებით? ბიჭო, მასე კი არა, ასე უნდა: გოგონებოოო, დამიმესიჯეთ!

• დედას გიჟო, მოდი, ეს ბურთი ნინომილანს მივცეთ. სიტყვა — სიტყვაა. არც შენ დაგწყვეტ გულს და კარგ „პადარკას“ მოვიფიქრებ. მოდი, ვითომ თოვლის ბაბუა ვარ. სურვილი ჩაუთქვი და მე აგისრულებ. „ანარქია“.

• კაკუნა, ძალიან საყვარელი ხარ, შემოგევლე! ისე, თემოსთვის სულ არ მემეტები. „ანარქია“.

• მარი, მაგ შენი ელფერით, ამომავალ მზეს შეჰფერი, მაჭანკლობ და ბევრსაც ცდილობ, გაახალისო სამყარო. ბევრი გაება ალალად, მაგ შენს დაგებულ მახეში, ბევრი რომ არ შეგაწყინო, გემშვიდობები იმედით. ალბათ, დაბეჭდავ ამ ლექსს და თან, კმაყოფილიც იქნები.

• ბერძენი მოვიშორეთ და სპარსიც მოვიდააა... ნეტავ, ესეც ხომ არ გვაგინებს?

• მინდა, გაჩუქო მთელი სამყარო, ცისარტყელაზე შემოგატარო, შენი ღიმილი გულით ვატარო, უშენოდ წამიც არ გავატარო. ეძღვნება ჩემს დიდ სიყვარულს, ნინუნცარისგან.

• ჩემზე უფროსი მამაკაცი შევიყვარე. მეგონა, ნამდვილ სიყვარულს ვიპოვიდი, მაგრამ შევცდი. მარი, რა მეშველება? მე ხომ ის მთელი გულით შევიყვარე. გენო, საზიზღარი ადამიანი ხარ. გენო ისეთ ადგილზე მუშაობს, რომ ვიცი, შეიძლება ვერ წაიკითხოს, მაგრამ გული ხომ უნდა გადავუშალო ვინმეს, მე კი საამისოდ ჟურნალის მეტი კანდიდატი ვერ შევარჩიე.

• ღალატისთვის მართლა დავისაჯე და იცით, როგორ? ისეთი სიყვარული ვერ მივიღე, რასაც ველოდი. ეს ყველაზე დიდი სასჯელია.

• „მალაკა“, მარის ნუ შეაწუხებ შენი საცოდავი ბერძნულით. გამომეხმაურე და მერე ნახე, ის სიტყვები, რაც შენ გეკუთვნის.

## miyvarxar

• და მე არ ვიცი, რა დავარქვა იმ გრძნობას, როცა ჩემში ხარ, გულის ფეთქვასავით და მაინც გნატრობ... :) ვახო, ძალიან მიყვარხააარ! :) რატომ ვერ ხვდები? :)

• გი, ჩემო თაგუნი, უსაზღვროდ მიყვარხარ და მომენატრე. ვიცი, „გზას“ რომ კითხულობ და ჩემს მესიჯს ნახავ. მიყვარხარ, მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია

შენი დახმარება. შენი ლიკუშა.

• კარლო ბერძენიშვილს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. ჩემი სიცოცხლე და სიხარული ხარ. ახმეტიდან.

• ყაზბეგელო თეონა ჩოფიკაშვილო, ძალიან მიყვარხარ. შენ ყველაზე ლამაზი გოგო ხარ ამ დედამიწაზე. უცნობი.

• ლევან ირემაშვილო, მიყვარხარ. ვინმეს „ვაპროსი“ ხომ არ აქვს? ჰო, რა, არავინ შემომელახოს. დინდინგი.

• მინდა, ჩემს უსაყვარლეს და უმაგრეს მეუღლეს, დათკას ვუთხრა, რომ უზომოდ მიყვარს და რომ ჩემი ცხოვრებაა. დათ, შენ გვერდით უბედნიერესი ვარ. „გატოცე“, ბუზუნა! სალომე.

• ირაკლი შამბა, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დაესწარი. ბ.

• რობოტ, მიყვარხარ, ძამიკო. ვანელებს მოკითხვა. გკოცნით ყველას. მარიშა.

• ყოველ საღამოს, როცა მზე ჩადის და თეთრი ზეცა ნელა ბინდდება, მე შენზე ფიქრი ისევ მეძახის და შენი ნახვა ისევ მინდება. მიყვარხარ, გიო გირგვლიანო. ლეფაიზი.

• მინდა, ქუთაისელ ნიკას ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. ბუტია.

• შენ არც კი იცი, ჩემთვის ვინა ხარ, შენს დიდ სიყვარულს გულში ვინახავ, დაუვიწყარი ოცნება მყავხარ და უსასრულოდ, ძლიერ მიყვარხარ. გოჩა, მიყვარხარ. გიტა.

• ახლა ათენში ვარ. ინტერნეტით გავიცანი რუსთაველი გოგო, ნათია. ძალიან მიყვარს და მინდა იცოდეს, რომ მიყვარს. მისგან შორს ყოფნა ძალიან მიჭირს. ნათი, მიყვარხარ და მეყვარები. რომ ჩამოვალ, პირველად შენ გნახავ და ჩაგეხუტები. ემიგრანტი.

• ძალიან მიყვარს და მენატრება ჩემი ნიკუშა. მინდა, გულში ჩავიკრა და მაგრად ჩავეხუტო. ბაჭია.

• მაკა მახარაშვილს: მიყვარხარ და მენატრები, ძალიან. ჩემი რომ არასოდეს გახდებოდი, ვიცოდი, მაგრამ სამუდამოდ თუ დაგკარგავდი და ველარ მოვისმენდი შენს კისკისს, არ მეგონა. შენ ვერასოდეს გაიგებ ჩემს ვინაობას. ყვარლელი უცნობი და ამავე დროს, ნაცნობი.

## gilocav

• გოგა თავხელიძეს ვეტყვი, რომ უზომოდ მენატრება. ვიცი, 12 აპრილს დაბადების დღე გაქვს. გილოცავ და გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს, ცხოვრების ბოლომდე. მენატრები!

• ბესო ფერაძე, გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ღმერთი გფარავდეს. აგსრულებოდეს შენი ნატვრა და მალე მენახე თავისუფალი. მენატრები და გელი. შენი თეო.

• ჩემს მეუღლეს, დათო ტაბიძეს, რომელიც ახლა ერაყშია, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ. ღმერთი ჰფარავდეს და მშვიდობით დაბრუნდეს! მიყვარხარ. ირიშა.

• უფალმა მე და ჩემს მეუღლეს, სიყვარულის დღეს პატარა სიყვარული — მერი გვაჩუქა. გვინდა, მივულოცოთ დაბადების დღე. დაე, სასახელო ქალი გამხდარიყოს. დედიკო და მამიკო.

• გულნაზ დისამიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 აპრილს. შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა... გფარავდეს უფალი. გვიყვარხარ და გაფასებთ. დალი და დარო. გკოცნით.

• ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! რაში გაინტერესებთ, რამდენი წლისაა „სტიქია“? მთავარია, სახალისო ლექსებს წერს. მის კაპასა.

• ანანიძე თამთას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ სიხარულს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ყველაფერ კარგს, ცხოვრებაში. მიყვარხარ, თამთუშ. ბელუსი.

• 15 აპრილს, სიყვარულის დღეს ვულოცავ ალექსას და ყველას. ყველას ლამაზ სიყვარულს და ბედნიერებას გისურვებთ. ლიკუნები.

• ჩემს დეიდაშვილს და ჩემს უსაყვარლეს დედიკოს ვულოცავ დაბადების დღეს! ვუსურვებ ყოველივე კარგს. მარი, კახეთი.

• აი, მეც დავბრუნდი და მოგილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. განსაკუთრებით, მაია ჩაჩანიძეს. თუშურებში როგორ მყავს ხალხი? ჭიათურა.

• ჩემს დაიკოს, ლუიზას ვულოცავ დაბადების დღეს, 9 აპრილს. შენი ტ.გ. წინასწარ მადლობა, მარი.

• ქრისტე აღდგა, ხალხო! ყველას გილოცავთ! მისი მადლი შეგეწეოდეთ ყველას. მის სიო.

• აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ ზაზა ციმაკურიძეს. უფალი გფარავდეს, ჩემო კარგო.

• ყველას გილოცავთ აღდგომას და სიყვარულის დღეს. გია, შეიმშვენე პატიოსანი ცოლი. გთხოვ, იცოდეთ ყველამ, რასაც მეტს იეჭვიანებთ, უფრო კარგავთ მის გულს. ხომ ასეა, ხალხო? უცხო.

• ნიკა გოდერძიშვილსა და მანანა ხაფთანს ვულოცავ დაბადების დღეს. ანა.

• ყველას ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მე თქვენთან ახალი ვარ და იმედია, გულთბილად მიმიღებთ. ანასტასია.

• ჩვენს ჯიგარ სიძეს, რეზო მწითურს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ წარმატებებს და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად. შენი მეორე დედიკო, სვეტა და ნანა.

• საყვარელო ლილი გულბათაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. სულ გახარებული ყოფილიყავი. ძალიან გვიყვარხარ. ნატო და კოკა.

• სიყვარულის დღეს ვულოცავ ჩემს სიცოცხლეს, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს. გოჩა, ძალიან მიყვარხარ. შენი ცუნცულა.

• ჩემს პატარა ანუკის ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს. შენი დედიკო, მაია.

• სიყვარულის დღეს ვულოცავ ჩემს მშობლებს, ახლობლებს, მთელ საქართველოს. ემიგრანტი-22.

• ვინც „გზაში“ ამესიჯებს, მინდა, ყველას მივულოცო სიყვარულის დღე. მის 13.07.

• დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს, შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე შენთვის ცოტაა, დიდი სიცოცხლე დამილოცნია. ჩემს დედამთილს, ციალიკოს. შენი რძალუკა.

• ჩემს სიყვარულს ვულოცავ სიყვარულის დღეს! ვუსურვებ ულევ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას! უზომოდ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ. ვინი.

• ჩემს საყვარელ სიძეს, დათო გუბელაძეს ვულოცავ დაბადების დღეს და სიყვარულის დღეს ერთად. ბედნიერი ყოფილიყოს მთელი ცხოვრების მანძილზე. სიდედრი.

• მადონა დადუნაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ. ლეილა.

• ჩემო საყვარელო დედიკო ეთერ ცერცვაძე და დაიკო მეგი, გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს. გფარავდეთ ღმერთი. გკოცნით, თინიკო.

• ვასიკო და სოფიკო გოგოტიშვილებს ვულოცავთ დაბადების დღეს. დედამისის მეგობრები.

• ჩემს საყვარელ შვილებს, ვასიკო და სოფიკო გოგოტიშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. გფარავდეთ უფალი. დედა, ნონა.

## veZeb

• ვეძებ მიშიკო შოშიაშვილს, ავთოს და თამუნიას მამას. მიშო, ჩემო უფროსო მეგობარო, შენი ამბავი მაინტერესებს. თუ ვინმე იცნობთ, დამეხმარეთ. შენი პატარა მეგობარი.

• ვეძებ ზურა ქართველიშვილს. ის სამტრედიაში ცხოვრობს. ზურა, ეს მე ვარ, ანი. აღარ გახსოვარ? ზურააა! მომენატრე, გესმის? ძალიან მომენატრე. ანი.

• ვეძებ ჩემს მეგობარს, სალომე ბერაიას, რომელიც ფოთიდან არის და 9 წლია, არ მინახავს. ვთხოვ, დამიკავშირდეს. შორენა, ახმეტა.

• ვეძებ ათენში მცხოვრებ ნინო დვალიშვილს. რაღაც მინდა ვუთხრა. დათო, მისი კურსელი.

• ვეძებ მეგობარს, ირინა ხადურს, რომელიც ცხინვალში ცხოვრობს. გავიცანი ბანაკ „ვარციხეში“. თუ ამ მესიჯს წაიკითხავს, შემეხმიანოს. ნათია.

• ვეძებ სტუდენტობის მეგობარს, ზაზა პარმენის ძე მესხს. ცხოვრობს ოზურგეთში. 1985 წელს სწავლობდა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში.

*სასურველი ნომრის გასაგებად უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 და მითხრათ იმ მესიჯს რიგითი ნომერი, რომლის ავტორის კოორდინატებიც გაინტერესებთ. ასევე, შეგიძლიათ გამოგზავნოთ „მესიჯომანიაში“ თავს გადახდენილი ამბები და მსურველებმა — ფოტოებიც. ნახვამდის. გისურვებთ წარმატებებს!*

■

# ერკვევით თუ არა კოსმეტიკაში?

თუ გსურთ, რომ გაიგოთ, რამდენად კარგად ერკვევით კოსმეტიკის ელემენტარულ საკითხებში, შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტი და შემდეგ, თქვენი პასუხები კოსმეტოლოგების მოსაზრებებს შეადარეთ.



ეთანხმებით თუ არა იმას, რომ...

1. თვალის ჩრდილი, თვალის ფერთან შეხამებით უნდა შეირჩეს.

2. ცუდი კანის ქონის შემთხვევაში, მისი პატრონი მზის სხივებს უნდა მოერიდოს.

3. იმისათვის, რომ თმა ჯანსაღად და მბზინვარედ გამოიყურებოდეს, ის ხშირად უნდა დავივარცხნოთ სპეციალური (მასაჟისათვის განკუთვნილი) ჯაგრისით.

4. პომადის შეძენისას, მისი ფერი ხელისგულზე უნდა შევამოწმოთ.

5. სახის კანის გაფართოებული ფორები, სპეციალური კოსმეტიკური ფანქრით შეგვიძლია დავფაროთ.

6. თმის ყოველდღიურად დაბანა არ შეიძლება, რადგან ამის შედეგად, თმა უფრო ცხიმიანი გახდება.

## ტესტის შედეგები:

ამჯერად, თქვენი პასუხები ქვემოთ მოყვანილ სწორ პასუხებს შეადარეთ.

1. ამგვარი არჩევანი არასწორია! კოსმეტოლოგები და ვიზაჟისტები გვირჩევენ: ცისფერ და ლურჯ თვალებს შევუხამოთ ნაცრისფერი ჩრდილი, ნაცრისფერ თვალებს — იასამნისფერი, თაფლისფერ (მუქსაც და ღიასაც) თვალებს — მქრქალი მწვანე, შავ თვალებს — მუქი ქლიავისფერი და ჟპილენძისფერი.

2. ეს ფორმულირებაც არასწორია: მზის სხივები კანის სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა, ოღონდ გაითვალისწინეთ, ზომიერების გრძნობამ არ უნდა გიღალატოთ. მზის აბაზანების მიღების წინ კი კარგი იქნება, თუ სახეზე სპეციალურ დამცავ კრემს წაისვამთ.

3. აბსოლუტურად სწორი ფორმულირებაა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ერთ რამეს გირჩევთ: სასურველი იქნება, თუკი ზომიერებას აქაც არ უღალატებთ და თმის ვარცხნა ზედმეტად არ გაგიტაცებთ, რადგან ეს ხელს უწყობს კანქვეშა ცხიმოვანი ჯირკვლების გააქტიურებას და შესაძლოა, თმა მეტისმეტად გაგიცხიმიანდეთ. თანაც ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ჯაგრისის კბილებმა თავის კანი არ გაგიკაწროთ.

4. აბსოლუტურად სწორი ფორმულირებაა, ვინაიდან ადამიანის ხელისგულისა და სახის კანის ფერი თითქმის ერთნაირი შეფერილობისაა.

5. არ გირჩევთ ასე მოქცევას! სახის კანის გაფართოებულ ფორებს, კოსმეტოლოგები ადამიანის მემკვიდრეობითობის გამოვლინებად მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში, უმჯობესი იქნება, თუკი კოსმეტოლოგს მიმართავთ და ამ პრობლემას სათანადო მკურნალობის კურსის ჩატარების შედეგად მოაგვარებთ.

6. ეს ფორმულირებაც არასწორია: ადამიანის თმის ტიპი არანაირად არ არის დამოკიდებული მის ხშირად თუ იშვიათად დაბანაზე. უბრალოდ, ცხიმიანი თმის მქონე ადამიანმა უფრო ხშირად უნდა დაიბანოს, ვიდრე მშრალი თმის პატრონმა. თანაც, გაითვალისწინეთ: დაბანის დროს, ენერგიული მოძრაობებით თმის ძირებში შამპუნის ქაფის შეზელა საჭირო არ არის. კარგი იქნება, თუკი დაბანის დასრულებისას თავზე ჯერ ცხელ, შემდეგ კი შედარებით გრილ წყალს გადაივლებთ, ეს თმას მეტ ბზინვარებას შესძენს.

## იაპონური სენსაცია
## სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 9 | 4 | 7 | 2 | 3 | 5 | 6 |
| 5 | 6 | 4 | 3 | 8 | 9 | 7 | 1 | 2 |
| 3 | 7 | 2 | 5 | 1 | 6 | 8 | 4 | 9 |
| 6 | 4 | 3 | 8 | 5 | 1 | 9 | 2 | 7 |
| 9 | 5 | 8 | 6 | 2 | 7 | 1 | 3 | 4 |
| 7 | 2 | 1 | 9 | 3 | 4 | 6 | 8 | 5 |
| 8 | 1 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 | 9 | 3 |
| 2 | 9 | 5 | 1 | 6 | 3 | 4 | 7 | 8 |
| 4 | 3 | 7 | 2 | 9 | 8 | 5 | 6 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 4 | 6 | 5 | 7 | 3 | 1 | 8 |
| 6 | 5 | 3 | 8 | 1 | 4 | 2 | 9 | 7 |
| 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 5 | 4 | 6 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 7 | 1 | 8 | 6 | 9 |
| 8 | 7 | 9 | 5 | 2 | 6 | 4 | 3 | 1 |
| 4 | 6 | 1 | 3 | 8 | 9 | 7 | 2 | 5 |
| 3 | 4 | 5 | 1 | 6 | 8 | 9 | 7 | 2 |
| 1 | 8 | 7 | 9 | 4 | 2 | 6 | 5 | 3 |
| 2 | 9 | 6 | 7 | 3 | 5 | 1 | 8 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 1 | 6 | 3 | 4 | 5 | 2 | 8 |
| 4 | 2 | 5 | 7 | 1 | 8 | 3 | 9 | 6 |
| 8 | 6 | 3 | 9 | 2 | 5 | 7 | 1 | 4 |
| 2 | 5 | 4 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 | 9 |
| 1 | 7 | 6 | 2 | 8 | 9 | 4 | 3 | 5 |
| 3 | 8 | 9 | 5 | 4 | 6 | 2 | 7 | 1 |
| 6 | 4 | 8 | 3 | 9 | 2 | 1 | 5 | 7 |
| 9 | 1 | 2 | 4 | 5 | 7 | 8 | 6 | 3 |
| 5 | 3 | 7 | 8 | 6 | 1 | 9 | 4 | 2 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 6 | | 7 | | | | 8 |
| 2 | | | | 4 | | | | 3 |
| | | 9 | 8 | | 6 | 7 | | 2 |
| | | 2 | | | 5 | | | 1 |
| 4 | | 1 | | | 8 | 3 | | 5 |
| 7 | | | 4 | 9 | | 2 | | |
| 9 | | 7 | 6 | | 3 | 5 | | |
| 3 | | | | 8 | | | | 9 |
| 6 | | | | 2 | | 8 | | 7 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2 | | | | 8 |
| 2 | | | | | 4 | 5 | | |
| | 4 | | | 9 | | | 6 | |
| | | 6 | 1 | | 8 | | 2 | |
| | | 7 | 2 | | | 9 | | |
| | 5 | | | 3 | | 4 | | |
| | 8 | | | 1 | | | 9 | |
| | | 5 | 9 | | | | | 4 |
| 3 | | | | 7 | | | | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | | | | | |
| | 4 | | | | 6 | | | 2 |
| | | 7 | | 5 | | | 8 | |
| | | 4 | | | 8 | | 3 | |
| | 3 | | 1 | | | | 7 | |
| | 6 | | | | | 4 | | |
| | 9 | | | 1 | | 2 | | |
| 5 | | | 7 | | | | 1 | |
| | | | | | | 6 | | |





1. გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ ღირსებებზე
2. ... ფარულავა
3. თვითმკვლელობა
4. ქალაქი საქართველოში
5. ბუნების დამანგრეველი მოვლენა
6. მოხარშული ზეთი
7. სუბტროპიკული კულტურა
8. ბუდისტური სამლოცველო
9. ძველებური მონეტების შეგროვება
10. საბერძნეთის დედაქალაქი
11. რუსი ფიზიოლოგი
12. ყვავის ნაშიერი
13. ცხოველის სხეულის ცხიმი
14. სამრკვლად გადებული გათლილი ძელი
15. ფარული დაცინვა
16. კანონის გაუქმება
17. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი
18. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი
19. ბუდისტი მღვდელი
20. ვირტუოზი მევიოლინე ვანესა...
21. მარცვლეული კულტურა
22. ტუბერკულიოზი
23. კალმანის ოპერეტა
24. ებრაელთა მითური მამამთავარი
25. წონის ერთეული
26. თასი
27. ქალაქი საქართველოში
28. ძველი საბერძნეთი
29. მაგნიტი
30. ბუსუსები ქსოვილზე
31. ინფორმაციის ერთეული
32. ხვიარა მცენარე
33. გამხმარი ციტრუსის კანი
34. წვრილ-წვრილი ტყვიები
35. ციმბირის ტყეები
36. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
37. სალბუნი
38. ღვაწლი
39. სცენის განათება
40. გარეული მტრედი
41. ირლანდიის ეროვნული არმია
42. რესტორანი იტალიაში
43. ფულის ერთეული ქუვეითში
44. ხელოვნური ენა
45. სომხური ხალხური ცეკვა
46. უკუზო აქლემი

**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ჟაკო; 2. კორომი; 3. საფირონი; 4. ლეგატი; 5. ბალისტა; 6. ოლე; 7. ალიკაპი; 8. კიბო; 9. ტერაკოტა; 10. ბაირამი; 11. კიკა; 12. ბომარშე; 13. დაიმი; 14. ატილა; 15. ნეკი; 16. შეკელი; 17. იდო; 18. რინგი; 19. არვე; 20. გვარდია; 21. ვადა; 22. კუ; 23. ურიკა; 24. პიურე; 25. აუდი; 26. კაირო; 27. დეკალოგი; 28. როდეო; 29. იორი; 30. გორილა; 31. ბოლი; 32. თონე; 33. დისკო; 34. ნეი; 35. განძი; 36. კარენინა; 37. იაგო; 38. არტერია; 39. კილიტა; 40. განა; 41. ლონდონი; 42. კლიტე; 43. მეხიკო; 44. კალანდა; 45. ცედრა; 46. მიხაკი; 47. ცუკატი.

**სურათზე**: ჟერარ დეპარდიე; ოდრი ტოტუ.

## დაკრძალვის ცერემონიის რეპეტიცია მოხნიერად

ბოსნიელმა მიზანთროპმა ემირ ვეხაბოვიკმა გადაწყვიტა, სიცოცხლეშივე დარწმუნებულიყო, ვინ მიაგებდა პატივს მის ცხედარს და საკუთარი დაკრძალვის ცერემონიის რეპეტიციის მოწყობა განიზრახა. მან ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებს თავისი „გარდაცვალების“ ამბავი შეუთვალა და ცერემონიის სათანადოდ მოსაწყობად, არც სახსრები დაიშურა. „ექიმისა და დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენლებს სოლიდური თანხა გადავუხადე, რომ ჩემი საკმაოდ რთული ჩანაფიქრის განხორციელებაში დამხმარებოდნენ. ექიმმა გარდაცვალების ყალბი მოწმობა მომცა, დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენლები კი განსასვენებლის დამზადებასა და სხვა წვრილმანების მოგვარებაში დამეხმარნენ. ჩვენ ყველას მოტყუება შევძელით და ძალიან კმაყოფილი ვარ“, — სიამაყით აცხადებს მიზანთროპი ვეხაბოვიკი. 45 წლის ახირებულმა ემირმა არც საკუთარი დედის სათუთ გრძნობებს გაუწია



ანგარიში და ეს შემზარავი ამბავი მასაც შეატყობინა. დაკრძალვის ცერემონიაზე სულ 45 „სტუმარი“ გახლდათ მიწვეული (მათი რაოდენობა „გარდაცვლილმა“ საკუთარი ასაკის მიხედვით განსაზღვრა). დაკრძალვის ორგანიზატორი ბუჩქებში მიიმალა და იქიდან ადევნებდა თვალს, თუ როგორ ცხარე ცრემლებით დასტიროდნენ დამწუხრებული ჭირისუფლები მის არარსებულ ცხედარს. „იმედი მქონდა, რომ ჩემს დაკრძალვას უფრო მეტი ხალხი დაესწრებოდა, თუმცა, იმათი, ვინც მობრძანდით, დიდად მადლიერი ვარ. ახლა ეჭვი აღარ მეპარება, რომ შემიძლია, თქვენი იმედი ვიქონიო!“ — ამ სიტყვებით მიმართა ბუჩქებიდან გამოსულმა ორიგინალურმა „მიცვალებულმა“ გაოგნებულ ჭირისუფლებს და სამგლოვიარო პროცესიას სათავეში მოექცა. ■

## პორნოგრაფია კატალონიის სახელით!



კატალონიელმა სეპარატისტებმა საკუთარი მიზნის მისაღწევად, ახალი, ძალზე უცნაური გზა აირჩიეს: ადგილობრივი ხელმძღვანელობა პორნოფილმების სერიის გადაღებას დააფინანსებს, რადგან ფიქრობს, რომ ამგვარი ფილმები კატალონიური ენის გავრცელებას შეუწყობს ხელს. ქალებისთვის განკუთვნილი ეროტიკული ფილმების: „ლაურა მარტო არ არის“, „მოგონებანი თევზზე“ და „ზღვა ლურჯი სულაც არ არის“ — გადასაღებად, რეჟისორმა კონრად სონმა 10.000 გირვანქა სტერლინგი მიიღო. სერიის პერსონაჟები მრავალ სექსუალურ ავანტიურაში მონაწილეობენ. ერთ-ერთი ფილმი — „მკაცრი, რელიგიური და შრომისმოყვარე“ — მოგვითხრობს გოგონას შესახებ, რომელიც ყოველ კვირას უცნობს ხვდება და მისგან სექსის, მათ შორის — ლესბოსური სიყვარულის საიდუმლოს ეცნობა... სეპარატისტებისადმი სიმპათიით გამსჭვალული კონრად სონი საკუთარ საიტზე ამაყად აცხადებს, რომ ის მაყურებელს „კატალონიურ სექსს“ სთავაზობს. რეჟისორის მსგავსად, ადგილობრივი გუბერნატორიც ფიქრობს, რომ ეს ფილმები პორნოგრაფიას არ განეკუთვნება. ბატონი სონი ამბობს, რომ მან, როგორც პორნოფილმების გამოცდილმა პროდიუსერმა, კარგად იცის, გადალახა თუ არა ზღვარი ეროტიკასა და პორნოგრაფიას შორის. რეჟისორს მიაჩნია, რომ სიუჟეტის არსებობა და „ნატურალობას“ მოკლებული სასიყვარულო სცენები ადასტურებს, რომ ეს ფილმები მხატვრული ნაწარმოებია და არა პორნოგრაფია. როგორც კონსერვატიული ესპანური გაზეთ — ABC წერს, სოციალისტებით დაკომპლექტებული კატალონიის მთავრობა და მემარცხენე რესპუბლიკელთა სეპარატისტული პარტია „ფსკერზე“ დაეშვნენ. „პორნოგრაფიული ფილმების ღიად დაფინანსება — გადასახადების გადამხდელთა თანხების ბოროტად გამოყენებაა“, — წერს გაზეთი. სეპარატისტი პოლიტიკოსები ზურგს უმაგრებენ კატალონიელ რეჟისორს. ■

პირველად საქართველოში!

ჟურნალი ჟურნალში

ჟურნალ „გზაში“

დაელოდეთ...

## „კოლექციონერი“ ციხეში გაამწესეს

იაპონიის პოლიციამ ხიროსიმელი სიგეო კოდამის ბინაში ქალის თეთრეულის 4000 სახეობა — 3977 ტრუსი, 355 ბიუსტჰალტერი და 10 წყვილი მაღალყელიანი წინდა აღმოაჩინა. ეს „საგანძური“ 54 წლის მშენებელმა 6 წლის განმავლობაში, ქურდობით დააგროვა. პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოდამი სხვის ბინებში ფანჯრიდან ძვრებოდა, მაგრამ ძვირად ღირებულ ნივთებს ხელს არ ჰკიდებდა, სამაგიეროდ, „თუ ქალის თეთრეულს გადააწყდებოდა, მის ნებისმიერ სახეობას ხარბად შინ ეზიდებოდა“. ■

# ფოტოკურიოზები











# NIKITA

wap.nikita.ge
www.888x.ge

# ჯეოსელის და მაგთის აბონენტებისთვის!

| | | 8881 | 8886 | 8887 |
|---|---|---|---|---|
| [illegible] hit | [illegible] | 941116 | 941083 | 911195 |
| [illegible] | [illegible] | 941121 | 941086 | 911198 |
| [illegible] | [illegible] | 941100 | 941077 | 911186 |
| [illegible] hit | [illegible] | 941095 | 941020 | 911178 |
| [illegible] | [illegible] | 941111 | 941080 | 911190 |
| [illegible] hit | [illegible] | 941101 | 941074 | 911182 |
| Gasolina | Daddy Yankee | 933571 | 932580 | 911004 |
| [illegible] | [illegible] | 942420 | 943877 | 911620 |
| [illegible] hit | [illegible] | 943897 | 943875 | 911626 |
| [illegible] | [illegible] | 943982 | 943986 | 911715 |
| [illegible] | [illegible] | 943974 | 943978 | 911873 |
| [illegible] | [illegible] | 944065 | 944061 | 911408 |
| [illegible] | [illegible] | 943958 | 943962 | 911723 |
| Jak Tsup Tsop | [illegible] | 942184 | 942181 | 911363 |
| [illegible] hit | [illegible] | 943822 | 943821 | 911396 |
| Here We Go | [illegible] | 942142 | 942146 | 911313 |
| Window Shopper | 50 Cent | 940874 | 940743 | — |
| [illegible] | [illegible] | 942413 | 943880 | 911403 |
| Boro Boro | Arash | 924552 | 924543 | 915760 |
| Smack That | Akon feat. Eminem | 944100 | 944103 | 911861 |
| [illegible] | [illegible] | 924603 | 924591 | 911348 |
| Wait A Minute | [illegible] | 943910 | 943915 | 911815 |
| This Love | Maroon 5 | 913486 | 913483 | 915222 |
| [illegible] | [illegible] | 944009 | 944005 | 911747 |
| Shine | Tokio Hotel | 942159 | 942157 | — |
| [illegible] | [illegible] | 943966 | 943970 | 911752 |
| Bomba Bomba | [illegible] | 942115 | 942097 | 911393 |

## ბუნებრივი SMS საუბრები

18+

გაგზავნე SMS-ით სიტყვა: MEA

ნომერზე: 8880

## სერიალი - LOST

943897 943896 943893

## სერიალი - მეორე სიცოცხლე

944035 944017 944029

## უნიკალური შემოთავაზება!

## საათები

გაგზავნე SMS-ით 8882

939443

Nokia: 3230, 3600, 3620, 3660, 6260, 6600, 6620, 6630, 6670, 6680, 6681, 7610, N-Gage, N-Gage QD

## ნიკიტა-ს ვიდეოთეკა

8887

911714 911131 911405

## რეალტონები

MP3 AMR MMF 8887

## ნიკიტა-მუსიკოთეკა

MP3-ს სრული ვერსიები

8887

## 3GP ვიდეო

8887

911136 911133 911139

## ანიმაციები

944148 941037 941046

942376 942347 942338 942382

## თემები

8882

## ვიდეო "სტრიპტიზი"

STRiP

8887

სიყვარულის ახსნა

15 აპრილი სიყვარულის დღეა!

LOV 8884

MG 8888

LOVE 8884

NIKITA